N8 (559) 24/II-2/III-2011 ფასი 1 ლარი

გზა

„არ ვიცი, ჩვენი სიყვარულის ამბავი როგორ განვითარდება“

„გაგიმხელთ ისეთ რამეს, რაც ჯერ არ მითქვამს...“

„ჩემი მეუღლე რუსი ქალბატონია. მინდა, შვილებთან ერთად გავაპარო“

„მიშა ნამდვილი „მხეცი“ იყო“

ქართული პროზის საგანძური

ტომი №52 გრიგოლ რობაქიძე

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი

ოთარ ჩხეიძე

პირველ ქართველ ჯაზმენს ვარსკვლავი გაუხსნეს

„მუსიკა ყველაზე კარგი „მედიკამენტია“...

„გზა“ – ყველაზე მაღალტირაჟიანი ჟურნალი საქართველოში!

„ჩემი დედობილის ნამდვილ შვილს, გოგონას, ხელი და თვალი არ ჰქონდა, მაგრამ სილამაზის კონკურსებში იმარჯვებდა“...

ISSN 1987 - 5029

ფარული ქრისტიანები

მრევლის წევრს შენიღბულად, კანონმორჩილი მუსლიმანივით უნდა ეცხოვრა

მამა სოგრატის მიერ აღვლენილი სასწაულები

www.britishcentre.ge

BRITISH CENTRE



ირინა ონაშვილი:

„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭიროიყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები."

ნიკო კეჟერაშვილი:

"ბრიტანულ ცენტრში" მეგობრების რჩევით მოვედი და მან ჩემს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სასიამოვნო ატმოსფერომ და ჯგუფურმა გაკვეთილებმა გამიადვილა ენის შესწავლა და ახლა დაბრკოლებების გარეშე შემიძლია ინგლისურად საუბარი. პროგრამის ბოლო საფეხურზე გულიც კი მწყდება, დარგან დასასრულს მივუახლოვდი. ჩემი მიზანია TOEFL-ის ან Cambridge-ის სერტიფიკატიავიღო და ახლა უკვე მზად ვარ გავიდე ტესტირებაზე.

ქ. თბილისი: რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
აღმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915ჯეკინის 9; ტელ: 332 557; 514 143
ქ. ბათუმი: იმნაძის ქ. №2 (ყოფილი ბლაგოევგრადი)
ტელ: 7 31 22

www.britishcentre.ge

ექიმთან პირველი ვიზიტი უფასოა!

ELOS ეპილაცია

- ჭარბთმიანობისგან გათავისუფლება სწრაფად და უმტკივნეულოდ;
- XX1 საუკუნის უახლესი ტექნოლოგია;
- თანამედროვე, უსაფრთხო და ეფექტური მეთოდი.



ELOS გაახალგაზრდავება

- დაივიწყეთ ნაოჭები, პიგმენტური და სისხლძარღვოვანი ლაქები;
- აღიდგინეთ კანის ბუნებრივი სილამაზე;
- გალამაზდით ქირურგიული დანის და ინექციების გამოუყენებლად.

ELOS ყოველი მესამე პროცედურ
საჩუქრა

- მეზო-თერაპია სახესა და სხეულზე: ბიორევიტალიზაცია, ლიფტინგი, ლიპოდისტროფია, თმის სტრუქტურის აღდგენა და მკურნალობა;
- ჰომეოთერაპია და აუტოჰომოთერაპია;
- კონტურული პლასტიკა ჰიალურონის გელით;
- აკნეს მკურნალობა;
- კანის გაახალგაზრდავება ნატურალური პრ
  დუქციის გამოყენებით;
- ბოტულოქსინის მეთოდით ნაოჭების გასწორება.

Oxford MEDICAL PRIVATE CLINICS
მილეგაზე 29 00 66

ELOS ეპილაცია – თმის მოცილებ
სწრაფად და ხარისხიანად
ყველაზე თანამედროვე და
ეფექტური მეთოდი

პიმაფუცინი® ნატამიცინი

თეთრად შლის სამკურნალოდ

უსაფრთხოა ორსულობის დროს

ვაგინალური კანდიდოზის ეფექტური მკურნალობა

ნებადართულია ორსულობის ყველა ტრიმესტრში და ლაქტაციის დროს

1 სანთელი ვაგინალურად ძილის წინ 3-6 დღე. ექიმის რჩევით შესაძლებელია გამოყენება ხანგრძლივი დროით. ზოგჯერ შეიძლება აღინიშნოს წვის შეგრძნება.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

astellas

იკითხეთ აფთიაქებში....

დისტრიბუტორი „ავერსი ფარმა," აღმაშენებლის 148/2

სოკოს საწინააღმდეგო ადგილობრივი საშუალება

8 ნაბიჯი თეთრად შლის სამკურნალოდ

ალბათ არ არსებობს ქალი, რომელიც სიცოცხლეში ერთხელ მაინც არ შეუწუხებია თეთრად შლას. "გაივლის"–ამბობენ და ცდებიან. არასასიამოვნო გამონადენი და ქავილი – ჩნდება სურვილი აიღო კალიუმის პერმანგანატი, გააზავო და გაუსწორდე ამ მომაბეზრებელ პრობლემას. ბევრი თვლის, რომ ეს დაავადება არ არის, ესე იგი განსაკუთრებული მკურნალობაც არ არის საჭირო. მოდით, ნაბიჯ-ნაბიჯ გავიაროთ მითებისგან თავის დაძლევის და თეთრად შლისგან განკურნების გზა.

ნაბიჯი 1. თეთრად შლა, ანუ ვულვოვაგინალური კანდიდოზი–ეს არის დაავადება, რომელსაც იწვევს საფუარისმაგვარი სოკო Candida. ეს სოკო გვხვდება ნორმალური მიკროფლორის შემადგენლობაში: კანზე, ნაწლავების ლორწოვანზე და პირის ღრუში. ჩვეულებრივ, ის თავს არაფრით წარმოაჩენს, მაგრამ ორგანიზმის დაუძლურების, მიკროფლორის ან ჰორმონული ფონის დარღვევისას იწყება მისი სწრაფი ზრდა–უწყინარი საპროფიტიდან სოკო გადაიქცევა აგრესიულ მონსტრად.

ნაბიჯი 2. თეთრად შლას აუცილებლად უნდა ვუმკურნალოთ. მწვავე ფორმით ის შეიძლება გაგრძელდეს 2 თვემდე. პირველი გამოვლინებაა ქავილი, წვა და მტკივნეულობა სქესობრივი აქტის დროს. შემდეგ ჩნდება თეთრი ხაჭოსებრი გამონადენი, წყლის მიმართ გაზრდილი მგრძნობელობა, ტკივილი მოშარდვისას, გარე სასქესო ორგანოების შეშუპება. სიმპტომები ძლიერდება მენსტრუაციის დროს. თუ 1 წლის მანძილზე გვხვდება დაავადების 4 ან მეტი ეპიზოდი, მას თეთრად შლის ქრონიკულ ფორმას უწოდებენ. რეციდივი ვითარდება იმუნიტეტის უმცირეს დაქვეითებაზე (სტრესი, გამოუძინებლობა, ფიზიკური და გონებრივი გადაღლა, მწვავე ვირუსული რესპირაციული ინფექციები), ასევე ანტიბიოტიკების მიღებისას და მენსტრუაციის დროს.

ნაბიჯი 3. მკურნალობამ არ უნდა მიაყენოს ზიანი ორგანიზმს.
უსაფრთხოებით გამოირჩევა პრეპარატები ნატამიცინის ფუძეზე. ეს ნივთიერება ეკუთვნის მაკროლიდთა ჯგუფს და ანადგურებს პათოგენურ სოკოებს, მოქმედებს ადგილობრივად, ამიტომ ნებადართულია ორსულობის ყველა ტრიმესტრში. პიმაფუცინის სანთლები სწრაფად ხსნის ქავილს და წვის შეგრძნებას, ანადგურებს ინფექციას საშოში. აბების და სანთლების კომბლექსური გამოყენებისას მიიღწევა მკურნალობის უმაღლესი ეფექტი. ნატანიცინის ტაბლეტი არ შეიწოვება, არ ხვდება სისხლში, ანადგურებს სოკოს რეზერვუარს ნაწლავებში (რეინფექციის ძირითადი წყარო) და შემდეგ გამოიყოფა ორგანიზმიდან.

ნაბიჯი 4. მამაკაცებში გვხვდება კანდიდოზური ბალანოპოსტიტი–სასქესო ასოს თავის ანთება. ამ შემთხვევაში გამოიყენება ნატამიცინი კრემის სახით.

ნაბიჯი 5. საშოდან თეთრი გამონადენი ყოველთვის არ ნიშნავს თეთრად შლას. სხვა დაავადებების გამოსარიცხად საჭიროა მიმართოთ გინეკოლოგს.

ნაბიჯი 6. გადახედეთ პირადი ჰიგიენის წესებს.
დაიცავით სასქესო ორგანოების და შორისის სისუფთავე, ერიდეთ ხისტ დასაბან საშუალებებს, გამოიყენეთ სპეციალური ინტიმური გელი. შორისის გამშრალება უნდა მოხდეს წინიდან უკან, რათა თავიდან აიცილოთ სწორი ნაწლავის ფლორის მოხვედრა საშოში. არ გამოიყენოთ ინტიმური კოსმეტიკა, სურნელოვანი ტამპონები. ყოველდღიურ საფენები უნდა იცვალოთ ძალიან ხშირად, განსაკუთრებით ცხელ ამინდში.

ნაბიჯი 7. არ მიიღოთ ანტიბიოტიკები ექიმის დანიშნულების გარეშე. ხანგრძლივი ან უსისტემო მიღებისას ისინი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ კუჭ-ნაწლავისა და საშოს მიკროფლორაზე.

ნაბიჯი 8. საჭიროა ბალანსირებული კვება. მიიღეთ ხილი, ბოსტნეული. შეზღუდეთ ტკბილეული. შაქარი სოკოს საყვარელი საკვებია. ბევრი თვლის, რომ მაწონი, ხაჭო, იოგურტი იცავს თეთრად შლისგან. ეს მეცნიერულად დადასტურებული ფაქტი არ არის, მაგრამ აღნიშნული პროდუქტები ბალანსირებული კვების აუცილებელ კომპონენტებს წარმოადგენს.

სენალექსი

ᲘᲒᲠᲫᲔᲜᲘ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ
ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲨᲕᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ!

ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ:

- ატონიური შეკრულობისას
- ბუასილის დროს, პროქტიტებისა და უკანატანის ბზარებისას
- არარაციონალური კვებასთან დაკავშირებული შეკრულობა
- სიტუაციის შეკრულობა
- აძლიერებს ნაწლავის მოძრაობის ფუნქციას, განსაკუთრებით მსხვილი ნაწლავისა.
- მოქმედებს რბილად, უმტკივნეულოდ, ნელა.
- ხანგრძლივი მოხმარებისას არ ახორციელებს ტოქსიკურ ზემოქმედებას ორგანიზმზე.
- არ იწვევს შემდგომ შეკრულობას.

Nabros
Pharma Pvt. Ltd.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოვლენების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს

ფლუკოლდი

ᲤᲚᲣᲙᲝᲚᲓᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ-
ᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲠᲐᲯᲝᲖᲔ!

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ,
ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ!

Nabros
Pharma Pvt. Ltd.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოვლენების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს

ᲗᲥᲕᲔᲜ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲒᲐᲘᲒᲝᲗ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲘᲡ
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲘᲪᲘᲐᲜ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ
ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ

ᲓᲐᲠᲔᲙᲔᲗ ᲪᲮᲔᲚ ᲮᲐᲖᲖᲔ: +995 (32) 25 22 33

№8 (559)
24 თებერვალი - 2 მარტი,
2011 წ.
ფასი 1 ლარი

■ **მინიატიურები** 5
„დოქსოპულო, შენ დედა გყავს?!“

■ **ჭრელი მსოფლიო** 6

■ **რაკურსი** 7
„მე გაგიმხელთ ისეთ რამეს, რაც
აქამდე ჯერ არ მითქვამს“...

■ **პრობლემა** 9
„ქართულ ბაზარზე საგანგაშო მდგომარეობაა“

■ **სახელმწიფო** 12
საფრთხეები, რომლებიც უსაფრთხოების
კონცეფციაში არ ასახულა

■ **პოლიტიკა** 13

■ **კრიმინალი** 16

■ **ტანდემი** 18

■ **პრეზენტაცია** 21

■ **მოდელი** 22
საკუთარი თავის პიარზე მომუშავე,
სამდიპლომიანი პირველი „მისტერ ვალენტინი“

■ **პროფესიონალი** 24
თამაზ ყურაშვილის ბარიერებით
სავსე გზა წარმატებისკენ

■ **თემა** 26
სხვისთვის დათმობილი შეყვარებული

■ **წყვილი** 28
ქართველების რუსი რძალი

■ **ემიგრანტი** 31
წარმატებული ქართველი ორთოპედის
გერმანულ-ქართული ცხოვრება

■ **გასაჭირი** 33
სნეული შვილი და დედის ტრაგედია...

ქვეყანა

გენმოდიფიცირებული საკვები და საშიში დანამატები

„ხორბლის უჯრედში გადააქვთ გენი (ვერ გეტყვით, რისი), რომელიც მის უხვმოსავლიანობას უზრუნველყოფს. ჩვენი წინადადება ასეთია: თუ ქვეყანაში ხორბალი უნდა შემოვიდეს, უმჯობესია, შემოვიდეს დაფქული სახით და მას მარკირება გაუკეთდეს“.

7

სახე

„არ ვიცით, ჩვენი ამბავი როგორ განვითარდება“

„ვახო ძალიან კარგი პარტნიორია. ეს სიტყვები ბევრ რამეს გულისხმობს. პირველ რიგში, პარტნიორს შენი უნდა ესმოდეს“.

18

ცხოვრება

„ომს ჩვენი სიყვარულისთვის ხელი არ შეუშლია“



„თავიდან, გარეგნულად მაინცდამაინც რუსს ვერ მივამსგავსე. მასთან ყოფნის 2 საათი საკმარისი იყო, რომ მივმხვდარიყავი, — ის ჩემთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი გახლდათ. მოკლედ, ერთი ნახვით შემიყვარდა“.

26

„სიყვარული საქმითაც უნდა დაამტკიცო“

„დაშორდი! ახალგაზრდა ხარ და ამას ადვილად გადაიტან... აბა, ის გირჩევნია, ძმაკაცები ერთმანეთს რომ დაერიონ? თან, თავადაც უთქვამს, დავშორდეთო...“

76

■ **წარმატების ფორმულა** 36
6 წლის ასაკში დაწყებული მუსიკალური კარიერა
და ხელოვანი, რომელიც მუდამ ტონუსშია

■ **საგანძური** 39
„ჩვენი ხმების საგანძური“ —
„გეპეის“ ჯაზკვარტეტი

■ **ავტო** 41

■ **ისტორიის ლაბირინთები** 42
ფარულ ქრისტიანთა ბედი ლაზეთში

■ **ტაძარი** 45
იგავი 10 ქალწულის შესახებ

■ **გზა ტაძრისაკენ** 46
მამა სოგრატის ლოცვით აღვლენილი სასწაულები

■ **სამყარო** 49

■ **ანტიდეპრესანტი** 50

■ **საკითხავი ქალებისათვის** 50

■ **ჯანმრთელობა** 52

■ **სიყვარულის ამბავი** 54
წლების შემდეგ გაცოცხლებული სიყვარული

■ **კოლორიტი** 56
„კაფიაობაში თავაზიანობას ვერ დაიცავ,
უწმაწურობა შვენის კიდეც“

■ **პერსონა** 59
ყველაზე ინტელექტუალური ქართველ
დიპლომატებს შორის

■ **წვეთი პოეზია** 62

■ **სახსოვარი** 63

■ **რეალური** 64
მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)

■ **ქართული დეტექტივი** 68
რუსუდან ბერიძე. ანტიკვარი (გაგრძელება)

■ **რომანი** 72
სვეტა კვარაცხელია. ნაადრევი
ენძელები (გაგრძელება)

■ **გზავნილები** 76

■ **ყველა ერთისათვის** 80

■ **მობილი-ზაცია** 82

■ **მოზაიკა** 90

■ **ერუდიტი** 92

■ **გასართობი** 94

■ **ასტროლოგია** 96

■ **სკანვორდი** 97

■ **საფირმო კროსვორდი** 98

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი,
რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



„ჩვენი ხმების საგანძური“ „გეპეის“ ჯაზკვარტეტი

ეს წერილი სწორედ ამ ოთხეულს — „გეპეის“ ჯაზკვარტეტს ეძღვნება, რომელმაც მართალია, მხოლოდ 4 წელიწადს იარსება, მაგრამ ქართული ესტრადის ისტორიას უმნიშვნელოვანესი ფურცელი — უკვდავი სიმღერები დაუტოვა.

36

ადამიანი



ყველაზე ინტელექტუალური ქართველ დიპლომატებს შორის

„არკანზასში ერთწლიანი, სასწავლო, გაცვლითი პროგრამით მოვხვდი. ვცხოვრობდი ოჯახში, სადაც თეთრკანიან მშობლებს ფერადკანიანი ბავშვები ჰყავდათ ნაშვილები“.

54

ბიბლუსი



— ასეთ კარგ გოგონას ნეტავ, რატომ მოუწყენია? — ჩაესმა უეცრად მას ვიღაცის ხმა. ლელამ თავი ასწია და მაღალი გრძელთმიანი ახალგაზრდა დაინახა.
— გამარჯობა! — შინაურივით მიესალმა გოგონას.

62

ტაიმ-აუტი

„ამიტომაც ვარ სახლში ჩაკეტილი“

„არ მიყვარს სუსტი ადამიანები, რომლებიც „ბრძოლის ველიდან“ გარბიან და სხვის გაშლილ სუფრას მიუსხდებიან ხოლმე...“

88

„დოქსიპუტო, შენ დედა გყავს?!"

შესავლის ნაცვლად ხომ გაგახსენდათ, საიდან არის ეს ფრაზა? ალბათ ძალიან ბევრ თქვენგანს უჩემოდაც გაახსენდებოდა „მონანიების" ეს ფრაგმენტი, როდესაც ჩვენი პრეზიდენტის მრავალ „დოქსიპულოთაგან" და „რიკტაფელოვთაგან" ერთ-ერთი, უკვე მერამდენედ, თავის უფროსს პირზე დუმომდგარი აწონებდა თავს სამი წლის წინ გარდაცვლილი კაცის ლანძღვით და სულაც არ დაგიდევდათ, რომ ის, რაზეც ლაპარაკობდა, ოფიციალურ გამოძიებას არ დაუდასტურებია და ამას გარდა, იმ კაცს, შვილებზე რომ არაფერი ვთქვათ, დედა ჰყავს, რომელსაც ყოველდღე ტკივილზე ტკივილს უმატებენ...

ორშაბათს კი, „კვირის პალიტრა" რომ გადავშალე, კიდევ ერთი გენიალური ქართული ფილმიდან გამახსენდა „უკვდავი ფრაზა": „ეეე... რა ყველაფერ დასწრებაზეა ამ ქალაქში!" — ჩემს კოლეგას დაუსწრია და უკვე „შეუმკია" „კოტეს ბიჭი" (ალალი იყოს მაგაზე)...

ძალიან გავბრაზდი გოკა გაბაშვილზე და ძალიან მინდოდა, ამ თემაზე დამეწერა. ჰოდა, საღამომდე ვერ ჩავუჯექი გაზეთს და ის-ის იყო, წავიკითხე ზემოთ ნახსენები სტატია და ცუდ ხასიათზე დადგომაც დავაპირე (ხვალ მე რაღა დავწერო-მეთქი?!), რომ ისევ ჩვენი, ბევრი პროცენტით არჩეული და ყველა სოციოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით უსაყვარლესი პრეზიდენტი მომევლინა მხსნელად — უყურეთ, სამტრედიაში ერთ-ერთ ოჯახს რომ სტუმრობდა და კახეთში მოყვანილი სიმინდის ტაროებით იწონებდა თავს?

პატარა ბიჭი არა ვარ, მაგრამ არც ისეთი ბებერი გახლავართ, რომ ხრუშჩოვის დროს მოვსწრებოდი (ახალგაზრდებისთვის ავხსნი: იყო ასეთი კაცი — სტალინის შემდეგ საბჭოთა კავშირის „უფროსად მუშაობდა"), მაგრამ წამიკითხავს, რა კომიკური სიტუაცია შეიქმნა მთელ ვრცელ იმპერიაში, როდესაც ამერიკაში ვიზიტად მყოფი ნიკიტა სერგეევიჩი ტეხასელი ფერმერის მეურნეობის დასათვალიერებლად წაიყვანეს — გადაირია კაცი! მაშინ გაჩნდა ტერმინი — „მინდვრის დედოფალი" (ანუ სიმინდი)!

თურმე, იმ კრეტინს ციმბირშიც კი (სადაც მხოლოდ არაყი „ხარობს") სიმინდის დათესვა მოუნდომებია; სადაც წინა წლებში ხორბალი ითესებოდა — იქაც და სადაც ისედაც მოჰყავდათ სიმინდი, იქ საერთოდ, მოსავლის გასამმაგება მოუთხოვია!

ახლა ვიღაცამ შეიძლება, შარიანობა დამწამოს, — სად ის მახინჯი და სად — ჩვენი მაღალი, ლამაზი და ახალგაზრდა პრეზიდენტიო?! — მაგრამ რა ვქნა, ასე უკუღმა მიდევს ტვინი: როდესაც მიშიკომ სამტრედიელებს უთხრა, მოსავალი უნდა გავაორმაგოთ და გავასამმაგოთო, მერე რომ დაფიქრდა, ეცოტავა და დაამატა — უნდა გავახუთმაგოთო, აი — ზუსტად მაშინ გამახსენდა ის საბჭოთა ლიდერი.

მოკლედ, მომავალი წლიდან მოგვიწევს ქორწილების გადახდა ბატიბუტებითა და პოპკორნებით. მიშამ თქვა, საექსპორტოდაც უნდა გვეყოს, იმდენი უნდა მოვიყვანოთო, ამაზეა დამოკიდებული ჩვენი წინსვლაო... ანუ (მე ასე გავიგე) — სიმინდს გავყიდით, ტანკებს ვიყიდით და რუსებს გავყრით! მაგარია! აბა, ბიჭებო, „წამოით" ყანაში!.. არა მაქვს ადგილი, მაგრამ არ შემიძლია, კიდევ ერთი ამბავი არ ვახსენო: გორში, სტალინის ნაძეგლარ ადგილზე მონუმენტს რომ დგამენ (უცნაური სახელი რომ ერქმევა, „არ დაიკიდოო" თუ... ჰო — „ამაოებას არ ამოება"), ეგ მაკეტი მომწონს თუ არა, მაგას მერე გეტყვით, მაგრამ იმავე ავტორის წინა ნამუშევარი, ბათუმში მდგარი ქალი და კაცი რამდენადაც ბრწყინვალეა, იმდენად იდიოტურია „ვიღაცის" (აღარ დავაზუსტებ, თორემ მართლა დამიჭერს ბოლოს) მიერ შერქმეული მეტსახელი — „ალი და ნინო" (ჰმ, ადამიანებს ხომ კარგად იჭერს „კლიჩკებისთვის"!..) და ეს კიდევ ერთხელ იმიტომაც გამახსენდა, რომ ჩვენი ჟურნალის ამ ნომერთან ერთად, გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგს" გთავაზობთ და „ალი და ნინოს" „ფანკლუბს" კიდევ ერთხელ შეუძლია (მეც მაგარი სისულელე ვთქვი, კიდევ ერთხელ — არა, მეათასედ) დარწმუნდეს, რომ თუ რამ ცოოტათი „ქაჩავს" იმ წიგნში, რობაქიძისგან არის „გადაბულბულებული" და საერთოდ — არ მინდა, ძმაო, რომ სიყვარულის განსახიერება იყოს, როგორ „შედის" (ბოდიში, მაგრამ ასეა) აზერბაიჯანელი კაცი ქართველ ქალში! (ვინც „შეგვიყვანა", ჯერ ის ვერ მოგვინელებია).

და საერთოდ, სიმინდი — ჯანდაბას, მაგრამ სულ არ არის საჭირო, კაცი უწიგნურობაშიც დაემსგავსო ხრუშჩოვს...

P.S. ტენდენციურობაში რომ არ ჩამომართვათ, აქაოდა, ჩვენს მაღალს სხვისი იდეების პლაგიატში ადანაშაულებო. მინდა გითხრათ, რომ ჩვენს მთავრობასაც ბლომად გამოუჩნდნენ მიმბაძველები. აგერ, ბატონო, 20-ლარიანი და 30-ლარიანი ვაუჩერების ამბის შემდეგ, ქუვეითის მთავრობამ „გადაამღერა" ანტიკრიზისული გადაწყვეტილება და ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს 10.000 დოლარი უფეშქაშა.

P.P.S. *ძალიან მინდა ხოლმე, ოპოზიციაზეც დავწერო რამე, მაგრამ — მკვდარზე ან კარგს ამბობენ, ან — არაფერსო, ხომ გაგიგონიათ (თუმცა, როგორც შესავალშივე ვთქვი, — გოკა გაბაშვილისთვის არ უსწავლებიათ)?*

საქმეს ეგენი არ აკეთებენ და გასაფუჭებელიც ჯერ არაფერი ჩანს, ამიტომ არიან ჩუმად. ერთი გურული ანეკდოტი მახსენდება ჩვენს ოპოზიციაზე:

გურული ბავშვი პლაჟზე ზის და ვიღაც ეკითხება:

— ბიძიკო, ზღვაში რეიზა არ ჩადიხარ?

— ცურვა არ ვიცი და მოფსმით არ მეფსმობა ჯერე...

პროვოკატორი

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

ახალი მსხვერპლი ავღანეთში...

ავღანეთში კაპრალი გიორგი ავალიანი დაიღუპა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ქართველი სამხედრო მოსამსახურე დავალების შესრულების დროს ნაღმზე აფეთქდა. აფეთქების შედეგად დაჭრილები არიან კაპრალები — ნიკოლოზ დეისაძე და ედნარ აბულაძე. ისინი ჰელმანდის პროვინციაში მსახურობენ.

გიორგი ავალიანი შეიარაღებულ ძალებში 2008 წლიდან ირიცხებოდა. სამხედრო სამსახურის პერიოდში მიღებული ჰქონდა უწყებრივი მედალი საბრძოლო იარისთვის. ავღანეთში დაღუპულ ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობამ უკვე ექვსს მიაღწია — ადრე ავღანეთში დაიღუპნენ: მუხრან შუკვანი, ნუგზარ კალანდაძე, გიორგი კოლხიტაშვილი, დავით ცეცხლაძე და რამაზ გოგიაშვილი. ■

სომხეთში რევოლუცია იწყება?!

„რევოლუციას სომხეთშიც ელოდებიან“, — ეს განცხადება პარტია „ახალი დროების“ ლიდერმა, არამ კარაპეტიანმა გააკეთა. კარაპეტიანს მიაჩნია, რომ პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებმაც კოალიციური მემორანდუმი გააფორმეს, ხელისუფლების შეცვლაზე უნდა იზრუნონ. მისი თქმით, ქვეყანაში დესტაბილიზაცია შესაძლოა გამოიწვიოს როგორც გარე, ისე საშინაო ფაქტორებმა.

„სომხეთში რევოლუციური განწყობილება სრული ძალით მარტში გამომჟღავნდება. მოხდება აფეთქება. საკითხავი მხოლოდ ის არის, დაიღვრება თუ არა სისხლი“, — აღნიშნა კარაპეტიანმა. ■

ირანის სამხედრო ხომალდები სუეცის არხში შევიდნენ

ირანის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდები სუეცის არხში 1979 წლიდან ანუ — ისლამური რევოლუციის შემდეგ პირველად შევიდნენ. ორი ხომალდი სირიის მიმართულებით მიცურავს. ისინი სირიის საზღვაო ძალებთან ერთობლივ წვრთნებში მიიღებენ მონაწილეობას. სუეცის არხის გავლით გადაადგილების ნებართვა ირანულ ხომალდებს მისცა ეგვიპტის შეიარაღებული ძალების უმაღლესმა საბჭომ, რომელიც ჰოსნი მუბარაქის დამხობის შემდეგ — ხელისუფლებაში 2011 წლის 11 თებერვალს მოვიდა. ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ავიგდორ ლიბერმანმა სუეცის არხის გავლით ირანული ხომალდების გადაადგილებას თეირანის მხრიდან პროვოკაცია უწოდა. ისრაელი შიშობს, რომ ირანული იარაღი სირიის გავლით, „ჰესბოლას“ ხელში აღმოჩნდება. ■

ზიონა ჩანა — 39 ქალის ქმარი

ინდოეთის მიზორამის შტატში მცხოვრები ზიონა ჩანა მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვანი ოჯახის უფროსად აღიარეს: 67 წლის ჩანას 39 ცოლი, 96 შვილი, 33 შვილიშვილი და 14 რძალი ჰყავს. მის ოჯახში სამხედრო დისციპლინაა დამყარებული: უფროსი ცოლები საშინაო საქმეებს აკეთებენ — ალაგებენ, რეცხავენ და საჭმელს ამზადებენ. ყოველდღიურად სადილის მოსამზადებლად ქალებს 30 ქათმის დაკვლა, 60 კილოგრამი კარტოფილის დათლა და დაახლოებით 100 კილოგრამი ბრინჯის ხარშვა უწევთ. ზიონა ფიქრობს, რომ თითოეული ცოლი „ღვთის საჩუქარია“ და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი ოჯახის უფროსობას. რეკორდსმენი მამაკაცი თავის ჯალაბობასთან ერთად, ოთხსართულიან, ასოთახიან სახლში ცხოვრობს; სახლში სკოლა, სახელოსნო, ღორებისა და ქათმების სადგომიც არის განთავსებული. ოჯახის უფროსის გარდა, ყველა უზარმაზარ დარბაზში ცხოვრობს, ზიონას კი ცალკე ოთახი აქვს. ჩანა ამბობს, რომ ახალი ცოლების შერთვასაც აპირებს. ამ მიზნით ის აშშ-ში წასვლასაც გეგმავს. ■

როგორ აფასებს ვაშინგტონი სააკაშვილის შესაძლო გაპრემიერებას

აშშ-ის დაზვერვის ყოველწლიურ ანგარიშში, რომელიც კავკასიასა და ცენტრალურ აზიას ეხება, მხოლოდ საქართველოს შიდა პოლიტიკური ვითარებაა განხილული. ამის შესახებ გამოცემა Eurasianet იუწყება. მისი თქმით, ამერიკული დაზვერვის ანგარიშში ხაზგასმულია, რომ საქართველოს ახალი კონსტიტუცია გააძლიერებს პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციას 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. „პრეზიდენტ სააკაშვილს სამომავლო გეგმებზე არაფერი უთქვამს, თუმცა ახალი კონსტიტუცია პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დაკავების შესაძლებლობას აძლევს“, — წერს გამოცემა. იქვე აღნიშნულია, რომ ამერიკული დაზვერვის ანგარიშში ხელისუფლებაში სააკაშვილის შესაძლო დარჩენას შეფასება არ ეძლევა. ნაციონალური დაზვერვის ხელმძღვანელი, ჯეიმს კლაპერი სენატის დაზვერვის კომიტეტის წინაშე ყოველწლიური ანგარიშით 16 თებერვალს წარდგა. ანგარიშის მონაცემების თანახმად, ვაშინგტონი 2013 წელს საქართველოში, ხოლო 2011-2012 წლებში — რუსეთის ხელისუფლებაში მნიშვნელოვან ცვლილებებს არ ელოდება. „აშშ-ის სენატის დაზვერვის კომიტეტისთვის წარდგენილი მოხსენების თავში — „კავკასია და ცენტრალური აზია“ ნათქვამია, რომ მართალია, მიხეილ სააკაშვილი საკუთარ სამომავლო გეგმებს არ განსაზღვრავს, მაგრამ ახალი კონსტიტუციით მისთვის ხელმისაწვდომია ყველა პარამეტრი, რომელიც 2013 წელს საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ, კვლავ ხელისუფლებაში დარჩენის შესაძლებლობას აძლევს, ამჯერად — პრემიერ-მინისტრის რანგში“, — ნათქვამია ანგარიშში. ■

გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები

რუბრიკა მოამზადა
ხათუნა ბახტურიძემ

ქვეყანა

„მე გაგიმხელთ ისეთ რამეს, რაც აქამდე ჯერ არ მითქვამს“...

„მიშა ნამდვილი „მხეცი“ იყო, თავის დროზე მისი სახით ოპოზიციას ძალიან მაგარი ლიდერი ჰყავდა. სამწუხაროდ, პრეზიდენტის პოსტზე ისეთივე ძლიერი ვერ აღმოჩნდა... საკუთარი სიმშვიდისა და თანამდებობის შენარჩუნებისთვის მან სულ ახლახან 50 მილიონი ლარი გადაიხადა“, — ამბობს ქრისტიან-დემოკრატების წარმომადგენელი თბილისის საკრებულოში, ინგა გრიგოლია. ის ირწმუნება, რომ პრეზიდენტი და მისი გუნდის წევრები საზოგადოებას მიზანმიმართულად ატყუებენ. გრიგოლია მმართველი გუნდის მიერ ბოლო დროს გაკეთებული განცხადებებისა და საზოგადოების ერთი ნაწილის ბრალდებების გამო თავს შეურაცხყოფილად გრძნობს და „აღიარებს“, რომ საპარლამენტო დებატების დროს გოკა გაბაშვილის „ადგილზე მიდუღების“ სურვილიც კი გაუჩნდა...

ხათუნა ბახტურიძე

— ინგა, მაინც რას გულისხმობდით, როდესაც თქვით, რომ პრეზიდენტმა თავისი თანამდებობისა და სიმშვიდის შესანარჩუნებლად ფული გადაიხადა?

— თქვენ არ გინახავთ „ნაციონალები“ თავიანთი ოჯახებით, ტელეკამერების თანხლებით რომ დადიოდნენ და 20, 30-ლარიან ვაუჩერებს სამადლოდ არიგებდნენ?!. ფაქტია, რომ ხელისუფლებამ ვაუჩერების პროექტი პიარის მიზნით განახორციელა, რომლისთვისაც პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 50 მილიონი ლარი დაიხარჯა. აბა, წავიდეს სააკაშვილი ბაზარში და ნახოს, რას იყიდის 30 ლარად! ამ ვაუჩერებით ხალხი ვერაფერს იხეირებს. 50 მილიონად უფრო სასარგებლო საქმეების გაკეთებაც შეიძლებოდა.

— მაგალითად?

— ბევრად უკეთესი იქნებოდა, ეს თანხა უმუშევართა ან უმწეოთა ფონდში რომ გადაერიცხათ. ისიც შეიძლებოდა, იაფი კრედიტების პროგრამა რომ განეხორციელებინათ ან „ჯანდაცვა“ დაეფინანსებინათ. ხელისუფლება შექმნილი პრობლემიდან გამოსავლის ძიებაზე კი არა, ხალხის მოსყიდვაზე ფიქრობს. სააკაშვილი ხვდება, რომ გაზრდილი ფასებისა და უმუშევრობის გამო, გაზაფხულიდან საპროტესტო აქციები დაიწყება. ამ ვაუჩერებით ის სიმშვიდისა და თანამდებობის შენარჩუნებას ცდილობს.

— თუ 20 და 30-ლარიანი ვაუჩერები მოსახლეობისთვის შეღავათს არ წარმოადგენს, როგორ მოისყიდის მათ ხელისუფლება?

— სამწუხაროდ, არაერთხელ გავმხდარვართ იმის მოწმე, რომ „ნაცმოძრაობას“ არჩევნებში 10 ლარისა და ერთი ტომარა ფქვილის სანაცვლოდაც მიუღია ხმები. ამიტომ ნამდვილად არ არის გამორიცხული, რომ ამ აქციამ ხელისუფლებას შედეგი მოუტანოს.

— ეი. ხელისუფლება ქვეყანაში არსებული პრობლემების მოგვარებისთვის რეალურად არ ზრუნავს და არჩევნებში ხმების მოპოვებას მხოლოდ პიარ-აქციებით ახერხებს. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ოპოზიცია ძალიან სუსტია?

— სულაც არ მაქვს კარგი წარმოდგენა ოპოზიციაზე. მისი ლიდერების უმრავლესობა მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. როდესაც ხელისუფლებამ ჩემი გადაცემა დახურა, ორ დღეში ირაკლი იმნაიშვილის „ღამის მზერა“ და ეკა ხოფერიას „ღამის კურიერი“ მიაყოლა, ოპოზიციის ლიდერებმა ხმა არ ამოიღეს. გრანდიოზული აქციების უშედეგოდ დასრულებასაც შეგახსენებთ. დღემდე არ მითქვამს, მაგრამ ახლა უნდა ვთქვა — 26 მაისს, როდესაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ეროვნულ სტადიონზე შეიკრიბა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ოპოზიცია სააკაშვილის მმართველობას „დაამთავრებდა“. ჩემი და ესწრებოდა იმ მიტინგს და კარ-



გად ვიცი, რაც ხდებოდა, როგორი შემართული იყო ხალხი ბოლომდე საბრძოლველად. მაშინ მიშა რომ ყოფილიყო ოპოზიციის ლიდერი, აუცილებლად დაამხობდა ხელისუფლებას. ის მართლა მაგარი ლიდერი იყო. ყოველთვის კარგად გამიზნულ ნაბიჯებს დგამდა, რეალობას არ გაურ-

მართლა მაგარი ლიდერი იყო. ყოველთვის კარგად გამიზნულ ნაბიჯებს დგამდა, რეალობას არ გაურბოდა და შეცდომებსაც არ უშვებდა

ბოდა და შეცდომებსაც არ უშვებდა. ახლა რეალობას ვეღარ აღიქვამს და შესაბამისად, სწორ აქცენტებსაც ვეღარ აკეთებს. არ ვიცი, გახსოვთ თუ არა — სააკაშვილი შევარდნაძეს ედავებოდა იმის გამო, რომ პრეზიდენტის კორტეჟი ქუჩაში მოძრაობას აფერხებდა. ახლა რა ხდება? მიშას კორტეჟის გამოსვლამდე 2 საათით ადრე იკეტება მოძრაობა!..

— **იმასაც შეგახსენებთ — როდესაც დეპუტატი სააკაშვილი კორუფციაზე ლაპარაკობდა, კორუმპირებულ ჩინოვნიკებსაც ასახელებდა. ხომ არ ფიქრობთ, რომ დებატების დროს საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელმა თავი შეირცხვინა, როდესაც კორუფციაზე ილაპარაკა, მაგრამ კონკრეტული პირები ვერ დაასახელა?**

— ეს დეპუტატმა გურამ ჩახვაძემ ვერ დაასახელა, თორემ ჩემი პარტიის ლიდერმა, გიორგი თარგამაძემ სააკაშვილს პირდაპირ უთხრა, — დიახ, ქვეყანაში არის ელიტური კორუფცია და ამ კორუფციის სათავეში დგახართ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო. ძალიან მიკვირს, ამ ფრაზის შემდეგ ვიღაც-ვიღაცები რომ ამბობენ, — საპარლამენტო დებატები დადგმული სპექტაკლი იყოო. ამ ე.წ. სპექტაკლზე საპარლამენტო უმრავლესობამ, პრეზიდენტის ჩათვლით, მთელი ოპოზიციური სპექტრი გაამასხარავა და დაამცირა. სხვათა შორის, სწორედ ამ დებატების დროს გამოაშკარავდა, რომ ქვეყანაში ერთმანეთის პირისპირ დგას მხ-

ოლოდ ორი ძალა — „ნაცმოძრაობა“ და „ქრისტიან-დემოკრატები“. აღშფოთებული ვარ საპარლამენტო უმრავლეობის მიერ გაკეთებული ცილისმწამებლური განცხადებებით; განსაკუთრებით, გოკა გაბაშვილის ტონმა გამაღიზიანა. მან არა მარტო ცილი დასწამა ჩემს კოლეგებს, არამედ შეურაცხყოფაც მიაყენა. დებატების დროს ჩვენებს რამდენიმე მესიჯი მივწერე: მინდოდა, გაბაშვილი ადგილზე „მიედუღებინათ“. სამწუხაროდ, საპარლამენტო რეგლამენტი არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ უმრავლესობის ბრალდებებისთვის უმცირესობას პასუხი გაეცა.

— **საშუალება რომ გქონოდათ, გოკა გაბაშვილს რა პასუხს გასცემდით?**

— პირველ რიგში მივუთითებდი, რომ არ შეიძლება, ხელისუფლებას ასეთი აგდებული ტონი ჰქონდეს. როდესაც გაბაშვილმა თარგამაძეს ასლან აბაშიძისა და ბადრი პატარკაციშვილის სურათები აუფრიალა, მას აუცილებლად ვეტყოდი, გაეხსენებინა საკუთარი წარსული (მას შევარდნაძის მმართველობის დროს გადაცემა — „იბერია გაბრწყინდება“ მიჰყავდა). იმ ფაქტსაც შევახსენებდი, რომ შევარდნაძის პოლიტიკურ კურსს სრულად იზიარებდა მამამისი, კოტე გაბაშვილი.

— **საპარლამენტო დებატების დროს თქვენმა ლიდერმა ხელისუფლებას ანტიკრიზისული პროგრამა დაუწუნა. თავად თუ გქონდათ რაიმე პროგრამა, რომელიც ქვეყანას კრიზისული სიტუაციიდან გამოიყვანდა?**

— როგორც ყველა თავმოყვარე და სერიოზულ პოლიტიკურ გუნდს, ჩვენც გვაქვს ასეთი პროგრამა. თუ ეს საკითხი დეტალურად დაგაინტერესებთ, ჩვენი საპარლამენტო გუნდის წარმომადგენლებს მიმართეთ. გახსოვთ, პრეზიდენტმა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კრიზისი რით ახსნა? ჩინელებმა დაიწყეს ჭამა და ველოსიპედებიდან ავტომობილებზე გადასხდნენო. როგორც უნდა გაამართლონ მისი ეს განცხადება ხელისუფლების მიერ მართულმა ტელევიზიებმა, ხალხი მაინც მიხვდება, რომ არასერიოზული იყო. ასევე არასერიოზული იყო პრეზიდენტი, როდესაც გადასახადების გამარტივებაზე ლაპარაკობდა. ფინანსთა მინისტრმა 31 დეკემბერს გამოსცა ბრძანებულება, რომელიც მეორე დღესვე შედიოდა ძალაში და ზედნადებების ამოქმედებას ითვალისწინებდა. ეს ნიშნავს იმას, რომ დისტრიბუტორებსა და მაღაზიებს უამრავი ფურცლის შევსება და საქმის შიშითა და კანკალით წარმოება მოუწევთ, რათა შემოსავლების სამსახურს მათი დაყადაღებისა და დაჯარიმების დამატებითი მიზეზი არ მისცენ. 2010 წელს მხოლოდ ჯარიმების, საურავებისა და სანქციების სახით, ბიუჯეტში 150 მილიონ ლარზე მეტი შევიდა. ამ თანხაში არ შედის საგადასახადო და საპროცესო შეთანხმებების თანხები, რომელიც 150 მილიონზე გაცილებით მეტია. ფაქტია, რომ ხელისუფლება თვალსა და ხელს შუა გვატყუებს, თანაც შეურაცხმყოფელი ტონით გველაპარაკება. ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილი თავის ძლიერებაში დარწმუნებულია და არჩევნების გასაყალბებლადაც მზად არის.

— **ხელისუფლების ძლიერებაში ისევე ხართ დარწმუნებული, როგორც ოპოზიციის სისუსტეში. რისი იმედი გაქვთ?**

— იმედი მაქვს, ადრე თუ გვიან, ოპოზიციის ყველა ლიდერი მიხვდება, რომ ერთმანეთის თანადგომაა საჭირო და არა — ურთიერთბრალდებები და ლანძღვა-გინება. ქრისტიან-დემოკრატებს იმის გამო გვაგინეს, რომ პარლამენტში შევედით. არადა, თავად, ქუჩის აქციებით ვერაფერს მიაღწიეს. ყველამ ერთად უნდა მოვიკრიბოთ ძალა და ვიმუშაოთ ძალიან ბევრი იმისთვის, რომ ხელისუფლებას არჩევნებში მოვუგოთ. სხვა გზა უბრალოდ, არ გვაქვს. ■

გენმოდიფიცირებული საკვები და საშიში დანამატები

„ქართულ ბაზარზე საგანგაშო მდგომარეობაა“

თამუნა კვინიკაძე

ბოლო პერიოდში გენმოდიფიცირებული პროდუქტი და ემულგატორები საზოგადოების განსჯის საგნად არაერთხელ ქცეულა. არის თუ არა იგი ჯანმრთელობისთვის მავნებელი? რა ზიანი შეიძლება მოგვიტანოს სხვადასხვა სახის საკვებდანამატმა? — ეს ის საკითხებია, რომელიც ყველა ადამიანს აღელვებს და აინტერესებს. ქართული ბაზარი უხარისხო პროდუქტითაა გაჯერებული, ჩვენ კი, როგორც წესი, მისი შეძენისას, ნაკლებად ვაქცევთ ყურადღებას იმას, თუ რა წერია ეტიკეტზე, როგორია მისი შემადგენლობა და ა.შ. საბოლოო ჯამში კი ყველაფერი ჩვენს ჯანმრთელობაზე აისახება. სტატიაში შემოგთავაზებთ იმ ემულგატორების ჩამონათვალს, რომლებიც სხვადასხვა მძიმე დაავადებას იწვევს, ოღონდ ეს — მოგვიანებით; თავდაპირველად კი არანაკლებ საშიშ — გენმოდიფიცირებულ საკვებზე გესაუბრებით.

გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტები გენური ინჟინერიის შედეგად არის მიღებული. გენური ინჟინერია ჩვეულებრივ გულისხმობს უჯრედულ დონეზე ხელოვნური მანიპულაციის შედეგად საჭირო გენის ერთი სახეობის ორგანიზმიდან სხვა, არამონათესავე ორგანიზმში გადატანას; შესაძლებელია ადამიანის გენის გადატანა ცხოველებში და — პირიქით. საქართველოში ასეთი პროდუქციის შემოტანა 1996 წლიდან დაიწყო. კითხვაზე — უსაფრთხოა თუ არა ადამიანისთვის გენეტიკური მოდიფიკაციის საფუძველზე მიღებული პროდუქტები? — ერთმნიშვნელოვანი პასუხი კვლავაც არ არსებობს. თუმცა ბოლო წლებში ცნობილი გახდა ზოგიერთი გამოკვლევის შედეგები, რომლებიც



გამოიწერეთ გზა საგანძურის ყველა ტომს ადგილზე მოგართმევთ „ელვა.ჯი“ ტელ: 38 26 73; 38 26 74

ცოცხალ ორგანიზმებზე გენმოდიფიცირებული პროდუქტების უარყოფით ზეგავლენას ადასტურებს.

როდესაც ადამიანის ორგანიზმში ასეთი პროდუქტი ხვდება და ამას სისტემატური ხასიათი აქვს, ეს მასში მთელ რიგ გენურ ცვლილებებს, ნივთიერებათა ცვლის მოშლას, კუჭ-ნაწლავის სისტემის დაავადებებსა და სხვა პათოლოგიებს იწვევს. საერთოდ, გენმოდიფიცირებული ორგანიზმები ცოცხალი ორგანიზმებია, ამდენად, გამრავლებით, გავრცელებითა და საკუთარი გენების გადაცემის უნარით გამოირჩევა. ისინი ადამიანისთვის უცხო ხელოვნური ნივთიერებებით არიან გაჯერებული. მაგალითად, არსებობს ვირთაგვასგენიანი კომბოსტო, თევზისგენიანი პომიდორი და უამრავი სხვა ამგვარი. 2004 წლიდან ევროპის ქვეყნებში მიიღეს კანონი, რომლის თანახმადაც, გენმოდიფიცირებულ პროდუქტებს სპეციალური ნიშანდება მიენიჭა, რის შედეგადაც მოსახლეობას ეძლევა საშუალება, თავად გააკეთოს არჩევანი გენმოდიფიცირებულ და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს შორის.

დიანა ძიძიგური, *ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი:*

— ამ თემაზე წლებია, მეცნიერული კვლევები მიმდინარეობს. საბოლოო დასკვნა ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა. შესაბამისად, არ ვიცით, ასეთი პროდუქტების მიღებამ ორგანიზმზე რა შედეგი შეიძლება იქონიოს; როგორ მოქმედებს ზრდაზე, განვითარებაზე, რეპროდუქციაზე... სანამ სამეცნიერო დასკვნა არ იქნება გამოტანილი, მანამდე უვნებლად ვერ მივიჩნევთ. როგორც ჩანს, ასეთი გამოკვლევების გამოქვეყნება იზღუდება, მაგრამ არსებობს შრომები, სადაც ნაჩვენებია, რომ ასეთი პროდუქტის მიღებით სხვადასხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის პროცესი ირღვევა; იმ ცხოველებს, რომლებზეც ცდებს ატარებენ, მახინჯი ნაშიერები უჩნდებათ. არ ვამტკიცებ, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტის მიღება ორგანიზმისთვის დაუშვებელია, მაგრამ არსებობს რისკი, ადამიანი კი გონიერი არსება იმიტომ არის, რომ ეს რისკი აირიდოს. პროდუქტებზე აუცილებლად უნდა კეთდებოდეს მარკირება — მომხმარებელმა უნდა იცოდეს, რა პროდუქტს იძენს. გენმოდიფიცირებული პროდუქტების მიღებისგან ბავშვებმა და ორსულმა ქალბატონებმა მაინც უნდა შეიკავონ თავი. ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის დოკუმენტში არის მითითება: ექსპერტები მოუწოდებენ, გარკვეული მეთოდი გენური ინჟინერიისა არ იყოს გამოყენებული — ე.ი. ექსპერტებმა მასში რაღაც საშიშროება დაინახეს... რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საქართველო „კარტახენის ოქმს“ შეუერთდა — ეს არის ბიოუსაფრთხოების ევროპული კონვენცია, რომელიც ქვეყანას ავალდებულებს, საკვები პროდუქტების მარკირება გააკეთოს. სამწუხაროდ, მარკირებულ პროდუქტს ჯერჯერობით სავაჭრო ქსელში ვერ ვხედავ. ამას ყველა პუნქტზე, საიდანაც პროდუქტი შემოდის, სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორიები სჭირდება. გარდა ამისა, უნდა იყოს არბიტრაჟული ლაბორატორიები. როცა საზღვარზე დაიწერება დასკვნა, რომ შემოვიდა 200 ტონა ხორბალი, რომელიც გენმოდიფიცირებული არ არის, შესაძლო შეცდომის გამოსარიცხავად, ეს დასკვნა არბიტრაჟული ლაბორატორიის მიერ უნდა იყოს შემოწმებული.

— ხორბალი ის პროდუქტია, რომელსაც საკვებად ყოველდღიურად ვიყენებთ. მისი გენმოდიფიცირება როგორ ხდება?

— ხორბლის უჯრედში გადააქვთ გენი (ვერ გეტყვით, რისი), რომელიც მის უხვმოსავლიანობას უზრუნველყოფს. ჩვენი წინადადება ასეთია: თუ ქვეყანაში ხორბალი უნდა შემოვიდეს, უმჯობესია, შემოვიდეს დაფქული სახით და მას მარკირება გაუკეთდეს. საერთოდ, საქართველოში გენმოდიფიცირებული ხორბლის დათესვის კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ. ეს არ გვჭირდება. ჩვენ გვაქვს ენდემური ჯიშები და უმჯობესი იქნება, თუ მათ შენარჩუნებას მოვახერხებთ. თუ ბუნება გვიყვარს, ენდემური ჯიშების ფასი გვესმის და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მნიშვნელობა ვიცით, ყველანაირი რისკი უნდა ავიცილოთ.

— გენმოდიფიცირებული მცენარეების დათესვის დროს, ნიადაგის გამოფიტვაც ხდება?

— დიახ, გარკვეულ ფართობზე გარკვეული რაოდენობის მოსავლის მიღებაა შესაძლებელი; როცა ამ ნორმას ვაჭარბებთ, ნიადაგი იფიტება... უკვე ვდგავართ იმ რეალობის წინაშე, რომ ადამიანებმა შექმნეს ხელოვნური ახალი სიცოცხლე, ახალი უჯრედი დაასინთეზეს და ბაქტერიას გადაუნერგეს. დღეს ეს ბაქტერიაში გაკეთდა; შეიძლება, ხვალ სასურველი გენი მრავალუჯრედიან ორგანიზმებშიც შეიტანონ... გენურ ინჟინერიას დადებითი მხარეებიც აქვს, მაგრამ ეს უკვე ცალკე საუბრის თემაა. ზოგჯერ მეცნიერულ გამოგონებას ადამიანები ბოროტად იყენებენ. როცა მარია კიურიმ რადიოაქტიურობა აღმოაჩინა, მას ნამდვილად არ უფიქრია, რომ ატომური ბომბი შეიქმნებოდა...

— კარტოფილში გადანერგილი გველის ან მორიელის გენი ადამიანისთვის მავნებელი როგორ არ იქნება? ცნობილია, რომ მისი ფოთოლი კოლორადოს ხოჭოს კლავს!

— ასეთი კარტოფილის ფოთლები ჭარბი რაოდენობით ტოქსინს გამოიმუშავებს. ხოჭო რომ ჭამს, იღუპება. ახლა ნამდვილი პომიდვრის, კიტრის, კარტოფილის გემო ახალგაზრდებმა აღარც კი იციან.

— საინტერესოა, როცა თავად იძენთ ოჯახისთვის პროდუქტს, რა ნიშნით არჩევთ? და რას ურჩევთ მკითხველს?

— ზამთარში კიტრსა და პომიდორს არ ვყიდულობ. ზაფხულშიც არჩევა უნდა ვიცოდეთ: დახლზე დაუზიანებელ, კარგი შეხედულების პომიდორს რომ ვხედავთ, შესაძლოა, იგი გენმოდიფიცირებული იყოს. ჭაპორტის პომიდორს თხელი კანი აქვს, ტრანსპორტირებასაც ძნელად იტანს, ილახება; ვიზუალურად, გენმოდიფიცირებული სჯობია, მაგრამ ჩვენთვის მთავარი ხომ კვებითი ღირებულებაა. ერთხელ მკითხეს, — ერთჯერადი ჩაის პაკეტები ხომ სუფთა საღებავია და მთავრობა რატომ არ კრძალავსო? ადამიანი ხომ გონიერი არსებაა, იცის — საღებავია და რატომ ყიდულობს?! ორგანიზმს ჩვენი დაუდევრობით ვაყენებთ ზიანს.

ვეებერთელა ნახევარკილოიან კარტოფილს რომ ვყიდულობთ, ხომ ვიცით, რომ კარტოფილი ასეთ ზომამდე ბუნებრივად არ იზრდება — ის ქიმიური ნივთიერებებითაა მოყვანილი და არჩევანს მაინცდამაინც მასზე რატომ ვაკეთებთ?..

მადონა კოიძე, *მომხმარებელთა ფედერაციის თავმჯდომარე:*

— მომხმარებელს 8 ძირითადი, მათ შორის — ინფორმირებულობის უფლება აქვს. საქართველოში გენმოდიფიცირებულ პროდუქციაზე მომხმარებელს ძალზე მწირი ინფორმაცია აქვთ. ეტიკეტზეც რომ იყოს მინიშნებული, სწორი არჩევანის გაკეთება ბევრს გაუჭირდება; ბევრმა ისიც კი არ იცის, გენმოდიფიცირებული პროდუქტი რას ნიშნავს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოცემულია ბრძანება, რომლის მიხედვითაც, ეტიკეტზე უნდა იყოს მითითებული — შეიცავს თუ არა პროდუქტი გენმოდიფიცირებულ ორგანიზმს. ჩვენს სამომხმარებლო ბაზარს თუ გადავხედავთ, მხოლოდ იმის მაუწყებელი ინფორმაცია გვხვდება, რომ არ შეიცავს გენმოდიფიცირებულ ორგანიზმს (ეს ერთგვარი რეკლამაა), მაგრამ ვერ იპოვით წარწერას — „გენმოდიფიცირებულია“. მოსახლეობის ნაწილი ფრთხილობს და ასეთი პროდუქტის მიღებისგან თავს იკავებს. არსებობენ მეცნიერები, რომლებიც ამბობენ, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტების მიღება ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.

— თუ უვნებელია, ევროპის ბევრ ქვეყანაში რატომ არის აკრძალული?

— ამ კითხვაზე გიპასუხებთ, როგორც მომხმარებელი და დედა და არა — როგორც მომხმარებელთა ფედერაციის თავმჯდომარე. ვინაიდან არ ვიცი, ეს პროდუქცია მავნებელია თუ — არა, სიფრთხილეს გამოვიჩენ და მისი მოხმარებისაგან თავს შევიკავებ, მით უმეტეს, შვილებს არ ვაჭმევ. შეიძლება, სწორედ ამ მოსაზრებით თქვა უარი თავის სამომხმარებლო ბაზარზე ანალოგიური პროდუქციის რეალიზაციაზე ბევრმა ქვეყანამ. საქართველოში არ არსებობს აკრძალვა. მეტსაც გეტყვით — არსებობს კანონი, სადაც წერია, თუ რა რაოდენობის გენმოდიფიცირებული პროდუქცია შეიძლება იყოს პროდუქტში. ბევრი ქვეყნისგან განსხვავებით, ჩვენში ზღვარიც კი არ არის დაწესებული. აქ არ არსებობს ვალდებულება იმის შესახებ, რომ მომხმარებლისთვის გასაგები ენით ეწეროს ეტიკეტზე, შეიცავს თუ არა გენმოდიფიცირებულ ორგანიზმს ესა თუ ის პროდუქტი.

— ეტიკეტზე დატანილია ინფორმაცია ემულგატორებისა და სხვა დანამატების შესახებ, მაგრამ ამას მომხმარებლის ძალიან მცირე ნაწილი თუ აქცევს ყურადღებას...

— ისევ სამომხმარებლო განათლების არქონასთან გვაქვს საქმე. ამ მხრივ სერიოზული სამუშაოა ჩასატარებელი. მოსახლეობას უნდა მიეწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ჭარბი რაოდენობით მიღების შემთხვევაში რა ზიანი შეიძლება მიადგეს.

საკვები დანამატები არის ნივთიერებები, რომლებიც პროდუქტს მისი თვისებების შესაცვლელად, ფერის, გემოს, სუნის, შენახვის ვადის გასაუმჯობესებლად ემატება. შეიძლება იყოს როგორც ბუნებრივად დამუშავებული, ასევე ქიმიური, ხელოვნურად მიღებული ნივთიერებები. მათ მიეკუთვნება: სტაბილიზატორები, დამატკბობლები, საღებავები, ემულგატორები, მჟავიანობის მარეგულირებელი და ა.შ. ემულგატორები და კონსერვანტები მითითებულია პაკეტის იმ ნაწილზე, სადაც შემადგენლობა წერია. ზოგიერთი ძალიან მავნეა და დაავადებებს იწვევს. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის „კოდექს ალიმენტარიუსის“ მონაცემებით, არსებობს კანის (E151, E231, E239, E907, E160, E232, E310-312, E951, E1105), კუჭის დაავადებების (E338-340, E351, E450-452, E461-463, E465, E466), სიმსივნეების გამომწვევი დანამატები (E131, E153, E210-216, E219, E230, E233, E242, E249, E252, E280, E283, E330, E466, E591-503, E620, E636, E954); წნევის ამწევი (E154, E250-251) განსაკუთრებით საშიში (E510,E123), აკრძალული დანამატები (E102, E105, E111, E121, E125-126, E130, E152, E952) და ა.შ.

ემულგატორი ადამიანის გენურ სტრუქტურას ანადგურებს და ნაყოფში მუტაციებს იწვევს. საღეჭი რეზინი, ტკბილეული, გაზიანი გამაგრილებელი სასმელები, სოუსები, საწებლები, ჩაი, შოკოლადის ნაწარმი, იოგურტები, ორცხობილები — ეს იმ პროდუქტთა არასრული ჩამონათვალია, რომელშიც საშიშ საკვებ დანამატებს იყენებენ. E121 (საღებავი), E123 (საღებავი, ამარანტი), E240 (საღებავი, ფორმალდეჰიდი, E924a და E924b (კალიუმის ბრომტი) — საქართველოში აკრძალული 5 ემულგატორია.

მადონა კოიძე:

— ჩვენს მეზობელ ქვეყნებში — აზერბაიჯანში, სომხეთში, თურქეთსა და კიდევ ბევრ სხვა სახელმწიფოში აკრძალული საკვებდანამატების სია ათობით და ასობით ელემენტს მოიცავს; ჩვენში, სამწუხაროდ, მხოლოდ 5-ია. ეს ნამდვილად, საგანგაშოა. კარგი იქნება, თუ ეს სია გაიზრდება, ჯანდაცვის სამინისტრო გადახედავს და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს. ბოლო წლებში კიბო „გაახალგაზრდავდა“; ონკოლოგების აზრით, ამის მიზეზი, გენეტიკური ფაქტორის გარდა, ხშირ შემთხვევაში, საშიში საკვები დანამატებიცაა.

— მომხმარებლის მეტი ინფორმირებულობისთვის რა კეთდება დღეს სახელმწიფოს ან კერძო სექტორის მიერ?

— ჩვენი ფედერაცია მომხმარებლებს კონსულტაციას, დახმარებას უფასოდ უწევს. ჩვენთან ფუნქციონირებს ცხელი ხაზი — 99-78-57, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე. ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია დაგვიკავშირდეს და ჩვენ შესაბამის კონსულტაციას გავუწევთ.

არასაკმარისი საკანონმდებლო შეზღუდვის პირობებში, ქართული ბაზარი უხარისხო პროდუქტითაა გაჯერებული. სანამ საქართველოში აკრძალული ემულგატორების სია გაიზრდება და სურსათის კონტროლზე ხარისხი დაწესდება, მანამდე მეტი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ და თავი შევიკავოთ იმ პროდუქტის მიღებისგან, რომლის შემადგენლობაშიც ზემოთ დასახელებული საკვებდანამატები შედის. ■

საფრთხეები, რომლებიც უსაფრთხოების კონცეფციაში არ ასახულა...

საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, რუსეთთან დაძაბული ურთიერთობა, ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესები, ტერორიზმი და ქვეყნის საზღვრებთან შექმნილი ნებისმიერი არასტაბილურობა — ის საფრთხეებია, რომელთაც ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ახალ პროექტში უმთავრესი ადგილი უკავია. სამხედრო ექსპერტების თქმით, კონცეფცია არის ფუძემდებლური დოკუმენტი, რომელიც ასახავს ქვეყნის უსაფრთხო განვითარების ხედვას, ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებს, ეროვნულ ინტერესებს, სახელმწიფოს წინაშე არსებულ რისკებს, გამოწვევებს და ადგენს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. როგორც ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში, ირაკლი სესიაშვილი ამბობს, ეროვნული კონცეფცია გარკვეულწილად, ქვეყნის სავიზიტო ბარათიცაა, რომლის მიხედვითაც, სხვადასხვა სახელმწიფოს დიპლომატებსა და ანალიტიკოსებს ზოგად წარმოდგენას უქმნის ქვეყანაზე.

ნათუნა გახტურიძე

საქართველოს უსაფრთხოების ახალი კონცეფციის პროექტში ლაპარაკია რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის ისტორიაზე, რომელიც XX საუკუნიდან იწყება; ასევე — 1991 წელს, ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განვითარებულ პროცესებზე: რუსეთის ფედერაციის მიერ ინსპირირებული და მხარდაჭერილი, აგრესიული სეპარატისტული მოძრაობების შეიარაღებულ კონფლიქტებში გადაზრდაზე, რასაც ეთნიკური წმენდა და ასიათასობით მოქალაქის საცხოვრებელი ადგილიდან გამოძევება მოჰყვა.

დოკუმენტში ნათქვამია იმის შესახებაც, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველოს სუვერენიტეტის მოშლისა და მისი თავისუფალი, დემოკრატიული არჩევანის შეზღუდვის მიზნით, რუსეთმა მორიგი სამხედრო აგრესია განახორციელა, რასაც ეთნიკური წმენდის ახალი ტალღა მოჰყვა.

დოკუმენტში ერთმნიშვნელოვნადაა ხაზგასმული, რომ სამხედრო ინტერვენციის მეშვეობით შექმნილი ვითარების ლეგალიზების მიზნით, მოსკოვმა საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების უგულებელყოფით, ცალმხრივად აღიარა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა, ამ რეგიონებში ახალი სამხედრო ნაწილები განალაგა და ინფრასტრუქტურის შექმნასაც მიჰყო ხელი.

ირაკლი სესიაშვილი, რომელიც სხვა ექსპერტებთან და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად, დოკუმენტის საფრთხეების შეფასებითი ნაწილის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდა, მიიჩნევს, რომ კონცეფციაში ოკუპანტ ძალასთან და ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით ყველაფერი კარგად არის ჩამოყალიბებული და სახელმწიფოს წინაშე არსებული გარე საფრთხეებიც ზუსტად არის განსაზღვრული, მაგრამ ამასთანავე, ცალკეული საკითხები არაადეკვატურადაა გაშუქებული.

— ბატონო ირაკლი, რით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ 2005 წლის შემდეგ, საქართველომ უსაფრთხოების კონცეფცია პირველად წელს განაახლა? სხვა ქვეყნების პრაქტიკაში დოკუმენტი რა პერიოდულობით იცვლება?

— ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ცოცხალი დოკუმენტია, რომელიც ქვეყნის წინაშე წარმოქმნილი ახალი საფრთხეებისა და გამოწვევების შესაბამისად უნდა იცვლებოდეს, მოქმედი კონცეფცია კი, რომელიც დაახლოებით 2005-2006 წლებში იქნა მიღებული, ახალი რეალობების მიუხედავად, ამ დრომდე არ შეცვლილა. ჩემი აზრით, დოკუმენტი აქამდეც უნდა განახლებულიყო. 2008 წლის აგვისტოს ომი ერთ-ერთი ის მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც უსაფრთხოების კონცეფციის შეცვლის საფუძველი უნდა გამხდარიყო. სასურველი იყო ისიც, რომ დოკუმენტის საფრთხეების შეფასებით ნაწილში, ასევე — ეროვნული თავდაცვის სტრატეგიაში ცვლილებები ადრევე შეგვეტანა, მაგრამ არა უშავს — ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს...

— 2005 წელს მიღებულ კონცეფციაში რუსეთი ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ რატომ არ იყო მოხსენებული?

— მაშინ ხელისუფლება ძირითად აქცენტს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში არსებულ კონფლიქტებზე აკეთებდა, რუსეთი კი განხილული იყო როგორც ქვეყანა, რომელსაც შეეძლო, პოზიტიური როლი ეთამაშა ამ კონფლიქტების მოგვარების საქმეში. 2005 წელს რუსეთ-საქართველოს შორის არსებული პრობლემების მშვიდობიანი ფორმატით მოგვარების იმედი ჯერ კიდევ არსებობდა. აგვისტოს ომის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა... დღეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის შეიარაღებული ძალების ყოფნა, სამხედრო ბაზების მშენებლობა და მათი პოტენციალის ზრდა პროვოკაციებისა და მორიგი სამხედრო ინტერვენციისთვის პლაცდარმს წარმოადგენს. რუსეთი არ ასრულებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებით დაკისრებულ საერთაშორისო ვალდებულებებს; რუსეთის მიერ გაეროსა და ეუთოს მისიების დაბლოკვის შემდეგ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არ არიან განთავსებულნი საერთაშორისო სამშვიდობო და საპოლიციო ძალები. აქედან გამომდინარე, ახალი აგრესიის პოტენციური რისკი ნამდვილად არსებობს. ამრიგად, დოკუმენტში რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული აგრესიის ასახვა აუცილებელი იყო. მივესალმები იმასაც, რომ დოკუმენტში წერია: „საქართველოს სურვილია, რუსეთთან იქონიოს კეთილმეზობლობისა და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთობა, რაც ვერ მოხდება რუსეთის მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის გარეშე. 2008 წლის აგვისტოში რუსეთის აგრესიამ, საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციამ და ოკუპირებულ რეგიონებში განხორციელებულმა ეთნიკურმა წმენდამ, ძალზე გაართულა ურთიერთობები რუსეთსა და საქართველოს შორის, რამაც დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა გამოიწვია“.

— რუსეთის გარდა, არც ერთი სხვა ქვეყნისგან არ გველის საფრთხე?

— კონცეფციის მიხედვით, სამხედრო საფრთხე მხოლოდ რუსეთის მხრიდან არის მოსალოდნელი — სხვა ქვეყნის მიერ რაიმე სამხედრო აგრესიაზე ლაპარაკი არ არის. თუმცა დანარჩენ საფრთხეებს შორის, საერთაშორისო ტერორიზმი, ჩრდილოეთ კავკასიიდან მომდინარე კონფლიქტების „გადმოდინების“ რისკი და ზოგადად, გლობალური ტიპის საფრთხეები ნახსენები არ არის.

— რას გულისხმობდით, როდესაც თქვით, რომ კონცეფციაში, ცალკეული საკითხები არაადეკვატურადაა შეფასებული?

— ის, თუ რამდენად მწვავედ დაფიქსირდება პრობლემები დოკუმენტში, პოლიტიკის ხელოვნების საკითხია. იცით, რაშია საქმე? საერთოდ, ხელისუფლების გადასაწყვეტია, რამდენად მწვავედ სურს მას ამა თუ იმ პრობლემის დოკუმენტში დაფიქსირება; ზოგ შემთხვევაში მართლაც საჭიროა გარკვეული პოლიტიკური მეთოდების გამოყენება იმისთვის, რომ ის

ტოტი არ მოჭრა, რომელზეც ზიხარ, მაგრამ რეალობისგან სრულად მოწყვეტაც არ შეიძლება. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დავარქვათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დასავლეთიც იმავე პოლიტიკით იმოქმედებს და იმ პოლიტიკის ჩარჩოებში ჩაჯდება, რომელსაც ჩვენ შევთავაზებთ. დოკუმენტი არ უნდა იყოს გამოყენებული პოლიტიკური განცხადებებისთვის ან საკუთარი ხელისუფლების შესაქებად. ეროვნული კონცეფციის ახალ პროექტში ხელისუფლება საკუთარი მოქმედებებისა და მათი შედეგების ქებაზე ამახვილებს ყურადღებას და რეალურად არ ეხება იმ პრობლემებს, რომლებიც ქვეყანას რეალურად აწუხებს.

— მაგალითად?

— მაგალითად, მე ძალიან გამაღიზიანა ფორმულირებამ — რომ რუსეთმა ვერ მიაღწია თავის მიზანს და ვერ დაამხო დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება. რეალურად, რუსეთს ჩვენს ქვეყანასთან დაკავშირებით გეოპოლიტიკური ინტერესები აქვს და არა რომელიმე ხელისუფლების დამხობის სურვილი. ხშირად ვამბობ, რომ საქართველოს პრეზიდენტი ნელსონ მანდელაც რომ ყოფილიყო, შედეგი მაინც იგივე იქნებოდა. კონცეფციაში ყურადღება არ არის გამახვილებული ისეთ ძირეულ პრობლემებზე, როგორიც არის: დემოკრატია, ადამიანის უფლებები, მედიის თავისუფლება, დამოუკიდებელი სასამართლო, თავისუფალი არჩევნები და ლიბერალიზმი — ე.ი. ეს პრობლემები გამოწვევად არ არის მიჩნეული; ხელისუფლების წარმატებები კი გადამეტებულადაა წარმოჩენილი. ჩვენს ქვეყანაში ამ კუთხით სერიოზული პრობლემები რომ არსებობს, ამაზე მხოლოდ ქართველი ხალხი კი არა, არამედ ჩვენი დასავლელი პარტნიორი ქვეყნების ლიდერებიც ლაპარაკობენ. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შედგენილი რეიტინგების მიხედვით, საქართველო დემოკრატიის დონით 113-ე ადგილზეა. ეს კატასტროფული მაჩვენებელია. საქართველო ნახევრად დემოკრატიულ სახელმწიფოდ მიიჩნევა. აღსანიშნავია ისიც, რომ მმართველმა გუნდმა ქვეყანაში სამუდამოდ გადაჭრილად მიიჩნია კორუფციის საფრთხე, რომელზეც, ძველისგან განსხვავებით, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ახალ პროექტში არაფერია ნათქვამი. ეს სრული აბსურდია, იმიტომ, რომ კორუფცია ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, ზესახელმწიფოსთვისაც კი — გამოწვევაა. საერთო ჯამში, დოკუმენტი მაინც დადებითია და ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, ასე თუ ისე, მაინც ასახავს.

P.S. ყველაზე დიდ საფრთხეებს შორის, ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიურ რესპუბლიკებში მიმდინარე პროცესები მიიჩნევა და სწორედ ამიტომ, მომდევნო წერილი ამ საკითხს დავუთმეთ. ■

„კავკასიური მორალი“ და „შავ შევარდნებად“ დაყოფილი ჩრდილო კავკასია

„ჩრდილოკავკასიური ცეცხლის საქართველოში გადმოდინება რეალურია“

ჩრდილოეთ კავკასია რუსეთისთვის კვლავ მოურჩენელ თავის ტკივილად რჩება: ტერაქტები, აფეთქებები, სამხედროებისა და სამართალდამცველების მკვლელობები ყოველდღიურ მოვლენად იქცა... რუსეთში აღარავინ დაობს იმაზე, რომ პუტინის ჩრდილოკავკასიურმა პოლიტიკამ კოდური სახელწოდებით — „ნაიტი ი ზამოჩიტ ვ სორტირე“ — სრული კრახი განიცადა. ამიტომაც, მეამბოხე კავკასიელების დასამორჩილებლად, ახალ გეგმებზე მუშაობენ. მართალია, ლამის მარადიულ ფორმულაში — „გათიშე და იბატონე“ ახალი არაფერია, მაგრამ მას რუსული სპეცსამსახურები დღემდე წარმატებით იყენებენ. ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაციით, ჩრდილოეთ კავკასიაში იატაკქვეშა ორგანიზაცია — „შავი შევარდნებიც“ შეიქმნა. მისი მესვეურები თავს „ანტივაჰაბისტებს“ უწოდებენ და ადგილობრივ ტერორისტებს ომს უცხადებენ... თავის მხრივ, სპეცსამსახურები ჩრდილოკავკასიურ ავტონომიებში ჩატარებულ სასტიკ სპეცოპერაციებს არ სჯერდებიან და რუსეთის სხვადასხვა ქალაქში მცხოვრებ კავკასიელ მუსლიმანებსაც ესხმიან თავს...

ლალი პაპასქირი

რუსი ფილოსოფოსი, პროფესორი **ალექსანდრ დუგინი** *ჩვენთან საუბრისას, მედვედევის მცდარი და უსუსური პოლიტიკის გამო უკმაყოფილებას არ მალავს და პროცესების გამწვავების შედეგად, ყველაზე არასასურველ ფინალად, მესამე კავკასიური ომის დაწყებასაც კი ვარაუდობს:*

— ჩვენ რთული საზოგადოება გვყავს და შესაბამისად, რთული ეთნიკური სურათი გვაქვს. ასეთ დროს კი სახელმწიფოს ხელმძღვანელად, კომპეტენტური და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი უნდა ჰყავდეს, რომელმაც რუსეთის ისტორია იცის. ამასთანავე, „სიღრმისეულად რუსი“ (ასე ვთქვათ — „დო გლუბინი დუში“) ადამიანი იყოს, რათა მოვლენებს ალღო აუღოს. მედვედევი კი უბრალოდ, დასავლელი იდეალისტი და ლიბერალია. შესაძლოა, გულწრფელად ცდილობს ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეების კეთებას, მაგრამ რეალურად, საჭირო „კალიბრის“ ფიგურა არ არის — მან კავკასიის გაკონტროლება ვერ შეძლო... პუტინმა კი, მედვედევისთვის ხელისუფლების გადალოცვით, ახალი კავკასიური ომის მომწიფებას შეუწყო ხელი: მეამბოხე ავტონომიებში ნამდვილი საბრძოლო მოქმედებები ჯერჯერობით არ მიმდინარეობს, მაგრამ თუ პროცესები ამ ტემპით განვითარდა, მესამე კავკასიური ომი გარდაუვალი იქნება.

— თქვენი აზრით, რა კონკრეტული შეცდომები დაუშვა მედვედევმა ჩრდილოეთ კავკასიასთან დაკავშირებით?

— ლიბერალიზაცია, დასავლეთზე ორიენტირება, რუსი საზოგადოების

ეს არის იმ შეცდომების ჩამონათვალი, რომელიც მედვედევის მმართველობას ახასიათებს

დეკონსოლიდაცია, ტოლერანტობა, დემოკრატია, — აი ეს არის იმ შეცდომების ჩამონათვალი, რომელიც მედვედევის მმართველობას ახასიათებს. ევროპული ტიპის სახელმწიფოსთვის, სადაც სხვანაირი მენტალობის საზოგადოება ცხოვრობს, ეს პრინციპები მისაღები და მომგებიანია, მაგრამ ჩვენში ასეთი ტიპის მმართველობა კატასტროფის მომტანია... მან ჩრდილოკავკასიური ფედერალური ოლქი ჩამოაყალიბა და მის წარმომადგენლად ლიბერალური და პროდასავლური ორიენტაციის მქონე ალექსანდრ ხლოპონინი დანიშნა; არადა, ამ რეგიონში ძლიერი იდეოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური მმართველობა უნდა იყოს, რათა დესტრუქციულ ძალებს ხელფეხი არ გაეხსნათ... გულუბრყვილო მედვედევი კი გორბაჩოვისა და ელცინის გზას იმეორებს, რომელმაც მაშინ სისხლიან შეტაკებამდე მიგვიყვანა, და რომ არა პუტინის ჭკვიანური ნაბიჯები, არავინ იცის, რა მოხდებოდა. 90-იან წლებში მთელმა ჩრდილოეთ კავკასიამ ნახა, როგორ აღკვეთა პუტინმა ჩეჩნეთში დაწყებული სეპარატისტული მოძრაობები და ეს ყველასათვის თვალსაჩინო მაგალითი გახდა... ახლა კი ყველაფერი ისევ 90-იანი წლების მდგომარეობას დაუბრუნდა: სეპარატისტები მარცხისთვის შურს კი არ იძიებენ, უკვე კონტრშეტევაზე გადადიან...

— თქვენი ვარაუდით, რამდენად საფუძვლიანია შიში, რომ კავკასიაში დაძაბულობა ომში გადაიზარდოს?

— ომის დაწყების საფრთხე რეალურია, მაგრამ მისი თავიდან აცილება ჯერ კიდევ შესაძლებელია. მთავარია, საქმეში ხლოპონინისნაირი „ძუძუმწოვრები“ კი არა, კომპეტენტური ადამიანები ჩართონ... ჩვენ გვყავს კავკასიის კარგი მცოდნე გენერლები, რომლებიც ამ საკითხს ჩამოაშორეს, ვინაიდან ისინი პრობლემას კარგად იცნობენ და პროფესიულად უდგებიან. მედვედევი კი მათ პუტინის კადრებად მიიჩნევს და ცდილობს, საქმეს ჩამოაშოროს.

ალექსანდრ დუგინი

— რამდენად სამართლიანია, რომ რუსეთის ხელისუფლება ჩრდილოეთ კავკასიაში არეულობის პროვოცირებას ქართულ სპეცსამსახურებს აბრალებს?..

— არა მგონია, ამ ბრალდებებმა საქართველო დააზარალოს. ბოლო დროს თქვენს ხელისუფლებას საგარეო პოლიტიკაში ბევრად მეტი წარმატება აქვს, ვიდრე საშინაოში. სააკაშვილი ყველაფერს აკეთებს, ზოგჯერ პრეზიდენტისთვის მიუღებელ შოუშიც კი მონაწილეობს, ოღონდაც მსოფლიო პატარა საქართველოთი დაინტერესოს. ვერ ვიტყვი, რომ მისი ყველა მცდელობა წარმატებულია, მაგრამ თავის ქვეყანაში იაფი ბიზნესის დაპიარება მართლაც კარგად გამოსდის. თუმცა რამდენად წაადგება ეს ქართულ ეკონომიკას, ეს უკვე ჩემს კომპეტენციას სცილდება... რაც შეეხება იმას, თუ როგორ შეიძლება, ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესები საქართველოზე აისახოს, — ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა საფრთხეებზე იქნება გათვლილი და რამდენად უპასუხებს არსებულ რეალობას თქვენი სახელმწიფოს უსაფრთხოების კონცეფცია, რომელზეც ქართველი პოლიტიკოსები ახლა მუშაობენ... ისე კი, კარგი იქნება, თუ ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკების მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის შემოღების საკითხს გადახედავს — ამით მის ტერიტორიაზე შემავალი ადამიანების გაკონტროლებას შეძლებს... საქართველოს ხელისუფლება, რა თქმა უნდა, შეეცდება, რუსეთს მეტი ზიანი მიაყენოს, მაგრამ მისდა სამწუხაროდ, საკმარისი რესურსი არა აქვს... 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა საქართველო დაუნდობლად დასაჯა და დაანახვა, თუ რისი გაკეთება შეუძლია ურჩობის შემთხვევაში... მაშინ მედვედევიც და პუტინიც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ და, მათი ლიბერალი მრჩევლების პანიკური შიშის მიუხედავად, — დასავლეთი ბირთვული ომით დაგვიპირისპირდებაო! — ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა. მართალია, ჯერჯერობით საქართველო საშიში ქვეყანა არ არის, მაგრამ თუ მსოფლიოსთვის მისი გაცნობის პიარკამპანიის პარალელურად, რუსეთი დასუსტებას განაგრძობს, გამორიცხული არაფერია. თქვენი პრეზიდენტი ხომ დაუღალავად იღვწის იმისთვის, რათა რუსეთი საერთაშორისო საზოგადოების თვალში „ბუად“ წარმოაჩინოს...

დაზმირ იამზეევი, *ყაბარდოელი პუბლიცისტი:*

— ყაბარდოში მძიმე ვითარებაა. რამდენიმე დღის წინ იალბუზზე არსებული საბაგირო ააფეთქეს, მაგრამ მსხვერპლი არ ყოფილა... ეს ერთადერთი შემთხვევა არ არის, როცა ნალჩიკსა და სხვა ქალაქებში რუს სამხედროებს პრობლემები შეექმნათ. ისინი ფულით გვებრძვიან და ცდილობენ, ერთმანეთს გადაგვკიდონ, ჩვენ კი მათ აგრესიას „კავკასიური მორალით“ ვპასუხობთ, რომელიც ისეთივე სასტიკი და დაუნდობელია, როგორც რუსი სპეცსამსახურების მიერ შემუშავებული, ჩვენს მოსასპობად გამიზნული, გეგმაზომიერი პოლიტიკა... ამ რამდენიმე ხნის წინ, ჩერქეზი (იგივე ყაბარდოელი), 22 წლის ამირ ზაქარია, რომელიც ყაბარდოელი ახალგაზრდების ნაციონალურ მოძრაობას ხელმძღვანელობს და რუსეთის დაუძინებელი მტერია, რუსი სპეცსამსახურების მიერ მოსყიდულმა ადგილობრივმა, საკუთარ მანქანაში ააფეთქა. მეამბოხე ჩერქეზი სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა, მაგრამ დასახიჩრდა. „ჯამაათში“ (ადგილობრივი ნაციონალისტური მოძრაობა) მისი გადარჩენა ალაჰის წყალობად მიიჩნიეს და ლამის მუსლიმანთა მთავარ იდეოლოგად, „ბრმა შეიხად“ აღიარეს. მასთან ერთად იბრძვის ჩერქეზი ამირა თეშუევი, რომელიც ბაქსანის რაიონში მოქმედებს და, განსაკუთრებული სისასტიკის გამო, მას ადგილობრივი მილიცია „ბაქსანსკი ზვერს“ უწოდებს... ეს ორი ადამიანი გამუდმებით იმალება, მაგრამ დღე არ გავა, რუსების მიმართ აგრესია არ განხორციელდეს: 18 თებერვალს რუსი ტურისტების კუთვნილ მოკროავ-

ტობუსს დაესხნენ თავს და 4 მათგანი ჩაცხრილეს... ადგილობრივი მოსახლეობა რუსებისადმი თავის დამოკიდებულებას ტერაქტებითა და დივერსიით გამოხატავს. ეს მათთვის თვითგადარჩენის ერთადერთი საშუალებაა... საქმე ის არის, რომ რუსეთის ხელისუფლება მხოლოდ კავკასიაში მცხოვრებ მუსლიმანებს როდი ესხმის თავს — რუსეთის ქალაქებში მყოფ კავკასიელებსაც სასტიკად უსწორდება, მაგრამ ვინაიდან მეტ საინფორმაციო საშუალებას ფლობს, ისეთი სურათი იქმნება, თითქოს ჩვენი სახით ბოროტებას ებრძვის.

ირაკლი ცანტიშვილი, *„ექსპერტთა კლუბის“ წარმომადგენელი:*

— დაძაბულობა მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში იგრძნობა, მაგრამ თუ აქამდე, ტერორისტული აქტები ინგუშეთსა და დაღესტანში ხდებოდა, ახლა ცხელი წერტილი ყაბარდო-ბალყარეთშიც გაჩნდა... რუსეთი ჩრდილოკავსიელ ხალხებს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლებს კი არ უწოდებს, არამედ აცხადებს, რომ ამ ყველაფრის გამომწვევი მიზეზი — უმუშევრობა და ზოგადად, სოციალური პრობლემებია. მეამბოხეებს ბანდიტებს ეძახის და ამბობს, რომ ტერაქტებისა და დივერსიების „ავტორებს“ ფულის გაკეთება სურთ. ამიტომაც ინგუშეთში უკვე შეიმუშავეს „ეკონომიკური აღორძინების გეგმა“, რომელიც ამ რეგიონიდან ინგუში მოსახლეობის ციმბირსა და რუსეთის სხვა მხარეებში გადასახლებას ნიშნავს. ეს არის სტალინური გასახლების მეთოდი, ოღონდ — უფრო ცივილიზებული ფორმა. გათავისუფლებულ ტერიტორიაზე კი რუსი კაზაკების ჩასახლებას გეგმავენ და მათთვის დიდი თანხებია გამოყოფილი... მართალია, რუსეთის ხელისუფლება ეთნიკურ ამბოხს არ აღიარებს, მაგრამ მისმა სპეცსამსახურებმა იატაკქვეშა მოძრაობები ჩამოაყალიბა, სადაც „ანტივაჰაბისტები“ გააერთიანა და მათ ტერორისტებთან ბრძოლა დაავალა. ამ მოძრაობის წევრებს „შავი შევარდნები“ ჰქვიათ და იმ შავ საქმეს აკეთებენ, რასაც ხელისუფლების წარმომადგენლები ვერ ბედავენ... თუ აქამდე ადგილობრივები ერთმანეთს ინდობდნენ, „შავი შევარდნების“ გამოჩენისთანავე, ყაბარდო-ბალყარელი ვაჰაბიტები და ანტივაჰაბისტები უკვე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, რაც იმას ნიშნავს, რომ ვითარების გამწვავების შემთხვევაში, რუსეთთან საბრძოლველად ვერ მოიცლიან. ასეთივე მოძრაობებს რუსი სპეცსამსახურები დანარჩენ რესპუბლიკებშიც შექმნიან და განახევრებული კავკასიელების მართვაც არ გაუჭირდებათ — ანუ „გათიშე და იბატონე“ ისევ აქტუალურია...

— გამოდის, რუსეთის ხელისუფლება მათ დამორჩილებას მაინც შეძლებს და რუსი ექსპერტების ვარაუდი — მესამე კავკასიური ომის შესახებ, უსაფუძვლოა?

— არ ვიცი, რას უწოდებენ რუსი ექსპერტები მესამე კავკასიურ ომს, — ამ რეგიონში ომი არც დამთავრებულა ანუ ჭირი თავს არ მალავს, რაც მხოლოდ მედვედევის სუსტი მმართველობის შედეგი კი არ არის, არამედ იმისა, რომ რუსეთს კავკასიასთან დაკავშირებით პოლიტიკა არასდროს ჰქონია: მოსკოვში მიაჩნიათ, რომ კავკასიელებთან „საუბარი“ მხოლოდ იარაღის ენით შეიძლება. ძალის გამოყენებას კი, ყოველთვის უკუშედეგი მოაქვს. ცივილიზებული ენით საუბარი რუსული პოლიტელიტის სტილი არ არის: კავკასიასთან კი არა, ევროპასთან ურთიერთობის დროსაც კი სიხისტეს იჩენს... რუსეთის აქტიური მცდელობის შედეგია აზერბაიჯანსა და სომხეთში შექმნილი არასახარბიელო ვითარებაც...

— ბატონო ირაკლი, საქართველოს ხელისუფლება უსაფრთხოების ახალ კონცეფციაზე მუშაობს. 40 გვერდზე ჩამოთვლილ საფრთხეებს შორისაა, რუსეთის მხრიდან ახალი სამხედრო აგრესიის რისკი და ჩრდილოეთ კავკასიაში დაწყებული პროცესების საქართველოში „გადმოდინების“ საფრთხე. თქვენი აზრით, რა მექანიზმი აქვს ჩვენს ხელისუფლებას ამ საფრთხეების თავიდან ასაცილებლად?

— საქართველოს ხელისუფლებამ რაოდენ რეალობას მორგებული დოკუმენტიც უნდა შეიმუშაოს, საკმარისი არ იქნება, მით უმეტეს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესების საქართველოში „გადმოდინების“ საფრთხე მართლაც რეალურია. ჩვენ გვახსოვს, როგორ დაგვიბომბა რუსეთმა პანკისის ხეობა, თუ როგორ „ებრძოდა“ ჩეჩენ ბოევიკებს ჩვენს ტერიტორიაზე. მას ამის გამეორების დიდი სურვილი აქვს, რათა საქართველო ან ომში ჩაითრიოს, ან იქ მიმდინარე პროცესების თანამონაწილედ გამოიყვანოს... უკვე აალაპარაკეს ყაბარდო-ბალყარეთის პრეზიდენტი, არსენ კანოკოვი მათ რესპუბლიკაში ქართული სპეცსამსახურების დანაშაულებრივ ქმედებებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთი მის დასადანაშაულებლად მიზეზს ყოველთვის იპოვის. როცა ლარსის გამშვები პუნქტი ჩაკეტილი იყო, ამბობდა, — მთებიდან გადადიან საქართველოშიო... ასე რომ, საქართველომ უნდა აკონტროლოს საზღვარი, იცოდეს — ვინ შემოდის, როდის და რატომ და რუსეთის მხრიდან ბრალდების წაყენების შემთხვევაში, საერთაშორისო საზოგადოებას დოკუმენტები წარუდგინოს. თუ საერთაშორისო მხარდაჭერის გარეშე დავრჩებით, რუსეთი ყველა საშუალებას გამოიყენებს, რათა ჩრდილოკავკასიური ცეცხლი საქართველოშიც დაანთოს. ■

8 ბრალდებული და 1 პატიმარი...

„ეს დევნა ჩემს ბიზნესს უკავშირდებოდა...“

თბილისის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე ზვიად ესებუა) 2010 წლის 12 აპრილს ვაკეში მომხდარ საქმეზე განაჩენი გამოიტანა. თავის დროზე ფაქტი გახმაურდა, რადგან საზოგადოებისთვის ცნობილი პირების ახლობლები ფიგურირებდნენ. პოლიციელებზე წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით, საქმე 8 ადამიანზე აღიძრა. ტელეჟურნალისტ ნანუკა ჟორჟოლიანის ძმა — მიხეილ ჟორჟოლიანი, წარსულში გენერალური პროკურორის მოადგილის, ვენედი ბენიძის ვაჟი — დავით ბენიძე, ირაკლი ღლონტი, ვლადიმერ დოლიძე და კონსტანტინე ჩაჩავა დააპატიმრეს. უშიშროების ყოფილი მინისტრის, ვახტანგ ქუთათელაძის ვაჟმა, გივი ქუთათელაძემ და მისმა მეგობრებმა — ალექსანდრე ვეფხვაძემ და რატი ჯაიანმა მიმალვა შეძლეს. ძებნილები სასამართლომ დაუსწრებლად გაასამართლა.

თეა ხურცილავა

ბრალდებაში ლაპარაკია, თუ როგორ სცემეს ახალგაზრდებმა შეიარაღებულ პოლიციელებს. მივყვეთ საქმის მასალების მიხედვით: 2010 წლის 11 აპრილს, ვაკეში, ერთ-ერთ ბარში გასროლა მოხდა. 3 პოლიციელს დამნაშავის დადგენა დაევალა და მეორე დღეს ისინი აბაშიძის ქუჩაზე მივიდნენ. საღამოს 10 საათი სრულდებოდა, როცა ირაკლი ღლონტსა და რატი ჯაიანს პოლიციელებთან შეკამათება მოუხდათ. ერთ-ერთი კაფედან გამოსულმა ნასვამმა ბიჭებმა მათ უთხრეს, — ვიცით, ვინ გაისროლა ბარში, მაგრამ „ძაღლები“ ხართ და ინფორმაციას არ მოგაწვდითო. პოლიციელ გიორგი ხურციას ერთ-ერთმა მათგანმა ქურთუკის საყელო ჩამოქაჩა და სახეში გაარტყა. შეურაცხყოფილმა პოლიციელმა წესრიგისკენ მოუწოდა. ამ დროს მეორეს, ბარბაქაძეს სახეში უთავაზეს და შეაგინეს. ძალოვნებმა მომხდარი განყოფილებას აცნობეს. მორიგე ჯგუფი შემთხვევის ადგილზე მალე მივიდა. პოლიციელების ახალი ჯგუფის დანახვაზე ჯაიანმა კაფეში მყოფ მეგობრებს უხმო. ახალგაზრდები ქუჩაში გამოცვივდნენ და „ძაღლების“ შეძახილით პოლიციელების საცემრად გაემართნენ. ვლადიმერ დოლიძემ „პსმ“-ის სისტემის პისტოლეტი პოლიციელ ხურციას თავში ჩაარტყა. ტრავმის დროს მან წონასწორობა დაკარგა, ამით გივი ქუთათელაძემ ისარგებლა — სამართალდამცველს საქამრიდან ტაბელური პისტოლეტი ამოაცალა, რამდენჯერმე ზურგში ჩაარტყა და გაიქცა. ძალოვნებმა ჰაერში გაისროლეს, ქუთათელაძეც შეჩერდა და პოლიციელმა თავისი პისტოლეტი დაიბრუნა. გივი ქუთათელაძე ძალოვნებს ფაქტობრივად, დაკავებული ჰყავდათ, როცა დოლიძემ პოლიციელების მიმართულებით სამჯერ გაისროლა; ამ დროს ქუთათელაძე მათ ხელიდან ისევ დაუსხლტა და მიიმალა. პარალელურად ჩხუბს განაგრძობდნენ მათი მეგობრები. კონსტანტინე ჩაჩავამ ძალოვნებს განუცხადა, რომ შს მინისტრის ოჯახის წევრი იყო და ყველას სამსახურიდან დათხოვნით დაემუქრა. პოლიციელებს — ფხაკაძეს და მუკვანს ხელ-ფეხს ურტყამდა და ქურთუკზე ექაჩებოდა. მიხეილ ჟორჟოლიანმაც სამართალდამცველებს თავი ისე გააცნო, როგორც მაღალჩინოსნის ნათესავმა, პოლიციელი ფხაკაძე სცემა და, ალექსანდრე ვეფხვაძესთან ერთად, მის განიარაღებას შეეცადა. ვეფხვაძე პოლიციელ ზვიად მჭედლიშვილს მუცელში ფეხს ურტყამდა. დავით ბენიძე, რომელიც ფიზიკური მონაცემებით განსაკუთრებით გამოირჩევა, გამეტებით ურტყამდა პოლიციელებს, ყელში სწვდა მჭედლიშვილს... ინციდენტი 20 წუთი გაგრძელდა, მხოლოდ საპატრულო მანქანების სირენების ხმის გაგონებისას გაჩერდნენ და მიიმალნენ.

ვიმეორებთ — ასეთია ბრალდების ფაბულა, რომლის მიხედვითაც, ყველა ბრალდებულს პოლიციის მუშაკებისთვის წინააღმდეგობის გაწევასა და მათზე განხორციელებულ ძალადობაში ადანაშაულებენ, რაც 7 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. გივი ქუთათელაძეს, დამატებით, ცეცხლსასროლი იარაღის მისაკუთრებაში დასდეს ბრალი, ხოლო ვლადიმერ დოლიძეს — იარაღის შენახვა-ტარებაში.

დაზარალებულად 7 პოლიციელი ფიგურირებს. თუ სამართალდამცველებს ასე გამეტებით ურტყამდნენ, ჩხუბის დროს განსასჯელებიც უნდა დაზარალებულიყვნენ, მაგრამ საბრალდებო დასკვნაში ამაზე არაფერია ნათქვამი. 8 ახალგაზრდის წინააღმდეგ საქმე ერთდროულად აღიძრა და საბრალდებო დასკვნაც დაიწერა. მართალია, ლაპარაკია ერთ ინციდენტზე, მაგრამ რატომღაც, პროკურორმა პაქსაშვილმა მოსამართლეს მიმართა შუამდგომლობით — მოცემული საქმიდან ცალკე წარმოებად გამოყოფილიყო მიხეილ ჟორჟოლიანის, კონსტანტინე ჩაჩავას, ირაკლი ღლონტისა და დავით ბენიძის საქმე. ასე, მოულოდნელად საქმე ორ ნაწილად გაიხლიჩა. გივი ქუთათელაძე, ალექსანდრე ვეფხვაძე, რატი ჯაიანი და ვლადიმერ დოლიძე მოსამართლე ესებუამ გაასამართლა.

ბენიძე 5.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ, მალევე გაათავისუფლეს. აღმკვეთი ღონისძიების შეცვლას ავადმყოფობა დაედო საფუძვლად. ციხეში 6 თვე გაატარა ჩაჩავამ. ჟორჟოლიანი და ღლონტი 13 ოქტომბერს, თითოეული — 10.000-ლარიანი გირაოთი გამოუშვეს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 3 პირი იძებნება. საბოლოოდ, საპატიმროში მხოლოდ ვლადიმერ დოლიძე დარჩა. იგი ძებნილებთან ერთად გაასამართლეს; დანარჩენების საქმე ჯერ სასამართლოში არ განხილულა. დოლიძეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს; გივი ქუთათელაძეს, სასჯელთა შეკრების პრინციპით, — 13 წელი, ხოლო ალექსანდრე ვეფხვაძესა და რატი ჯაიანს — 6-6 წელი მიესაჯათ. გავრცელებული ინფორმაციით, ქუთათელაძე, საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით, რუსმა ძალოვნებმა სოჭში დააკავეს...

სასამართლო პროცესზე, ბუნებრივია, მარტო განსასჯელი ვლადიმერ დოლიძე იჯდა. მან წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო.

სამაგიეროდ, დაიკითხნენ დაზარალებული პოლიციელები, რომელთა ჩვენებები ბრალის იდენტურია და ამიტომ მათ ჩვენებებზე არ შევჩერდები. გირაოთი გათავისუფლებულ განსასჯელებს გაყოფილი საქმის განხილვისას ჩვენებები არ მიუციათ, რადგან განაცხადეს, — შესაძლოა, ეს ჩვენებები მერე ჩვენ წინააღმდეგ გამოიყენონო. მხოლოდ ღლონტი დაიკითხა — მოწმის სტატუსით. იგი დოლიძის მეგობარი და ბავშვის ნათლიაა.

ირაკლი ღლონტი:

„12 აპრილს კაფეში ვიყავი ჩემს მეგობრებთან, დავით ბენიძესთან, მიხეილ ჟორჟოლიანთან და გურამ თალაკვაძესთან ერთად. ბენიძე ადრე წავიდა. სამივე სიგარეტის საყიდლად გარეთ გავედით, ამ დროს შევნიშნეთ, რომ რამდენიმე პიროვნება კამათობდა. ყურადღება არ მიგვიქცევია. სიგარეტი ვიყიდეთ და კვლავ კაფეში დავბრუნდით. მეორედ გარეთ ხმაურზე გავედით. იქ მივედი, მაგრამ ჩხუბში მონაწილეობა არ მიმიღია. ამ დროს შევნიშნე ჩემი მეგობრის, დოლიძის მანქანა. იქვე

გაგრძელება იხ. გვ. 91

გთხოვთ დარეკოთ

სახე

„არ ვიცით, ჩვენი სიყვარულის ამბავი როგორ განვითარდება“

მათი ტანდემი სერიალში — „გოგონა გარეუბნიდან“ შედგა. ერთმანეთი გადასაღებ მოედანზე გაიცნეს. ახალგაზრდა ქალის სილამაზით მოხიბლული, სახელმწიფო უწყების თანამშრომელი, გულისხმიერ ჩინოვნიკად იქცა. ქალის გულიც მოიგო, მაგრამ... როგორ განვითარდება მათი სიყვარულის ამბავი, ეს სცენარისტებზეა დამოკიდებული. ვფიქრობ, ეკრანს მიღმა წყვილს არაერთი გულშემატკივარი ჰყავს. ამჯერად მათი შეხვედრა ჩვენი თხოვნით შედგა. საუბარია ლიკა ჭელიძის როლის შემსრულებელზე, ნატო გაგნიძეზე და ფილმში მასზე შეყვარებულ ლაშაზე ანუ ვახო მოსიძეზე.

ვახო მოსიძე **პროფესიით** **მსახიობია. თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სოხუმის თეატრში მივიდა და უკვე 10 წელია, ამ დასში ირიცხება. ნატო გაგნიძისთვის** **კი ეს მესამე სერიალია, რომელშიც მონაწილეობს.**

თამუნა კვინიკაძე

— ამ სერიალში თქვენც კასტინგის გავლით მოხვდით?

ვახო:

— მათთან დიდი ხნის წინ ვიყავი კასტინგზე; ერთ სერიაში „შუა ქალაქშიც“ გადამიღეს. აღარც მეგონა, თუ დამიკავშირდებოდნენ, მაგრამ გამიმართლა, დამირეკეს და მივედი.

ნატო:

— „ღამის შოუს“ სტუდიასთან შეხება არასდროს მქონია. პირველი სერიალი, რომელშიც ვმონაწილეობდი, „ყავა და ლუდი“ იყო, შემდეგ ეპიზოდური როლი ფილმში — „ჟამი ყვავილობისა“, ხოლო ამ სერიალში კასტინგის შედეგად მოვხვდი, ისე, როგორც მსახიობთა უმეტესობა.

— ერთმანეთი გადაღების დროს გაიცანით თუ მანამდეც იცნობდით?

ვახო:

— სერიალის მსახიობების უმეტესობას ინსტიტუტიდან ვიცნობდი. მე და ნატომ კი ერთმანეთი გადაღების დროს გავიცანით.

ნატო:

— ვახო ძალიან კარგი პარტნიორია. ეს სიტყვები ბევრ რამეს გულისხმობს. პირველ რიგში, პარტნიორს შენი უნდა ესმოდეს. გადაღების დროს ყოველთვის ისე არ ხდება, როგორც დაგეგმილია. ზოგჯერ რაღაც ახალი იბადება, სხვა ემოცია მოდის, იმპროვიზაციაც ხდება. ამ დროს მნიშვნელოვანია, რამდენად გაგიგებს პარტნიორი, რამდენად აგყვება. თუ ვერ გაგიგებს, სცენა ვარდება.

— თქვენს შემთხვევაში ასეთი რამ ხშირად ხდება?

ვახო:

— საკმაოდ. ნატო არაჩვეულებრივი პარტნიორია, ჩვენ ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმის, შეხმატკბილებულად ვმოქმედებთ.

— გაცნობისთანავე შეყვარებულები გახდით. ლაშას როლზე მუშაობა რამდენად საინტერესო აღმოჩნდა?

— შემოქმედებითი ჯგუფის წევრები ძალიან კარგი ადამიანები არიან. ლაშაც საინტერესო პერსონაჟია, დადებითი პიროვნებაა. ასე რომ, ჩემთვის ამ სერიალზე მუშაობა ძალზე საინტერესო და სასიამოვნოა.

— ნატო, შენ რას გვეტყვი შენს გმირზე?

ნატო:

— ხასიათით ჩემს გმირთან ბევრ საერთოს ვპოულობ.

— უფრო კონკრეტულად?

— თუნდაც, ჩვენი სოციალური მდგომარეობა — ლიკას მსგავსად მეც მარტოხელა დედა ვარ. პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე მაქვს აღებული. ჩემგან განსხვავებით, ლიკა ოჯახის

წევრებთან ერთად ცხოვრობს. ამის გამო მისი ყოველდღიური ცხოვრება სხვანაირად ვითარდება. რეალურად, ჩვენ გარშემო ბევრი ლიკასნაირი გოგო ცხოვრობს. არაერთხელ უთქვამთ, რომ ჩემს გმირში საკუთარი თავი ამოიცნეს.

— ფილმში შეყვარებული ხარ. ცხოვრებაში?

— არ მიწყინოთ, მაგრამ პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი არ მინდა. მყავს 10 წლის გოგონა — ელენე ყიფიანი და მასთან ერთად ვცხოვრობ.

— ვახო, პირად ცხოვრებაზე შენც არაფერს იტყვი?

— მყავს მეუღლე და 3 ბიჭი. უფროსი 20 წლისაა, შუათანა — 14-ის, პატარა — 4-ის.

— რას ამბობ, რა ასაკში დაოჯახდი?

— ცოლი რომ მოვიყვანე, 16 წლის ვიყავი. ამ ასაკში შექმნილი ოჯახების უმეტესობა ინგრევა ხოლმე, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში გამონაკლისი მოხდა. ჩემი მეუღლე პროფესიით ეკონომისტია, ამჟამად დიასახლისობს.

— პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ რჩევებს ან შენიშვნებს თუ გაძლევს ხოლმე?

— იშვიათად.

— ერთმანეთის ოჯახის წევრებს იცნობთ?

ნატო:

— არა. გაცნობის დღეს აღმოვაჩინეთ, რომ ბევრი საერთო მეგობარი გვყავს.

— ამ სერიალმა პოპულარობა მოგიტანათ...

ვახო:

— (*მაწყვეტინებს*) თეატრში რაც უნდა მაგარი მსახიობი იყო, ისეთი პოპულარული ვერ იქნები, როგორიც ეკრანზე გამოჩენის შემთხვევაში. ეს ყველა დროში ასე იყო. ბევრი მცნობს ქუჩაში, მაღაზიაში, ბანკსა და რესტორანში...

— როგორ გამოხატავენ?

— უხარიათ, მეფერებიან. რესტორანში ყოფილა შემთხვევა, სასმელი ან სხვა რამ მოუკითხავთ, ეს ჩვენგან, ჩემო ძმაო! — და ა.შ.

ნატო:

— ხალხისგან კეთილგანწყობილება არაერთხელ მიგრძნია. ერთ შემთხვევას გავიხსენებ: ბანკში თანხის ჩასარიცხავად შევედი; შავი სათვალე მეკეთა. შესვლისთანავე შევამჩნიე, რომ ერთი ქალბატონის ყურადღება მივიქციე. მივხვდი, მიცნო და ვცადე, თავი ამერიდებინა, მეორე მხარეს შევტრიალდი თუ არა, მხარზე შეხება ვიგრძენი, — მემალები, ხომ? შავ სათვალეში მემალები, არა? მაინც გიცანიო! მერე მითხრა, რომ ძალიან მოვწონვარ, ვუყვარვარ და მგულშემატკივრობს. ასეთი სიტყვების მოსმენა ყველა მსახიობისთვის სასიამოვნო და სასიხარულოა.

— შენს გმირთან დაკავშირებით არაფერს გეკითხებიან?

— როგორ არა, აინტერესებთ, მომავალში რას ვიზამ, როგორ მოვიქცევი, მოვლენები როგორ განვითარდება.

— ლიკას და ლაშას რომანს ბევრი გულშემატკივრობს.

— არ ვიცით, ჩვენი სიყვარულის ამბავი როგორ განვითარდება. ვნახოთ, სცენარისტები რას გადაწყვეტენ.

ვახო:

— უკვე გაირკვა, რომ ჩემმა ძმამ მოკლა ლიკას ქმარი და ამის გამო ერთმანეთს ვებუტებით. მერე რა მოხდება, ეს აღარ ვიცი. მგონია, რომ შევრიგდებით და ჩვენი ამბავი კეთილად დამთავრდება.

— გადაღების დროს ხშირად ხდება ისეთი რამ, რაც კადრს მიღმა რჩება. შეგიძლიათ, რომელიმე ეპიზოდი გაიხსენოთ?

ნატო:

— გადასაღებად რომ მივდივარ, მიხარია, ძალიან კარგი გარემოა. სხვა ფილმებზეც მიმუშავია, მაგრამ ასე-



თი განცდა არ მქონია. აქ ყველაფერი დალაგებულია, მსახიობის დროს უფრთხილდებიან. მიდიხარ, გადასაღებად გამზადებენ, შენზე ზრუნავენ. ადამიანური თვალსაზრისითაც თბილი ურთიერთობაა. შემოქმედებითი ჯგუფის თითოეული წევრი მიყვარს, ამას გულწრფელად გეუბნები. დამღლელ სამუშაო პროცესს ეს კარგი გარემო აბალანსებს. ბევრს ვხუმრობთ, ვიცინით.

ვახო:

— მე ტექსტში „ვჭედავ“ ხოლმე. ერთ დღეს სოფოს კონცერტის სცენას ვიღებდით. მე მივდივარ ლიკას სანახავად, ლიკა სახლში არ მხვდება, იქ ვარკვევ, რომ სოფოს კონცერტზეა წასული და ამ კონცერტზე დასასწრებ ბილეთს მაძლევს ვენერა. დარბაზში შევდივარ და ლიკას გვერდით, თავისუფალ სკამზე ვჯდები. ამ დროს მას ჩუმად უნდა გადავულაპარაკო, რომ ვენერას ნათესავი, ბესო დაიჭირეს და ამის ნაცვლად ვეუბნები, ვენერა დაიჭირეს-მეთქი. ყველა კამერა ჩაქრა, გადაღება გაჩერდა.

— ვენერას ძალიან უყვარხარ.

— ასეა. ქალბატონი ნანული საოჯახიშვილი არაჩვეულებრივი მსახიობი და ადამიანია. ჩვენ ამ სერიალში შევხვდით პირველად ერთმანეთს.

— ეს პირველი სერიალია, რომელშიც მონაწილეობ?

— დიახ.

— აქამდე სად იყავი, რატომ არ ჩანდი? თავად პასიურობდი თუ ვერ გამჩნევდნენ?

— პასიურობის ბრალია. შარშან ერთ მოკლემეტრაჟიან ფილმში — „გორის გავლით“ — გადამიღეს. ალბათ მალე ეკრანზეც გამოვა.

— აგვისტოს ომის პერიოდზეა?

— დიახ, ფილმში ჩემი მეუღლე რუსი ქალბატონია. ომის დროს მინდა, შვილებთან ერთად გავაპარო. თავად სამშობლოში ვრჩები. ავსტრალიელმა რეჟისორმა გადაიღო. ფილმზე ახლა ყველაფერს ვერ გეტყვი.

— მერიის თანამშრომლებს ხომ არ იცნობ?

— არა.

— სერიალში გულისხმიერი ჩინოვნიკის როლს თამაშობ. ეს შენი გმირის ხასიათია თუ ასე ლიკას გულის მოსაგებად იქცევი?

— ალბათ ლიკას გამო, მაგრამ ლაშა ისედაც დადებითი ადამიანია; ყველას მიმართ კეთილგანწყობილია.

— თავად შეგხვედრია ლაშასნაირი ჩინოვნიკი?

— შემხვედრია.

ნატო:

— მართალია, ცხოვრებაში ჯერ სალონი არ გამიხსნია, მაგრამ ქართული ბიუროკრატიის გემო ნებისმიერ ადამიანს საკუთარ თავზე გამოუცდია. პირადად მე, ლაშასნაირი, გულისხმიერი ჩინოვნიკი არ შემხვედრია, მაგრამ ამ შემთხვევაში მგონი, მისი გულისხმიერება პიროვნული სიმპათიის ხარჯზეა, არა?

ვახო:

— რა თქმა უნდა, ლაშა ვენერასთანაც ბოლომდე ლიკას გამო იხარჯება.

— ნატო, შენი გმირი რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა, შეუყვარდა ბიჭი, რომლის ძმამაც ქმარი მოუკლა.

— რთულად წარმოსადგენია... არ ვიცი, ანალოგიურ მდგომარეობაში თავად როგორ მოვიქცეოდი. გააჩნია გრძნობის ხარისხს. ჩემი

აზრით, ყველაზე ცუდი მეორე ადამიანის გრძნობებით მანიპულირებაა. თუ ის ადამიანი ძალიან მეყვარებოდა, აღარ მივაქცევდი ყურადღებას იმას, თუ რა მოიმოქმედა მისმა ძმამ. ყველანი ხომ საკუთარ საქციელზე ვართ პასუხისმგებელნი.

— მიამბე, ამ სერიალის გარდა კიდევ რას საქმიანობ? როგორც ვიცი, სერიალებს ახმოვანებ.

— დიახ, როცა ბრაზილიურ სერიალებს ვახმოვანებ, ეს შემოქმედებითი თვალსაზრისით ნაკლებად საინტერესოა. პირიქით, მინდა, რაც შეიძლება მალე დამთავრდეს. როცა კარგ ფილმს ვახმოვანებ, დუბლაჟს ვაკეთებ, მუშაობის პროცესი უფრო საინტერესო ხდება, გამოდის, რომ იმ პერსონაჟის როლს ვთამაშობ, რომელსაც ვახმოვანებ. ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო და საინტერესო ანიმაციის გახმოვანებაა.

— ვახო, სოხუმის თეატრში რა ხდება?

— რეპეტიციები გვაქვს, სპექტაკლებს ვდგამთ. მარჯანიშვილის თეატრის სხვენში გამოვდივართ.

— სამომავლო გეგმებზე რას იტყვით?

ნატო:

— პარალელურად ერთ პროექტზე ვმუშაობ და ჯერ მასზე ლაპარაკი ნაადრევად მიმაჩნია. თუ დაინტერესდებით, მოგვიანებით, ვრცლად დიდი სიამოვნებით გიამბობთ.

ვახო:

— ნიკა ხომასურიძე აპირებს ფილმის გადაღებას დავით აღმაშენებელზე. საბოლოოდ ყველაფერი ჯერ გარკვეული არ არის, არც ჩემი როლის შესახებ ვიცი. ცნობილია, რომ გადაღებები გელათში იქნება.

— წარმატებას გისურვებთ!

— გმადლობთ.

■

„მახსოვს, იყო სიყვარულის წლები...“

ვინ იცის, მერამდენედ „ავედევნეთ ქარს აყოლილ ფიქრებს“ მეც და თქვენც — კინოთეატრ „საქართველოს“ დარბაზში მჯდომი მომღერალი, ჟურნალისტი, პოეტი, უბრალოდ, სიმღერის მოტრფიალე ან თუნდაც... შეყვარებული ადამიანი. ნანა ცინცაძის ტექსტზე კომპოზიტორ ნატო თოთიბაძის კიდევ ერთი ლამაზი სიმღერა — „სიყვარულის წლები“ ასევე ლამაზი კლიპით წარმოგვიდგინა რამდენიმე დღის წინ ჩემმა კოლეგამ და, სხვათა შორის, ჟურნალ „გზის“ ყოფილმა ჟურნალისტმა, მაია ღუღუნიშვილმა, ანსამბლ „ქართული ხმების“ სოლისტ დათო კიკაბიძესთან ერთად.

ირმა ხარშილაძე

— ჩემმა მეგობარმა, რეჟისორმა ლევან ლომაშვილმა, რომელსაც არაერთი კლიპი აქვს გადაღებული, სიმღერა რომ მოისმინა, აიჩემა, კლიპი გადავიღოთო. მე კატეგორიულად ვეწინააღმდეგებოდი და ვუხსნიდი, ეს სიმღერა სახალისოდ ჩავწერე, კლიპი კი უკვე სერიოზული განაცხადია, ამიტომ თავს შევიკავებ-მეთქი. მთელი ღამე მწერდა სკაიპში და საწინააღმდეგოს მიმტკიცებდა (*იცინის*). მერე ეს ამბავი დათო კიკაბიძის მეუღლეს, ლიკა ხუნწარიას გავუმჟღავნე (თავად დათოს ვერ შევბედე). ლიკას ძალიან გაუხარდა და სასწრაფოდ მეუღლეს უპატაკა. არც დათომ იუარა და დავიწყეთ სამზადისი. სიუჟეტი ლევანმა მოიფიქრა: ცხადია, სიყვარულზე დაწერილ სიმღერას კლიპიც შესაბამისი უნდა ჰქონოდა — სიყვარულის ამბავი. კარგი ჯგუფი შეიკრიბა: ოპერატორები ვაჟა მიჩილაშვილი და გოგა კოხრეიძე, „ჩემი და დათოს ბავშვობა“ — ნინიკო გოგორიშვილი და ნოკო მითაგვარია, „ჩემი მოსწავლე და მისი დედა“ — ქეთი ძულიაშვილი და გვანცა ჭელიძე, დათოს გმირის მშობლები ანუ ჩემი შესაძლო „დედამთილ-მამამთილი“ — გიორგი ტრაპაიძე და თამუნა ბუაჩიძე.

— **სად იღებდით?**

— „ჩვენი ბავშვობა“ კახეთში, წინანდლის ულამაზეს ბაღში გაცოცხლდა ანუ ბავშვები და ჩვენი რამდენიმე კადრიც იქ გადავიღეთ. გადაღებისას კარგადაც ვიხალისეთ. მსახიობები არ ვიყავით და რეჟისორის მოცემულ ამოცანებს შეძლებისდაგვარად „ვხსნიდით“ (*იცინის*). კიკა (დათოს მეტსახელია) უფრო თამამი აღმოჩნდა, მე ცოტათი დავიძაბე. უფრო გამიჭირდა. არ მიყვარს თამაში და დაძაბულობა რომ დაგვეძლია, იუმორს ვიშველიებდით. დათომ ამაშიც მაჯობა.

— **ძალიან არტისტულად კი ითამაშეთ...**

— შენც იცი, რომ დათო კიკაბიძე მცირეოდენი ალკოჰოლის მიუღებლად სცენაზე არ მღერის და „მშრალად“ რას გადაგვაღებინებდა: სულ დოპინგის ქვეშ იყო (*იცინის*). ამიტომ უფრო თამამად იქცეოდა და ჩემს თითოეულ გამოხედვაზე ისეთ რეპლიკებს ისროდა, თავს ვერ ვიკავებდი, ვიცინოდი და ბევრი კადრი გავაფუჭეთ. საბოლოო ვარიანტიც არ მოგვწონს, მაგრამ რას ვიზამთ (*იღიმის*). ჩვენ ხომ მსახიობები არ ვართ! გადაღებას 2 კვირა მოვანდომეთ, შედეგი კი ყველამ ერთად ვნახეთ კინოთეატრ „საქართველოს“ დარბაზში.

— **კიდევ აპირებ სიმღერის ჩაწერას?**

— შემოთავაზებები მაქვს (*იცინის*). სერიოზულად თუ გაინტერესებს, არ ვიცი, ვნახოთ. ამ საქმესაც სცოდნია გატაცება... თუმცა თუ ჩავწერ, ამღერებული ჟურნალისტის როლში ვიქნები და მომღერლობას ნამდვილად არ დავიჩემებ! ■

საკუთარი თავის პიარზე მომუშავე, სამდი პლომიანი პირველი „მისტერ ვალენტინი“

„საქართველოს ჩარჩოებს“ ყოველთვის ვანგრევ“...

გიორგი ნაზღაიძე წარმატებულ მოდელად მიიჩნევს თავს და უფრო დიდი წარმატების მიღწევას აპირებს. კარიერის დასაწყისში, უცხო გარემოში მოხვედრილი გიორგი საკუთარი თავის პიარზე თავად მუშაობდა (ცხადია, უფასოდ და ზოგჯერ — სკანდალური განცხადებებით)... 2009 წლის „მისტერ ვალენტინის“ კონკურსის გამარჯვებული, წლევანდელი „მისტერ ვალენტინის“ გამოვლენას კონკურსის ჟიურის მთავარი წევრის ამპლუაში ცდილობდა...

ეთო ყორღანაშვილი

— წლებია, მოდელი ვარ და ვიცი, ეს საქმე სხვას როგორ უნდა ვასწავლო. ამიტომ „მისტერ ვალენტინის“ კონკურსის ორგანიზება ჩემთვის მარტივი და სასიამოვნო საქმე იყო. კონკურსში 11 ბიჭი მონაწილეობდა.

— მსურველი ბევრი იყო?

— 80-90 კაცი. პირველ „მისტერ ვალენტინში“ მონაწილეობა 150 კაცს სურდა. კონკურსანტებს სიარულს, მეტყველებას ვასწავლით. რაც მთავარია, ჩვენთან „ჩაწყობა“ არ ხდება.

— გამარჯვებულის შერჩევა ჟიურის გაუჭირდა?

— წელს კარგი კონკურსანტები გვყავდა. შესაბამისად, საუკეთესოს შერჩევა რთული იყო. მონაწილეებს შორის, 2 ფავორიტი მყავდა...

— გიორგი, მოდელი როგორ გახდი?

— 20 წლის ვიყავი, როცა რეალური შოუდან — „მდიდრები და ღარიბები“ გამოვედი. მანამდე ჩემი ახლობლები ხშირად მეუბნებოდნენ, რომ მოდელის მონაცემები მქონდა და შემეძლო, წარმატებული მოდელი გავმხდარიყავი. სააგენტო „ნატალიში“ მივედი, სადაც კასტინგზე პირველივე დღეს ამირჩიეს. ჩემი სამოდელი კარიერაც აქედან დაიწყო. საზოგადოებას საკუთარი თავი ისე წარვუდგინე, რომ დღეს უკვე სტაჟიანი, ცნობილი მოდელი ვარ.

— ეს რთული არ იყო?

— კი, რადგან ისეთ გარემოში მოვხვდი, სადაც ახლობლები არ მყავდა, არავის ვიცნობდი... მაქსიმალურად უნდა დაიხარჯო, რომ იმას მიაღწიო, რასაც მე მივაღწიე. კიდევ ბევრს მივაღწევ!

— კარგ გარეგნობასთან ერთად, ინტრიგანის სახელიც გაქვს...

— ჭორები, პიარი, ინტრიგა... ჩვეულებრივ, ნორმალურ ევროპულ ქვეყნებში ადამიანის პოპულარობა ამაზეა დაფუძნებული. იქ ამ ყველაფერში ფულს იხდიან, მე კი უფასოდ შევეცადე, სკანდალური პიროვნება გავმხდარიყავი. რეალურად, სკანდალური ცხოვრება მაქვს, რადგან „საქართველოს ჩარჩოებს“ ყოველთვის ვანგრევ, ყოველ შემთხვევაში — ვცდილობ... ალბათ ამიტომ, ჩემი საქციელი სკანდალური გამოდის.

— საკუთარ თავთან დაკავშირებულ ყველაზე დიდ სკანდალად რას მიიჩნევ?

— ასეთი ბევრია. მაგალითად, პირველი „მისტერ ვალენტინი“ რომ გავხდი, ეს ერთ-ერთი დიდი სკანდალი იყო, რადგან ამბობდნენ, — კონკურსი „ჩაწყობილი“ იყო, გიორგი ნაზღაიძემ ჟიურის წევრები მოისყიდაო. ამ აზრს დღესაც ბევრი იზიარებს, მაგრამ ფაქტია, „მისტერ ვალენტინი“ გავხდი. მართალია, გამარჯვების შანსი სხვებსაც ჰქონდათ, მაგრამ თავს ღირსეულ გამარჯვებულად მივიჩნევ.

— შენი აზრით, ხალხს რატომ მიაჩნია, რომ კონკურსი „ჩაწყობილი“ იყო?

— ძირითადად, კონკურსებს მონაწილეების ახლობლები ესწრებიან. ყველა გულნატკენია, რომ მისმა ახლობელმა არ გაიმარჯვა. საქართველოში ეს ჩვეულად გვაქვს: თუ ჩვენიანი არ გაიმარჯვებს, გამარჯვებული ლაფში უნდა ამოვსვაროთ (ღირსეულია თუ არა, ამას მნიშვნელობა არა აქვს). მონაწილეების ნაწილიც დაბოღმილი იყო. მათ შორის, ზოგი სტაჟიანი მოდელი გახლდათ. ამიტომ დაიბოღმნენ — გიორგი ნაზღაიძემ რატომ გაიმარჯვაო?!

— ია კიწმარიშვილის წინააღმდეგ გაკეთებული შენი განცხადებაც „პიარის“ ნაწილი იყო?

— არა. ეს პიარის ნაწილი ვერ იქნებოდა, რადგან მე „მისტერ საქართველოს“ კანდიდატებიდან, 15 კაცს შორისაც ვერ მოვხვდი. ყოველთვის იმის მომხრე ვარ, რომ კონკურსი ღირსეულად, სამართლიანად ჩატარდეს და გამარჯვებულად საუკეთესო დაასახელონ. უბრალოდ მინდოდა, ხალხს გაეგო, საქართველოში როგორ ტარდება კონკურსები.

— მას შემდეგ, ია კიწმარიშვილთან თუ გისაუბრია?

— არა. როცა მართალი ვარ, არავის წინაშე არ დავხრი თავს. ჩემს ცხოვრებას რომ გადავხედე, მივხვდი: სწორედ ესაა ჩემი პლუსი, რასაც ადამიანები აფასებენ. ისეთი ხალხიც არსებობს, ვინც გარკვეულ წრეში მოსახვედრად სხვების წინაშე თავს ხრის. ასეთები დიდხანს ვერ ძლებენ...

— შარშანაც და წელსაც „მისტერ ვალენტინის“ ჟიურის მთავარი წევრი იყავი. კონკურსანტების შეფასებისას, მიკერძოებული არასოდეს ყოფილხარ?

— არა. საიტებზე, მობილურ ტელეფონზეც ბევრი მწერდა: ჩემიანს უნდა გაამარჯვებინო ან ჩემიანი კონკურსში რატომ არ „შეიყვანეო“? — და ა.შ. არ დავმალავ და ვიტყვი: „მისტერ ვალენტინის“ გამარჯვებული ჩემზე ნაკლები არ უნდა იყოს, შეძლებისდაგვარად! ვეცადე, სიმპათიურ, მაღალ, მომხიბვლელ მამაკაცს გაემარჯვა. ის ჩემი კონკურსის სახეა. როცა გარკვეულ ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას, არ უნდა შემარცხვინოს. ცუდი რომ იყოს, ხომ იტყვიან: ნახეთ, გამარჯვებულად ვინ აირჩიესო!

— მიკერძოებული არანაირი შეთ-

ავაზების ფასად არ იქნები?

— მილიონი რომ გადამიხადონ ან მანქანა მიყიდონ, კონკურსს არ „გავკარი“ (*იცინის*)?!. რა თქმა უნდა, ვხუმრობ.

— მოდი, რეალითი-შოუში შენი მონაწილეობის პერიოდიც გავიხსენოთ: იქ ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე იყავი — ქალის ხმით ლაპარაკობდი ხოლმე და „დუბაიდან ჩამოტანილ „ტანგებს“ ყიდდი“...

— ვცდილობ, ყოველთვის გამორჩეული ვიყო და გამომდის კიდეც. როცა რეალითი-შოუში შედიხარ, ხალხს თავი რაღაცით უნდა მოაწონო. ამას მხოლოდ საკუთარი მომხიბვლელობით არ უნდა ცდილობდე; მაყურებელი უნდა გაართო. მოთამაშეებმა რაღაც სპექტაკლები დავდგით. როგორც მაშინდელ „შაბათის შოუში“ პერსონაჟი — ნანული არსებობდა, ასე შევქმენი ჩემი გმირიც — ნარგიზა. ეს გახლდათ უზრდელი ქალი, რომელსაც ქმარი არ ჰყავდა. სამაგიეროდ, უამრავი შვილი ჰყავდა. მეორე მსოფლიო ომის დროს ჰიტლერთან იწვა. ქვეყანამ ომი რომ მოიგო, ნარგიზას დამსახურებაა (*იცინის*)! ამ შოუმ გაამართლა. ბავშვობიდან ბევრ სპექტაკლში ვთამაშობდი. თეატრალური ნიჭი პროექტშიც გამოვამჟღავნე. ნარგიზას გარდა, კიდევ ბევრ როლს ვასრულებდი. ეს ჩემი პიარის ერთ-ერთი „ხაზი“ გახდა.

— რა იყო შენი მიზანი — საზოგადოებისათვის ცნობილი სახე გამხდარიყავი თუ ფული მოგეგო?

— იმ წრეში თავს კომფორტულად ვერ ვგრძნობდი, რომელშიც ვიყავი. რატომღაც, ყოველთვის მეტი მინდოდა. ეს „მეტი“ იმას ნიშნავდა, რომ მე ცნობილი სახე ვყოფილიყავი. ამას მივაღწიე — ფაქტია, რომ ცნობილი ადამიანი გავხდი. საკუთარ თავს „ვარსკვლავს“ ვერ ვუწოდებ, რადგან შეუძლებელია, საქართველოში მოდელი ვარსკვლავი გახდეს.

— უცხოურ ჟურნალებთან არ თანამშრომლობ?

— ისე, რა... უცხოურ ჟურნალებში ჩემი რამდენიმე ფოტო დაიბეჭდა; რაღაც შემოთავაზებებიც მქონდა, თურქეთის ტელეარხზე ჩემი მონაწილეობით გადაღებული კლიპი გადიოდა. თურქეთში ცხოვრებისას, იქაურ სააგენტოსთან ვთანამშრომლობდი და „პაკაზებზეც“ გამოვდიოდი, მაგრამ მერე საქართველოში დავბრუნდი.

— თურქეთში რა მიზნით გაემგზავრე?

— მომბეზრდა საქართველო, აქაურები...

— მაშინ უკვე მოდელი იყავი?

— კი, წარმატებული მოდელი გახლდით, შემოსავალი მქონდა. უძრავი ქონების სააგენტოშიც ვმუშაობდი (მენეჯერად), მაგრამ ყველაფერი მომბეზრდა — დავკარი ფეხი და თურქეთში წავედი. იქ ანიმატორად მუშაობა დავიწყე. ამას მოდელობაც შევუთავსე. თურქეთში დაახლოებით ერთი წელი ვიყავი. იქაც ყველაფერი მომბეზრდა და საქართველოში დავბრუნდი. საერთოდ, ასეთი ვარ — რაღაცები მალე მბეზრდება.

— კიდევ სად გიმუშავია?

— ალბათ ყველამ იცის, რომ მიმტანად ვმუშაობდი. თურქეთიდან დაბრუნებულს საქართველოში „აღარაფერი დამხვდა“, მე კი ის ადამიანი ვარ, რომელიც უმუშევარი ვერ გაჩერდება. რესტორანში მიმტანი გავხდი. ამ სფეროშიც ისეთ წარმატებას მივაღწიე, რომ შემდეგ, ამ საქმეს დამწყებ მიმტანებს ვასწავლიდი, ახლა კი დამწყებ მოდელებს მოდელობას ვასწავლი...

— ამჟამად, რესტორანში რატომ აღარ მუშაობ? მოდელობა შემოსავლიანი საქმე გახდა?

— არა. უბრალოდ, საქართველოში რომ დავბრუნდი, მაშინ სამსახური არ მქონდა და მიმტანად მუშაობა დავიწყე. 2 წითელი დიპლომი სახლში მიდევს. მესამე დიპლომიც მაქვს, ოღონდ — კოლეჯის (ადამიანის ფსიქოლოგიის განხრით). მგონი, ასეთი განათლების მქონე, მიმტანად არ უნდა გავჩერებულიყავი. წელიწადნახევარი ვიმუშავე და მივხვდი, რომ მიმტანად დაბადებული არა ვარ. შემიძლია, ჩემი პროფესიით დავკავდე. დავკავდი კიდეც: სხვადასხვა ადგილას მენეჯერად ვმუშაობდი. ამჟამად, მოდელობას და მენეჯერობას ერთმანეთს ვუთავსებ.

— ადამიანებთან ურთიერთობისას მნიშვნელობას ანიჭებ, თუ ვინ რომელ უბანში ცხოვრობს, რა მარკის ავტომობილი აქვს?..

— არა. ადამიანთან ურთიერთობისას, მის მატერიალურ მდგომარეობას ყურადღებას არ ვაქცევ. ჩემი ნამდვილი მეგობრების წრე ფინანსურად ძლიერი არ არის (ბევრი მეგობარი არა მყავს, მაგრამ ვინც მყავს, ნამდვილად ღირსეული ადამიანები არიან).

— აბა, რეალითი-შოუში ყოფნისას, ვარკეთილში ცხოვრების გამო, თავს რატომ იმართლებდი?

— დღეს თითქმის 26 წლის ვარ, გავიზარდე... მაშინ პატარა ბავშვი ვიყავი, რომელიც უეცრად პოპულარული გახდა და დებილივით თავს იმართლებდა, რაც არასწორი საქციელი იყო. დღესაც ვარკეთილში ვცხოვრობ და მეამაყება! მერე, რა? განა იქ ადამიანები არ ცხოვრობენ?!

— შენ მიერ გაკეთებული სკანდალური განცხადებები (მაგალითად, ქალთან სექსის სანაცვლოდ, ფულს რომ იღებდი) გიღირს იმად, რომ საქართველოში პოპულარული იყო? შენი სკანდალური საქციელი არასოდეს გინანია?

— მართლა ასე იყო და რა ვქნა?! ხალხს ჩემთან სექსში ფული ნამდვილად გადაუხდია. გადაცემაში — „სიმართლის დრო“ სიმართლეს თუ არ ვიტყოდი, ჩავიჭრებოდი... მართლა არსებობენ მდიდარი ქალბატონები, რომლებსაც ჩემთან ღამის გატარება სურთ. რატომაც არა?! ეს მეც მსიამოვნებს. იმავდროულად, დიდ მოგებასაც ვნახულობ.

ჩემნაირ მამაკაცთან სექსი რომ ექნებათ, უნდა დამასაჩუქრონ, აბა, რა

— ასეთ მამაკაცებს ჟიგოლოს უწოდებენ...

— ჟიგოლო არის „კაცი გამოძახებით“. მე ასეთი არა ვარ. უბრალოდ, ქალთან ფლირტი გავაბი, მერე მასთან სექსით დავკავდი, მან კი მითხრა: აი, გიორგი, ფული აიღე, შენთვის რაღაცები იყიდეო.

— ანუ ფულით დაგასაჩუქრა?

— ჩემნაირ მამაკაცთან სექსი რომ ექნებათ, უნდა დამასაჩუქრონ, აბა, რა (*იცინის*)!

— კარგი, მითხარი: პიარისთვის სკანდალური განცხა-

დების გაკეთება არასოდეს გინანია?

— მე ქართველი ერისთვის ვერ ვიცხოვრებ. ჩემთვის, ჩემი ოჯახისა და მეგობრებისთვის ვცხოვრობ. ჩემთვის უცხო ადამიანები რას იტყვიან, არ მაინტერესებს. საკუთარ ცხოვრებას როგორ წარვმართავ, ეს ჩემი საქმეა. ყველამ ჩვენ-ჩვენი ცხოვრებით ვიცხოვროთ, ჩვენს გულში, სულში ჩავიხედოთ — ასე ჯობია. ადამიანი თუ ცუდია, მას მეგობრები არ ეყოლება, არც ოჯახს ეყვარება. მე მყავს გვერდით ადამიანები, ვისაც ვუყვარვარ, ე.ი. ცუდი არა ვარ. სინანულს რაც შეეხება, პირიქით — ის მინანია, რომ კიდევ მეტი არ მითქვამს...

— გიორგი, ცხოვრებაში რა მიზანი გაქვს?

— მინდა, მე და ჩემი საყვარელი ადამიანები კარგად ვიყოთ, ჩემს ახლობლებს დავეხმარო... ჩემი მიზანი ესაა.

— კარიერასთან დაკავშირებული მიზანს რაც შეეხება?

— საქართველოში, სამოდელო სფეროში ჩემი სიტყვა რომ ვთქვი, ფაქტია. ახლა მინდა, ევროპაშიც მოვსინჯო ძალა. ახლახან პარიზში გახლდით. 2 სააგენტოს წარმომადგენელს შევხვდი. დადებითად შემაფასეს. ახლა კონტრაქტის პირობებს გავეცნობი. ვნახოთ, ჩემი საქმე როგორ წარიმართება...

— წარმატებას გისურვებ! ფინანსურად ძლიერი რომ იყო, მოდელად მაინც იმუშავებდი?

— კი. მოდელობა ჩემთვის მხოლოდ შემოსავლის წყარო არ არის, ესაა საქმე, რომელიც სიამოვნებას მანიჭებს. ამ სფეროში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ.

— ალბათ ჩემზე უკეთ იცი, რომ მოდელ მამაკაცებს საქართველოში მაინცდამაინც კარგად არ უყურებენ. საზოგადოების უარყოფით აზრს როგორ უმკლავდები?

— არ ვუმკლავდები, რადგან არ მაინტერესებს! მოდელობა ძალიან ბევრს უნდა. სურთ, „პაკაზებზე“ გამოვიდნენ, მათით პრესა დაინტერესდეს... როცა უამრავი ადამიანი გიყურებს და ტაშს გიკრავს, ეს ძალიან სასიამოვნოა. საწინააღმდეგოს ვერავინ იტყვის, თუმცა ქაჯებს ვერ გამოლევ: ვიღაც ყოველთვის გამოჩნდება, ვინც იტყვის, რომ მოდელობა მამაკაცისათვის სამარცხვინოა. უბანში დგომა და დედის ჯიბეზე „გამოკიდება,“ სამარცხვინო არ არის?! ამას სჯობია, მოდელი კი არა, თუნდაც მუშა იყო!

■

თამაზ ყურაშვილის ბარიერებით სავსე გზა წარმატებისკენ

თამაზ ყურაშვილი, მეტსახელად — თათუზა პირველი ჯაზმენია, რომელსაც ვარსკვლავი გაუსხნეს. პირველი — არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში!.. ბატონ თამაზს ვერაზე, ერთ-ერთ კაფეში შევხვდი, სადაც მისი ვერელი მეგობრები იყვნენ შეკრებილი და ირგვლივ განსაკუთრებულად ამაღლებული განწყობილება სუფევდა...

მანანა გაბრიჭიძე

— ვერაზე ვიზრდებოდი... ქუჩაშიც ბევრ დროს ვატარებდი, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ქუჩა იყო, — უფრო ოჯახური ელფერი დაჰკრავდა ყოველივეს... 9-10 წლის ასაკში ჯაზის მოსმენა დავიწყე. მაშინ მხოლოდ რადიო იყო ინფორმაციის წყარო: „ამერიკის ხმას“ ჰქონდა პროგრამა, რომელიც ღამის პირველ საათზე იწყებოდა და ჯაზური მუსიკის საუკეთესო ნიმუშებს აცნობდა მსმენელებს. ამ გადაცემაში საკმაოდ მოზღვავებული ინფორმაცია იყო ჯაზზე. იმ დროისთვის ინგლისურს ჯერ კიდევ ვსწავლობდი და კარგად ვერ ვფლობდი, მაგრამ გადაცემებს მაინც ვუსმენდი. ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში... შემდეგ ჩემმა ძმამ ფირფიტა მომიტანა. ჯაზის დიდი მელომანი გავხდი, ძალიან შემიყვარდა ეს მიმდინარეობა. ვერის უბანშიც ცხოვრობდნენ ჩემი თანატოლები, რომლებსაც ფანატიკურად უყვარდათ ჯაზი, მაგრამ მოსმენისა და ინფორმაციის მოპოვების საშუალება არ ჰქონდათ. ამ პერიოდში ვცდილობდი, ჯაზის ფირფიტები შემეძინა. მუსიკალურ განათლებაზე, სკოლას რომ ვამთავრებდი, მაშინ დავფიქრდი. ძალიან მიმზიდველი იყო ჩემთვის კონტრაბასი, მაგრამ ცხადია, დამოუკიდებლად ვერც ერთ ინსტრუმენტზე დაკვრას ვერ ისწავლი. ამიტომაც უნივერსიტეტში ბიოლოგიის მესამე კურსის სტუდენტმა კონსერვატორიის კათედრის გამგესთან, სავჩენკოსთან დავიწყე მეცადინეობა. 8 თვის შემდეგ მან კატეგორიულად გამომიცხადა, რომ კონსერვატორიაში უნდა ჩამებარებინა და პროფესიონალური განათლება მიმეღო. ვინაიდან დღის დასწრებულზე სწავლა არ მიხერხდებოდა, საღამოს ფაკულტეტზე ჩავაბარე. პირველი კურსის დასრულების შემდეგ მონაწილეობა მივიღე კლასიკური მუსიკის საერთაშორისო კონკურსში და ლაურეატიც გავხდი... ჩემი პედაგოგი ჯაზით არ იყო დაინტერესებული, მაგრამ ისეთი ნიმუშები მოვასმენინე, მაგნიტოფონიც კი შეიძინა. ჩემგან საჩუქრად ჩანაწერების დიდი კოლექცია მიიღო. მისთვის სრულიად ახალი ჰორიზონტი გაიხსნა...

— კონსერვატორიაში სწავლის პარალელურად, არც პირველი პროფესიისთვის გიღალატია...

— დიახ, კონსერვატორიის პარალელურად,

ასპირანტურაში ვსწავლობდი. საკანდიდატო ხარისხი დავიცავი მოსკოვსა და ბაქოში. პარალელურად, მუსიკის განხრით განვითარებას ვცდილობდი. საბჭოთა პერიოდში არ ვიყავით განებივრებული კლუბებით, მაგრამ მაინც ვახერხებდით რაღაცას...

— დიდხანს მუშაობდით ტელევიზიაში...

— 1968 წლიდან ტელევიზიაში ვმუშაობდი. ტელეფილმებს, სპექტაკლებსა და გადაცემებს ვაფორმებდი მუსიკალურად; რუბრიკა — „ჯაზის საღამოები“ მიმყავდა. ტელევიზიას საკმაოდ მდიდარი არქივი დავუტოვე. ტელეკომპანია „იმედში“ დაარსების დღიდანვე, მუსიკალური რედაქტორი ვიყავი. მაშინ უკვე სულ სხვა საშუალება გაჩნდა — ინტერნეტის წყალობით, ბევრი რამ გაადვილდა... საგასტროლო მოღვაწეობაც მიხდებოდა, — კონცერტები, ფესტივალები, ჩაწერები. ჩანაწერები გაკეთებული მაქვს ევროპის ქვეყნებში, ასევე — შორეულ აღმოსავლეთში... 80-იანი წლების მეორე ნახევარში ამერიკაში ჩავედი. პირველი ჩასვლისთანავე მუსიკალურმა პროფკავშირმა გამიფორმა კონტრაქტი, რომლის მიხედვით 2-3 აგენტს ჩემი დასაქმება ევალებოდა ანუ მათ ეხებოდათ ტექნიკურ-იურიდიული საკითხების მოგვარება. ამან საშუალება მომცა, კვალიფიკაცია ამემაღლებინა. სამწუხაროდ, საქართველოში დაწყებული არეულობის გამო ხანგრძლივი პაუზა მქონდა. 1991 წელს ამერიკაში ვიყავი მიწვეული, მაგრამ ვერ წავედი. ასე გაგრძელდა 1996 წლამდე. ევროპის ქვეყნებში ყოველთვის დავდიოდი, მაგრამ ამერიკაში წაუსვლელობის ხუთწლიანი პაუზით ბევრი რამ დამაკლდა.

— რას გვეტყვით ანსამბლებზე, რომლებთან ერთადაც სცენაზე გამოდიოდით?

— ანსამბლები იმდენად ყურადსაღები არ არის, რამდენადაც მუსიკოსები: სტერლი ჯორდანი, ბრენფორდ მარსალისი, ჯიმ როდრიგესი... მათთან ერთად გამოსვლა ძალიან საინტერესო და შინაარსიანი იყო, დიდი გამოცდილების მომცემი. ასევე შევხვდი უამრავ საინტერესო ახალგაზრდა მუსიკოსს, რომლებიც დღეს გამორჩეულები არიან ჯაზის სამყაროში. ამ დიდმა სულიერმა სამყარომ გადამატანინა ბევრი სტრესი და უსიამოვნება. საქართველოში რომ მძიმე წლები იყო, მუსიკა ხომ ყველაზე კარგი „მედიკამენტია“.

— თქვენს პედაგოგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით რას გვეტყვით?

— ჩემთან ახალგაზრდები რომ მოდიოდნენ და ინფორმაციას ითხოვდნენ, ამან მიბიძგა, პედაგოგიური განათლება გამეღრმავებინა. ვამჩნევდი, რომ მომავალ თაობას დახმარება ძალიან სჭირდებოდა. პედაგოგის მოვალეობაც ეს არის — რომ განვითარების სწორი გზის უჩვენოს ახალგაზრდას. მთავარია, პედაგოგმა თავად არ შეწყვიტოს განვითარება და სწავლა-განათლება. დღეს შეიძლება, მოულოდნელად ჟღერდეს, მაგრამ საბედნიეროდ, არიან ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც ამერიკასა და ევროპაში იღებენ საფუძვლიან განათლებას... ჩვენს დროს ძალიან ბევრი ბარიერი იყო, რამაც უამრავი დრო დაგვაკარგვინა. ძალიან ცუდია, რომ ვერ წახვალ, სადაც გინდა, ვერ მოისმენ, რასაც გინდა...

— რას ნიშნავს თქვენთვის ვარსკვლავის გახსნა?

— ძალიან დიდი დაფასებაა, რადგან საქართველოში ჯაზის სფეროში პირველი ვარსკვლავის გახსნაა და პოსტსაბჭოთა სივრცეშიც არ ყოფილა ასეთი რამ. რასაკვირველია, დიდი სიხარულია, შენი შრომა ასე რომ დაფასდება. ვარსკვლავის გახსნა ჩემთვის, დიდი სტიმულია შემდგომი განვითარებისთვის.

— დღეს რამდენად უყვართ საქართველოში ჯაზი?

— საქართველოში ჯაზის საუკეთესო მსმენელი იყო, არის და იქნება. ტყუილად ჰგონიათ, რომ ამერიკაში ყველა — ჯაზის მსმენელია. ეს ელიტური ხელოვნებაა, სადაც იპოვი სიმშვიდესაც და აღელვებასაც, ოღონდ ამისთვის ინტელექტია აუცილებელი. ■



ცხოვრება

სხვისთვის დათმობილი შეყვარებული

ანუ რა შემთხვევაში ამბობენ ადამიანები უარს სიყვარულზე

ზოგიერთი ადამიანისთვის მეორე ნახევრის მოძებნა ცხოვრებაში სულაც არ წარმოადგენს პრობლემას, ზოგს კი მის მოსაძებნად მთელი ცხოვრებაც არ ჰყოფნის. მაგრამ, როგორი უცნაურიც უნდა იყოს, არსებობენ ადამიანები, რომლებსაც საკუთარ მეორე ნახევრებსა და დიდ სიყვარულზეც უთქვამთ უარი... რა შემთხვევაში ამბობენ ადამიანები საკუთარ გრძნობებზე უარს, ამას ჩვენი რესპონდენტების მონაყოლიდან შეიტყობთ.

ელენე ბასილიძე

ბაჩუკი, *30 წლის:*

— თბილისში, ერთ-ერთ ძველ, კოლორიტულ უბანში გავიზარდე. ისევე როგორც ყველა ჩემი თაობის ბიჭი, ხშირად ვიდექი ბირჟაზე: ვეწეოდით, ვსვამდით, ხანდახან ნარკოტიკულ ნივთიერების მოხმარებაზეც არ ვამბობდით უარს... ერთხელაც, ბირჟასთან, ჩვენი სახლის წინ, მანქანა გაჩერდა და ავეჯით დატვირთული სატვირთო მანქანიდან ულამაზესი გოგონა გადმოვიდა. მის შემხედვარეს მომეჩვენა, რომ დრო გაჩერდა... ქეთი ერქვა ჩემს „დამატყვევებელს“, რომელიც ბებოსთან ერთად, მეზობლად გადმოვიდა. თურმე დედამისი გათხოვილა და მათთვის ცალკე ბინა უყიდია. ქეთი 18 წლის გახლდათ და ჩემზე 2 წლით იყო უმცროსი. გადმოსვლის დღიდან მისი გრაფიკი ზეპირად შევისწავლე. ქუჩაში გამოვიდოდა თუ არა, მის სახეზე ვკითხულობდი ყველაფერს... ქეთი ყველას მოსწონდა და როგორც უბნის „ყოჩმა“, თადარიგი თავიდანვე დავიჭირე: გოგონას არც ვიცნობდი, ჩემს შეყვარებულად გამოვაცხადე და სხვებს მასზე ფიქრიც კი ავუკრძალე. ერთ დღესაც, როგორც იქნა, გავიცანი! რამდენიმე დღეში თავი ისე შემაყვარა, მზად ვიყავი, მისი გულისთვის ყველაფერზე უარი მეთქვა. მალე მივხვდი, რომ მასაც აღარ შეეძლო უჩემოდ და როცა ჩვენი ურთიერთობა „სერიოზულ ფაზაში“ უნდა გადაზრდილიყო, უბანში ჩხუბის გამო, ციხეში მოვხვდი და 6 თვის განმავლობაში „დავისვენე“... ქეთი ისე მენატრებოდა, დილით გაღვიძება არ მინდოდა, რადგან ვიცოდი, მის გარეშე უნდა გამეტარებინა მთელი დღე. ციხეში „წამალზე შევჯექი“. მის გარეშე გატარებული დღეებს წამლით „ვიყუჩებდი“; ქეთი სიყვარულში ციხიდან გამოსვლის დღესვე გამომიტყდა და ჩვენი ურთიერთობაც გაგრძელდა, მაგრამ „წამალზე“ უარი ვეღარ ვთქვი. როგორც კი „ლომკა“ დამეწყებოდა, აღარავინ მახსოვდა... ზამთარში ბაკურიანში წასვლა გადავწყვიტეთ. სიხარულისაგან დავფრინავდი, როცა ქეთი ღამით ჩემს ნომერში დარჩა. არდადეგების ბოლო დღეს კი ჩემს ხელზე ნანემსრები შენიშნა. სიმართლის თქმა ვერ შევძელი და ძველი ნანემსრებია-მეთქი, — ვუთხარი. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ კი უარესად ჩავეშვი ჭაობში. თავს ადამიანად მხოლოდ წამლის მორიგი დოზის გაკეთების შემდეგ ვგრძნობდი, ქეთი ხვდებოდა, რომ რაღაც ისე ვერ იყო, მაგრამ კითხვას არ მისვამდა. ერთ დღესაც გამომიცხადა:

— ვიცი, რომ კაიფობ, გვერდში დაგიდგები და ერთად დავძლიოთ ეგ სენიო. დავეთანხმე, მაგრამ ვერ შევძელი. ქეთის თვალებში ჩახედვის მრცხვენოდა. ის ჩემზე ძალიან ნერვიულობდა — ღამეებს ათენებდა... ტკივილს ვაყენებდი და ეს უფრო მიკლავდა გულს. გადავწყვიტე, საქართველოდან წავსულიყავი და აქ აღარასოდეს ჩამოვსულიყავი! მოსკოვში წავედი კიდეც.

— **ეს გამოსავალი იყო?**

— რა თქმა უნდა — არა. ვიფიქრე, შორს რომ ვიქნები, არც მე გამიჭირდება უმისობა და ქეთიც ერთხელ და სამუდამოდ მიხვდება, რომ აზრი არა აქვს ჩვენს ერთად ყოფნას-მეთქი. ქეთი ჩემთან ბედნიერი ვერასოდეს იქნებოდა. საკუთარ თავს ძალიან ცუდი სამსახური გავუწიე და ახლა სრულიად უდანაშაულო ადამიანი უნდა გამეუბედურებინა...

— **ალბათ, არ გიყვარდათ...**

— ვერავინ შეძლებს, გაიგოს, თუ რას განვიცდიდი მისი მიტოვებისას, მაგრამ რადგან საკუთარ თავს ვერ მოვერიე, სხვისი ცოდვა აღარ დავიდე... დღემდე ნარკომანი ვარ და ჩემს გადაწყვეტილებას არ ვნანობ. არც ისეთი ნამუსგარეცხილი და ეგოისტი ვიყავი, რომ ჩემი სიყვარულიც გამეუბედურებინა.

— **ქეთის ამბავი მას მერე თუ გიკითხავთ?**

— კი, მის ამბავს ხშირად ვკითხულობდი, ჩემ გარეშე ძალიან გაუჭირდა — ერთხელ ტელეფონის ნომერ-

იც კი გაიგო და დამირეკა. მეეჭვრეობოდა, ჩამოვალ შენთანო... უარი ვუთხარი... 5 წლის შემდეგ გათხოვდა, დღეს 3 შვილი ჰყავს, ბედნიერი დედა და მეუღლეა. მე კი მის გაბედნიერებას ვერ შევძლებდი. დღეს ცოცხალი გვამი ვარ, ისეთი დაავადება მჭირს, რომელიც რამდენიმე წელიწადში ბოლოს მომიღებს, მაგრამ მიხარია, რომ ქეთი კარგადაა. მისი ბედნიერებით ვხარობ...

ნატული, *38 წლის:*

— ამბავი, რომელიც უნდა მოგიყვეთ, ჩემს მეგობარს გადახდა. დღემდე ვერ მომინელებია ტკივილი, რომელიც რამდენიმე წლის წინ გადავიტანე. ვერ ვხვდები, როგორ შეიძლება, საყვარელ ადამიანზე უაზრობის გამო უარის თქმა?! მე და ნინო ერთ ეზოში ვიზრდებოდით, ბაღშიც ერთად დავდიოდით და როცა სკოლაში მისვლის დრო დადგა, ისე მოხდა, რომ სხვადასხვა კლასში მოვხვდით. მანამდე არ მოვისვენეთ, სანამ ერთ მერხზე, ერთმანეთის გვერდით არ დავსხედით. არაჩვეულებრივი დაქალები ვიყავით, ერთმანეთის გარეშე არაფერს ვაკეთებდით. ერთ ზაფხულს (მაშინ 16 წლისანი ვიყავით), ნინიკოსთან ერთად, დასასვენებლად წასვლა ვერ მოვახერხე — ბებია გახდა ავად, მაგრამ შევთანხმდით, რომ 1 კვირაში მეც მასთან ერთად ვიქნებოდი ბათუმში... ბათუმში ჩასვლისას, მეგობრისთვის თვალებში ერთი ჩახედვაც კი მეყო, მივმხვდარიყავი — ნინო შეყვარებული გახლდათ. ზღვაზე ვინმე ლაშა გაეცნო... სიმართლე გითხრათ, ის ყმაწვილი მეც მომეწონა: ზრდილობიანი, ყურადღებიანი, გალანტური ბიჭი იყო. ერთი უარყოფითი თვისებაც კი არ შემიმჩნევია და ნინოს სიხარულით მეც ვხარობდი. მათი სიყვარულის ამბავი თბილისშიც გაგრძელდა, ერთმანეთის გარეშე წუთით ვერ ძლებდნენ. როცა შეხვედრა უნდოდათ, ნინო ჩემთან სტუმრობას იმიზეზებდა და ლაშასთან გარბოდა. ერთი წელი მალევე გავიდა და მისაღები გამოცდებიც დაგვეწყო. გამოცდები წარმატებით ჩავაბარეთ, ორივე სტუდენტი გავხდით და ერთ კვირაში გავიგე, ნინო მოიტაცესო. აღმოჩნდა, რომ ერთ ჩვენს ძველ ნაცნობს ჰყვარებოდა... იმ დღეს მე და ლაშა მკვდრებივით ვიყავით, ისეთი შოკი მივიღეთ, მთელი ღამე არ გვეძინა, ნინოს ასავალ-დასავალს ვერ ვპოულობდით, ლამის შევიშალეთ... 4 დღის შემდეგ ნინომ დამირეკა და სხაპასხუპით მითხრა, რაჭაში, ამა და ამ ადგილზე ვართ, ლაშას უთხარი, სასწრაფოდ ჩამოვიდეს და წამიყვანოს — აქ ვერ დავრჩებიო... ნინოს ნათქვამი მაშინვე ლაშას გადავეცი და ისიც კი შევთავაზე, ჩემს ძმასაც ვეტყვი, მეც გამოგყვები და ერთად წავიდეთ-მეთქი. თავი უხმოდ დამიქნია, რატომღაც მისი რეაქცია არ მომეწონა. თურმე ლაშა მოტაცებული ქალის სახლში წამოყვანას სულაც არ ფიქრობდა. სოფელში ჩასვლამ მე და მისი ოჯახის წევრებს მოგვიწია, ნინომ ლაშა რომ ვერ დაინახა, მაშინვე ყველაფერს მიხვდა და მოცეღილი დაეცა სკამზე. იმ დღეს ნინო სახლში არ წამოგვიყვანია. მშობლებს არც უკითხავთ, უყვარდა თუ არა ის ბიჭი, ან სახლში წამოსვლა ხომ არ უნდოდა?! ჩემი მეგობარი ბედს შეგუებული მეჩვენა, რას ვიზამ, რადგან ასეა, ლაშას არ ვყვარებივარ და სხვა რაღა გზაა, დავრჩები ნიკასთანო... რაჭიდან მალევე წამოვედით, გული მიკვდებოდა, ვხვდებოდი, ნინო იქ ბედნიერი არ იქნებოდა. ნიკამ სწავლისთვის თავის დანებება მოსთხოვა, 3 თვის შემდეგ ლაშა ჩემთან მოვიდა, მითხრა, რომ ნინოს დაურეკავს და შერიგება უთხოვია. ჩემი მეუღლე არასოდეს შემიყვარდება და თუ გრძნობა შეგრჩენია ჩემ მიმართ, ნიკას მივატოვებო... ლაშას უთქვამს — აღარ მიყვარხარო... — რა ვქნა ნატული, სხვის საწოლში ნაწოლ ქალს ვერასოდეს მოვიყვან ცოლადო, — თავი გაიმართლა. მეორე დღეს ხმა გავრცელდა, ნინომ თავი ჩამოიხრჩოო... ის რამდენიმე დღე, სანამ ნინოს დაკრძალავდნენ, არ მახსოვს... თბილისში ჩამოსულს, ცხოვრება აღარ მინდოდა, თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, ნინოსთან რომ ვყოფილიყავი, ამ ნაბიჯს არ გადადგამდა-მეთქი, მაგრამ ისიც კარგად ვიცოდი, მან ლაშას გარეშე ცხოვრება ვერ აიტანა... ის არაკაცი კი, სამძიმარზეც არ მისულა. 2 კვირის შემდეგ ჩემთან დარეკა და ისეთი ისტერიკა დამემართა, არანორმალური ხმით ვყვიროდი. მისი იდიოტური მენტალიტეტი რომ არა, დღემდე საყვარელი ქალის გვერდით იქნებოდა. ამ ამბის შემდეგ გალოთდა და დღეს ხან სადარბაზოში სძინავს, ხანაც ღია ცის ქვეშ ათევს ღამეს. ღმერთმა მაპატიოს, მაგრამ არ მეცოდება!

ლუკა, *20 წლის:*

— მინდა, მამაჩემის ამბავს მოგიყვეთ. თავიდან არც დავიჯერე, როცა მისმა მეგობარმა მიამბო: ვიფიქრე, მეხუმრებოდა, მაგრამ მერე მამამაც დამიდასტურა და კინაღამ გადავირიე! ვიღაც აფერისტი ძმაკაცის გამო ულამაზესი ქალი დათმო, რომელსაც მამაჩემი სიგიჟემდე უყვარდა! მოკლედ, ძმაკაცებზე თავგადაკლული მამა მესამე კურსზე იყო, ის გოგონა რომ შეუყვარდა. სერიოზული ურთიერთობა ჰქონდათ, სტუდენტები იყვნენ და ოჯახის შექმნას არ ჩქარობდნენ. ერთ დღესაც, მამაჩემის ყველაზე „მაგარმა“ ძმაკაცმა მამა სახლში დაიბარა და გაუმხილა, რომ უკურნებელი დაავადება სჭირდა. რა თქმა უნდა, მამაჩემი გადაირია, ისე შეწუხდა, მაგრამ ის, რაც მერე სთხოვა მამაჩემს თავისმა „საუკეთესო“ ძმაკაცმა — ვალერიმ, უნამუსობა იყო...

— ასეთი რა უთხრა?

— შენი შეყვარებული დამითმე, რამდენიმე წელიღა მაქვს დარჩენილი და მინდა, საყვარელი ადამიანის გვერდით გავატარო უკანასკნელი წლებიო. როგორც გაირკვა, ნატო მასაც ჰყვარებია. მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ძმაკაცის ავადმყოფობითა და უბედურებით „ტვინდაბინდულმა“ მამაჩემმა „კაცურად“ დაუთმო შეყვარებული.

— კი, მაგრამ გოგოს აღარაფერი ჰკითხეს?

— მეც ეგ არ მიკვირს?! თურმე მამაჩემი 3 თვით როსტოვში წასულა ისე, რომ შეყვარებულისთვის არაფერი გაუგებინებია. საწყალს, თურმე ძალიან უჭირდა ნატოს გარეშე, მაგრამ... მერე ვალერის ათასი სისაძაგლე უთქვამს მამაჩემზე და ქალიც შეუბამს! რამდენიმე თვეში ჯვარი დაიწერეს, დროთა განმავლობაში კი, მამაჩემმა სანდო წყაროსგან გაიგო, რომ ვალერის არანაირი დაავადება არ სჭირდა და ყველაფერი ნატოს ხელში ჩასაგდებად მოიგონა (*იცინის*).

— სიმართლის გაგების შემდეგ რა ქნა?

— ადგა და ცხელ გულზე დედაჩემი მოიყვანა ცოლად. მერე შვილები ეყოლათ და ალბათ იმ ტკივილმაც გადაუარა, მაგრამ

მათი სიყვარულის ამბავი თბილისშიც გაგრძელდა

ვიცი, რომ ნატო დღემდე ძალიან უყვარს. 5 წლის შემდეგ, დედაჩემს გაშორდა, ამ ამბიდან ერთ წელიწადში, ვალერიც გარდაიცვალა ავტოკატასტროფაში.... მოკლედ, მამიკოს შანსი გაუჩნდა, რომ საყვარელი ქალის გვერდით ყოფილიყო, მაგრამ ნატომ გვერდითაც არ გაიკარა! შენნაირი ადამიანი არაფერში მჭირდებაო და სხვას გაჰყვა ცოლად. ეს ამბავი მამაჩემის ძმაკაცმა სიმთვრალეში მიამბო და მერე მამაჩემმაც დაუდასტურა, — მართალია, ასე იყოო (*იცინის*). მამა ასეთი „ლობიო“ კაცი არ მეგონა, მაგრამ თურმე ყველას გაცუცურაკებაა შესაძლებელი.

ლელა, *34 წლის:*

— მე და ჩემი მეუღლე თანაკლასელები ვიყავით, ლევანი ჩემი კარგი მეგობარი იყო. ხომ იცით, ბავშვობაში როგორც ხდება: ვინც ყველაზე დიდი მოჩხუბარი და „მაგარი ბიჭი“ იყო, სწორედ ის მოგვწონდა! მასაც მოვწონდი, თან, ლევანის გამო ყველა თაყვანისმცემელი ჩამომშორდა და ბოლოს კი ჩემი მეუღლე გახდა. უნივერსიტეტში ვსწავლობდი, პირველი კურსი რომ დავხურე, 17 წლის ასაკში მომიტაცა. მახსოვს, დედაჩემმა მითხრა: — თუ არ გიყვარს და გათხოვება არ გინდა, რაც უნდა იყოს მომხდარი, წამოდიო. — არაფერი მომხდარა, მაგრამ უკვე რომ გვადღეგრძელეს-მეთქი (*იცინის*)? — ვუპასუხე. მალე აღმოვაჩინე, რომ მოსიყვარულე ადამიანებს საყვარელი ადამიანებისათვის იოლად შეუძლიათ ტკივილის მიყენება. წამალსაც იკეთებდა და შემპირდა, აღარ გავეკარებიო, მაგრამ როგორც კი დავორსულდი, ისევ ნარკოტიკის მოხმარებას მიჰყო ხელი. ლევანს მანიაკური სიყვარული ჰქონდა ჩემ მიმართ: რომ შემეძლოს, მხოლოდ ჩემთვის იარსებებდიო — მეუბნებოდა. მაგრამ ჩემთვის ტკივილისა და ცრემლების მეტი თითქმის არაფერი მოუტანია. 4 თვის ბავშვი მყავდა, როცა ერთი მუჭა წამალი დავლიე — თვითმკვლელობა ვცადე. ბოლოს ურთიერთობა იმდენად დაგვეძაბა, მივხვდი, ერთად ვეღარ ვიცხოვრებდით! მალე ლევანი რუსეთში წავიდა. უკვე 7 წელია, იქ არის და დღემდე წამალზეა დამოკიდებული.

— როგორც ვიცი, ლევანის შემდეგ, კიდევ გამოჩნდა შენს ცხოვრებაში სხვა ადამიანი...

— კი, ლევანთან დაშორების შემდეგ 2 წელი დამჭირდა იმისთვის, რომ თავიდან დამეწყო ლაპარაკი, სიცილი, ადამიანებთან ურთიერთობა... 3 წლის შემდეგ, ჩემი ბიძაშვილის შეყვარებულს ძმაკაცი მოჰყვა და გოგა ასე გავიცანი. ჩემზე 7 წლით იყო უმცროსი, ქალურმა აღღომ მაგრძნობინა, რომ მოვწონდი, მაგრამ ამას ვერაფრით ვიჯერებდი. იოლად დაუახლოვდა ჩემს შვილსა და მეგობრებს, ხშირად გვსტუმრობდა, სამსახურშიც მაკითხავდა... ყველა ქალი დამეთანხმება, რომ რამდენად ძლიერიც უნდა იყოს იგი, მაინც სჭირდება გვერდით ადამიანი, რომელიც თავზე ხელს გადაუსვამს, თბილ სიტყვას ეტყვის, რომელსაც ბოლოს და ბოლოს, დაეყრდნობა მაინც...

— როგორ განვითარდა მოვლენები მას მერე, რაც თავი მოგაწონათ?

— ხშირად ვხვდებოდით, არაჩვეულებრივი პიროვნება იყო. დილა მისი მესიჯით იწყებოდა. თვითონ რაიონიდან იყო და ჩემ სიახლოვეს რომ ყოფილიყო, თბილისში იშოვა სამსახური... მალე ჩვენ შესახებ მისმა მშობლებმა გაიგეს და იმ დღიდან დაიწყო პრობლემები. რა თქმა უნდა, გადაირივნენ, როცა გაიგეს, მათი შვილის რჩეული შვილიანი ქალი გახლდათ. ხშირად უსიამოვნება ჰქონდა სახლში, რაიონში ჩასვლაც აღარ უნდოდა. მისმა მშობლებმა ჭორების მოგონება დაიწყეს, თითქოს მე ძალით შევაყვარე თავი, ჯადოს ვუკეთებდი... რამდენიმე თვეში იმდენად მომბეზრდა ამდენი პრობლემა და ცილისწამება, დაშორების გადაწყვეტილება მივიღე. გოგას ძალიან გაუჭირდა ჩემთან დაშორება, მაგრამ რომ მიხვდა, აღარ შევურიგდებოდი — ცოლი მოიყვანა. მისი მეგობრებისგან გავიგე, რომ ძალიან უშნო გოგო უთხოვია ცოლად. — აი, რძალი ხომ გინდოდათ? ჰოდა, გყავდეთო, — უთქვამს მშობლებისთვის. დღემდე მესიჯებს ვიღებ მისგან: „ძალიან მიყვარხარ“, „სიცოცხლის ბოლომდე მეყვარები“, „ვერც კი წარმოიდგენ, როგორ მენატრები“, მაგრამ შეხვედრის სურვილს არ გამოთქვამს და არც კი მინდა მისი ნახვა.

— ყველაფრის თავიდან დაწყება რომ შეგეძლოს, რას მოიმოქმედებდი?

— ალბათ იმავეს, რაც მანამდე გავაკეთე... მიუხედავად იმისა, რომ გოგა მიყვარდა, მის გამო ყველაფერს ხაზი ვერ გადავუსვი. ამასთან, დღემდე ჩემი მეუღლის დედასთან ვცხოვრობ. ბედნიერებისთვის ყველაფერს ვერ გავწირავდი, ჩემი შვილი ქვეყანას მირჩევნია. ვერ დავუშვებდი იმას, რომ ჩემსა და მის ურთიერთობას რაიმე საფრთხე დამუქრებოდა. ალბათ, ყველაფერი ასეც უნდა მომხდარიყო.

■

ლალი ფაცია

„2004 წლის ბოლოს მოსკოვში მომიწია ჩასვლამ. ანტიდოპინგური სააგენტოს ერთ-ერთი დამფუძნებელი ვარ და იქ ლაბორატორიაში 4 დღით გამგზავნეს, მაგრამ ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ სონია ჩერნიხი გამეცნო“, — მითხრა ექიმმა ლაშა მაჩალაძემ, რომელიც ამჟამად სამედიცინო ინოვაციების ცენტრში ექიმ-რეაბილიტოლოგად მუშაობს.

სონიასა და ლაშას სიყვარულის ამბავი 6 წლის წინ დაიწყო და შარშან ოქტომბერში ოჯახის შექმნით დაგვირგვინდა. პროფესიით პედაგოგმა მოსკოველმა გოგონამ მიატოვა მშობლები, ახლობლები, პრესტიჟული სამსახური (ერთ-ერთ მსხვილ სარეკლამო ფირმაში მუშაობდა) და საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. ეს ნაბიჯი სიყვარულმა გადაადგმევინა. თავისთავად, ეს ამბავი გასულ საუკუნეში არავის გაუკვირდებოდა, მაგრამ ახლა — 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ბევრს ალბათ ეუცხოება. ლაშამ იხუმრა, — „მშვიდობის მტრედები“ ვართო...

სონია:

— ომი არ მოქმედებს ჩვეულებრივი ადამიანების ურთიერთობაზე. მიმაჩნია, რომ 2008 წლის ომი „საჩვენებელი ჭადრაკის პარტია“ იყო პუტინსა და სააკაშვილს შორის. ამ საშინელებას ქართველი ერის მიმართ რუსების დამოკიდებულება არ შეუცვლია, მაგრამ იმ ადამიანებისთვის, ვისაც ტელევიზორში გადმოცემული ინფორმაციის სჯერა, ალბათ რაღაცები შეცვალა... როდესაც ომი დაიწყო, ანაპაში ვისვენებდი. პლაჟზე მიმავალმა დავინახე, რომ ერთ ადგილას ხალხი იყო შეჯგუფებული — ტელევიზორს მისჩერებოდნენ. მივხვდი, რომ საქმე მთლად კარგად არ უნდა ყოფილიყო. თქვეს, — ომი დაიწყოო. ეს ჩემთვის უდიდესი შოკი იყო! ანაპის სანაპიროზე მყოფი ადამიანები, რაც რუსული ტელეარხით მოისმინეს, იმავეს იმეორებდნენ — ქართველები ცუდები არიანო... ეს ჩემთვის ძალზე უსიამოვნო მოსასმენი იყო. მაშინვე ლაშას დავურეკე...

ლაშა:

— ომმა მეც საოცარი განცდები აღმიძრა. იმ პერიოდში ყველა რუსი მეჯავრებოდა... ომის დროს სონიას სატელეფონო ზარი და იმის თქმა, რომ საქართველო და ქართველები უყვარდა, ჩემთვის დიდი სტიმული აღმოჩნდა. ის ჩვენს ურთიერთობას საოცრად უფრთხილდებოდა, რაც ჩემზე დადებითად მოქმედებდა. სონია, როგორც შეეძლო, ცდილობდა, თავი-

ქართველების რუსი რძალი

„ომს ჩვენი სიყვარულისთვის ხელი არ შეუშლია“

სი თანამოქალაქეებისთვის სიმართლე ეთქვა, ყველაფერი აეხსნა...

— მითხარით, რომ ერთმანეთი 2004 წელს გაიცანით. იქნებ მოგვიყვეთ, როგორ მოხდა ეს?

სონია:

— ლაშა მოსკოვში თავის საქმეზე რომ ჩამოვიდა, მეგობართან ცხოვრობდა. თბილისში მისი გამომგზავრების წინადღეს ბიჭებმა რესტორანში წასვლა გადაწყვიტეს. ლაშას მეგობარმა თავის მეგობარ გოგონას დაურეკა და რესტორანში დაპატიჟა, თან, ლაშას თხოვნით, მეგობრის წამოყვანა სთხოვა...

— მოკლედ, ისე, როგორც კინოფილმ „მიმინოშია“ — „პუსტ პოდრუგუ ვოზმიოტ“, არა?..

— დიახ (*იცინის*). ჰოდა, ის „პადრუგა“ მე აღმოვჩნდი... მათთან შესახვედრად წითელ მოედანზე ღამის 12-ის ნახევარზე წავედით. ისე, სინამდვილეში ჩვენი იქ მისვლა კიდევ იმით იყო განპირობებული, რომ ცოტა ხანში (საახალწლოდ), საქართველოში ჩამოსვლა გვქონდა დაგეგმილი. 2005 წელი დგებოდა. გუდაურში უნდა გვესრიალა (სნოუბორდით ვარ გატაცებული). 31 დეკემბრიდან 10 იანვრამდე მოსკოვში არდადეგებია, ყველანი ქალაქიდან გადიან და ასეთი „პაეზდკების“ დაგეგმვა სექტემბრიდან იწყება: ყველაფერი (თვითმფრინავის ბილეთები, სასტუმრო) წინასწარ უნდა დაჯავშნო... ჰოდა, ჩვენც სექტემბერში ვიყიდეთ ბილეთები და შეხვედრა ქართველთან იმის გამო გვინდოდა, რომ გუდაურის შესახებ მეტი ინფორმაცია მოგვეპოვებინა. თან, ჩვენს უსაფრთხოებაზეც წინასწარ გვეზრუნა, რადგანაც საოცარი ამბები გვესმოდა: რომ საქართველოში ჩასვლა სახიფათოა; შესაძლოა, იქ ვინმემ აეროპორტიდან მოგვიტაცოს... ამიტომ ვცდილობდით, გვეპოვა ადამიანი, რომელიც დაგვეხმარებოდა, რომ არავის „გავეტაცებინეთ“...

ლაშა:

— მართალია, მას საქართველოში მოტაცების ეშინოდა, მაგრამ თუ დღევანდელი გადასახედიდან ვიმსჯელებთ, მაინც ქართველის მიერ აღმოჩნდა „მოტაცებული“ (*იცინის*). 2004 წლის დეკემბერში სონია და მისი მეგობრები თბილისში ჩამოვიდნენ...

სონია:

— ეს საქართველოში ჩემი პირველი ჩამოსვლა იყო. თვითმფრინავს ქართული ეკიპაჟი მართავდა. შამპანურით გვიმასპინძლდებოდნენ, კარგად მოვილხინეთ. ყველანი ერთმანეთს დამდეგ ახალ წელს ვულოცავდით. ასეთი რამ არც ერთ რუსულ რეისზე არასდროს მინახავს... და ის მოლოდინი, რომ ვინმე აქ ჩვენ მიმართ აგრესიას გამოიჩენდა, აბსოლუტურად გაქარწყლდა...

— სანამ აქ ჩამოსვლას დაგეგმავდით, რა იცოდით საქართველოს შესახებ?

— ის, რომ საქართველოს ძალიან ლამაზი დედაქალაქი — თბილისი აქვს, სადაც დედაჩემი და ჩემი ნათესავები იყვნენ ნამყოფი, მაგრამ ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ჩემი მომავალი ქმარი, არარუსი, მით უმეტეს — ქართველი იქნებოდა.

— ლაშამ მითხრა, გაცნობისთანავე სონიას ნდობა დავიმსახურეო. მართლა ასე იყო?

სონია:

— როდესაც ადამიანი რუსულად ცუდად ლაპარაკობს, საუბრისას შეცდომებს უშვებს, რუსიც რომ იყოს, ჩემში უარყოფით ემოციას იწვევს. თავიდან ლაშა რუსულად კარგად ვერ ლაპარაკობდა და არ მომეწონა, მაგრამ იმ წუთებში ჩემთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა არა ის, თუ როგორ ლაპარაკობდა, არამედ — რას ლაპარაკობდა... ადამიანებში ვაფასებ იუმორის გრძნობას. ამით ლაშა მართლა გამორჩეულია, რასაც იმ საღამოსვე მივხვდი. რესტორნის შემდეგ სახლში გამაცილა, ესეც მესიამოვნა...

ლაშა:

— მომეწონა, რომ ჩვენი პირველი კონტაქტის თემა მხოლოდ საქართველო იყო და რომ სონია დაინტერესებული იყო ქართული ენის შესწავლით. მართლაც, პირველივე ჩამოსვლისას გუდაურში რაღაც ქართული სიტყვები ისწავლა კიდეც... თავიდან, გარეგნულად მაინცდამაინც რუსს ვერ მივამსგავსე. მასთან ყოფნის 2 საათი საკმარისი იყო, რომ მივმხვდარიყავი, — ის ჩემთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი გახლდათ. მოკლედ, ერთი ნახვით შემიყვარდა. დიახ, აბსოლუტურად უცხო ქვეყანაში ჩემთვის ახლობელ ადამიანს შევხვდი. გამიხარდა, რომ ერთ თვეში მეგობრებთან ერთად, საქართველოში უნდა ჩამოსულიყო. ჰოდა, მეც დავხვდი და დაიწყო ჩვენი ურთიერთობაც... ახალი წლის შემდეგ, 2005 წლის 14 თებერვალს სიურპრიზი მომიწყო — ისევ ჩამოვიდა...

— თუკი ასე აქტიურად ხვდებოდით ერთმანეთს, თქვენი ურთიერთობა ქორწინებით ასე გვიან რატომ დაგვირგვინდა?

— მერე რატომღაც ჩვენი კონტაქტი შეწყდა და დავშორდით...

— რატომ?

— ამაზე კონკრეტული პასუხი არა მაქვს. ალბათ იმიტომ, რომ ახლა ერთად ვყოფილიყავით (*იცინის*)... მაშინდელი ურთიერთობა იმ ზღვრამდე მივიდა, რომ ან უნდა დავქორწინებულიყავით, ან — დავშორებოდით ერთმანეთს. სონიასთვის, რომელიც მოსკოვში ცხოვრობდა და ყველაფერი საათივით ჰქონდა აწყობილი, ძნელი იყო, დაეტოვებინა იქაურობა.

სონია:

— დაცილებიდან 5 წლის განმავლობაში ერთმანეთს მხოლოდ დაბადების დღეებს ვულოცავდით...

— მერე ურთიერთობა როგორ განაახლეთ?

ლაშა:

— 2010 წლის დასაწყისში სონიამ დამირეკა და მითხრა: ჩვენი დაშორებიდან 5 წელი გავიდა, მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, 25-იც რომ გავიდეს, ჩემთვის არაფერი შეიცვლება; თბილისში ჩამოვალ და მერე ვნახოთო... მეც იმავეს ვგრძნობდი, მაგრამ მაშინ მისთვის არაფერი მითქვამს, სამაგიეროდ, გადაწყვეტილება მივიღე, რომ უნდა გვექორწინა.

სონია:

— ფაქტია, რომ შეგვიყვარდა ერთმანეთი და შეუძლებელია, ამ გრძნობას წინ აღუდგე.

— ახლა როგორ დაახასიათებდით ერთმანეთს?

ლაშა:

— სონია მომხიბვლელი, საინტერესო, ჭკვიანი, მზრუნველი, მიზანდასახული და მამაცი ქალბატონია...

სონია:

— მეც იმავეს ვიტყვი ლაშაზე და დავამატებ, რომ საკუთარ თავზე მუდმი-

ვად მუშაობს... მთელი ცხოვრება მინდოდა, რაღაც გმირობა ჩამედინა, მაგალითად — მთვარეზე გავფრენილიყავი და აი, ხედავთ? საქართველოში ჩამოვფრინდი (*იცინის*)... მოსკოვში რუბლიოვის გზატკეცილზე, მთლად იმ უბანში არა, სადაც პუტინის სახლია, მაგრამ მასთან ახლოს ვცხოვრობდი... ბინა, მანქანა, სამსახური — ყველაფერი, როგორც ლაშამ აღნიშნა, მქონდა, მაგრამ დამერწმუნეთ, არანაირი მატერიალური კეთილდღეობა არ განსაზღვრავს ადამიანის ბედნიერებას.

— როგორ შეაფასეს თქვენ ეს ნაბიჯი მეგობრებმა, ახლობლებმა, ნათესავებმა?

— 5 წლის წინ დედაჩემი და ჩემი მეგობრები ამ ქორწინების წინააღმდეგები იყვნენ, მაგრამ წლების შემდეგ, როდესაც დარწმუნდნენ, რომ ნამდვილ სიყვარულთან ჰქონდათ საქმე, ყველამ უკან დაიხია...

— სონია, როგორც ქართველების რძალი, რას იტყვით ქართველებსა და საქართველოზე?

— ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, მაგრამ ის, რაც აქ ვნახე, არსად მინახავს. გაოცებული ვარ ქვეყნის სილამაზით, ხალხის კეთილგანწყობილებით, სტუმართმოყვარეობით...

— ქართულ ენას სწავლობთ?

— ვსწავლობ დიდი მონდომებით, რადგანაც ძალიან კარგი ენაა. რაღაცით ესპანურს მაგონებს. როდესაც ენის შესწავლას იწყებ, მის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება გიჩნდება. ქართულს დამოუკიდებლადაც ვსწავლობ — ინტერნეტში ვისმენ აუდიოჩანაწერებს, ვიყენებ თვითმასწავლებლებს. ასევე დავდივარ ლაშას ნათლულთან, რომელიც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია. კარგად უნდა ვისწავლო ქართული, თორემ ხომ გავგიჟდები, ჩვენს შვილს ლაშა ქართულად რომ დაელაპარაკება, ვერაფერი გავიგო?!.

— ლაშა, რა გითხრეს მშობლებმა — მოგიწონეს არჩევანი?

— ისინი სონიას ფოტოებით იცნობდნენ. როდესაც ვუთხარი, ცოლად უნდა მოვიყვანო-მეთქი, თავიდან

სონიასა და ლაშას სიყვარულის ამბავი 6 წლის წინ დაიწყო

გაუკვირდათ, მაგრამ როდესაც ჩემი გადაწყვეტილების ურყევობაში დარწმუნდნენ, მკითხეს, — არის თუ არა მზად, საქართველოში იცხოვროსო? როგორც ჩანს, მათ შიში გაუჩნდათ — მოსკოვში ხომ არ ვაპირებდი გადასვლას... როდესაც ახლოს გაიცნეს, ძალიან მოეწონათ.

— ჯვარიც დაიწერეთ?

— ჯვარი მეტეხის ტაძარში დავიწერეთ, მერე „კონკაზე“ მოვაწერეთ ხელი და ქორწილიც მეტეხის უბანში გადავიხადეთ. მერე საქორწინო მოგზაურობაში თურქეთში გავემგზავრეთ. ქორწილისთვის სონიამ ქართული ცეკვა ისწავლა. ნამდვილი ქართული ქორწილი გადავიხადეთ.

სონია:

— „და, ია უჩილას ტანცევატ ქარტული ცეკვა“... ყველაზე მეტად კი „აჭარული“ მომეწონა. მე და ლაშამ რეპეტიციები სუხიშვილების ყოფილ მოცეკვავესთან გავიარეთ. ქორწილში ცეკვა მართლაც გამოგვივიდა...

— ლაშა, მშობლებისგან ცალკე ცხოვრობთ?

— კი, ჩემი მშობლები ქუთაისში არიან.

— სონია, ქართული სამზარეულოდან რისი გაკეთება ისწავლეთ?

— ჯერჯერობით მხოლოდ მჭადს ვაცხობ, აბა, ხინკლის გაკეთება მე კი არა, მეეჭვება, ყველა ქართველმა იცოდეს... თანამედროვე თბილისზე მინდა, ჩემი შეხედულება გაგიზიაროთ: 2005 წლის შემდეგ აქ ბევრი სერიოზული ცვლილება მოხდა — თითქმის ყველაფერი რესტავრირებულია. მოსკოვში კი შენობებს საშინელი რესტავრაცია უკეთდება. იქ უბრალოდ, ძველს ანგრევენ და სანაცვლოდ, ახალს აშენებენ. აქ სიძველეს უფრთხილდებიან, რაც ძალიან მომწონს. თბილისის უბნებიდან განსაკუთრებულად მიყვარს სოლოლაკი. ჩემი აზრით, ახალაშენებული სახლებიც ჯდება იმ არქიტექტურაში, რომლითაც ეს უბანი გამოირჩევა. მომწონს ძველი თბილისური აივნები, მაგრამ ქალაქის თანამედროვე არქიტექტურაც კარგია. შუშის ახალ ხიდზე ვგიჟდები. მოსკოვშიც არის ფეხით მოსიარულეთათვის ხიდები, მაგრამ ისინი უხეშად არის ნაგები. მომწონს ის, რომ შენობების ფასადები არაჩვეულებრივად თბილი ფერის განათებითაა გაფორმებული. მასში გემოვნება იგრძნობა. თბილისს თავისი გამორჩეული კოლორიტი აქვს... ცუდია, რომ ჩემს მშობლიურ ქალაქზე ცუდად ვილაპარაკე, მაგრამ რა ვქნა, ასეა.

— ქართული ტრადიციებიდან რა მოგწონთ?

— სასიამოვნოა, რომ სუფრასთან შეკრებილები სადღეგრძელოებს ამბობენ. ამასთან, მშობლები შვილებს სადღეგრძელოების თქმას ასწავლიან. თავიდან ცოტა მეუხერხულებოდა, ვერ ვხვდებოდი, რატომ უნდა მეთქვა სადღეგრძელო, მაგრამ მერე შევეჩვიე. ჩემი აზრით, ტრადიციებს შენახვა და მოფრთხილება სჭირდება... და კიდევ — ქართველ მამაკაცებს განსაკუთრებული დამოკიდებულება ახასიათებთ ქალების მიმართ. ახლა, ფაქტობრივად, რუს მამაკაცებს ეს თვისება აღარ გააჩნიათ. ქალბატონებს პატივს ისე არ სცემენ, როგორც აქაურები. ქართველი მამაკაცი კავალერია. ისიც მომწონს, რომ ქართველებს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ მოხუცების, ბავშვების მიმართ. რუსეთში ასე არ არის — რაკი მოხუცია, ესე იგი, უკვე არაფერი ესმის, — უმრავლესობა, სამწუხაროდ, ასე ფიქრობს.

— ქართული ცეკვა რომ მოგეწონათ, ამის შესახებ უკვე მითხარით; რას იტყვით ქართულ სიმღერაზე?

— ჯერ კიდევ მოსკოვში ყოფნისას დავდიოდი ნინო ქათამაძის კონცერტებზე, ძალიან მომწონს ეს შემოქმედი, ასევე ჯგუფი — „ვვა“ და ზუბმა...

ლაშა:

— როდესაც სონია მეგობრებთან ერთად საქართველოში პირველად ჩამოვიდა, ქართული სიმღერების დისკი უყიდიათ და თან წაუღიათ. მოსკოვში რომ ჩავედი, ჩამირთეს ქართული სიმღერა და მეუბნებიან, — ეს ჩვენი საყვარელი სიმღერაა. მათი საყვარელი სიმღერა — „3 დალიე, შეგერგება“ არ აღმოჩნდა?! მართალია, სიტყვები არ ესმოდათ, მაგრამ მაინც მოსწონდათ. დაჟინებით მიმტკიცებდნენ, — სიყვარულზეაო...

სონია:

— როდესაც მაღაზიაში შევედით და ვიკითხეთ, — რომელია ყველაზე პოპულარული ქართული დისკი-თქო? — ის მოგვცეს, რომელზეც ლაშამ ილაპარაკა. იმ დისკში იყო ასევე სხვა სიმღერებიც: „პატარა ხარ, პატარა“, „თოვლიანი მთები“... ახლა ამ სიმღერების ტექსტები და შინაარსიც უკვე ზეპირად ვიცი.

— როგორც ვიცი, ცოტა ხნის წინ ლაშამ გერმანიაში გამგზავრებასა და მუშაობაზე კონტრაქტს მოაწერა ხელი. ალბათ თქვენც მიჰყვებით, არა?

— დიახ, მეც მივდივარ და ახლა გერმანულს ვსწავლობ. საელჩოში გერმანულ ენაში გამოცდა უნდა ჩავაბარო.

ლაშა:

— დიახ, ჩემი პროფილით გერმანიაში სარეაბილიტაციო კლინიკაში კონტრაქტი გავაფორმე და იქ მეგობართან ერთად მივემგზავრები. ორივეს ქალაქ ერფურტში გვაქვს კონტრაქტი გაფორმებული. ფორმალური მხარეებიღაა მოსაგვარებელი — სამუშაო ვიზის მიღებას ველოდებით. ■

წარმატებული ქართველი ორთოპედის გერმანულ-ქართული ცხოვრება

ამბობს, — ჩემი მიზანი არ ყოფილა და არც ახლა არის სამუდამოდ გერმანიაში ცხოვრება, მხოლოდ კვალიფიკაციის ასამაღლებლად წავედი და მინდა, უკან კარგ ექიმად დავბრუნდე; ახლაც მთავაზობენ საქართველოს პასპორტის ჩაბარებასა და გერმანიის მოქალაქეობის მიღებას სულ რაღაც სამ დღეში, მაგრამ არ ვთანხმდები; ვფიქრობ, ნამდვილად შემიძლია, საკუთარი ცოდნითა და გამოცდილებით ბევრი სიკეთე მოვუტანო ჩემს ხალხს და ასეც მოვიქცევიო. დროდადრო სტუმრობს საქართველოს და ყოველთვის უძნელდება აქედან წასვლა. სამწუხაროა, რომ ემიგრანტია, მაგრამ ბედნიერებაა, რომ თავის საქმეში წარმატებულია. „პალიტრა მედიაში“ ჩემს კოლეგასთან, ეკა ხოსიაშვილთან ერთად გვეწვია. ხალისიანი ახალგაზრდა ჩანდა, უშუალო და ენაწყლიანი. გერმანიის ქალაქ ჰაგენის საავადმყოფოს ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის კლინიკის ექიმი გახლავთ — გიორგი ჟუმბურიძე. თბილისში ხანმოკლე სამუშაო პროგრამით ჩამოვიდა, ხანგრძლივად კი შემორჩა. ამიტომაც უფრო მოიცალა შესახვედრად.

ირმა ხარშილაძე

— განათლება საქართველოში მივიღე: ჯერ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დავამთავრე, შემდეგ — ასპირანტურა აქვე, პათოლოგიური ანატომიის კათედრაზე. სტუდენტობისას ჩემმა ლექტორმა და საგარეჯოს საავადმყოფოს ქირურგმა, ზურაბ ვარაზმა იმავე საავადმყოფოში გავლილი პრაქტიკით ისე შემაყვარა ქირურგია, სპეციალობად ავირჩიე და სწავლის დასრულებისთანავე საკუთარი სურვილით სამუშაოდ საგარეჯოში წავედი. ვფიქრობდი, იქ მიღებული პრაქტიკის წყალობით, მეტად დავოსტატდებოდი, თუმცა ახალგაზრდა ქირურგის წინსვლისთვის დღესაც რთული ვითარებაა საქართველოში და მით უმეტეს ურთულესი გახლდათ 90-იან წლებში. ამიტომაც გადავწყვიტე, წავსულიყავი განვითარებულ ქვეყანაში, რომელიც სამედიცინო თვალსაზრისითაც მოწინავედ მიიჩნეოდა და გერმანია შევარჩიე, სადაც ჩემი სტუდენტი და ცხოვრობდა. უპირველესად ენის შესწავლას შევუდექი, ჯერ „ბენედიქტის სკოლაში“, შემდეგ — გოეთეს ინსტიტუტში. ჩვენი სამედიცინო ინსტიტუტის დიპლომი კი ჭრიდა იქ, მაგრამ სპეციალობით მუშაობის საშუალებას მაინც არა და არ მაძლევდნენ. 2 წელიწადი დამჭირდა სამუშაო ლიცენზიის მისაღებად.

— აბა, სწავლის, საცხოვრებლისა და კვების ფულს როგორ შოულობდით?

— სტუდენტური ვიზით ვიყავი წასული. სტუდენტს კი წელიწადში 3 თვე მუშაობა შეუძლია. ასე რომ, ეს 3 თვე საათებად გადავანაწილე და ვმუშაობდი — არა სპეციალობით. თბილისში რაგბის ვთამაშობდი და სწორედ ამან მიშველა: რეგიონული ლიგის გუნდში ჯერ მოთამაშედ მიმიღეს (კარგ მოთამაშედ მიმიჩნევდნენ), გუნდის იტალიელი მწვრთნელის წასვლის შემდეგ კი მწვრთნელად გადამიყვანეს. ერთ წელიწადში ჩვენი გუნდი რეგიონის — ბაიერნის ლიგიდან უმაღლეს — ბუნდესლიგაში გადავიდა.

— ალბათ, თქვენი დამსახურების წყალობით...

— ეს მგონი, ძალიან „ხმამაღლაა“ ნათქვამი, თუმცა წარმატებას ჩემი მწვრთნელობისას მივაღწიეთ. ისე, კარგი სელექციონერი აღმოვჩნდი — მშვენიერი გუნდი შევქმენი (*იღიმის*). ძალიან დატვირთული 2 წელიწადი მქონდა: კვირაში სამჯერ გუნდთან ვვარჯიშობდი, თან ენას ვსწავლობდი, პარალელურად კი ოთხ სხვადასხვა საავადმყოფოში ოპერაციებს ვესწრებოდი, ოღონდ ჩარევის უფლება არ მქონდა. 2 წლისთავზე მორაგბეთა გუნდის მადლიერმა პრეზიდენტმა მიუნხენში, ბავარიის მთავრობას მისწერა: ეს კაცი 2 წელიწადია, უხელფასოდ გვემსახურება, გუნდი ბუნდესლიგაში გადაიყვანა (სხვათა შორის, გუნდიდან ჩემი წამოსვლის შემდეგ პირველ ლიგაში ჩამოქვეითდნენ) და იქნებ გამონაკლისის სახით მოუსმინოთ მაინცო. წერილის მიღებიდან მეორე დღესვე დამიბარეს, მომისმინეს და მითხრეს, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. აღმოჩნდა, რომ იქაც კი იყო შესაძლებელი გამონაკლისის დაშვება. მირჩიეს, რომელი ადვოკატი ამეყვანა, რა გამეკეთებინა და ა.შ. მოკლედ, ჩემი მდგომარეობა მოარგეს რომელიღაც კანონს: გერმანია კარგ სპეციალისტად „გამზრდიდა“, 6 წლის შემდეგ კი ან მშობლიურ ქვეყანას უნდა დავბრუნებოდი, ან რომელიმე განვითარებად ქვეყანაში წავსულიყავი. 6 წელიწადზე მეტხანს არც ვაპირებდი იქ ცხოვრებას. ასე რომ, ეს პირობა მივიღე და მუშაობაც დავიწყე, მაგრამ... ადამიანი გეგმით ვერ იცხოვრებს. გერმანელი გოგონა შემიყვარდა და ცოლადაც შევირთე.

— ვიდრე სიყვარულსა და ოჯახზე ვისაუბრებთ, ისიც გვიამბეთ, როგორ „გაგზარდათ“ გერმანიამ კარგ სპეციალისტად?

— ექიმად 2004 წლიდან ვმუშაობ. ზოგადი ქირურგიით დავიწყე და სხვადასხვა ქალაქში ვიყავი. 5-6 წელიწადია, ქალაქ ჰაგენის საავადმყოფოს ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის კლინიკის ექიმი ვარ. იქ ჩემი ბავშვობის მეგობარი, თემურ უზნაძე მუშაობდა და ვაკანსიის შესახებაც მან შემატყობინა. ჩავედი, შემამოწმეს და მიმიღეს კიდეც. უამრავ ოპერაციას ვესწრებოდი, 500-ზე მეტი უშუალოდ მე გავაკეთე და მივხვდი, ჩემი მიზნების მიღწევის დროც დგებოდა: როგორმე ჩემი ცოდნა საქართველოსთვის უნდა გამომეყენებინა. ჩემს ხელმძღვანელს, ჰელმუტ ქუეკენშტედს შევთავაზე საქართველოში ჩამოსვლა და ძალიან ნიჭიერ ქართველ კოლეგებთან ერთად რამდენიმე ოპერაციის ჩატარება. ჩემი იდეა სიმონ ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორს, ბატონ დავით მენაბდესაც გავუზიარე და საკმაოდ

კარგი პროექტი გამოგვივიდა. შესანიშნავად ვიმუშავეთ კობა დიასამიძესა და ზურაბ ავაზაშვილთან ერთად.

— ამბობთ, რომ ქართველი ექიმები არავის ჩამოუვარდებიან დონითო. მაშინ რით გამოირჩეოდა ქართულ კლინიკაში ჩატარებული ერთობლივი ოპერაციები?

იანა, ნანიკო და გიორგი

— ვინმესთვის ჭკუის სასწავლებლად კი არ ჩამოვსულვართ! ხაზგასმით ვამბობ, რომ ქართველი ექიმები განათლებითაც და შრომისუნარიანობითაც ძალიან კარგები არიან. მით უმეტეს, ამერიკასთან, ისრაელთან და გერმანიასთან შედარებით გაცილებით უარეს პირობებში უწევთ ოპერაციების ჩატარება და მათი მიღწეული შედეგები გმირობის ტოლფასია. ჩვენი ჩამოსვლისა და ერთობლივი ოპერაციების ჩატარების მიზანი უახლესი მეთოდებითა და აპარატურით მუშაობის გამოცდილების გაზიარება იყო.

— კონკრეტულად რა ოპერაციები ჩაატარეთ და რა უახლეს მეთოდებზეა ლაპარაკი?

— მუხლის სახსრის ენდოპროთეზირება ორთოპილოტის კომპიუტერული სისტემის დახმარებით ჩატარდა. კომპიუტერი თავად გვაწვდის ოპერაციის ჩასატარებლად წინასწარ მონაცემებს და ჩასაყენებელი პროთეზის ზუსტ ზომებს. მისი მეშვეობით ავადმყოფს, ფაქტობრივად, ანატომიურ მონაცემებს სრულად უნარჩუნებ. თუ ამ კომპიუტერული სისტემის მოხმარება კარგად არ იცი, შეიძლება, უარესი შედეგი მიიღო. ამიტომ ავადმყოფმა არ უნდა იფიქროს, რომ ოპერაციას რობოტი უკეთებს; ოპერაციას ადამიანი — ქირურგი აკეთებს, „რობოტი“ კი სიზუსტეში ეხმარება.

— საქართველოში არსებობს ეს კომპიუტერული სისტემა?

— როგორც ვიცი, ერთხელ, შარშან თუ შარშანწინ, ჩამოიტანეს და ოპერაციაც გააკეთეს, მერე კი უკან წაიღეს. ჩვენს ჩამოტანილ აპარატს ერთი წლით თბილისში ვტოვებთ და კიდევ რამდენჯერმე ჩამოვდივართ ოპერაციების ჩასატარებლად. მუშაობის გამოცდილების მიღების შემდეგ კი ვფიქრობ, კლინიკის ხელმძღვანელობა შეიძენს კიდეც.

— ამდენი წელიწადია, გერმანიაში მუშაობთ, ახლა აქაც მოგიწიათ პაციენტებთან ურთიერთობამ. ძალიან განსხვავდებიან ქართველი ავადმყოფები გერმანელებისგან?

— ქართველი პაციენტები განსაკუთრებულები არიან (*იცინის*). გერმანელი ავადმყოფი მოდის და გეუბნება: ეს მტკივაო, შენ — ექიმი კი უხსნი, რომ იმ სენის სამკურნალოდ ესა და ეს წამალი ან ოპერაცია არსებობს. ის აზუსტებს, რა მეთოდს ანიჭებ უპირატესობას. სთავაზობ კონკრეტულ გზას და ისიც ირჩევს. ქართველი პაციენტი მოდის და თხრობას იმით იწყებს, შენამდე რამდენ ექიმთან იყო, სათითაოდ გიამბობს, რომელმა რა უთხრა, ვინ ცუდი იყო, ვინ — უკეთესი. კოლეგაზე ასეთი ლაპარაკის მოსმენა არც მიყვარს და არც არასდროს შევაფასებ მის ნაღვაწს... ბოლოს პაციენტი გეკითხება, თქვენ როგორ ფიქრობთო? ეტყვი შენს აზრს და მომდევნო ეტაპი იწყება: თავიდან „დაგამთავრებინებენ“ სამედიცინო უნივერსიტეტს (*იცინის*): მოგთხოვენ, დეტალურად აუხსნა, როგორ დაიწყებ ოპერაციას, რა მეთოდით ჩაატარებ, სად რას გადაჭრი, რატომ და ასე შემდეგ. არ ესმის, მაგრამ მაინც უნდა აუხსნა. და მეც ვეუბნები, — ეს რომ გამეგო, წლები დამჭირდა, მას კი სურს, წლების განმავლობაში ნასწავლი 5 წუთში გადავცე.

— ფიქრობთ, რომ ამდენი შეკითხვის დასმა ქართული ბუნების ბრალია?

— ალბათ — ქართველებს ხომ ყველაფერი გვაინტერესებს.

— იქნებ უნდობლობის მომენტიცაა. სამწუხაროდ, ქართველ პაციენტებს ხშირად სჭირდებათ ფხიზლად ყოფნა და დეტალებში გარკვევაც, ექიმს ან ექთანს წამალი და დოზა რომ არ აერიოს, დიაგნოზი ზერელედ და შესაბამისად, შეცდომით არ დასვას და ა.შ. არც მე უარვყოფ, რომ კარგი და გულისხმიერი ექიმებიც გვყავს, თუმცა ბევრი საწინააღმდეგო მაგალითის მოყვანაც შემიძლია. ამიტომ ნუ გაგაოცებთ ქართველი პაციენტების გადაჭარბებული ცნობისმოყვარეობა... რომ არ იუხერხულოთ, თემა შევცვალოთ და კვლავ თქვენს ქართულ-გერმანულ ოჯახზე ვისაუბროთ.

— სხვათა შორის, ჩემი მეუღლე — იანა შირერი ძალიან კარგად ლაპარაკობს ქართულად, ძალიან უყვარს საქართველო და უკვე ორი შვილიც გვყავს. თუმცა ცოლი გერმანიაში გზის გასაკვალავად კი არა, მას შემდეგ შევირთე, რაც წარმატებებს მივაღწიე. შემდეგ ავტომატურად მივიღე გერმანიაში ცხოვრების უფლებაც.

— თავისთავად, შვილები გერმანიის მოქალაქეები არიან და...

— ბავშვებს ჰქვიათ ნანა და რეზიკო — დედის და ბიძის სახელები დავარქვი და მართალია, იქ დაბადებისთანავე გერმანიის მოქალაქეობა მიიღეს, ასეთივე წარმატებით მიიღებენ საქართველოს მოქალაქეობასაც. ნანა 2 წლისა და

თბილისში რაგბის ვთამაშობდი და სწორედ აქან მიშველა

3 თვის არის და ორივე ენაზე ძალიან კარგად ლაპარაკობს: ქართულად დაელაპარაკები და აუცილებლად ქართულადვე გიპასუხებს, გერმანულად ეტყვი რამეს და გერმანულად გეპასუხება — სიტყვებს არასდროს ურევს. ჩემს მეუღლეს სურს, ბავშვები სასკოლო ასაკს რომ მიაღწევენ, საცხოვრებლად საქართველოში ჩამოვიდეთ და ქართულ სკოლაში ისწავლონ. მე არ დამიძალებია, აუცილებლად აქ ვიცხოვროთ-მეთქი. თვითონ აირჩია. არც ის დამიძალებია, მართლმადიდებლურად მოინათლე-მეთქი. პირიქით, ვუთხარი, — არ მინდა, ჩემი გულისთვის მოინათლო, როგორც უფალი გადაგაწყვეტინებს, ისე მოიქეცი-მეთქი. თვითონ შეიძინა გერმანულ ენაზე ორთოდოქსული წიგნები და კითხულობდა. ხშირად ჩავდიოდით მიუნხენის ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში, მამა თამაზთან, რომელთანაც მღვდლად კურთხევამდეც ვმეგობრობდი. მერე ჩემი მეუღლე მოინათლა და ახლა მამა თამაზი მისი მოძღვარია. სხვათა შორის, ძალიან განიცადა ჩემმა ოჯახმა, გერმანელი ცოლი რომ შევირთე, მაგრამ დღეს ძალიან უყვართ და დიდ პატივს სცემენ. მეც განვიცდიდი უცხოელის ცოლად შერთვას: ვფიქრობდი, როგორც მე არ მინდა მუდმივად სხვა ქვეყანაში ცხოვრება, ხომ შეიძლება, მანაც არ ისურვოს-მეთქი. ამიტომაც არ დავიწერეთ ჯვარი, ვიდრე ერთმანეთის გრძნობებში არ დავრწმუნდით. შვილებიც მერე გვეყოლა. იანა თვეობითაც დარჩენილა საქართველოში. შარშან, საახალწლოდ, ერთი თვით ძლივს ჩამოვედი, ის კი სამი თვე აქ იყო და თურმე, სუპერმარკეტში პროდუქტის შესაძენად, ავლაბრიდან დიდ დიღომში, სამარშრუტო ტაქსითაც მშვენივრად მგზავრობდა. ერთხელ დავურეკე და ვეკითხები, სად ხარ-მეთქი? ქართულად მიპასუხა: „მარშრუტკაში“ ვზივარო. გავგიჟდი: რა „მარშრუტკაში“, სად მიდიხარ-მეთქი? — დიდ დიღომშიო. კინაღამ გული გამისკდა. ამ ქალაქში დავიბადე და გავიზარდე და გეფიცებით, წარმოდგენა არა მაქვს, რა ნომერი „მარშრუტკა“ მიდის ავლაბრიდან დიდ დიღომში (*იცინის*)... ეგ კი არა, უნდა უსმინოთ, ქართულ სადღეგრძელოებს როგორ ამბობს ან როგორ ხაჭაპურს აცხობს. რაც მთავარია, მჭადის გამოცხობა იცის! ასე რომ, თვითონ უნდა ქართველობა და იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება! ■

სნეული შვილი და დედის ტრაგედია...

„ჩვენ დევნილები კი არა, უსახლკაროები ვართ“

ნათია ვერულიძეს დეკემბერში 20 წელი შეუსრულდა. აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა, შრომობდა... ავადმყოფობა სრულიად მოულოდნელად, 2 თვის წინ აღმოაჩნდა. თავის ტვინის ავთვისებიანი სიმსივნის ბოლო სტადია დაუდგინდა. ძალიან მძიმედ არის, თუმცა გონება და აზროვნება არ დაუკარგავს. დედამისმა გვითხრა, შესაძლოა, ამ სტატიის გამოქვეყნებას ვერც მოესწროსო...

ელენე ხირსელი

*ნათია ახალგაზრდაა, მაგრამ ცხოვრებაში უკვე ბევრი გულისტკენა და იმედგაცრუება შეხვდა. 2 პატარას მარტოხელა დედაა. ჰყავს 2 წლისა და 4 თვის ანა-მარია და 8 თვის როლანდი. ჰყავს — მშობლები და 17 წლის და — ხატია. ეს ადამიანები ახლა მისთვის ცხოვრობენ. ისინი დევნილები არ არიან, მაგრამ სახლი არა აქვთ და დროებით, დევნილებთან ერთად, სოფელ სკრის (გორის რაიონი) საბავშვო ბაღში არიან შესახლებულები. ერთ პატარა ოთახში 6 სული ცხოვრობს. ბოლო დროს, როცა ხელისუფლებამ აქტიურად დაიწყო საბავშვო ბაღებიდან დევნილების გამოსახლების პროცესი, ნებისმიერ წუთს შეიძლება, რომ ისინი ღია ცის ქვეშ აღმოჩნდნენ. მათ წასასვლელი არსად აქვთ, არც შემოსავალი გააჩნიათ. ოჯახი სოციალურად დაუცველია. მათ გასაჭირსა და ნათიას ტრაგიკულ ბედზე დედამისი — **ხათუნა ჩიხლაძე** გიამბობთ.*

— ნათიას ბედნიერი ბავშვობა ჰქონდა. თბილ და მეგობრულ ოჯახში იზრდებოდა. ჩვენი სახლიდან მხოლოდ სიმღერისა და სიცილ-კისკისის ხმა გადიოდა. იუმორის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოგვედგინა. თქვენს ჟურნალშიც ხშირად ვგზავნიდით გზავნილებს „ფიქრია სევდაძის“ ფსევდონიმით. ახლა კი „გზას“ პირად ტრაგედიაზე ვესაუბრები... ნათია მხიარული, მოუსვენარი გოგონა იყო. უთენია ადგებოდა საწოლიდან და სანამ გავიღვიძებდით, სახლიც დალაგებული იყო და საუზმეც მომზადებული. სულ ჩქარობდა... სახლში ხშირად მათხოვრებიც მოჰყავდა და აპურებდა...

— **როგორც ვიცი, პირადად თქვენ ოზურგეთიდან ხართ...**

— კი, გორის რაიონში, სოფელ ძევერაში გავთხოვდი, მაგრამ იმის გამო, რომ ჩემს მეუღლეს, გარკვეული მიზეზების გამო, თავისი სახლი არ ჰქონდა, გორში, ქირით ვცხოვრობდით. როლანდი შესანიშნავი მამა და მეუღლეა. თავისთვის ყველაფერს მოიკლებდა, ოღონდ ოჯახის წევრების სახეზე ღიმილი ენახა. ორივე ვცდილობდით, ბავშვებისთვის არაფერი მოგვეკლო. ერთდროულად რამდენიმე სამსახურში ვმუშაობდით...

— **ნათია ჯანმრთელი ბავშვი იყო?**

— ძალიან, მაგრამ ერთხელ, 13 წლის ასაკში, გონება გაეთიშა. მას მერე 3 თვის მანძილზე, დღეში რამდენჯერმე, 1 საათით ეთიშებოდა ხოლმე გონება. გორში ექიმი არ დამიტოვებია. არაფერი სჭირსო, — მეუბნებოდნენ. სამუშაოზე „ლატარია“ ვითამაშე, 600 ლარი ავიღე და გადავწყვიტე, ბავშვის ჯანმრთელობა საფუძვლიანად გამომეკვლია. ნათესავს მანქანაში საწვავი ჩავუსხით და თბილისში წავედით. ათმა პროფესორმა გასინჯა, — ყველამ ერთი და იგივე დასკვნა გამოიტანა — ჩაბრუნებული ჩიყვი, რაც გარდატეხის ასაკს დააბრალეს. აზრად არავის მოუვიდა, რომ მისთვის თავის ტვინი გამოეკვლიათ. მითხრეს, გათხოვდება, ბავშვებს გააჩენს და გაუვლისო. თურმე, ყველაფერი პირიქით ყოფილა: არც გათხოვება და მით უფრო, არც ბავშვის გაჩენა არ შეიძლებოდა... თებერვალი იყო, თოვდა, მცხეთას რომ გამოვცდით, ქვიშით დატვირთული „კამაზი“ დაგვეჯახა. მხოლოდ მე და ნათია დავშავდით. ღუდუშაურის კლინიკაში წაგვიყვანეს და რაც კი თანხა მქონდა, იქ დამეხარჯა. მე 4 ნეკნი და ორივე ყბა ჩამემტვრა, ძლიერი ტვინის შერყევა მივიღე, 3 თვე ფეხზე ვერ დავდექი. ქალიშვილს ბეჭი მოსტყდა და მანაც ტვინის შერყევა მიიღო. მაგრამ საოცარია, იმ ავარიის შემდეგ, ნათია ცუდად აღარ გამხდარა. იმ პერიოდში კიდევ ერთი ცუდი ამბავი შეგვემთხვა — მეუღლეს თავს დაესხნენ და სასტიკად სცემეს. ის გზაზე გონებადაკარგუ-

ლი, დასისხლიანებული იპოვეს. ისეთი შეშუპებული იყო, სახეზე ნაკვთები აღარ ეტყობოდა, კიდურებიც დასივებული ჰქონდა. ამის გამო ინფარქტიც გადაიტანა, ზედ მძიმე ფორმის ეპილეფსიაც დაერთო...

— ნათია როდის გათხოვდა?

— 15 წლის იყო, როცა შემთხვევით, მობილურზე ვიღაცამ დაურეკა. ასე გაიცნო 25 წლის ყმაწვილი კახეთიდან. მთელი წლის განმავლობაში ტელეფონით ისე საუბრობდნენ და მესიჯობდნენ, რომ ერთმანეთი არ ენახათ. ნათია გულუბრყვილო, გამოუცდელი ბავშვი იყო, ის კი უკვე ზრდასრული მამაკაცი. ტკბილი სიტყვებით თავი შეაყვარა. ამ ურთიერთობის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი. ერთხელ, ნათიას მობილური ტელეფონი სახლში დარჩა, იმ ყმაწვილმაც სწორედ მაშინ დარეკა. ტელეფონს მე ვუპასუხე: პატარა გოგოა, თავი დაანებე, ცხოვრებას ნუ უფორიაქებ-მეთქი. მან მითხრა: ნათია მიყვარს, თავს ვერ დავანებებ, თქვენ ვერ დაგვაშორებთ, მაინც ჩემი გახდებაო... ერთხელ, ნათია სოფელში დაქალთან დარჩა, ტელეფონი არ გავატანე. იმ ბიჭმა რომ დარეკა, ვუთხარი, ჩემი შვილი გათხოვდა, 2 დღეა, რაც გაიპარა და აღარ შეგვაწუხო-მეთქი. აღელდა, ტირილიც კი დაიწყო, ქმრის ტელეფონის ნომერი მომეცით, უნდა მისგან წამოვიყვანოო. მთელი საღამო რეკავდა. მეორე დღეს აღარ დაურეკავს. თურმე ჩემი ქალიშვილი თვითონ შეხმიანებია... ვიცოდით, რომ ნათია სოფელში რამდენიმე დღით უნდა დარჩენილიყო, მაგრამ მეორე დღესვე ჩამოვიდა. პარასკევი იყო, მითხრა, წირვის გაცდენა არ მინდაო. დილა რომ გათენდა, საგანგებოდ გამოიპრანჭა და დასთან ერთად, ეკლესიაში წავიდა. 12 საათზე სახლში უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ 2 საათი გახდა და ბავშვები არ ჩანდნენ. ხატიას რომ დავურეკე, ტიროდა, — სახლში ვერ მოვდივარ, ნათია გათხოვდაო. თურმე იმ ბიჭს უფიქრია, ნათიას მართლა გაათხოვებენო და ჩემი შვილი გაპარვაზე დაიყოლია. ჩასვა მანქანაში და პირდაპირ სახლში მიიყვანა. ეს ამბავი რომ გავიგე, ძლივს მომასულიერეს... ვინერვიულეთ, მაგრამ რაღას გავხდებოდით, — ბედს შევეგუეთ. შეძლებული ოჯახი იყო და ბიჭის მშობლებს მდიდარი საპატარძლო ნდომებიათ. როგორც ირკვევა, „კანდიდატურა“ შერჩეულიც ჰყავდათ. ვაჟმა გეგმები ჩაუშალა. ჩვენ კი სახლიც არ გვქონდა. ამიტომ, ჩემი გოგონა პირველივე დღიდან აითვალწუნეს, შვილს სულ იმას უჩიჩინებდნენ, — რად მოიყვანეო... ჩემი მეუღლე სამუშაოდ კიევში წავიდა, იფიქრეს, ფული გაუჩნდათო და ნათიას დედამთილმა დამირეკა, — შენმა მეუღლემ 500 დოლარი გამოგვიგზავნოსო. ცოტა ხანში კი შემოგვითვალა, იქნებ ახალდაქორწინებულებს ბინა უყიდოსო. არადა, როლანდი მხოლოდ იმდენს ახერხებდა, რომ ჩვენთვის პურის ფული გამოეგზავნა.

— რა გახდა რეალურად ცოლ-ქმრის დაშორების მიზეზი?

— ნათია ფეხმძიმობის მეექვსე თვეში იყო. მეუღლისთვის უთქვამს, დედიკო მომენატრა და ვინახულოთო. გვესტუმრნენ. სიძე 2 დღე დარჩა. მერე ძალიან მშვიდად დაგვემშვიდობა: არაფერს გაგიჭირვებთ, მზრუნველობას არ მოგაკლებთ, ამდენ ქალს პატრონობა ხომ გინდათო და დაგვპირდა, ერთ კვირაში ჩამოვალო. მესამე დღიდან აღარ დაურეკავს. ნათია შეწუხებული იყო, ალბათ „სალაპარაკო“ არა აქვსო, მისთვის „ბალი-ბარათი“ მაყიდვინა და დაურეკა. მან გაბრაზებულმა უპასუხა: ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა, აღარ მიყვარხარო. სახტად დავრჩით... ვკითხე: ამიხსენი, რა მოხდა, რაშია საქმე-მეთქი? ვერაფერი ამიხსნა... აი, ასე აუხსნელად და უმიზეზოდ მიატოვა ფეხმძიმე ცოლი. ნათია უტყვი იყო, მაგრამ მოგვიანებით, სრულიად შემთხვევით წამოსცდა, — ფეხმძიმედ რომ დავრჩი, ოჯახში არ ესიამოვნათ, მეუღლეც მეუბნებოდა, — მუცელი მოიშორეო... ჩემი შვილისთვის ეს დიდი სტრესი იყო, რადგან ქმარი უზომოდ უყვარდა. იმ ამბიდან რამდენიმე დღეში გორი დაიბომბა.

— არც მაშინ მოიკითხა მეუღლემ ფეხმძიმე ცოლი?

— არა. დაბომბვის დროს აღარ ვიცოდით, რა გვექნა. პატრულს მივმართეთ, მან კი თბილისამდე სატვირთო მანქანას გაგვაყოლა. კარვების ქალაქში მოვხვდით, იქ 5-6 დღე ვიცხოვრეთ. მერე იქ ქალბატონი რუსუდან კერვალიშვილი მობრძანდა, შეებრალა ფეხმძიმე გოგო, დარეკა შესაბამის ორგანიზაციაში და №180-ე საჯარო სკოლის შენობაში გადაგვიყვანეს... ამდენი ნერვიულობისა და სტრესისგან ჩემს შვილს პრობლემები შეექმნა — ნაყოფის შესანარჩუნებლად ერთი თვე ღუდუშაურის კლინიკაში იწვა და 4 ოქტომბერს საკეისრო კვეთა გაუკეთდა. პატარა ანა-მარია ქვეყანას ასე მოევლინა. რუსუდან კერ-

ნათია ვერულიძე
ავადმყოფობამდე

ვალიშვილმა ბოლომდე უპატრონა ჩემს შვილს. სამშობიაროდან მან გამოიყვანა. დატვირთული ავტომანქანით მოვიდა და რაც კი დედასა და ახალშობილს სჭირდებოდა, ყველაფერი მოუტანა. რადგან მამამ პატარისთვის გვარის მიცემა არ ისურვა, ჩვენს გვარზე დავარეგისტრირეთ...

— და მიუხედავად ყველაფრისა, ისინი მაინც შერიგდნენ. როგორ მოხდა ეს?

— ანა-მარია 8 თვის იყო, რომ ყოფილმა სიძემ მოულოდნელად დამირეკა. მითხრა, ბავშვის ნახვა მინდა და ხელს ვერ შემიშლიო. ყურმილი ნათიას გადავეცი. ილაპარაკეს და შერიგდნენ... ჩემი გოგონა ისეთი ბედნიერი იყო, სიტყვა ვერ ვუთხარით. როცა მოგვიანებით ჩემმა მეუღლემ სიძეს ჰკითხა: კაცურად გთხოვ, მითხარი, რა მოხდაო? მან ასე უპასუხა: — არ მკითხო, მთავარია, რომ ამის შემდეგ კარგად ვიქნებითო. თავისთან, სოფელში წაიყვანა. მერე რთველში ჩვენც ვესტუმრეთ. კარგად შეგვხვდნენ. მერე ნათია და მისი ქმარი საცხოვრებლად თბილისში გადავიდნენ... ჩემი შვილი ხედავდა, რომ მეუღლე სხვა ქალებისადმი ზედმეტ ინტერესს ავლენდა, მაგრამ ყველაფერზე თვალს ხუჭავდა. სიძე ავტოგასამართ სადგურზე მუშაობდა, ნათია — კონსულტანტად მაღაზიაში. ბავშვი ჩემთან იყო. რა ვიცი, თითქოს ნორმალური ურთიერთობა ჰქონდათ. ერთხელაც პატარა ანა-მარია მომეწამლა და საავადმყოფოში დავაწვინე. ნათია უფროსს დაეთხოვა და ჩამოვიდა. პარასკევი იყო, ორშაბათს უკან უნდა გაბრუნებულიყო. შაბათ საღამოს ქმარმა დაურეკა და

უთხრა: „აღარ ჩამოხვიდე! შენთან ცხოვრება აღარ მინდა!“ რომ ვკითხე, ახლა რაღა მოხდა-მეთქი? — ისევ არაფერი ამიხსნა. ნათია მაშინაც უკვე 3 თვის ფეხმძიმე იყო... რამდენიმე თვეში გაჩნდა პატარა როლანდი.

— **ბავშვი თუ ნახა მამამ?**

— ბავშვი ახლა 8 თვისაა და მამამისს ჯერ არ უნახავს. მასაც დედის გვარი აქვს. ნათიას ისევ საკეისრო კვეთა გაუკეთეს... როცა ავად გახდა და ბავშვს ძუძუს ვეღარ აწოვებდა, პატარა ლამის შიმშილით მოგვიკვდა. სრულიად უცხო ადამიანებმა გულთან ახლოს მიიტანეს ჩვენი გაჭირვება. ესენი არიან გენდერული თანასწორობის რესურსცენტრიდან — ვერიკო ბიწაძე და ნინო მეგრელიშვილი...

— **ნათია ცუდად როდის გახდა?**

— შარშან სექტემბერში მისი შვილების მამა დაქორწინდა. ნათიამ ეს ამბავი ოქტომბერში გაიგო და იმის შემდეგ თავის ტკივილები დაეწყო. თითქოს მანამდე არაფერი აწუხებდა... 26 ნოემბერს, მე და ნათია ტყეში ასკილის მოსაკრეფად ვიყავით, 49 ლარის ოდენობის ასკილი საკონსერვო ქარხანას ჩავაბარეთ. მეორე დღეს ნათია ჩვეულებისამებრ, დილის 7 საათზე უკვე ფეხზე იყო. კიბეზე ამოდიოდა, უეცრად გონება დაკარგა და დაგორდა. „სასწრაფო“ გამოვიძახეთ. გორის ჰოსპიტალში თავის ტვინზე კომპიუტერული ტომოგრაფია გადაუღეს, დილით კი რეანიმობილით ღუდუშაურის კლინიკაში გადავიყვანეთ. მაგნიტორეზონანსული გამოკვლევის შედეგად, თავის ტვინის გიგანტური ზომის სიმსივნე დაუდგინდა. გვითხრეს, რომ უკვე დაგვიანებულია, მკურნალობას აღარ ექვემდებარება და ყველაფრისთვის მზად უნდა იყოთო. რეკომენდებული მხოლოდ წამლებია. 3 დღის შემდეგ ფეხზე აღარ დამდგარა, წელში მოწყდა... პროფესორმა გვითხრა, რომ საერთოდ ავადმყოფობა შეიძლება შეჩერდეს, მიძინებულ მდგომარეობაში იყოს და თუ მისი განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები არ შეიქმნა, შესაძლოა, პროგრესირება არ განიცადოს...

— **მას 20 წელი ახლახან შეუსრულდა...**

— ამ თარიღს ლოგინში, წელმოწყვეტილი შეხვდა. არადა, სულ სხვაგვარად წარმოედგინა ეს დღე, უნდოდა, განსაკუთრებულად აღენიშნა. ბავშვობაში წარმოიდგენდა ხოლმე, ნეტავი, 20 წლის როგორი ვიქნებიო... ძალიან მინდოდა, მისთვის უკანასკნელი დაბადების დღე გამელამაზებინა, მაგრამ ამის საშუალება არ მქონდა. 10 ადამიანი მოვიდა, — ახლობლები; მოუტანეს ტორტი, ულამაზესი თაიგული, ღვინო... ძალიან პატარა ოთახში ვცხოვრობთ და სტუმრებისთვის დასაჯდომი ადგილი არ არის. ამიტომ, სათითაოდ შემოდიოდნენ... ნათიას ყველაფერი სტკივა, სხეულის ყველა ნაკვთი. ექიმებს უკვირთ, კომაში რომ არ ვარდება. მართალია, ხშირად ითიშება, მაგრამ მაინც აზროვნებს, ყველაფერს ნათლად აღიქვამს... იმედი აქვს, რომ გამოჯანმრთელდება. სანთლებს ანთებს, ღმერთს ევედრება... როცა ტკივილი უტევს, აღარ ვიცი, რა გავაკეთო, მაგრამ აქეთ მამშვიდებს, პანიკაში ნუ ვარდები, გამივლისო. წუთითაც არ უშვებს იმას, რომ რამე მოუვა. ამ მდგომარეობაშიც კი შეუძლია, იხუმროს. ხანდახან ისეთ რამეს იტყვის, ცრემლი გადმოგვცვივდება და გარეთ გავდივართ, რომ ტირილით გული ვიჯეროთ.

— **ბავშვები დედასთან არიან?**

— ავადმყოფი რომ არ შეწუხებულიყო, გვინდოდა, პატარები დროებით სადმე წაგვეყვანა. არ ქნა, — მინდა, ჩემს შვილებს ვუყუროო. უფროსი ბავშვი ბაღიდან რომ მოვა, დედას შემოეხვევა, ტირის, თავს იკლავს — დედა უნდა, გრძნობს, რომ რაღაც ისე არ არის. ნათია, სანამ ცუდად გახდებოდა, პატარას ძუძუს აწოვებდა, ბავშვი ახლაც ძუძუსკენ მიიწევს...

— **ყოფილმა მეუღლემ თუ გაიგო ნათიას ავადმყოფობის შესახებ?**

— ანა-მარიას ნათლიამ დაურეკა, ბოლო დღეები აქვს, ენატრები და იქნებ ნახოო. მერე ნათიას მოძღვარმაც, საკუთარი ინიციატივით, მისი ტელეფონის ნომერი გამოგვართვა, — მინდა, ვნახო, დაველაპარაკოო. არც ამას მოჰყოლია შედეგი...

— **ვიცი, მატერიალურად ძალიან გიჭირთ...**

— ქირის გადახდა რომ ვეღარ შევძელით, დროებით საბავშვო ბაღში შეგვასახლეს. ოთახში ბაღის ინვენტარი, ძველი, მწყობრიდან გამოსული ავეჯი გვიდგას. ნათია საშინელ საწოლზე გვიწევს. თუმცა, მადლობის მეტი რა გვეთქმის, თავზე ჭერი მაინც გვაქვს. სოფლის გამგებელი შეშით დაგვეხმარა. ღუმელი სულ გვინთია, რადგან ნათია სიცივეს ვერ იტანს. საბავშვო ბაღი, სადაც ვცხოვრობთ, სამადლოდ, საჭმელს გვაწვდის... ბოლო დროს, ჩემი მეუღლის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა, დღეში 2-3-ჯერ აქვს გულყრა. თუმცა, მაინც ცდილობს, შეგვეშველოს, 2 „კაპიკი“ მაინც იშოვოს. უმცროსი ქალიშვილიც დაგვეჩაგრა — სკოლაში ვერ დადის, არც ტანსაცმელი აქვს, არც — ფეხსაცმელი და არც — წიგნები. ჩემს მეუღლესაც ვერ დავუნიშნეთ პენსია...

— **საბავშვო ბაღებში მცხოვრებ დევნილებს შესაბამისი ფართობით აკმაყოფილებენ. თქვენ რა ბედი გეწევათ?**

— ჩვენ დევნილები კი არა, უსახლკაროები ვართ, ამიტომ გვითხრეს, სახელმწიფო ვალდებული არ არის, ფართობი გამოგიყოთო. რომელი ერთზე ვიფიქრო, ამდენს როგორ გავუძლო?.. ნებისმიერ წუთს მოსალოდნელია, შენობის დატოვება მომთხოვონ, სად წავიდე?! ავადმყოფი სად წავიყვანო?! მშვიდად სიკვდილის საშუალება მაინც მიეცეს. საშინელი ფიქრები მომდის... ნათიას ბევრი წამალი სჭირდება, რომ ცოტა ხანს კიდევ იცოცხლოს, ტკივილი რომ გაუყუჩდეს. მე კი ამის საშუალება არ მაქვს. მისი ყოველი დღე, ყოველი წუთი ჩემთვის ძვირფასია. თუ ვინმე მადლიანი გამოჩნდება და დაგვეხმარება, დარჩენილ სიცოცხლეს გაულამაზებს...

ნათია მშობლებთან და შვილებთან ერთად

P.S თუ ამ ოჯახის დახმარების სურვილი გაგიჩნდებათ, დარეკეთ ტელეფონის ნომრებზე: 890 75-88-70; 851 14-40-64; ან შეგიძლიათ, თანხა გადარიცხოთ „ლიბერთი ბანკში“ — ხათუნა ჩიხლაძის სახელზე გახსნილ ანგარიშზე — №9092796940.

■



სამყარო

6 წლის ასაკში დაწყებული მუსიკალური კარიერა და ხელოვანი, რომელიც მუდამ ტონუსშია

მაია ბარათაშვილს საზოგადოება ძირითადად, როგორც Jazz-woman-ს, ისე იცნობს, თუმცა პარალელურად სხვა სფეროშიც წარმატებულ საქმიანობას ეწევა. ინტელიგენტურ ოჯახში აღზრდილი ქალბატონი თავისი საინტერესო ბავშვობისა და კარიერის შესახებ მოგვითხრობს:

თამთა დადეშელი

— ძალიან ბედნიერი და ლამაზი ბავშვობა მქონდა. ბებიასთან — მერი მგალობლიშვილთან ვიზრდებოდი, რომელმაც რუსული ენა მასწავლა და ამისთვის მისი მადლიერი ვარ. იგი ასევე ფლობდა ფრანგულ ენას, რომელიც სამწუხაროდ, ვერ ავითვისე, მხოლოდ ერთი ლექსი მახსოვს... არაჩვეულებრივად მღეროდა კიდეც. ბაბუაჩემი — გოგი მგალობლიშვილი, საქართველოს მთავარი მეღვინე იყო, კარგად იცოდა ღვინის წარმოების საქმე და ტექნოლოგია. დედაჩემი პროფესიით კბილის ექიმი გახლდათ, სხვათა შორის, ისიც კარგად მღეროდა; მამა — იურისტი. მოკლედ, ინტელიგენტური ოჯახიდან ვიყავი და მეც შესაბამისად მზრდიდნენ — ყველა შესაძლო დისციპლინაზე დავდიოდი — მუსიკაზე, ქართულზე. მე და მამა ხშირად ვთამაშობდით ჭადრაკს და შემდეგ, ამ პარტიებს ვარჩევდით კიდეც. სამწუხაროდ, ეს ცოდნა ახლა აღარ შემომრჩა, მაგრამ ის პერიოდი ჩემს მეხსიერებაში ძალიან ღრმად ჩაიბეჭდა. ყოველთვის ბევრს ვმეცადინეობდი, წიგნებს ვკითხულობდი და საკუთარ თავზე ვმუშაობდი. საოცარი დღესასწაული იყო ახალი წლის შეხვედრა ოჯახთან ერთად. დიდი და ლამაზი ნაძვის ხე გვქონდა, რომელსაც მე და ბებია გულმოდგინედ ვრთავდით ხოლმე. ბავშვობის მოგონებებს ასევე უკავშირდება ერთი დიდი სამოვარი. ვინაიდან ბებია რუსი იყო, ქართველზე გათხოვილი, ოჯახში გარკვეული რუსული ტრადიციებიც გვქონდა. ამ სამოვარზე დიდი თოჯინა — „ჩაინაია“ იჯდა, მას თუ დააფარებ, წყალს თბილად ინახავს. ჩაის სმის დროს სხვადასხვა თემაზე ვსაუბრობდით ხოლმე, ხან ფრანგულად, ხანაც რუსულად. მუსიკაში ინტენსიურად ვმეცადინეობდი ხოლმე. პირველი შეხება 6 წლის ასაკში მქონდა, პირველი ნაწარმოები კი, რომელიც დავუკარი, ბახის „მენუეტი“ გახლდათ. პირველად ორკესტრთან ერთად ბერკოვიჩის კონცერტი შევასრულე, მაშინ 7 წლის ვიყავი.

— როგორ შეძელით ასეთ მცირე ასაკში სერიოზული ნაწარმოებების შესრულება?

— ალბათ ცოტა ტალანტი, ბევრი შრომისმოყვარეობა და სურვილი დამეხმარა. მე-16 მუსიკალურ სკოლაში ვსწავლობდი და კარგი პედაგოგი მყავდა, მედიკო ჩხეტიანი. რამდენიმეს გვარჩევდა და შემდეგ, სიმფონიურ და კამერულ ორკესტრებთან ერთად გამოვყავდით. ბევრი კარგი ნაწარმოები დამიკრავს — ბალანჩივაძის, ბერკოვიჩის, არენსკის, გრიგის, რუბინშტეინის და ა.შ. ეს კონცერტები ყოველი წლის გაზაფხულზე კონსერვატორიის დიდ ან მცირე დარბაზში იმართებოდა. ჯერ 101-ე, შემდეგ კი 51-ე სკოლაში ვსწავლობდი. ამ წლებმა ძალიან საინტერესოდ განვლო.

— როგორი ტრადიციები იყო თქვენს ოჯახში?

— საერთოდ, ჩემს ოჯახში ხშირად იმართებოდა დიდი, ტრადიციული შეკრება. დედასაც და მამასაც ფანტასტიკური სამეგობრო წრე ჰქონდათ. ჩემს სახლში იკრიბებოდნენ რამაზ ჩხიკვაძე, დოდო აბაშიძე, ბათუ კრავეიშვილი, რომელიც სხვათა შორის ექიმი იყო და ფილმში „ქეთო და კოტე“ მთავარი როლი შეასრულა; მამას ბევრი იურისტი მეგობარი ჰყავდა — ბიძინა ბარათაშვილი, ლადო ბარათაშვილი. მამა ისე იცვამდა, როგორც ინგლისელი ლორდი და ასევე გამოიყურებოდა, ინგლისური ტვიდისგან სპეციალურად მისთვის შეკერილი უამრავი კოსტიუმი ჰქონდა. დღესაც ლეგენდებს მიყვებიან იმაზე, თუ როგორ ატარებდა შლაპებს ლევან ბარათაშვილი და მეამაყება, რომ ასეთი მამა მყავდა. მუდმივად დადიოდა შეკრებებზე, რომელსაც „სენატს“ ეძახდა და რომელიც ღამის 12 საათზე იწყებოდა, ზოგჯერ დილის 5 საათამდეც კი გრძელდებოდა. თბილისში ცნობილი ისტორიკოსები და იურისტები იკრიბებოდნენ. ისე დამაინტერესა, რომ ერთხელ მეც წავყევი და ნინო ანანიაშვილის ბაბუის — კვატაშა ხოჭოლავას სახლში აღმოვჩნდი, ბელინსკის ქუჩაზე. პატარა ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს, თითო ჭიქა ღვინის თანხლებით როგორ საუბრობდნენ ზოგადსაკაცობრიო თემებზე, ისტორიაზე, პოლიტიკაზე, მოკლედ, ინტელიგენტი ხალხი იყო და მათ წრეში ყოფნა ძალიან მესიამოვნა, მაგრამ ერთი ღამე ძლივს გავძელი, სავარძელში ჩამძინებია. ამის შემ-

დეგ უკვე ვიცოდი, სად დადიოდა მამა ღამის 12 საათზე.

— მუსიკის გარდა, რა ინტერესები გქონდათ?

— ხატვა მომწონდა, რამაც შემდგომში განაპირობა ის, რომ არქიტექტურულ ფაკულტეტზე ჩავაბარე. ინგლისური ენის მეცადინეობა მიყვარდა. ყველაფერი, რასაც ვსწავლობდი, ცხოვრებაში გამომადგა და მიხარია, რომ გამოყენება მოვახერხე. მამა ბევრ საინტერესო ამბავს მიყვებოდა ხოლმე, მათ შორის, ზღაპრებს. ხშირად ვსეირნობდით. სხვათა შორის, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ყოველთვის მიტაცებდა იდეალური, გამოგონილი სამყარო, ამიტომ დღესაც სიამოვნებით ვკითხულობ (ან ვუყურებ) ლამაზად გაკეთებულ ზღაპარს, მიუხედავად იმისა, რომ სერიოზული ლიტერატურის კითხვაც მიყვარს. საერთოდ, ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნულ ეპოსში დიდი სიბრძნეა და კარგად ჩანს კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის თვისებები, ყოველდღიური ცხოვრება... მთელი ჩემი ყურადღება ძირითადად, ფორტეპიანოზე, სწავლა-განათლებაზე იყო გადართული. ასე ბედნიერად ვცხოვრობდი... 15 წლის რომ გავხდი, დედა გარდამეცვალა და შესაბამისად, ბევრი რამ ვიტვირთე... ძალიან დადებითად მახსენდება სტუდენტობის პერიოდი. შესანიშნავი პროფესორები და ჯგუფელები მყავდა. სხვათა შორის, თამარა ქესელი (ქალიშვილობაში — ჩხეიძე), ჩემი ჯგუფელი, დღეს ძალიან მეხმარება გერმანიაში კონცერტების ორგანიზებაში. ცნობილი პროექტი ჯგუფ „შინთან“ ერთად, სწორედ თამარა და ვოლფ ქესელების დახმარებით განხორციელდა. თამარას იდეა იყო. მათი მეშვეობით ქალაქ კარლსრუეს მთავარი ბურგომისტრი გავიცანი და გერმანელ მუსიკოსებთან ერთად, მასთან მოწყობილ მიღებაზეც კი ვიმღერე.

— რა ასაკში დაიწყეთ მუშაობა?

— სანამ პროფესიულად გავიზრდებოდი, ინგლისურ ენაში მოსწავლეებს ვამზადებდი. 1992 წლიდან კავკასიის ბირჟაზე დავიწყე მუშაობა. საკმაოდ ფართო პროფესიული ბიოგრაფია მაქვს, ბევრ ადგილას მიმუშავია: ტექნიკური თარგმანის ინსტიტუტში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს საერთაშორისო პროექტებში; ამერიკის სავაჭრო პალატაში; ფადი ასლისთან „აგრიტექნიკსში“ 12 წელი ვიმუშავე; დღეს კი „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საერთაშორისო ურთიერთობათა კოორდინატორი გახლავართ. ისეთ დიდ მაუწყებლებთან ვთანამშრომლობთ, როგორებიც არიან ბი-ბი-სი, „დოიჩეველე“, „კანალ ფრანს ინტერნასიონალი“ და არაერთი საინტერესო პროექტი ხორციელდება. ჩვენი ტელევიზია ვითარდება, წინ მიდის, მისი სამაუწყებლო ფორმატი იხვეწება, გადაცემების შინაარსი, ახალი ტოქშოუები ემატება და ა.შ.

— როგორც არქიტექტორს, თუ გიმუშავიათ სადმე? საინტერესო სფეროა და არქიტექტორ-დიზაინერის პროფესია დღეს საკმაოდ აქტუალურია.

— აბსოლუტურად გეთანხმებით, მაგრამ ჩემი სპეციალობით არსად მიმუშავია. თუმცა ყოველთვის ვამბობ, რომ არქიტექტურა, ეს არის ჩემი წარსული, რომლითაც ვამაყობ, ბევრი რამ მომცა. თბილისში ქალისთვის, თანაც იმ პერიოდში, როცა უმაღლესი დავამთავრე, ეს ცოტა რთული იყო. სხვა ენერგიულ დანახარჯებს მოითხოვს, მე გადარჩენისთვის უნდა მებრძოლა და სხვაგვარი სამსახური მეშოვა.

— როგორც მახსოვს, თქვენი კარიერა ჯაზის სფეროში 1995 წელს დაიწყო, როდესაც მაშინდელ სასტუმრო „აჭარაში“ „დათოს ჯაზსოულ კლუბი“ დაარსდა. როგორ აღმოჩნდით მათთან? სად გაიცანით ერთმანეთი?

— გია მანჯგალაძემ, რომელიც ჩემი ბავშვობის მეგობარია და იცოდა, რომ სიმღერა მიყვარდა, მითხრა, ჯაზკლუბს ვხსნი და ესა და ეს სიმღერა უნდა იმღეროო. შემდეგ, მას დათო ლოლაძე შემოუერთდა, რომელიც სამწუხაროდ, დღეს ცოცხალი აღარ არის. დათო ლოლაძის და გია მანჯგალაძის კლუბში მუსიკოსების თაობები აღიზარდნენ და შესანიშნავი ჯემსეიშენები ეწყობოდა. ვაფასებ იმ ძალისხმევას, რაც ამ ორმა ადამიანმა დახარჯა, რომ ჩვენ ასეთი კარგი მუსიკა მოგვესმინა. მე და ქეთი ფარესაშვილმა ერთდროულად დავიწყეთ იქ მუშაობა და იმ დროიდან მოვდივართ ერთად. ის მძიმე პერიოდი — უსინათლობის, სიცივის და ბევრისთვის — შიმშილობისაც, შედარებით ადვილად გადავიტანე. პროფესიულად ვვითარდებოდი — საშუალება მქონდა, კარგ მუსიკოსებთან ერთად ცოცხლად მემუშავა, რაც ბევრს ნიშნავს. თამაზ ყურაშვილთან, დინი ვირსალაძესთან, გია რეხვიაშვილთან, გია სალაღიშვილთან, ზურა რამიშვილთან ვმუშაობდი და ამ ყველაფერმა კარგი პლატფორმა შექმნა იმისთვის, რომ მერე მემოგზაურა და იმ ბაზისზე დამეშენებინა ის, რასაც ჩემი დღევანდელი საქმიანობა ჰქვია. რომ არა ეს კლუბი, შესაძლოა, დღეს სხვა სფეროში ვყოფილიყავი.

— ალბათ ხშირად უკითხავთ, რატომ აირჩიეთ ჯაზი კლასიკური მუსიკის შემდეგ?

— იცით, კლასიკა ყველაფრის საფუძველია, ამიტომ შემიძლია ვთქვა — სწორედ მან შემიწყო ხელი წინსვლაში. მუსიკოსს, რომელსაც კლასიკური განათლება არა აქვს, ძალიან გაუჭირდება ჯაზის შესრულება. ჯაზკლუბში 10 წელი ვიყავი, ბევრი ჯაზფესტივალის მონაწილე ვარ, 2007 წელს მონტე-კარლოში გამართული კონკურსის გამარჯვებული გავხდი, ჩემი ბოლო პროექტი, რომლითაც ძალიან ვამაყობ, ზემოთ აღნიშნული „შინის“ კონცერტია — „ანსამბლი „შინი“ და მაია ბარათაშვილი გერმანიაში“; პირველად სწორედ იქ წარვადგინეთ ეს პროექტი. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, რეჟისორმა გიორგი კიკალეიშვილმა, რომელზეც აუდიოვერსიამ მოახდინა შთაბეჭდილება, გადაიღო ფილმი — Welcome to Georgia, რომელიც, ფაქტობრივად, საქართველოს განვითარების სამ ეტაპს მოიცავს — 30-იანი, 60-იანი წლები და თანამედროვე პერიოდი. თითოეულ მინიეპიზოდს ჩვენი პროექტის საუნდტრეკი შეუსაბამა. ფილმის პრეზენტაცია, რომლის სულისჩამდგმელებიც გია მანჯგალაძე და გიორგი კიკალეიშვილი იყვნენ, 4 იანვარს შედგა და პუბლიკის წინაშე ცოცხალი კონცერტიც გავმართეთ.

— რა გეგმები გაქვთ უახლოესი მომავლისთვის?

— მოლაპარაკება მიმდინარეობს, რომ

ანსამბლ „შინის“ წევრებთან ერთად



24 მარტს ფილმი უკვე გერმანიაში წარვადგინოთ და შესაბამისად, კონცერტიც გავმართოთ, რომლის ანალოგს ქართველ მსმენელსაც შევთავაზებთ.

— რა არის თქვენეული წარმატების ფორმულა?

— პირველ რიგში, მიზანდასახულობა: უნდა იცოდე, რა გსურს ცხოვრებაში და მიზანს ხედავდე. მაგრამ არ იფიქროთ, რომ მიზნის მისაღწევად ყველა საშუალება გამართლებულია, არა! მორალური ჩარჩოების ფარგლებში, ისე, რომ ადამიანი არ დაზარალდეს, შესაძლებელი უნდა გააკეთო. ადამიანს უნდა დაეხმარო და არა ხელი შეუშალო. გარდა მიზანდასახულობისა, ორმა ფაქტორმა უნდა შეგიწყოს ხელი — ტალანტმა და შრომისმოყვარეობამ, ურომლისოდაც ტალანტი საწყის სტადიაზე დარჩება და არ განვითარდება. ერთ დროს, ჩემი სამაგიდო წიგნი ინგლისურის ლექსიკონი იყო. როცა ინგლისურის სწავლა მინდოდა, სპეციალურად ისეთ ორგანიზაციებში ვიწყებდი მუშაობას, სადაც ეს ენა სჭირდებოდათ, რათა უფრო კარგად განვვითარებულიყავი... წარმატებისთვის ეს 3 კომპონენტია აუცილებელი და კიდევ — უფლის ნება. ბედის და ფორტუნის არ მწამს. პაოლო კოელიოს აქვს ერთი კარგი ფრაზა — თუკი ადამიანს რაღაც ძალიან უნდა, მთელი სამყარო ეხმარება ამის მიღწევაშიო. „სამყაროში“, რა თქმა უნდა, ღმერთი იგულისხმება.

— რა სახის ლიტერატურას კითხულობთ უფრო ხშირად?

— ათასნაირს. გააჩნია, რა განწყობილებაზე ვარ. ამ ბოლო დროს ძალიან მომწონს მართლმადიდებლური ლიტერატურა. ცოტა ხნის წინ გადავხედე კლაივ ლუისის ნაწარმოებს, რომელიც კარგად ხსნის ადამიანის ცოდვიანობის ბუნებას, იმ საფრთხეებსა და მახეებს, რომლებიც შესაძლოა, დაგებული ჰქონდეს ცხოვრებაში. მომწონს ფრანგული ლიტერატურა, რუსული კლასიკა და ა.შ. ვერ გეტყვით, რომ ერთი განსაკუთრებული სამაგიდო წიგნი მაქვს, შეძლებისდაგვარად ყველაფერს ვკითხულობ, რაც კი ხელში ჩამივარდება.

— ვაზშემსრულებელთაგან რომელს გამოარჩევთ? თუ არის ისეთი, რომლისთვისაც მიგიბაძავთ?

— ელა ფიტცჯერალდი ყოველთვის დედოფალი იქნება, მაგრამ ჩემს გულთან ახლოს ვოკალისტი სარა ბოუნი უფროა. რაც შეეხება მიბაძვას, რა თქმა უნდა, ყველა არტისტს განუცდია მასზე დიდი კორიფეს გავლენა. ვიღაცისგან უნდა ისწავლოს ადამიანმა. მახსოვს, ბავშვობაში ერმიტაჟში რომ შევედი, დავინახე, როგორ ხატავდა სტუდენტი რემბრანდტის ტილოს, ცდილობდა, კოპირება გაეკეთებინა, რაც აუცილებელია თავიდან, როცა რაიმეს სწავლობ. მერე უკვე მონაცემების გარკვეული ბანკი გექმნება, სხვა არხები იხსნება, შენი პერსონალური მომენტები ირთვება და შენი დამოკიდებულების დაფიქსირებას იწყებ. ეს არა მარტო მუსიკაში, არამედ ყველაფერში ასეა.

— თქვენს პირად ცხოვრებაზეც გვითხარით ორიოდე სიტყვა.

— ვფიქრობ, რომ ხელოვანი ადამიანი მუდმივად ტონუსში უნდა იყოს, ყოველთვის კარგად გამოიყურებოდეს. არ არის აუცილებელი, „შანელი“ გეცვას და ანა ნიკოლ სმიტი იყო, — მთავარია, შინაგანად რას ატარებ ადამიანი, სიყვარულის უნარი თუ გაქვს. მგონია, რომ ეს ტონუსი გარკვეულწილად, იმაზეცაა დამოკიდებული, თუ რას ფიქრობს შენზე საწინააღმდეგო სქესის ადამიანი. როდესაც ქალი ყურადღებას გრძნობს, ის ყოველთვის ტონუსშია, ამისათვის კი რამდენიმე ფაქტორია საჭირო: უნდა იყოს მოწესრიგებული, საინტერესო და მასში სტილი უნდა იგრძნობოდეს; ერთ-ერთი მთავარი — სულიერი წონასწორობაა, რაც სარწმუნოების გარეშე არ მოდის. პირადად მე, ძალიან მეხმარება მართლმადიდებლური ტაძარი, ჩემი მოძღვარი. ეკლესიის მრევლი ვარ და ვცდილობ, შეძლებისდაგვარად ვიცხოვრო ისე, როგორც — ნამდვილი ქრისტიანი. შესაძლოა, ცხოვრებამ ადამიანი გარკვეულ ჩიხში მოაქციოს და ეს რომ არ მოხდეს, ამისათვის აუცილებელია რწმენა. ■

„ჩვენი ხმების საგანძური“ „გეპეის“ ჯაზკვარტეტი

შეიძლება დღეს ბევრმა არც იცის, ვინ უსახსოვრა ქართულ ესტრადას სიმღერები, რომლებსაც ახლაც მღერიან სცენასა თუ ოჯახში; ვინ იყო ოთხი სიმპათიური ყმაწვილი, რომლისთვისაც 50-იან წლებში მთელი საბჭოთა კავშირი „ბრავოსა“ და „ბისს“ არ იშურებდა; რა მოასწრეს 4 წელიწადში, რაზე ოცნებობდნენ, რა ვერ განახორციელეს და სად არიან დღეს? ეს წერილი სწორედ ამ ოთხეულს — „გეპეის“ ჯაზკვარტეტს ეძღვნება, რომელმაც მართალია, მხოლოდ 4 წელიწადს იარსება, მაგრამ ქართული ესტრადის ისტორიას უმნიშვნელოვანესი ფურცელი — უკვდავი სიმღერები დაუტოვა.

ჩვენი სიმღერები ქართულ ფესვებსა და ქართულ თემაზეა შექმნილი

ირმა ხარშილაძე

„ჩვენი ხმების საგანძურის“ მე-7 დისკად ჟურნალმა „ბომონდმა“ თებერვალში საზოგადოებას უნიკალური კრებული შესთავაზა — „გეპეის“ ჯაზკვარტეტის სიმღერები.

არაჩვეულებრივ ოთხეულს — კვარტეტის სულისჩამდგმელსა და ბევრისთვის საყვარელ კომპოზიტორს გურამ ბზვანელს, თამაზ ცინცაძეს, გურამ ბაკურაძესა და შოთა ხარაბაძეს — სამწუხაროდ, ბატონი შოთა გამოაკლდა (ღმერთმა გაანათლოს მისი სული!). მე კი ამჯერად მხოლოდ ბატონ გურამ ბზვანელთან შეხვედრა მოვახერხე და დღეს სწორედ მასთან ინტერვიუს გთავაზობთ.

გურამ ბზვანელი:

— ვცხოვრობდი გრიბოედოვის ქუჩის 10 ნომერში, კონსერვატორიის გვერდით. პირველი საშუალო სკოლა დავამთავრე. ძალიან მინდოდა რეჟისორობა, მაგრამ იმ წელს მიღება არ იყო. მეხვწებოდნენ, სამსახიობო ფაკულტეტზე ჩააბარეო, მაგრამ ვიუარე და ბედი სამედიცინო ინსტიტუტში ვცადე. სამწუხაროდ, სათანადოდ მომზადებული არ ვიყავი და ვერც მოვეწყვე. მეორე წელს, მეგობრების დაჟინებული თხოვნით, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩავაბარე და...

— და მეგობრების დაჟინებამ თქვენს ცხოვრებაში ბევრი რამ განაზღვრა.

— სხვათა შორის, ერთი წლის შემდეგ მომიგზავნეს ვიღაცები, — გადმოდი სამედიცინო ინსტიტუტშიო, მაგრამ სად წავიდოდი?! უკვე „გეპეის“ ორკესტრში ვიყავი!.. არაჩვეულებრივი ადამიანები მოღვაწეობდნენ: სოსო ტუღლუში, ბაჯული გელოვანი, აბესალომ ლორია და სხვები. ინსტიტუტში რომ მოვეწყვე, ბაკურაძე და ცინცაძე უკვე სწავლობდნენ. მერე, ინსტიტუტის ოლიმპიადაზე ჩემი „სიმღერა თბილისზე“ იმღერეს — ნოდარ დუმბაძის ტექსტზე მქონდა დაწერილი (სასკოლო ასაკიდან ვწერდი სიმღერებს), ორკესტრის ხელმძღვანელობასაც მოეწონა და ორივე მიიღეს.

— კვარტეტის შექმნის იდეა თქვენ გაგიჩნდათ?

— ბიჭებს მანამდეც ვიცნობდი. რომ მოვეწყვე, სწავლის დაწყებამდე სოხუმში წავედი დასასვენებლად და ცინცაძესა და ხარაბაძეს იქაც შევხვდი. ისინი გიტარის თანხლებით მღეროდნენ ხოლმე დუეტში, მე შიგადაშიგ სხვადასხვა ხმას ვურთავდი. სწორედ მათ უთხრეს ინსტიტუტის რექტორატს ჩემზე: კარგად მღერისო. ხელმძღვანელობამ ბიჭებთან ერთად კვარტეტის ჩამოყალიბება შემომთავაზა. ადრეც ხშირად მიფიქრია სიმღერების ხმებში გაშლაზე, მეც მაინტერესებდა და დავთანხმდი. ლექსზე „ქარი, აშარი“ მოვამზადეთ სიმღერა და მოვასმენინეთ უნიჭიერეს კაცს, იმხანად პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტური პროფკომის თავმჯდომარეს, დორიან კიტიას. დორიანმა ემოციის გამოხატვა არ იცოდა, ვერ გაიგებდი, სწყინდა თუ უხაროდა, ამიტომ მეც უემოციოდ მითხრა: სტუდენტური ღონისძიება იმართება მუშთაიდის ბაღში, შევატყობინებ ორგანიზატორებს და იქნებ გამოხვიდეთ იმ კონცერტზეო? მართლაც გამოვედით და ძალიან მოვეწონეთ მსმენელს, კიდევ გვთხოვდნენ, გვემღერა, მაგრამ 2 სიმღერაზე მეტი არ ვიცოდით ხმებში და რა შეგვესრულებინა?!. მერე გაირკვა, რომ დორიანს საცდელად გავუშვივართ კონცერტზე: აინტერესებდა, ხალხი თუ მოიწონებდა ჩვენს ნამღერს. თავდაპირველად, სამ ხმაში ვმღეროდით: პირველი, მეორე და ორი ბანი. 4 ხმაში სიმღერაზე მერე და მერე დავიწყე მუშაობა, თითქოს ყური ითხოვდა სხვა ხმას და საბოლოოდ, სულ სხვა ჟღერადობის, ფორმისა და ჟანრის კვარტეტი გამოგვივიდა. მერე, მახსოვს, 1955 წლის იანვარში ორკესტრი მოსკოვში წასასვლელად პროგრამას ადგენდა და ბაქოდან ძალიან ნიჭიერი კაცი — კონსტანტინე პევზნერი მოიწვიეს. ჩვენი „ქარი, აშარიც“ ჰქონდათ პროგრამაში. სხვათა შორის, კარგი გაკეთებული კი იყო, მაგრამ ორგანიზატორებისთვის გაუგებარი აღმოჩნდა. მერე კონფერანსიეებმა — ბაჯული გელოვანმა და ირაკლი მამაცაშვილმა ამერიკულ თემაზე გადაათამაშეს, ტექსტიც შეიცვალა და მივიღეთ... ჯაზი (*იღიმის*). მოსკოვში გაგიჟდნენ. უკვირდათ, ამის უფლება როგორ მოგცესო,

მოსკოვში ფილმში „გოგონა გიგარით“ გადასაღებადაც მიგვიწვიეს

მაგრამ ფაქტია, უდიდესი წარმატებით გამოვდიოდით. სხვა სიმღერებიც შევმატეთ რეპერტუარს და ვერ აგიწერთ, რა ხდებოდა მოსკოვში: სცენიდან არ გვიშვებდნენ!.. 1956 წლიდან ნანი ბრეგვაძეც შემოგვიერთდა. ჩემი სიმღერა — „ჩავაქრე სანთელი“ მისი სადებიუტო სიმღერა გახლდათ...

15 რესპუბლიკიდან მსოფლიო ფესტივალზე მაინც ჩვენ მოვხვდით და ეს ფესტივალიც მოსკოვში ჩატარდა...

— საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატებიც ხომ გახდით?

— იოლად ამბობთ, მაგრამ იმ ფესტივალზე მოხვედრა ძალიან რთული იყო. ჩვენ ჯერ საქართველოში გავიმარჯვეთ, მეორე ეტაპზე კი მოსკოვში საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის კოლექტივს ვაჯობეთ. სტუდენტური ორკესტრი და კვარტეტი ვიყავით, სხვები კი გამოცდილებითაც გვჯობდნენ და ასაკითაც უფროსები იყვნენ. სხვათა შორის, რუსებს ძალიან კარგი ინსტრუმენტალისტები ჰყავდათ და მოსკოვმა საგანგებოდ ამ ფესტივალისთვის, სტუდენტური ორკესტრიც შექმნა, მაგრამ ჩვენი საესტრადო ნომრები ყველასგან გამოირჩეოდა. ყველაფერი ორიგინალურად გვქონდა გადაწყვეტილი. მაგალითად, სიმღერა „ნანა“ სამ ნაწილად დავდგით, ჩვენი ორკესტრის კონფერანსიეებიც მონაწილეობდნენ, ორკესტრიც მაგარი გვყავდა, ჩვენც კარგად ვასრულებდით, არც მახინჯები ვიყავით და ყველა აღვაფრთოვანეთ — გადაირივნენ რუსები. მაყურებლისთვის ჩვენი მუსიკალურ-თეატრალური წარმოდგენები უცხო ხილი აღმოჩნდა. არ მავიწყდება, პირველი მოქმედებიდან გასულებს, კეთილად მოღიმარი უცნობი მამაკაცი რომ დაგვხვდა გრძელი დერეფნის ბოლოს. არც ქართველს ჰგავდა, არც რუსს. ბოლოს გაირკვა, რომ ჩვენით აღფრთოვანებული ჟიურის წევრი, ცნობილი პიანისტი სვასმანი გასაცნობად ამოსულიყო კულისებში. სწორედ მან გვითხრა, რომ ერთის გარდა, ჟიურის ყველა წევრს უმაღლესი ქულა დაეწერა ჩვენთვის. საბოლოოდ, 15 რესპუბლიკიდან მსოფლიო ფესტივალზე მაინც ჩვენ მოვხვდით და ეს ფესტივალიც მოსკოვში ჩატარდა... დაუვიწყარი იყო კიდევ ერთი გამოსვლა მოსკოვში, საბჭოთა არმიის თეატრის უზარმაზარ სცენაზე ორ ორკესტრთან ერთად: მიწვეულები ვიყავით ჩვენ — ფესტივალის ლაურეატები და ორკესტრი „რერო“. გრანდიოზული კონცერტი გამოვიდა. რუსეთში კიდევ ბევრი „ფილტრი“ გავიარეთ და უდიდეს წარმატებას მივაღწიეთ. მოსკოვში ფილმში „გოგონა გიტარით“ გადასაღებადაც მიგვიწვიეს, არაჩვეულებრივად დაგვხვდნენ და თავს გვევლებოდნენ. სხვათა შორის, ამ ფილმს ახლაც ხშირად უჩვენებენ რუსეთის ტელევიზიები. მანამდე კი თბილისის კინოსტუდიაშიც გადაგვიღეს მოკლემეტრაჟიან ფილმში, მაგრამ დიდად არც პატივისცემა გვიგრძნია შემოქმედებითი ჯგუფისგან და ვერც ფილმმა ივარგა. მგონი, არც უჩვენებიათ ეკრანზე... რატომღაც, რუსეთში გაცილებით დიდ დაფასებას ვგრძნობდით. საბჭოთა კავშირის ბევრი ქალაქიდან ცდილობდნენ ჩვენს გადაბირებას, კარგ პირობებსაც გვთავაზობდნენ, მაგრამ სამშობლოს არ ვუღალატეთ. ხომ ჯაზს ვმღეროდით?!. ეს არ იყო ამერიკული ჯაზი. ჩვენი სიმღერები ქართულ ფესვებსა და ქართულ თემაზე შექმნილი, ორიგინალური ფორმის ნაწარმოებები იყო. მაგალითად, სიმღერაზე „ბორჯომის ხეობა“ ბევრი ამბობდა, — არათუ 4 სიმღერა, 4 ნაწარმოები შეიქმნებოდაო... ერთ რამეზე კი დაგვწყდა გული: საზღვარგარეთ ვერ წავედით საგასტროლოდ, არადა, რამდენჯერ მიგვიწვიეს!.. ერთხელ მივემგზავრებოდით, მაგრამ ბოლო წუთებში მოსკოვში ისევ ქართველმა დაგვბლოკა, სხვათა შორის — ქალმა. იცით, რატომ? როდესაც ორკესტრის ერთ-ერთ წევრს გასაუბრებაზე ჰკითხეს, — არის თუ არა კომუნიზმი დიქტატურაო? — მან უპასუხა, — არ ვიციო. იმ ქართველმა ქალმა კი, — თავი მოგვჭერით, შეგვარცხვინეთო! — და აღარ გააშვებინა ჩვენი ორკესტრი და კვარტეტი....

— 4 წელიწადში რატომ დაიშალა ასეთი ჯაზკვარტეტი?

— ინსტიტუტი რომ დავამთავრეთ, დავიქსაქსეთ. მე კონსერვატორიაში ჩავაბარე, შოთა მოსკოვში წავიდა, ზოია კულიკოვა შეირთო ცოლად და ერთად მოღვაწეობდნენ ანსამბლ „აკორდში“. კარგი ბიჭი იყო შოთა. არაჩვეულებრივი კრინი ჰქონდა, მსგავსი არსად მომისმენია. 2002 წელს გარდაიცვალა... თამაზმა და გურამმა სიმღერას თავი დაანებეს და დირექტორები გახდნენ: თამაზი — დიდი საფეიქრო კომბინატის, გურამი — ერთ-ერთი მექანიკური ქარხნის.

— ანუ პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრებასთან ერთად დასრულდა მათი მუსიკალური ცხოვრებაც.

— მაგრამ — არა ჩვენი ურთიერთობა. საოცარი სილამაზეა ამ ურთიერთობაში: დღემდე დიდი მეგობრები ვართ, რადგან დიდი სიყვარული მოგვყვება.

— თქვენი რეპერტუარიდან ბევრი სიმღერა დაიკარგა?

— სამწუხაროდ, ბევრ ჩანაწერს ვეღარ მივაკვლიე. რაც დარჩა, აგერ თქვენც გამოეცით. კარგია, რომ ჩვენს სიმღერებს ახალი თაობაც მოისმენს. მადლობის მეტი რა მეთქმის?!. ■

Gumpert-ის სუპერავტო

სპორტული ავტომობილების გერმანულმა მწარმოებელმა — Gumpert — პირველად გაავრცელა ახალი

სუპერავტოს პირველი გამოსახულება, რომელიც სამოდელო რიგში Apollo-ს გვერდით დაიკავებს ადგილს. ინფორმაცია მანქანაზე, რომელსაც Tornante ჰქვია, სრულად ჟენევის მოტორშოუზე მარტში იქნება ნაჩვენები. ადრე გავრცელებული ცნობით, სიახლის დიზაინი იტალიური ატელიეს — Carrozeria Touring Superleggera მიერ იქნება შემუშავებული. ეს კაბრიოლეტ „ბენტლი კონტინენტალ ჯი-ტი-სის“ ბაზაზე აგებული სამკარიანი უნივერსალის გამოშვების შემდეგ გახდა ცნობილი. წინასწარი ინფორმაციით, Gumpert Tornante-ს კარბონის მონოკოკი, კომპოზიტური მასალისგან დამზადებული ძარას პანელები, აგრეთვე 8-ცილინდრიანი, 4,2-ლიტრიანი ტურბოძრავა დაუყენდება, რომლის 650 ცხძ-ის სიმძლავრის ვერსია მოდელ „აპოლოზეა“ გამოყენებული. კომპანია „გამპერტის“ პირველი მოდელი — სუპერავტო „აპოლო“ ჟენევის საავტომობილო გამოფენაზე 2007 წელს წარმოადგინეს. ეს მანქანა 100 კმ/სთ სიჩქარეს 3,1 წამში ავითარებს, ხოლო 200 კმ/სთ-ს — 9,1 წამში. მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 360 კმ/სთ-ს შეადგენს. 2009 წელს ნიურბურგრინგის „ჩრდილო მარყუჟზე“ „გამპერტ აპოლომ“ სერიულ საგზაო მანქანათა შორის რეკორდი დაამყარა, როდესაც წრე 7 წუთსა და 11,57 წამში დაფარა. მოგვიანებით ეს მიღწევა სატრეკო ავტომობილებმა — Radical SR8LM და Pagani Zonda R გააუმჯობესეს. ■

ახალი ჯიპი „გრანდ ჩეროკი“

ერთ-ერთმა ინტერნეტსაიტმა გაავრცელა ინფორმაცია მომავალი თაობის ჯიპი „გრანდ ჩეროკის“ ყველაზე მძლავრი მოდიფიკაციის შესახებ, რომელსაც ერგება ტრადიციული ინდექსი SRT-8. ავტომობილის შესახებ ოფიციალური მონაცემები აპრილის ბოლოს ნიუ-იორკის მოტორშოუზე გახდება ცნობილი, ხოლო მისი წარმოება ივლისში დაიწყება. სიახლეს 6,4-ლიტრიანი, 470 ცხძიანი, 8-ცილინდრიანი HEMI-ს ძრავა და სიჩქარის გადაცემათა 5-საფეხურიანი ავტომატური კოლოფი დაუმონტაჟდება, რომელსაც საჭის ქვემოთ დაყენებული სახელურებითაც შეეძლება გადაცემათა გადართვა. 96 კმ/სთ სიჩქარეს 4 წამში განავითარებს, ხოლო მილის მეოთხედს (402 მ-ს) დაახლოებით 12 წამში დაფარავს. სიახლე ალუმინის შენადნობისგან შექმნილი 20-დუიმიანი ბორბლების დისკებით, „პირელის“ საბურავებით, წინა ღერძზე 360-მილიმეტრიანი დისკების მქონე „რემბოს“ სამუხრუჭე მექანიზმებით დაკომპლექტდება. ახალი არასაგზაოს დიზაინის თავისებურებებიდან, უკანა ხედვის სარკეების ქრომირებული კორპუსი, აგრეთვე დღის ხედვის დიოდური წინა და უკანა ფარები უნდა აღინიშნოს. ავტომობილი შეინარჩუნებს აირგამომშვები სისტემის გაორებულ ქრომირებულ მილაკებს, ოღონდ ამჯერად ის უკანა ბამპერის ცენტრში აღარ იქნება განთავსებული. სალონში გამოყენებულია ნამდვილი კარბონის დეტალები, ხოლო საბორტო კომპიუტერის ფუნქციები გაფართოვდება. მას შეეძლება, 100 კმ/სთ სიჩქარის განსავითარებლად და დამუხრუჭებისას სრული გაჩერებისათვის საჭირო დროის ასახვა, ასევე დროის იმ მონაკვეთის გამოთვლა, რომელშიც მანქანა მილის მეოთხედსა და მერვედს დაფარავს. წინამორბედი Jeep Grand Cherokee SRT-8 425 ცხძ-იანი, 6,1-ლიტრიანი V8 მოტორით იყო აღჭურვილი. ეს ავტომობილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მსოფლიოში ყველაზე სწრაფ არასაგზაოდ მიიჩნეოდა, თუმცა მოგვიანებით მას ეს წოდება BMW X5-მა და X6-მა ჩამოართვა, რომლებიც 100 კმ/სთ სიჩქარეს 4,7 წამში ავითარებს.

„ლოტუსის“ სპორტავტო

კომპანია „ლოტუსმა“ საკუთარი ავტომობილების განახლების პროგრამებისა და ჟენევის მოტორშოუზე სპორტული მანქანის — „ევორას“ პრემიერა დააანონსა. ის შვეიცარიულ ატელიეში — Mansory დამზადდება. ტიუნინგ-ატელიე „მანსორისეულ“ სპორტავტოს Lotus Evora — გადიდებული აირშემაკავებლების მქონე წინა ბამპერი, დამატებითი სავენტილაციო ჭრილები, უკანა ხედვის სარკეების ნახშირპლასტიკური კორპუსები და მოტორის სათავსის სახურავი, უკანა სპოილერი და დიდი, ინტეგრირებულმილაკებიანი აირგამომშვები სისტემის მქონე დიფუზორი ექნება. გარდა ამისა, ახალი დიზაინის შავ ფრად შეღებილი ბორბლების დისკებითაც აღიჭურვება. შეიცვლება თუ არა სპორტავტოს ინტერიერი და მისი ტექნიკური მაჩვენებლები, ამჟამად უცნობია. კლიენტებს „ლოტუს ევორას“, „ტოიოტას“ 3,5-ლიტრიანი, 6-ცილინდრიანი ძრავათი შესთავაზებენ — ორ მოდიფიკაციად: ერთ-ერთი მათგანი 280 ცხძ-ს განავითარებს, ხოლო მეორე — 345 ცხძ-ს. ■

ფარულ ქრისტიანთა ბედი ლაზეთში

მიხეილ ლაბაძე

XVII საუკუნის 50-იან წლებში ოსმალეთის იმპერიამ ლაზეთის მთელი ტერიტორია ხელთ იგდო და ამ კუთხის ქართველთა გააფთრებული წინააღმდეგობაც ნაბიჯ-ნაბიჯ დასძლია. 1660-1663 წლებში ტრაპიზონის ფაშამ, რომელსაც ლაზეთი დაუქვემდებარეს, საგანგებო ფირმანებით (ბრძანებებით) იქ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის მოღვაწეობაც, ფაქტობრივად, აკრძალა. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ჯერ კიდევ 1647 წელს ლაზეთის მიტროპოლიტმა გერმანემ, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ედგა სათავეში, ოსმალეთის სულთანი შეაჩვენა და ანათემას გადასცა ყველა ის ქართველი, ვინც კი იმპერიას დაემორჩილებოდა.

ოსმალეთის სულთანი მეჰმედ ფათიპი და კონსტანტინოპოლის პატრიარქი გენადიოსი. XV საუკუნის ბერძნული ფრესკა

ქართველთაგან განსხვავებით, ბერძენმა მართლმადიდებლებმა ოსმალეთის სულთნის უზენაესობა იმთავითვე უპრობლემოდ აღიარეს, რასაც ასევე განსაკუთრებული მიზეზი ჰქონდა: ბიზანტიის დაცემამდე მცირე ხნით ადრე, იმპერიის უმაღლესმა მესვეურებმა, ოსმალებთან ბრძოლისას მოკავშირეთა მოპოვების მიზნით, ვატიკანთან კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიათა გაერთიანების თაობაზე შეთანხმების დადება სცადეს; ცხადია, ამან მართლმადიდებელ მორწმუნეთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და 1453 წელს, კონსტანტინოპოლის დაცემას ბევრი მათგანი სიხარულით შეხვდა(!). ოსმალებს კონსტანტინოპოლის პატრიარქის უფლებები ბოლომდე არ შეუზღუდავთ — უბრალოდ, იგი სულთანს დაუქვემდებარეს და ბერძენ მართლმადიდებელთა თემის (ე.წ. „მილლეთ-ი რუმის“) საერო მეთაურადაც კი დანიშნეს. ოსმალეთში ბერძნული ეკლესია-მონასტრები შეუზღუდავად მოქმედებდნენ და სულთანს გარკვეულ გადასახადს უხდიდნენ. რასაკვირველია, ბერძენი მიტროპოლიტი ტრაპიზონშიც იჯდა.

აქედან გამომდინარე, ქრისტიანობის ერთგული ლაზები არჩევანის წინაშე დადგნენ — ან ბერძნულ ეკლესიებში უნდა ევლოთ, ანდა ისლამი მიეღოთ. პირველ შემთხვევაში სარწმუნოებას შეინარჩუნებდნენ, მეორე შემთხვევაში კი — ენას. რასაკვირველია, მესამე გზაც არსებობდა — ოსმალთაგან დაპყრობილი ლაზეთი სამუდამოდ უნდა მიეტოვებინათ და საქართველოს რომელიმე სხვა კუთხეში გადასახლებულიყვნენ. ერთი სიტყვით, ლაზი პატრიოტები საგონებელში იყვნენ ჩავარდნილი. ამას ემატებოდა ისიც, რომ ლაზეთის სამიტროპოლიტო კათედრა XVII საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს გურიაში, კერძოდ კი შემოქმედის მახლობლად, სატყეპელაში გადაიტანეს, რათა ოსმალებს მისი მოშლა ვერ მოეხერხებინათ; თუმცა მალე სიტუაცია გურიის სამთავროშიც უკიდურესად გართულდა და ლაზეთის პრობლემებისთვის მისმა მესვეურებმა ვეღარ მოიცალეს.

ამავდროულად, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოსმალეთის მესვეურები სდევნიდნენ სახელდობრ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლს, რომელიც კვლავ მიტროპოლიტ გერმანეს დარიგებათა ერთგული იყო და ოსმალურ კანონებსაც არ ემორჩილებოდა; ხოლო მათ, ვინც ბერძნულ ეკლესიაში დაიწყებდა სიარულს, აღარავინ არაფერს უშავებდა. სხვათა შორის, თავად კონსტანტინოპოლელი იერარქებიც ბევრს ცდილობდნენ, ლაზისტანის სანჯაყის მოსახლეობა გადაებირებინათ, მაგრამ ამაოდ — ბერძნულ ეკლესიაში სიარულს ხალხი გამუსლიმანებას არჩევდა. საქმე კი ის იყო, რომ ლაზები იმჟამინდელი ბერძნულ-მართლმადიდებლური თემის მესვეურებს (რომელთაც, ძველი კონსტანტინოპოლის ერთ-ერთი ცენტრალური უბნის სახელიდან გამომდინარე, „ფანარიოტებს“ ეძახდნენ) რენეგატებად მიიჩნევდნენ, რამდენადაც ისინი ოსმალეთის იმპერიის ყველაზე კანონმორჩილი და უპრეტენზიო ქვეშევრდომები იყვნენ; მართლმადიდებლური რწმენის მიუხედავად, ფანარიოტებს სულთნის კართან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ და ოსმალებს მტრებად არც კი მიიჩნევდნენ. სწორედ ამის გამო, ლაზეთში ისინი სასტიკად სძულდათ.

გურიაში თავშეფარებულ მიტროპოლიტ გერმანეს გარდაცვალების შემდგომ (XVII საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისი), ლაზეთში მყოფ სასულიერო პირებზე ზეწოლა უფრო გაძლიერდა — ოსმალო ჩინოსნების გარდა, მათ ფანარიოტებიც დაუპირისპირდნენ და კონსტანტინოპოლისადმი დამორჩილება უკვე აშკარად მოსთხოვეს: „თუ ჩვენს თემს არ შემოუერთდებით, გამუსლიმანება მოგიწევთ და სამუდამოდ სულს წარიწყმედთ!“ — ეუბნებოდნენ ბერძნები ლაზ მღვდლებს, რომლებიც მართლაც საგონებელში იყვნენ ჩავარდნილნი, ვინაიდან ოსმალეთის სულთნის საგანგებო ფირმანის ძალით, იმპერიის ტერიტორიაზე მართლმადიდებლური მღვდელთმსახურების აღვლენის უფლება მხოლოდ იმ სასულიერო პირს ჰქონდა, ვინც „მილლეთ-ი რუმის“ წევრი იყო და უპრეტენზიოდ იხდიდა შესაბამის გადასახადს — „ჯიზიას“, თანაც წირვის დროს, ქრისტიანი მეფის ნაცვლად მუსლიმან სულთანს იხსენიებდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლაზმა სასულიერო პირებმა გადაწყვიტეს, ღრმა იატაკქვეშეთში გადასულიყვნენ და წირვა-ლოცვა საიდუმლოდ აღესრულებინათ, ხოლო პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, თავი მუსლიმანებად გაეაღლებინათ. გადმოცემით, იატაკქვეშეთში გადასული მღვდლების წინამძღოლი ხოფელი პეტრე ხეცია იყო; სწორედ მან შეი-

1830 წლის აჯანყების ხელმძღვანელი, ლაზი ფარული ქრისტიანი სულეიმან-აღა თუზჯიოღლი. ცნობილი ლაზი მხატვრის, ხასან ჰელიმიშის ნახატი

მუშავა ე.წ. „ფარული ქრისტიანობის“ ძირითადი პოსტულატებიც, რომელთა თანახმად, მრევლის წევრს შენიღბულად, კანონმორჩილი მუსლიმანივით უნდა ეცხოვრა, მაგრამ შინაგანად ქრისტიანად დარჩენილიყო და საიდუმლო წირვა-ლოცვებს ყოველთვის დასწრებოდა. ამავდროულად, ფარულ ქრისტიანს არა მარტო მუსლიმანზე, არამედ საერთოდ არაქართველზე (თუნდაც ქრისტიანი-მართლმადიდებელი ყოფილიყო) დაქორწინებაც სასტიკად ეკრძალებოდა; აკრძალული იყო არაქართველისადმი მიწის მიყიდვა ან გადაცემაც, რის გამოც ყველა გარდაცვლილი ფარული ქრისტიანი საკუთარ ეზოშიეე უნდა დაეკრძალათ — მისი შთამომავლები წინაპრის საფლავს არ მიატოვებდნენ და, შესაბამისად, ქართული მიწაც უცხოტომელთა ხელში აღარ ჩავარდებოდა. აქვე დავძენთ იმასაც, რომ ლაზები ამ ორ აკრძალვას დღესაც კი განუხრელად იცავენ.

ამდენად, XVII საუკუნის ბოლო ოცწლეულში, ლაზისტანის სანჯაყში მუსლიმანთა რაოდენობამ მნიშვნელოვნად იმატა, მაგრამ იმ პერიოდის ოსმალური წყაროები იმასაც მოწმობს, რომ ისლამური მოძღვრება ლაზებმა ბოლომდე ვერ შეითვისეს: „ყურანს და შარიათს იცნობენ, წინდაცვეთაზეც უარს არ ამბობენ, მაგრამ ცუდი მუსლიმანები არიან“, — წერდა ცნობილი ოსმალო მოგზაური ევლია ჩელები, რომელმაც ლაზეთსა და მთელ შავიზღვისპირეთში სწორედ მაშინ იმოგზაურა. რასაკვირველია, სინამდვილეში ეს „ცუდი მუსლიმანები“ ფარული ქრისტიანები იყვნენ, რომლებიც ისლამურ წესებს მხოლოდ გარეგნულად იცავდნენ, ხოლო შინაგანად კვლავაც ქრისტეს ერთგულნი რჩებოდნენ. XVIII საუკუნის დასაწყისში ლაზისტანის სანჯაყში ბექთაშიების სუფიური ორდენის შეიხმა, ალი-აღა მუსტაფამაც იმოგზაურა, რომელიც თავის დღიურში ძალზე საყურადღებო შემთხვევას აღწერს: „რიზელი მოლები უცოდინროების გამო ღმერთსაც კი გმობენ — მე თავად გავხდი იმის მოწმე, თუ როგორ დაიწყო ერთ-ერთმა მათგანმა „შაჰადა“ და აღარ დააბოლოვა, რაც მუსლიმანს არ შეეფერება“, — წერს იგი.

როგორც ცნობილია, „შაჰადა“ ისლამური მრწამსია. მუსლიმანი მისი წარმოთქმით აღიარებს, რომ ღვთის გარდა, სხვა ღვთაება არ არსებობს, ხოლო მუჰამედი — ღვთის მოციქულია. შესაბამისად, ამ ფრაზის არასრულად წარმოთქმა გულისხმობს მუჰამედის მოციქულობის უარყოფას, რაც მუსლიმანისათვის (მით უმეტეს — მოლასთვის) უდიდესი მკრეხელობაა; ამავდროულად, „შაჰადას“ პირველი ნაწილი ქრისტიანთა პირველ მცნებას ეხმაურება. აქედან გამომდინარე, ისლამური მრწამსის არასრულად წარმოთქმა უდავოდ იმის მიმანიშნებელი იყო, რომ მოლა, ვისაც შეიხი ალი-აღა მუსტაფა რიზეში შეხვდა, სინამდვილეში ფარული ქრისტიანი გახლდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალზე ძნელი წარმოსადგენია, რომ მას ესოდენ დიდი მკრეხელობა უცოდინარობის გამო ჩაედინა.

მიუხედავად ამისა, თავდაპირველად სტამბოლში მსგავს ცნობებს არცთუ ისე დიდ ყურადღებას აქცევდნენ — ოსმალო ჩინოსნებს ვერც კი წარმოედგინათ, თუკი იმპერიის განაპირა რეგიონში, სადაც ისლამის გასავრცელებლად იმთავითვე ძალიან ბევრი რამ კეთდებოდა, თითქმის ყველა დიდი ეკლესია საძირკვლამდე დანგრეული ან მეჩეთად გადაკეთებული იყო და ადგილობრივი მოსახლეობაც ბერძნებისა და სომხების მიმართ ანტაგონისტურად იყო განწყობილი, ქრისტიანობას

ლაზ ფარულ ქრისტიანთა ჯგუფი ჰუსეინ და იუსუფ ქუჩუკოღლების პანამვიღზე. XX საუკუნის დასაწყისის ფოტო

მიმდევრები კვლავ ჰყავდა. ფარული ქრისტიანების საკითხი სულთნის კარის წინაშე მთელი სიმწვავით XIX საუკუნის 30-იან წლებში დადგა, როცა ლაზეთში თუზჯიოღლების გვარმა მასშტაბური ანტიოსმალური აჯანყება მოაწყო.

გადმოცემით, 1830 წლის აჯანყების საბაბად, ტრაპიზონის მთავარი მეჩეთის იმამის „ფეთვა“ (განჩინება) იქცა, რომელიც ყველა მორწმუნე მუსლიმანს აქა-იქ შემორჩენილი ყოფილი ქრისტიანული სალოცავების დანგრევასა და მათ ნაცვლად მეჩეთების აგებას ავალებდა. „ფეთვის“ აღსასრულებლად, ლაზისტანის სანჯაყის მესვეურებმა საგანგებო რაზმი შეადგინეს, რომელსაც ყველა ლაზურ სოფელში სალოცავების აღრიცხვა და შემდგომ დანგრევაც დაეკისრა; მიუხედავად იმისა, რომ სანჯაყის თითქმის ყველა მცხოვრები ფორმალურად მუსლიმანი იყო, სალოცავების დანგრევას მათი უმეტესობა მაინც შეეწინააღმდეგა. ლაზებმა არქაბელი სულეიმან-აღა თუზჯიოღლის მეთაურობით, ჯერ ტრაპიზონიდან მოსული რაზმელები დახოცეს, მერე კი ოსმალო ჩინოსნებსაც დაერივნენ და ლაზისტანის სანჯაყის ათინასა და ხოფას ნაჰიეებში ხელისუფლებაც კი იგდეს ხელთ, თუმცა დიდხანს ვერ შეინარჩუნეს — სულეიმან-აღა ოსმალებმა მოღალატის დახმარებით შეიპყრეს და სტამბოლში გაგზავნეს, რის შემდეგაც უმეთაუროდ დარჩენილი მეამბოხე ლაზების დამარცხება აღარ გასჭირვებიათ.

სულეიმან-აღა თუზჯიოღლი წარჩინებული საგვარეულოდან იყო და ამიტომ თავის მოკვეთის მაგივრად, თავდაპირველად ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. განაჩენის აღსრულებამდე რამდენიმე საათით ადრე, იგი ჩვეულებისამებრ, გაჩხრიკეს და გულზე დაკიდებული ჯვარიც სწორედ მაშინ უპოვეს. ლაზ მეამბოხეთა ლიდერმა აღიარა, რომ სინამდვილეში ქრისტიანი იყო და ისლამს მხოლოდ გარეგნულად აღიარებდა: „ჩემი გული ეკუთვნის ქრისტეს, მუჰამედს კი სხეულის ის ნაწილი დარჩეს, რომელზეც აღბეჭდილია ნიშანი მისი სარწმუნოებისა“, — ასე უთქვამს მას ჯალათებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სულეიმან-აღას ქრისტიანობის შესახებ „მილლეთ-ი რუმის“ მესვეურებმაც შეიტყვეს და გადაწყვიტეს, როგორმე დახმარებოდნენ. ლაზი წარჩინებული მთელ იმპერიაში ცნობილმა დიპლომატმა, ფანარიოტმა სტეფანოს ვოღორიდისმა ინახულა საპატრიაროში და როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანს, სულთნის წინაშე შუამდგომლობაც აღუთქვა, სანაცვლოდ კი მოსთხოვა, ლაზეთში დარჩენილი სხვა ფარული ქრისტიანებისათვის წერილი მიეწერა და მათთვის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარება ეთხოვა. ცხადია, სულეიმან-აღა თუზჯიოღლი ამაზე არ დაყაბულდა. საბოლოოდ,

ტრაპიზონის ბერძენი ეპისკოპოსი ხრისანგოსი

მას სტამბოლის ცენტრში სახალხოდ თავი მოჰკვეთეს, ხოლო სხეული დაწვეს.

ამის შემდგომ, რასაკვირველია, სტამბოლის მესვეურებმა ლაზისტანის სანჯაყში ფარული ქრისტიანების წინააღმდეგ რამდენჯერმე რეპრესიებიც განახორციელეს — XIX საუკუნის 40-იან წლებში, რიზედან ქრისტიან ლაზთა რამდენიმე ასეული ოჯახი ცენტრალურ ანატოლიაში გადაასახლეს, ბევრიც სიკვდილით დასაჯეს, მაგრამ ფარული ქრისტიანობა მაინც ვერ აღმოფხვრეს. ბრიტანეთის ტრაპიზონელი კონსული, ლორდი პიკოკი, რომელმაც 1848-1849 წლებში ლაზისტანის სანჯაყში (კერძოდ — რიზესა და ათინაში) იმოგზაურა, აღნიშნავდა, რომ ბევრი ლაზი თავს მუსლიმანად კი მიიჩნევდა, მაგრამ აღდგომას მაინც დღესასწაულობდა: „ისინი კვერცხებს ისევე ღებავენ, როგორც ქრისტიანები და მჭადზეც ჯვარს გამოსახავენ... შევეცადე გამეგო, თუ რატომ იქცევიან ამგვარად, მაგრამ რატომღაც, პასუხი არ გამცეს“, — წერდა გაოცებული ლორდი. მისი თქმით, ლაზები ძველ სალოცავთა ნანგრევებსაც ძალზე უფრთხილდებოდნენ.

XX საუკუნის დასაწყისში, „ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის“ (1908-1909) შემდეგ, ოსმალეთის სულთანმა ქრისტიან ქვეშევრდომებს (მათ შორის, რასაკვირველია — ბერძენ მართლმადიდებლებსაც) უფლებები მნიშვნელოვანწილად გაუზარდა. სწორედ იმხანად „ჯიზიას“ გადასახადიც გაუქმდა, რასაც ქრისტიანები ფაქტობრივად, რწმენის აღიარების სანაცვლოდ იხდიდნენ; აქედან გამომდინარე, ფარულმა ქრისტიანობამ, ერთი შეხედვით, აზრი დაკარგა. სხვათა შორის, ლაზისტანის სანჯაყის ბევრი მცხოვრები (უმეტესად — რიზელები და გუმიშხანელები, რომლებიც ენობრივად უკვე მთლიანად გათურქებულნი იყვნენ — ოსმალებს მათ მუსლიმანობაში რაიმე ეჭვი რომ არ შეჰპარვოდათ, ოჯახებშიც ოსმალურად საუბრობდნენ ხოლმე) სულთანს ენდო და ქრისტიანობა დაუფარავად აღიარა; ეს თავისთავად, ბერძნულ-მართლმადიდებლურ თემში გაწევრებას ნიშნავდა, მაგრამ ლაზების ამ ნაწილმა, რწმენის მიუხედავად, ბერძენთაგან განსხვავებული ეთნიკური თვითაღქმის შენარჩუნება მაინც მოახერხა.

ამავდროულად, ლაზისტანის სანჯაყის ათინისა და ხოფის ნაჰიეების მოსახლეობა, რომელსაც მშობლიური მეტყველებაც და თვითაღქმაც კარგად ჰქონდა შენარჩუნებული, კვლავ ძველი შეხედულებების ერთგული დარჩა. ისინი რიზელებსა და გუმიშხანელებს ენის დაკარგვის გამო ადრეც ათვალწუნებით უყურებდნენ, ამჯერად კი მათ მიმართ კიდევ უფრო უარყოფითად განეწყვნენ. ცხადია, ამ დაპირისპირებას ოსმალებიც დიდად უწყობდნენ ხელს — მიუხედავად ყველაფრისა, ამ უკანასკნელთ ქრისტიანები გულზე არ ეხატებოდათ და მათი ერთმანეთზე წაკიდებით, რასაკვირველია, თავიანთი პოზიციების გამყარებას ცდილობდნენ. ამასობაში I მსოფლიო ომიც დაიწყო და ყველაფერი ელვისუსწრაფესად შეიცვალა — ლაზისტანის სანჯაყიც და ტრაპიზონის ვილაიეთიც ფრონტის ზონად იქცა და 1915-1916 წლებში ორივე ტერიტორია რუსების ხელში აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ ოსმალურმა არმიამ ქალაქი ტრაპიზონი ჯერ კიდევ რუსული არმიის შემოსვლამდე დატოვა. ტრაპიზონის ვილაიეთის ვალიმ (მმართველმა) — ჯემალ აზმი-ბეიმ ქალაქის გასაღები ბერძენ მიტროპოლიტ ხრისანტოსს ჩააბარა: „ეს ქვეყანა ჩვენ თქვენგან მივიღეთ და თქვენვე გაბარებთ. მართეთ იგი, როგორც გსურდეთ და ის ტაძრები, რომლებიც ოსმალებმა მეჩეთებად გადააკეთეს, შეგიძლიათ, ხელახლა თქვენი წესით აკურთხოთ“, — განუცხადა ოსმალო მაღალჩინოსანმა ბერძენ მღვდელთმთავარს. ამის შემდეგ — კარგა ხანს, ტრაპიზონელი ბერძნების როგორც საერო, ისე საეკლესიო მეთაური სწორედ მიტროპოლიტი ხრისანტოსი გახლდათ, რომელიც საბერძნეთისა და რუსეთის გარდა, საფრანგეთისა და ინგლისის მხარდაჭერითაც სარგებლობდა.

1917 წელს, როდესაც ტრაპიზონში ადგილობრივმა ბერძნებმა პონტოს რესპუბლიკა შექმნეს, ლაზისტანის ყოფილ სანჯაყზეც პრეტენზიები განაცხადეს. სხვათა შორის, ამის ერთ-ერთ საფუძვლად ისინი ხსენებულ რეგიონში ფარული ქრისტიანების სიმრავლეს ასახელებდნენ, მაშინ როდესაც პონტოს რესპუბლიკის წინააღმდეგ ყველაზე მეტად სწორედ ეს უკანასკნელნი იბრძოდნენ — ლაზ პარტიზანთა მეთაური, მუსტაფა-ეფენდი (იგივე დიმიტრი) თიბუკოღლი, რომელიც ბერძნების დაუძინებელი მტერი იყო, რწმენით მართლმადიდებელი ქრისტიანი გახლდათ. ფარულად მართლმადიდებლობას აღიარებდნენ ასევე არქაბელი ძმები — ჰუსეინ და იუსუფ ქუჩუკოღლები, რომლებიც ჯერ „ქართული ლეგიონის“ წევრები იყვნენ, 1917 წლიდან კი პონტოელ ბერძნებს ებრძოდნენ. საბოლოოდ, პონტოელმა ჯარისკაცებმა ორივე ქალაქ კერასუნტში (დღევანდელი გირესუნი) მოკლეს იმ დროს, როცა თავიანთ მოკავშირეებს უნდა შეხვედროდნენ.

ლაზეთის ქრისტიანთა ისტორიაში გადამწყვეტი მომენტი 1923 წელს დადგა — მაშინ საბერძნეთ-თურქეთის ომი (1919-1922) ახალი დამთავრებული იყო და მთელ თურქეთში ადგილობრივ ბერძნებს დიდად ავიწროებდნენ. ეთნიკურ ნიადაგზე ფართომასშტაბიანი შეტაკებების თავიდან აცილების მიზნით, თურქეთის პრეზიდენტმა ქემალ ათათურქმა და მისმა ბერძენმა კოლეგამ — ელეფთერიოს ვენიზელოსმა ე.წ. „მოსახლეობის გაცვლის“ თაობაზე საიდუმლო შეთანხმებაც კი გააფორმეს, რომლის თანახმადაც თურქეთიდან ყველა ბერძენი საბერძნეთში უნდა გადასახლებულიყო, მათ ადგილას კი საბერძნეთიდან წამოსული თურქები უნდა დამკვიდრებულიყვნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ სინამდვილეში „ბერძენთა“ და „თურქთა“ სახელწოდებების მიღმა ზოგადად მართლმადიდებლებსა და მუსლიმანებს გულისხმობდნენ. ამიტომაც იმ 1,5 მილიონ ბერძენს შორის, რომელმაც თურქეთი 1923 წელს დატოვა, საკმაოდ ბევრი ლაზი ქრისტიანიც იყო — გადმოცემით, იმის გამო, რომ მართლმადიდებლობას აშკარად აღიარებდნენ, იძულებული გახდნენ, სამუდამოდ მიეტოვებინათ სამშობლო. ცხადია, მათმა უმრავლესობამ უკან დაბრუნება ვეღარასოდეს მოახერხა. ■

ლაზ ფარულ ქრისტიანთა ჯგუფი სალონიკში. XX საუკუნის 20-იანი წლების ფოტო

ᲘᲒᲐᲕᲘ ᲐᲗᲘ ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲨᲝᲠᲔᲜᲐ ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ

„იგავი ათ ქალწულზე“ მოთხრობილია მათეს სახარების 25-ე თავში. მაცხოვარი იგავის თხრობას ამგვარად იწყებს: „მაშინ ცათა სასუფეველი დაემსგავსება ათ ქალწულს, რომლებმაც აიღეს თავიანთი ლამპრები და გამოვიდნენ ნეფის შესახვედრად. ხუთი მათგანი უგუნური იყო, ხუთი — გონიერი. უგუნურებმა თავიანთი ლამპრები რომ აიღეს, ზეთი არ გაიყოლეს თან. გონიერებმა ლამპრებთან ერთად, ზეთიც გაიყოლეს ჭურჭლებით. სიძეს შეაგვიანდა და ყველას ჩაეძინა. შუაღამისას სიძე უნდა მოსულიყო. ყველა ქალწული ადგა და, ნეფეს რომ მიჰგებებოდა, თავ-თავიანთი ლამპრები გამართეს. უგუნურებს ზეთი არ ჰქონდათ და ლამპრები ჩაუქრათ, მათ გონიერებს სთხოვეს — გვიწილადეთ თქვენი ზეთისგან, ვინაიდან ლამპრები გვიქრებაო. გონიერმა ქალწულებმა მიუგეს: ჩვენც რომ არ დაგვაკლდეს და თქვენც, უმჯობესია, წახვიდეთ ვაჭრებთან და იყიდოთო. როცა ისინი წავიდნენ, სიძეც მოვიდა. გამზადებულები მასთან ერთად შევიდნენ ქორწილში და კარიც დაიკეტა. შემდეგ დანარჩენი ქალწულებიც მოვიდნენ და კარის გაღება ითხოვეს, მაგრამ ნეფემ მათ მიუგო: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არ გიცნობთ“. იგავს განგვიმარტავს მამა ᲓᲘᲓᲘᲢᲠᲘ ᲕᲐᲜᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

— იგავის დასაწყისში უფალი განგვიმარტავს, თუ რა ხდება ღვთისგან განკითხვის ჟამს, როგორი სულიერი მდგომარეობის ადამიანები იქნებიან უფლის სიახლოვეს, დაიმკვიდრებენ ადგილს მარადიულ ნეტარებაში — რომელთათვის იქნება ღია სასუფევლის კარი. ქალწულების სახით იგავში წარმოჩინებულნი არიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ ღვთისთვის, ოღონდ მათ შორის, ხუთს გონიერად, ხუთს კი უგუნურად მოიხსენიებს. იგავის თანახმად, ათივე ქალწული განემზადება ნეფის, სიძის — უფლის შესახვედრად: გონიერნი — ლამპრებთან ერთად, ზეთსაც გაიყოლებენ ჭურჭლებით ანუ თადარიგს იჭერენ სიძესთან — უფალთან შესახვედრად, უგუნურები კი მხოლოდ ლამპრებს წაიღებენ.

იგავის მომდევნო ნაწილის თანახმად, სიძეს შეაგვიანდება და ქალწულებს ჩაეძინებათ. „ჩაძინება“ მიანიშნებს გარდაცვალებას, „სიძის მოლოდინი“ — მაცხოვრის, უფლის მეორედ მოსვლის ჟამის მოლოდინს, როდესაც უფალი მოვა კაცობრიობის განსასჯელად, საბოლოო განკითხვისთვის. სიძის მოსვლის შეგვიანება მიანიშნებს, რომ უფლის მეორედ მოსვლის ჟამს დააგვიანდება და ამ დროს ადამიანთა უმრავლესობა „ძილში“ — გარდაცვლილი ელოდება.

ზეთში კი იგულისხმება სათნოებები და ღვთის მადლი, რაც მომარაგებული უნდა ჰქონდეს ადამიანს ამქვეყნიური ცხოვრებიდან გასვლის ჟამისთვის.

იგავის მომდევნო ნაწილიდან ჩანს, რომ როდესაც მოვა სიძე — უფალი, რაც მოულოდნელი იქნება, ყველანი გაიღვიძებენ და მის შესახვედრად ლამპრებს გამართავენ. ხუთი უგუნური ქალწულის ლამპარი ჩამქრალია. ისინი გონიერ ქალწულებს სთხოვენ — თქვენი ლამპრებიდან ზეთი გვიწილადეთო, გონიერნი კი მიუგებენ — ჩვენც რომ დაგვაკლდეს და თქვენც არ გეყოთ, ჯობს, მოვაჭრეებთან წახვიდეთ და იყიდოთო. რას ნიშნავს ეს? — ადამიანი იმდენ წყალობასა და სიკეთეს ვერ სჩადის, იმდენ სათნოებას ვერ იძენს ამქვეყნად ყოფნის ჟამს, რომ საკმარისზე მეტი იყოს ღვთის წინაშე გასამართლებლად; მეორე მხრივ, უფლის წინაშე სხვისი ქმნილი კეთილი საქმეები არ გამოგვადგება, ყველა საკუთარი საქმეებითა და სათნოებებით გამართლდება. მოვაჭრეებთან წასვლა კი მიანიშნებს, რომ უგუნურებმა დაინახეს, თურმე რაოდენ დიდი ყოფილა წყალობა ღვთისა, როდესაც ადამიანი მადლითა და სათნოებებით წარდგება მის წინაშე, ხოლო თავად, საკუთარი უგუნურების გამო უარს ამბობდნენ ამ წყალობაზე; მაგრამ გარდაცვალების შემდეგ შეუძლებელია ღვთის მადლისა და წყალობის შეძენა, რადგან ამქვეყნიური ცხოვრებიდან გასვლის შემდეგ სიკეთეების კეთების შესაძლებლობა აღარ არსებობს. მოწყალება თუ სხვა სათნოებები, გონიერი ქალწულების მსგავსად, მომარაგებული უნდა ჰქონდეს ადამიანს, რათა ამ სათნოებებით მიეგებოს უფალს მეორედ მოსვლის ჟამს.

როდესაც უგუნური ქალწულები მოვაჭრეებიდან უკან დაბრუნდნენ, კარი დახშული დახვდათ და ნეფეს მისი გაღება სთხოვეს, მან კი მიუგო: ჭეშმარიტად გეუბნებით — არ გიცნობთო! რას ნიშნავს ეს? რატომ მიმართავს უფალი ამ იგავურ თქმას? — უფლისთვის უცხოა ადამიანი, რომელიც მზად არ არის მასთან შესახვედრად, დღენიადაგ არ ისწრაფოდა ღვთის მსგავსებისკენ. უფალი გულმოწყალეა, ყველა ადამიანის ცხონება სურს, ყველა ადამიანში ეძებს საამისოდ საფუძველს, მაგრამ ეს უპირველესად ადამიანმა უნდა ისურვოს, თვითონ უნდა შეუწყოს ხელი საკუთარ ცხონებას თავისი თავისუფალი ნებითა და ამქვეყნიური ცხოვრებით.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი „ათი ქალწულის იგავზე“ საუბრისას ბრძანებს: ადამიანს, იმის გამო, რომ ქალწულებრივად — ეკლესიურად, სიწმინდით ცხოვრობს და ღვთის მცნებებს აღასრულებს, არ უნდა ეგონოს, რომ ამით ყველაფერი ამოწურა, სულიერებაში ყველაფერი გაკეთებული აქვს; შეიძლება, უფლის მცნებებს აღასრულებდეს, მაგრამ თუ მოპოვებული არა აქვს ღვთის მადლი სათნოებებით — მოწყალებით, სიკეთეების კეთებით, თავმდაბლობით, მორჩილებით, „...მეძავთა თანა განიდევნება სასუფევლიდან “ — ანუ იქ დაიმკვიდრებს, სადაც მეძავნი — ცოდვილნი მკვიდრობენ. მთავარია, ადამიანი სათნოებებითა და ღვთის მადლით განმტკიცებული გავიდეს ამ ქვეყნიდან, რათა უფალმა იცნოს იგი. გავიხსენოთ სახარებიდან, მაცხოვრის მიერ უნაყოფო ლეღვის ხის გახმობა: ლეღვის ხე ხომ სწორედ იმის გამო გაახმო უფალმა, რომ ნაყოფი არ გამოიღო. ეკლესიური ცხოვრება, ლოცვა, აღსარება, ზიარება — ეს ყველაფერი არის ხის ფოთლები, ნაყოფი კი — ქრისტიანული სათნოებები. უფალი ბრძანებს: ყოველი ხე, რომელიც ნაყოფს არ გამოიღებს, მოიჭრება და ცეცხლს მიეცემაო. — ე.ი. თუ ჩვენს ეკლესიურ ცხოვრებას კეთილი ნაყოფი — სათნოებები არა აქვს, ღვთის წინაშე ვერ გამართლდებით, რადგან დაშთება გონების ლამპარი, რომელიც სათნოებათა მოხვეჭის სანაცვლოდ მიღებული საღვთო მადლით უნდა იყოს განათებული; ულამპრო, გონებაჩამქრალ ადამიანს კი ვეღარ იცნობს უფალი, როდესაც მის კარს მიადგება და მიუკაკუნებს. როგორც ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი ბრძანებს, უფლისგან ყველა ადამიანს ეძლევა ნათელი სული და განათებული, ლამპრიანი გონება, მაგრამ მასში ადამიანები მთელი ცხოვრების მანძილზე ვამატებთ ზეთს — სათნოებებს, რათა მთელი ცხოვრება შევინარჩუნოთ საღვთო მადლით განათებული გონება. ადამიანი უნდა ცდილობდეს, რაც შეიძლება მეტი ზეთი — სათნოება მოიმარაგოს, რომელიც გადაჰყვება მოლოდინის ცხოვრებაში და უფლის განკითხვის ჟამს სულის საცხოვნებლად წაადგება. სათნოებათა შორის კი უმთავრესი — მოწყალებაა. მამები ბრძანებენ — მოწყალება უმოკლესი გზაა სასუფევლისკენო. ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი „ათი ქალწულის იგავზე“ საუბრისას ბრძანებს: უმოწყალობა, როდესაც ადამიანს უჭირს რაიმეს გაცემა (იმას ვერ გასცემს, რაც უფალმა მისცა), შეძენილი ცოდვაა და გაცილებით ადვილი გადასალახავი და დასათრგუნავია, ვიდრე დავუშვათ, სიძვისა და მრუშობის

ცოდვა, რომელიც ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე; უგუნურმა ქალწულებმა ეს ვნება დათრგუნეს — ანუ სიწმინდე შეინარჩუნეს, მაგრამ უმოწყალობას, ვერცხლისმოყვარეობას ვერ მოერივნენ და მის გამო გამოაკლდნენ ცათა სასუფეველსო.

როდესაც მაცხოვარი „ათი ქალწულის იგავის“ თხრობას დაასრულებს, წარმოთქვამს: „იფხიზლეთ, ვინაიდან არ იცით არც დღე, არც საათი, როდის მოვა კაცის ძე“. ამ სიტყვების წარმოთქმით უფალი მოგვიწოდებს მღვიძარების — სულიერი სიფხიზლისკენ. ადამიანი ყოველწამიერად უნდა იყოს ფხიზლად, სულიერად მზად, ღვთის სამსჯავროს წინაშე წარსადგომად. ყოველდღიურად ვეცადოთ, რაც შეიძლება მეტი სიკეთე ვაკეთოთ, მეტი სათნოება და მადლი მოვიპოვოთ. განუწყვეტლივ უნდა გვქონდეს ხსოვნა გარდაცვალებისა — ეს დღე როდის დადგება, არავინ უწყის, მხოლოდ უფალზეა დამოკიდებული, როდის გაიყვანს თითოეულ ჩვენგანს ამა სოფლიდან. ამიტომაც გვმართებს სულიერად მზადყოფნა უფალთან შესახვედრად. ადამიანმა სახვალიოდ, სამომავლოდ რომ გადადოს სიკეთეების კეთება, სულის მაცხოვნებელ საქმეებზე ფიქრი, შესაძლოა, უკვე გვიანაც კი იყოს. „როდის მოვა კაცის ძე“ — ამ სიტყვებში უფლის მეორედ მოსვლის ჟამი იგულისხმება.

ადამიანი რაც მეტად იღვწის მღვიძარებისთვის თუ სათნოებების მოსაპოვებლად, მით მეტად ებრძვის ბოროტი, მაგრამ მცდელობა და სწრაფვა არ უნდა დავკარგოთ; უფალი სწორედ მცდელობას დაგვიფასებს. ღვთივსათნო ცხოვრებას სჭირდება ყოველდღიურად წვრთნა სულისა. რაც ნაკლებად დაინდობს ადამიანი თავის ხორცს, მით მეტ სულიერ სიმაღლეს მიაღწევს. თუ ადამიანს შეებრალება თავისი ხორცი — დილით ადრე ადგომით, ლოცვის წაკითხვით, ეკლესიაში მისვლით, წირვა-ლოცვაზე დგომით, მარხვითა და სხვა ღვაწლით, სულიერი მუშაკობით, — მით მეტად მიაძინებს და დაუზიანებს საკუთარ სულს.

— რა არის უფლის მთავარი სათქმელი „ათი ქალწულის იგავში“?

— შესაძლოა ადამიანი ქალწულებრივად, ეკლესიურად, უფლის მცნებების დაცვით ცხოვრობდეს, მაგრამ არ უნდა იფიქროს, რომ ამით თავისი მიწიერი მისია შეასრულა, ამოწურა და აუცილებლად ცხონდება. მთელი ცხოვრება იმის ფიქრში უნდა ვიყოთ, რა არ გაგვიკეთებია სულიერებაში, ვეცადოთ, რაც შეიძლება მეტი და მეტი სათნოება მოვიპოვოთ, რათა მეტი მადლი გავიყოლოთ თან. უფლის წინაშე მთავარია შინაგანი სულიერი მდგომარეობა და არა გარეგნულად აღსრულებული საეკლესიო წესები და უფლის მიერ დადებული მცნებების დაცვა. მადლისა და წყალობის მიღებას ყოველდღიური სულიერი მუშაკობა სჭირდება. ■

მამა სოგრატის ლოცვით აღვლენილი სასწაულები

...მღვდელმსახური გულმა შეაწუხა და კარდიოლოგიურ კლინიკაში სამკურნალოდ მოათავსეს. ერთ დღეს, ე.წ. „არამიანცის“ საავადმყოფოს ეზოში სასეირნოდ გამოსულს უთქვამს, — აქ ტაძარი უნდა ავაგოო... ირგვლივ სულ ნაძვებია. როგორც ამბობენ, ეკლესია ისე ააშენეს, რომ ერთი ხეც არ მოუჭრიათ — თითქოს საგანგებოდ საღვთო სახლისთვის იყო განკუთვნილი... მამა სოგრატი, რომლის თაოსნობითაც წლების წინ მშენებლობა დაიწყო, დღეს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარში მსახურობს...

თეა ხურცილავა

ნანა შარაშენიძე, *მრევლი:*

— მამა სოგრატის ლოცვებს ქაშვეთის ტაძარშიც ვესწრებოდი. მახსოვს, 14 წლის წინ მასთან ჩემი პირველი შეხვედრა. პირველ სართულზე რომ შევედი, ლუკას სახარებას კითხულობდა. საოცარი რეაქცია მქონდა, უეცრად ცუდად გავხდი... სახლში სულიერად დაავადებული მყავს. სამსახურიც არ მქონდა... მამა სოგრატის ლოცვით, ოჯახში მდგომარეობა გამოკეთდა. ჩემი ავადმყოფი მასთან რომ ვერ მოვიყვანე, ამის გამო მისი სურათი მივუტანე. ფოტო ხელში მეჭირა; რაც მაშინ მოხდა, ამის გადმოცემა შეუძლებელია: მამა სოგრატი ლოცულობდა, მე „ბრძოლები“ დამეწყო — მთელი სხეული მტკიოდა. ტკივილისგან ვიკრუნჩხებოდი. ცივმა ოფლმა დამასხა. ვტიროდი, მოძღვარს ვებღაუჭებოდი და ვთხოვდი, ჩემთვის ეშველა. საშინელი განცდა იყო. ლოცვის შემდეგ დავწყნარდი... ყველაფერი ღმერთის ნებაა. თუ ადამიანი რწმენით მოვა, აუცილებლად მადლს მიიღებს.

მართლაც რომ უფალს ყოველთვის ჰყავს თავისი რჩეულები, რომელთა ხელითაც სასწაულები აღესრულება. ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული ღვთისმსახური, არქიმანდრიტი სოგრატი გახლავთ. მისი ლოცვით ბევრი გაჭირვებული, მძიმე სნეულებაში მყოფი ადამიანი განკურნებულა, სასწაულის თვითმხილველი და თანამონაწილე გამხდარა. ისმენ ამ ადამიანების მონათხრობს და ფიქრობ, რომ ასეთი საოცრების მოხდენა მხოლოდ უფლის ძალით არის შესაძლებელი.

მერაბ მორჩაძე, *ექიმი:*

— ოჯახი რომ შევქმენი, 5 წელი შვილი არ მყავდა. ეკლესიაში მხოლოდ სანთელს ვანთებდი და ღვთისმშობელს შვილს შევთხოვდი. ეს თხოვნა ამისრულდა... 1999 წელს რესტორანში ვიქეიფე, მერე მთვრალი მივუჯექი საჭეს. სახლში მივიჩქაროდი: მეუღლემ დამირეკა და მითხრა, ბავშვს მაღალი სიცხე აქვსო. მეტეხისკენ, გვირაბში გავდიოდი, ორმოს გადავუარე და ერთბაშად, ოთხივე საბურავი გასკდა, რადგან ძალიან დიდი სიჩქარით მივდიოდი. თვითმხილველები ამბობდნენ, — როგორც თოფის ლულიდან ტყვია გავარდება, მანქანა ისე გამოვარდა გვირაბიდანო. გონება არ დამიკარგავს. ჯერ „მარშრუტკას“ დავეჯახე, ბოლოს სამხიდიანი მანქანის ქვეშ შევვარდი. სიბნელე რომ დავინახე, გავიფიქრე, — ეს ყოფილა სიკვდილი-მეთქი. ამ დროს ჩემ თვალწინ კინოკადრებივით, მთელმა ჩემმა ცხოვრებამ გაირბინა. ყველა ახლობლის სახე დავინახე. უეცრად მამაკაცის ხმა ჩამესმა, — ცოცხალიაო. მანქანიდან რომ გადმომიყვანეს, ყველა სასიცოცხლო ორგანო დაზიანებული მქონდა, მათ შორის — ხერხემალიც. მაშინ საავადმყოფოში სასუნთქი აპარატიც სულ ორი იყო: ერთ-ერთზე მერაბ ჟორდანია იყო შეერთებული, მეორეზე — მე. ჩემი ოჯახის ყველა წევრი ექიმია. „არამიანცის“ საავად-

მყოფოდან ექიმ გია გრიგოლიასთან გადამიყვანეს... რაც მაშინ განვიცადე, ეს ალბათ ხილვა იყო. შეიძლება, ბევრისთვის დაუჯერებელია: ჩაბნელებულ თბილისში მარტო მივდიოდი, ნაცნობი არ შემხვედრია. მხოლოდ ერთი მესაუბრებოდა, რომელსაც ვერ ვიტანდი — ალბათ ეშმაკი იყო. რაც აქ თავმოყვარე ადამიანს გულს სტკენს, ეწყინება, შერცხვება — იქ ყველაფერი გამოვცადე. ბოლოს, სადღაც, შვილი დავკარგე; მახსოვს, ვიღაცამ დანა დამარტყა... ძალიან ცუდად ვიყავი, დაჭრილი დავდიოდი და შვილს ვეძებდი. ამდენი წელი გავიდა და ყველაფერი დღემდე ცხადივით მახსოვს. უეცრად სამხედრო ვაგონმა გამოიარა, რომელზეც ჯვარი ეხატა; თითქოს ოპერაცია გამიკეთეს და დავმშვიდდი. თურმე ამ დროს, საავადმყოფოში ჩემთვის მამა სოგრატი ლოცულობდა. მეორედ რომ მოიყვანეს და ლოცვა დაიწყო, წნევა 240-ზე ამივიდა, გულისცემამაც მაქსიმალურ ზღვარს მიაღწია. რეანიმაციის ჩასატარებლად მოემზადნენ. მამა ადამს (მაშინ სასულიერო პირი არ იყო, აჩიკო ერქვა და ქირურგიის ინსტიტუტში მუშაობდა) უთქვამს, — მამაომ ლოცვა დაამთავროსო. ლოცვა რომ დამთავრდა, ყველაფერი ნორმაში ჩადგა. ექიმები ჩემს გადარჩენას გამორიცხავდნენ, უბრალოდ, მამაჩემს, ჩემს ძმას, მეუღლეს, დედას — როგორც კოლეგებს, ვერ უბედავდნენ იმის თქმას, რომ აპარატი გამოერთოთ... მეორე ლოცვის შემდეგ, 28-დღიანი კომიდან გამოვედი, ეს საოცრება იყო. ღამით თვალი რომ გავახილე, წინ წმინდა ნიკოლოზის ხატი მედო. უეცრად „მამაო ჩვენოს“ კითხვა დავიწყე და ხილვა ვნახე: რაღაც სიმაღლეზე ავიწიე, ვიღაცამ ჯვარი ხელზე დამკიდა, ეს ჯვარი ჩავიხუტე და შვება ვიგრძენი. გამოვკეთდი... სამი დღის შემდეგ სახლში გადაყვანა მოვითხოვე. წარმოუდგენელი იყო, მაგრამ ჩემს ნერვიულობას სახლში წაყვანა არჩიეს. წარმოიდგინეთ, სასიკვდილოდ გადადებულს, უცებ მართვითი სუნთქვის აპარატი გამომითიშეს. სულ ნარკოტიკს მიკეთებდნენ; ერთ დღეს უარი ვთქვი ტკივილგამაყუჩებელზეც... სახლში მისულმა მოვითხოვე, — ის მოხუცი მომიყვანეთ-მეთქი. ყველას გაუკვირდა, ზოგმა თქვა, კომაში იყო, მაგრამ ალბათ რაღაცას ხედავდაო; არადა, არაფერი მინახავს. მოძღვარი რომ მომიყვანეს, ვთხოვე, — მაზიარე-მეთქი; ისე ვთქვი ეს სიტყვა, რომ მაშინ წესიერად მისი მნიშვნელობაც არ ვიცოდი... აღსარება ჩავაბარე. მეორე დღეს მაზიარა, ჩამიხუტა. ოთახში რომ შემოდიოდა, მისგან ძლიერ სითბოს ვგრძნობდი, საშინელი ტკივილები მქონდა და ამ დროს მიყურებდებოდა. არ ვამეტებ, გადარჩენაზე ლაპარაკი არ იყო, მინიმუმ, ინვალიდი უნდა დავრჩენილიყავი: საფეთქელი გაბზარული, ტვინის დაჟეჟილობა, გაბზარული ფუძე, ხერხემლის კომპლექსური მოტეხილობა, 9 ნეკნი მოტეხილი, აქედან ორი — ფილტვში გაყრილი, ორივე ფილტვის რესპირაცია, გულზე პრობლემები... თუ გადავრჩებოდი, მცენარესავით უნდა ვყოფილიყავი, რომელსაც წყალს უსხამენ. მამა სოგრატის სასწაულებრივი ძალითა და ლოცვით, დღეს სრულიად ჯანმრთელი ვარ. დიდხანს მოძღვართან რომ ვერ მივდივარ, დამესიზმრება; ეს ხილვაა. მოძღვრის ლოცვა შვებას მაძლევს. მისგან რომ გავდივარ, შინაგანი ბრძოლა მეწყება — ყოველთვის ცუდსა და კარგს შორის არჩევანის წინაშე ვდგები. ახლა უკვე ვხვდები, რომ სწორი გზით უნდა წავიდე... ამ სასწაულმა ჩემი ოჯახი მორწმუნე გახადა. როცა ძალიან მიჭირს, საოცარ რჩევა-დარიგებას მაძლევს. აქ გაზარდა მამა სოგრატმა პატარა ბარბარე, რომელიც იშვიათი დაავადებით — ცელიაკიათი (არასპეციფიკური წყლულოვანი კოლიტი) იტანჯებოდა. არაფერს ჭამდა, ძალიან ცუდად იყო. ჩემ თვალწინ მოხდა ეს სასწაულიც. დღეს ის ტაძარში გალობს. მის ლოცვასა და მადლს მოფრთხილება უნდა. ყოფილა შემთხვევა, მამა სოგრატი ავადმყოფთან მიმიყვანია და უთქვამს, — რა სიცივე მოდისო! — და ის ავადმყოფი გარდაცვლილა... მან შვილიც გადამირჩინა: მეუღლემ იმშობიარა, ექიმებს პატარა შეცდომა მოუვიდათ; ბავშვმა სუნთქვა შეწყვიტა. სასწრაფოდ, მამა სოგრატთან გავიქეცი... შვილი მომინათლა. მამა სერგი საფარელი იყო ბავშვის ნათლია. მამა სოგრატის ლოცვამ შვილი მიხსნა.

მერაბ მორჩაძე მეუღლესთან ერთად

არქიმანდიტი სოგრატი (ჭულუხაძე) 1933 წლის 19 თებერვალს, ცხინვალის რაიონის სოფელ ზემო აჩაბეთაში, მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. მამა ომში გარდაეცვალა, დედა — ქალბატონი სალომე საოცრად მორწმუნე ადამიანი ყოფილა. რელიგიური პროპაგანდის გამო „გაციმბირებას“ სასწაულებრივად გადაურჩა. მაშინ ცხინვალში ყველა იცნობდა თეთრებით შემოსილ, სასიამოვნო გარეგნობის ქალს, რომელიც ყველა რელიგიურ დღესასწაულზე ეკლესიაში გაბედულად შედიოდა, ხმამაღლა გალობდა და სხვებსაც რწმენისა და ლოცვისკენ მოუწოდებდა. რადგან ეკლესიაში მღვდელი არ იყო, რამდენიმე მოხუცი მამაკაცი და ქალბატონი სალომე შობის და აღდგომის დღესასწაულებზე ზეპირად კითხულობდნენ სახარებას და გალობდნენ; მერე ეკლესიიდან ხატებს გამოაბრძანებდნენ და გალობით მიაბრძანებდნენ წმინდა გიორგის და ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიებში, რომლებიც სოფლიდან მოშორებით, მთაში იყო აგებული. ამ პროცესიის დროს მამა სოგრატის დედა ყოველთვის ფეხშიშველი იყო...

უფლის რწმენით აღზრდილი ახალგაზრდის არჩევანი, ბუნებრივია, გასაკვირი არ არის. სკოლის დამთავრების შემდეგ, მან მცხეთის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა სწავლა. 1968 წლის 17 მარტს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ეფრემ მეორემ სასულიერო აკადემიის მეორე კურსის სტუდენტი სოგრატი სიონის საკათედრო ტაძარში დიაკვნად აკურთხა. იმავე წლის მაისში, უკვე მღვდლად აკურთხეს და სიონის საკათედრო ტაძარში მსახურობდა. პარალელურად, სემინარიის პედაგოგი იყო. ჯერ დიდუბის ეკლესიაში, წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში, შემდეგ, მამა დავითის სახელობის ტაძარში იმსახურა. 1975 წლის 30 დეკემბერს, კათალიკოს-პატრიარქმა, დავით მეხუთემ მამა სოგრატი ბერად აღკვეცა, არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანა და წმინდა გიორგის სახელობის ქაშვეთის ტაძრის წინამძღვრად დანიშნა. იქ წლების მანძილზე იმსახურა.

მამა სოგრატი ბავშვობიდან ლექსებს წერს და ოთხი კრებულის ავტორია. 1979 წელს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ იგი მეორე, გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა. 1992 წელს სვეტიცხოვ-

ლის საპატრიარქო ტაძრის, სამთავროს დედათა მონასტრის და ღირსი შიო მღვიმელის მონასტრის მთავარ ხუცესად დაინიშნა. 2002 წელს კი საქართველოს ეროვნული აკადემიის რელიგიისა და ეთნოკულტურის განყოფილების მრჩევლად მიიწვიეს და აკადემიის საპატიო აკადემიკოსის წოდება მიანიჭეს.

1979 წელს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ იგი მეორე, გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა

ეკატერინე მიქაია, *აფხაზეთიდან დევნილი:*

— მეორე შვილზე ფეხმძიმედ ვიყავი, როცა აფხაზეთის ომი დაიწყო და ის გოლგოთა — სვანეთის გზა, ბევრ დევნილთან ერთად, მეც გამოვიარე. სტრესის ფონზე დიაბეტი გამიჩნდა, თან ძალიან რთული ფორმა. ექიმები ფაქტობრივად, უძლურები იყვნენ. ზაფხულში მამა სოგრატთან ლოცვაზე რომ მიმიყვანეს, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე ვიყავი. დღეში 6-ჯერ ვიკეთებდი ინსულინს, მაგრამ არ მშველოდა. ამ დაავადებამ ყველა ორგანო ჩაითრია. საავადმყოფოდან მამა სოგრატთან გადმომიყვანეს. ვინც მომიყვანა, მას უკვე გამოცდილი ჰქონდა მისი ლოცვის ძალა: რომანოზი ეშმაკეულით შეპყრობილი იყო; მისი განწირული ღრიალი აქ ყველას ესმოდა: კრუნჩხვებში ვარდებოდა, იატაკზე ფორთხავდა, არაადამიანურ ხმებს გამოსცემდა. მხოლოდ მამაოს ლოცვის შემდეგ მშვიდდებოდა; უფლის წყალობით, დღეს ჩვეულებრივი ცხოვრების წესით ცხოვრობს... პირველი ლოცვის შემდეგ ჩემში რაღაც გარდასახვა მოხდა. წამალი წამლად შემერგო. საოცრება იყო, საერთოდ ცოცხალი რომ ვიყავი: გული, თირკმელი, ღვიძლი, თვალები — ყველაფერი ჩათრეული მქონდა, ცოტაც და, ინსულტი დამემართებოდა. მასთან შეხვედრის შემდეგ ჩემს სულში სიხარულმა დაისადგურა. მადლობა უფალს, რომ ღირსი გამხადა ამ ადამიანის ხილვის, მისი შეხების, მისი ხმის გაგონების! მის წინ ვიდექი და ვტიროდი. ცრემლები მომწმინდა და მითხრა, — ნუ ტირი, შენ ჩემი გვრიტი ხარ, მინდა, სუფთად და წმინდად შეგიყვანო სასუფეველში; შენ გოლგოთა გამოიარე, ამის შემდეგ ამაღლება იწყება და აღდგომამდე განგკურნავო. მართლაც, საოცრება მოხდა: შაქრის დონემ დაიწია. სახეზე ღიმილი გამიჩნდა, ენერგია მომემატა. მეუღლეს და შვილებს უხარიათ: ადრე, სახლში რომ ბრუნდებოდნენ, სულ საწოლისკენ იყურებოდნენ... მამამ მითხრა, — პირველად რომ მოხვედი, ვიგრძენი, ამქვეყნიური არ იყავიო... გულში ჩამიხუტა: ერთად დავბრუნდებით აფხაზეთშიო... ისეთ რაღაცებზე გესაუბრება, რაც „შენია“ და სულში გაქვს. ვგრძნობ, როცა ლოცვას მიკითხავს, თვითონ ცუდად ხდება, ხმა უწყდება. შენ არ ინერვიულო — მე უფალი მომცემს ძალას; ამდენი ხალხი მელოდება, მათ ვჭირდებიო... 10 ლოცვის შემდეგ, ფეხზე დავდექი, სამსახურში გავედი, საჭმლის კეთება დავიწყე. როცა მის კალთას ეხები, გრძნობ მადლს და სულში სიხარული შემოდის. იმხელა სიყვარულს ასხივებს, ფიქრობ, ღმერთმა არ მოგაშოროს მის კალთას. მას ერთი ლოცვითაც მოურჩენია ავადმყოფი.

მამა სოგრატი:

— მთავარია, ადამიანი აქ რწმენით მოვიდეს. ბევრი ტაძრამდე ვერ მოდის... ერთ დღეს, ვლოცულობდი, კარი ღია იყო და დავინახე — ქალმა ინვალიდის ეტლით ახალგაზრდა მამაკაცი რომ შემოიყვანა. ვიგრძენი, რომ მას ლოცვა სასწრაფოდ სჭირდებოდა. შემოიყვანეთ-მეთქი. ეტლი ჩემ წინ გაჩერდა. მამაკაცს თვალები გახელილი ჰქონდა, მაგრამ შინაგანად ვიგრძენი, რომ ვერ ხედავდა. არ მიკითხავს, გულში გავიფიქრე, ნუთუ ბრმაა-მეთქი?!. 27 წლის ბიჭი იყო, ორი შვილის მამა. თურმე საკუთარ შვილებს ვერ ხედავდა. ლოცვის შემდეგ დედამისს ვუთხარი, — ისევ მოიყვანე-მეთქი... ზოგს 100 ლოცვაც არ ჰყოფნის, ზოგს კი ერთიც ეყოფა — ინდივიდუალურია. მეორედ ეს ბიჭი რომ მოიყვანეს, ლოცვის დროს თქვა, — ნეტავ ჩემს თვალებს დაანახვა ის ადამიანი, ვინც ახლა მლოცავსო. უნებურად ვუპასუხე, — მალე იხილავ-მეთქი... მეოთხედ რომ მოვიდა, ეტლი მოშორებით, მეორე ამოსასვლელთან დატოვეს. გამიკვირდა და რას ვხედავ? ეტლიდან ადგა და ოთახში თავისი ფეხით შემოვიდა; ხელში ჯოხი ეჭირა. ვიფიქრე, — თვალები ხომ არ მატყუებს, ნუთუ ის არისმეთქი?! სამ ლოცვაში სასწაული მოხდა: ფეხზეც დადგა და გახარებულმა მითხრა, — მამაო, მხედველობაც დამიბრუნდაო! დღეს ის ჩემი მრევლია...

როგორც ამბობენ, მოძღვარს ადამიანის ფიქრის ამოცნობაც შეუძლია. „მე ვისწრაფოდი, მესწავლა ეშმაკთან ბრძოლის მეთოდები, მინდოდა, დავხმარებოდი ადამიანებს, ამისთვის ძალიან ბევრს ვკითხულობდი“, — მითხრა მამა სოგრატმა. ძალიან დაღლილი იყო. ჩემს შესვლამდე, მისი ოთახიდან ცოლ-ქმარი გამოვიდა. მამა სოგრატმა მითხრა: „მათი შვილი წლებია, სახლიდანაა წასული; მისი სურათით მოვიდნენ ორი ლოცვის შემდეგ, ბიჭი თურმე სახლში დაბრუნდა. ახლა უნდათ, ტაძრამდე მოიყვანონ. ვილოცე მისთვის. ამ ლოცვის დროს სამჯერ ძალიან ცუდად გავხდი და უკვე ძალა გამომეცალა“. უარყოფითი ენერგია ლოცვის დროს ხშირად მასზე გადადის და ამას თავადაც ლოცვით უმკლავდება.

მამა სოგრატი თბილი, სათნო და მოსიყვარულე ადამიანია. ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია მისი ლოცვა და უგრძნია მისი ძალა, დარწმუნებული ვარ, საოცრად დიდი მადლი მიუღია და სულის სიმშვიდე მოუპოვებია. მასთან ურთიერთობისას ყოველთვის გრძნობ იმ ამოუცნობ, უხილავ, იდუმალ შინაგან ძალას, რომლითაც იგი გამორჩეული და დაჯილდოებულია.

19 თებერვალს მამა სოგრატს 78 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ დაბადების დღეს და დღეგრძელობას ვუსურვებთ.

სამყარო

საქორწილო ტრადიციები

* ინგლისური და ამერიკული ტრადიციის თანახმად, ქორწილში პატარძალმა ერთი ახალი, ერთი ნათხოვარი, ერთი ძველი და ერთი ცისფერი ნივთი უნდა ჩაიცვას.

* ინდიელთა ტომის — ნავახოს პატარძალმა ჩაცმულობაში ოთხი ფერი უნდა გამოიყენოს.

* კენიელმა ახალგათხოვილმა ქალმა მთელი წლის განმავლობაში ხელები შავ-წითელი ორნამენტებით უნდა მოიხატოს. მთელი ტომის მამაკაცებმა უნდა იცოდნენ, რომ ქალი პატარძალია და პატივი სცენ. გარდა ამისა, არსებობს ტრადიცია, რომლის თანახმადაც, ქალის მძიმე ტვირთის გასაზიარებლად, ახალდაქორწინებულმა მამაკაცმა მთელი თვე ცოლის კაბაში უნდა გაატაროს.

* ბედნიერების დასაბედებლად, იტალიელმა სასიძომ ქორწილის დილას სახლში მწვანე პერანგი უნდა ჩაიცვას. იტალიელ ახალდაქორწინებულებს ვარდის ფურცლებს, ბრინჯსა და შაქარში ამოვლებულ ნუშს აყრიან. ამ უკანასკნელს ისინი იჭერენ და ერთმანეთს აჭმევენ.

* აფრიკის ზოგიერთი ტომის ჩვეულების თანახმად, პირველ ღამეს ქმარმა ცოლს წინა ორი კბილი უნდა ჩაუმტვრიოს. ტომში ასეთი ანდაზაც

კი აქვთ: „გათხოვილი, კბილებჩამტვრეული ქალი ამაყად იცინის, გასათხოვარი, კბილებიანი ქალი კი მორცხვად იღიმის“.

* მაკედონიაში პირველ ღამეს ახალდაქორწინებულები მთავარი განძის — ქუდისა და ჩექმის დასაუფლებლად იბრძვიან. ვინც ორივე ნივთს მოიპოვებს, ოჯახის უფროსიც ისაა.

* ბახუტის ტომის (ცენტრალური აფრიკა) ახალდაქორწინებულებმა პირველი კვირის განმავლობაში ყოველი დილა ერთმანეთის ცემით უნდა დაიწყონ. წყვილი საღამოს დასაძინებლად მშობლებთან მიდის, დილით ისევ სახლში ბრუნდება და ერთიმეორეს ურტყამს. კვირის ბოლოს წყვილი ხვდება, რომ ერთმანეთზე წყენა აღარ აქვს და მშვიდობიან ცხოვრებას იწყებს.

* სუდანში სასიძომ საპატარძლოს ოჯახს ერთგვარი გამოსასყიდი უნდა გადაუხადოს, რადგან ქალიშვილის სახით, ოჯახი „მუშახელს“ კარგავს. საფასური შესაძლოა, იყო ფულადი, ცხვარი ან ძროხა.

* სომალიში მშობლები ბავშვებს ჩვილობაშივე ნიშნავენ. მამაკაცს შეუძლია, ოთხი ცოლი ჰყავდეს, თუ მათი შენახვა შეუძლია.

* ინგლისელ წყვილს ეკლესიაში პატარა გოგონა უნდა შეუძღვეს, რომელიც ნეფე-პატარძალს გზაზე ვარდის ფურცლებს უყრის.

* ბალიზე ახალდაქორწინებული ნარკოზის გარეშე კბილებს იქლიბავენ. ამით იმის დამტკიცება უნდათ, რომ მათში ბოროტი სული არ ბუდობს. საღღესასწაულო სუფრასთან მხოლოდ ქალები სხედან. მამაკაცები მთელი ღამე კერძებს ამზადებენ და დილით ისვენებენ.

* ინდოელები საქორწინო ბეჭედს არათითზე კი არა, ცერზე იკეთებენ.

* სამხრეთ აფრიკის ზოგიერთ ტომში პატარძალმა ქორწილის მეორე დილით მთელი ეზო უნდა დახვეტოს და ოჯახის წევრ სხვა ქალებს საოჯახო საქმეების კეთებაში მიეხმაროს. ■

საშიში ცხოველები



მექსიკასა და ცენტრალურ ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე შხამიანი გველი — Cantil-ი ბინადრობს. მის შხამს რამდენიმე წამში შეუძლია ადამიანის მოკვლა. გველს მსხვილი და მოკლე ტანი აქვს. საკმაოდ ზარმაცია და მსხვერპლის დასაჭერად ჭკვიანურ „ხაფანგს“ იყენებს. მოთეთრო-მოყვითალო კუდის წვერს ისე ატრიალებს, თითქოს მატლი იყოს. ჩიტები, ბაყაყები, ხვლიკები ტყუვდებიან და გველის მსხვერპლი ხდებიან.

ჩრდილოეთ ამერიკაში მობინადრე წყლის კუ 100 კგ-მდე იწონის. იგი მთელი დღე წყალში ნიანგივით ყბადაღებული, გაუნძრევლად წევს და ელოდება, პირში როდის შეუცურდება მსხვერპლი. მის მისაზიდად კი ვარდისფერ ენას იყენებს. თევზს ის მატლი ჰგონია და მსხვერპლს პირში თავისით უვარდება.

ავსტრალიის წყლებში ბინადრობს ზვიგენი Wobbegong. 3,5-მეტრიანი თევზი წყლის ფსკერზე გაუძრევლად წევს და მსხვერპლს ელოდება. წვრილი თევზების მისაზიდად წვრილ კუდს იყენებს. ყვითელ კუდზე შავი ლაქა აქვს და სწორედ ეს იზიდავს მსხვერპლს. აღსანიშნავია, რომ ზვიგენი ადამიანს არ ესხმის.

ზღვის ერთ-ერთ ყველაზე მახინჯ ბინადარს მეთევზეები „ზღვის ეშმაკს“ ეძახიან. იგი დიდ სიღრმეზე ბინადრობს. თევზს თავზე ანკესის კაუჭის მაგვარი წანაზარდი აქვს. მისი წვერი, ციცინათელას მსგავსად, მოცისფრო-მომწვანო შუქს ასხივებს. თევზი მსხვერპლს მთლიანად ყლაპავს. „ზღვის ეშმაკი“ იმდენად მოქნილია, რომ საკუთარ სხეულზე ორჯერ დიდ თევზებს ყლაპავს.

ბაღლინჯო მსხვერპლის მისაზიდად უამრავ ხერხს იყენებს. მაგრამ ყველაზე მოხერხებული — მონადირე-ბაღლინჯოა. იგი ობობას ქსელს იმგვარად არხევს, რომ მწერს ჰგონია, მსხვერპლი გაება მახეში და თავად ხდება მსხვერპლი. ■



გზაში საკითხავი კოლაჟი

ქრონიკა თემურ ივანიძე

1. შკვალი ხანმოკლე ქარიშხალია.
2. ტანკა იაპონური პოეზიის ძველი ჟანრია.
3. პოტოფობია ალკოჰოლური თრობის შიშია.
4. რუსები კატას „ნადაელკა საბაკის“ ეძახიან.
5. უღელი და უნაგირი ჩინელებმა გამოიგონეს.
6. „თუში მეცხვარე“ სოსო ჩხაიძის გადაღებულია.
7. ზაქარია ფალიაშვილმა „დაისი“ სამი ზაფხულის განმავლობაში დაწერა.
8. 15 წლის ასაკში კახა კალაძე სამტრედიის „ლოკომოტივში“ თამაშობდა.
9. ჯუზეპე ვერდი პრემიერ-მინისტრ კავურას თხოვნით გახდა პარლამენტის წევრი.
10. ჰიჩკოკის ფილმისთვის „მოჯადოებულები“ დეკორაციები სალვადორ დალის შექმნილია.
11. „შემწვარი ჰაერი“ — ამბობენ იტალიელები, როცა ყოვლად უსარგებლო საგანზე საუბრობენ.
12. „თუ ბავშვს დაუთმობთ, ის თქვენი მბრძანებელი გახდება. იმისათვის, რომ მორჩილი იყოს, ყოველ წუთს ხელშეკრულება უნდა დაუდოთ“, — წერდა ჟან-ჟაკ რუსო.
13. „წესიერ ხალხს რომ იარაღი ჩამოართვათ, იგი მხოლოდ ნაძირალებს დარჩებათ“, — ამბობენ იარაღის აკრძალვის მოწინააღმდეგენი ამერიკაში.
14. მუჰამედ ალი თავის მეტოქე ჯო ფრეიზერს დაცინვით ბიძია თომას ეძახდა, რადგან ამ უკანასკნელს შეერთებული შტატების თეთრკანიანი მოსახლეობა უჭერდა მხარს.
15. უამრავი გამოკვლევა არსებობს იმის შესახებ, თუ როგორი ციფერბლატი და ისრები უნდა ჰქონდეს საათს. ამერიკელმა დიზაინერმა დრეიფუსმა მაღვიძარა საათის ციფერბლატი ბიგ ბენის ციფერბლატს მიამსგავსა და კარგა ხანს იკვლევდა მის პრაქტიკულობას. დიზაინერი მთელი ღამის განმავლობაში ამოწმებდა, თუ როგორი გარჩევადობა ჰქონდა საათის ისრებსა და ციფერბლატს კონკრეტულ დროსა და კონკრეტულ სიტუაციაში. ამ გაუთავებელი ექსპერიმენტის გამო დიზაინერს კინაღამ ცოლი გაექცა.
16. სათამაშო ავტომობილების კოლექციონერთათვის დაზიანებული საბურავები ისეთივე პრობლემაა, როგორც მძღოლისთვის დაშვებული საბურავი. ძველ სათამაშო ავტომობილთა უმრავლესობა თუჯისგან არის დამზადებული და საკუთარი სიმძიმის გამო დროთა განმავლობაში რეზინის საბურავები უზიანდება. ამიტომ კოლექციო-

მარადიული ახალგაზრდობა რომ შეინარჩუნოთ...

იაპონელები საშუალოდ 79 წელს ცოცხლობენ, ავსტრალიელები, ბერძნები, კანადელები და შვედები — 78 წლამდე; გერმანელები და ამერიკელები დაახლოებით 76 წელს. დანარჩენ ქვეყნებში კი სიცოცხლის ხანგრძლივობა თანდათანობით იკლებს. ექიმების, ფსიქოლოგებისა და დიეტოლოგების საერთაშორისო ჯგუფმა რამდენიმე მეთოდი შეიმუშავა, რომელიც ადამიანებს სიცოცხლეს უხანგრძლივებს და ცხოვრებას უფრო სასიამოვნო ელფერს სძენს.

ზომაზე მეტად ნუ დანაყრდებით

ჩვეული 2500 კალორიის ნაცვლად, 1500 კალორიას დასჯერდით. ნუ იშიმშილებთ, მაგრამ იკვებეთ ზომიერად.

მენიუ ასაკის შესაფერისი უნდა იყოს

30 წელს მიღწეულ ქალბატონებს პირველი ნაოჭები გაცილებით გვიან გაუჩნდებათ, თუ რეგულარულად მირთმევენ ღვიძლს და თხილს. 40 წელს გადაცილებულებს ბეტაკაროტინი ესაჭიროებათ; 50 წლის ზემოთ აუცილებელია კალციუმის დოზის გაზრდა (ძვლებისთვის) და მენიუში მაგნიუმის ჩართვა (გულისთვის).

მოძებნეთ შესაფერისი სამსახური

როგორც ფრანგი ფსიქოლოგები ამტკიცებენ, სამსახური ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად საუკეთესო საშუალებაა. უმუშევარი ადამიანი ასაკთან შედარებით ხუთი წლით ხნიერად გამოიყურება.

იპოვეთ მეორე ნახევარი

სიყვარული ხომ სიბერის დაუძინებელი მტერია. საყვარელი ადამიანის გვერდით ყოფნისას, ადამიანის ორგანიზმი გამოიმუშავებს ენდორფინს — ე.წ. ბედნიერების ჰორმონს, რომელიც თავის მხრივ, ახალგაზრდობის შენარჩუნებას უწყობს ხელს.

ნუ მიჰყვებით ცხოვრების დინებას პასიურად, თამამად გამოთქვით საკუთარი მოსაზრება.

ასეთნაირად გაცილებით იშვიათად ჩავარდებით დეპრესიაში.

იმოძრავეთ

ყოველდღიურად, 10-წუთიანი ვარჯიშიც საკმარისია სიცოცხლის გასახანგრძლივებლად.

იძინეთ გრილ ოთახში

ვისაც უმეტესწილად 17-18 გრადუს ტემპერატურაზე სძინავს, უფრო დიდხანს ინარჩუნებს ახალგაზრდობას. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლა და ასაკობრივი თავისებურებების გამოვლენა გარემო ტემპერატურაზეცაა დამოკიდებული.

ბოღმას გულში ნუ ჩაიხვევთ

ვინც გამუდმებით დაბოღმილია, საკუთარ თავში იკეტება, გარშემო მყოფებთან კამათსაც ერიდება და აქტიურ ურთიერთობასაც, გაცილებით მეტად მიდრეკილია დაავადებებისკენ, მათ შორის — ონკოლოგიურისკენაც. საერთაშორისო ტესტირების თანახმად, სიმსივნით დაავადებულ რესპონდენტთა 64 პროცენტი ბრაზს ყოველთვის გულში იკლავდა.

ავარჯიშეთ გონება

შეავსეთ კროსვორდები, ითამაშეთ კოლექტიური თამაშები — ისეთები, რომლებიც მახვილ გონებასა და სხარტ აზროვნებას მოითხოვს; შეისწავლეთ რომელიმე უცხო ენა; ითვალეთ გონებაშიც და არა მარტო კალკულატორის მეშვეობით. როდესაც ტვინს მუშაობას აიძულებთ, გონებრივი შესაძლებლობების ასაკობრივი დეგრადაციის პროცესს აჩერებთ, ამავდროულად, გულის, სისხლძარღვების და ნივთიერებათა ცვლის პროცესის მუშაობას ააქტიურებთ. ■

რჩევები დიასახლისებს

თუ გსურთ, შინ ყველაფერი რიგზე გქონდეთ და ყოფითი პრობლემები იოლად და სწრაფად მოაგვაროთ, გაითვალისწინეთ ზოგიერთი რჩევა.

როგორ შევინახოთ ბოსტნეული

იმ ყუთის ძირზე, რომელშიც ბოსტნეულს ინახავთ, დააფინეთ პერგამენტი ან გასანთლული ქაღალდი. ასეთნაირად კარტოფილი, სტაფილო და კომბოსტო კარგად და საღად შეინახება.

როგორ შევინარჩუნოთ ყავის არომატი

დაფქული ყავა არომატს არ დაკარგავს, თუ მას საყინულეში შეინახავთ.

როგორ დავუბრუნოთ ქვაბს ბზინვარება

მიმწვარ ქვაბს ადვილად გაასუფთავებთ, თუ მასში წამოადუღებთ სოდიან წყალს (2 სუფრის კოვზი სოდა 1 ლიტრ წყალზე).

როგორ გავფცქვნათ მოხარშული კარტოფილი

წრიულად დასერეთ კარტოფილის კანი და მოხარშეთ. მოხარშული უმალვე გადაიღეთ ძალიან ცივ წყალში. კანი დაიჭმუჭნება და თვითონვე მოსცილდება.

როგორ დავიცვათ ავეჯი მტვრისგან

იმისათვის, რომ მტვერი ავეჯს დიდხანს არ დაედოს, გაწმინდეთ 1 სუფრის კოვზი ანტისტატიკისა და 8 სუფრის კოვზი წყლის ნარევში დასველებული ქსოვილით.

როგორ გავწმინდოთ ლამინატი

ლამინატი გაწმინდეთ კარგად გაწურული ჩვრით. ყურადღება მიაქციეთ, რომ გადაბმის ადგილებს წყალი არ მოხვდეს, თორემ ისინი შეიძლება გაიჟღინთოს და გაიბეროს.

როგორ შევინახოთ ბურღულეული

ბურღულეული მავნებლებისაგან რომ დაიცვათ, შეინახეთ ქსოვილის ტომრებში. ტომრები წინასწარ 15-20 წუთის განმავლობაში ადუღეთ მარილწყალში, შემდეგ გაუწურავად გააშრეთ. ასევე შეიძლება შეინახოთ ჩირიც.

როგორ უზრუნველვყოთ მცენარეები წყლით

თუ უქმეებზე შინიდან წასვლამ მოგიწიათ და შიშობთ, რომ ქოთნის მცენარეები უწყლოდ ვერ გაძლებენ, აიღეთ პატარა პლასტმასის ბოთლები, აავსეთ წყლით, სწრაფად გადმოაბრუნეთ და ყელით ქოთანში ჩაარჭვეთ. 3-4 დღის განმავლობაში თქვენი მცენარეები წყლით უზრუნველყოფილი იქნება.

ბოსტნეულის სალათა სიმინდის მარცვლებით

მასალად საჭიროა:

კომბოსტო 200 გ;
დაკონსერვებული სიმინდის მარცვლები — 100 გ;
კიბორჩხალას ჩხირები — 100 გ;
მწვანე ხახვი — 50 გ;
ლიმონის წვენი — 1 ს/კ;
მაიონეზი — 5 ს/კ;
ნახევარი კონა ოხრახუში;
შაქარი, მარილი — გემოვნებით.

მომზადების წესი:

დაჭერით კომბოსტო, სტაფილო, მწვანე ხახვი და კიბორჩხალას ჩხირები. შეურიეთ სიმინდის მარცვლები. მოაყარეთ მარილი, შაქარი და მოასხით მაიონეზი, ლიმონის წვენი და კარგად აურიეთ. სუფრაზე მიტანის წინ სალათა მწვანილით მორთეთ.

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ქემდეგნელი ოქმარ ივანიძე

ნერები პერიოდულად ატრიალებენ ამ საბურავებს, რომ მათ მხოლოდ ერთ წერტილზე არ ჰქონდეთ დაწოლა და საკოლექციო ნივთმა ფასი არ დაკარგოს.

17. მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ანატოლი კარპოვი ბავშვობაში მარკებს აგროვებდა. ერთხელ მასწავლებელს მალაიზიის 14 შტატი ჩამოუთვალა ზეპირად. მალაიზიის შტატები რამ დაგაზეპირებინაო, გაუკვირდა მასწავლებელს. სახლში მალაიზიური მარკები და კარგი მხედველობითი მეხსიერება მაქვსო, უპასუხა მომავალმა გროსმაისტერმა.

18. XVIII საუკუნეში, როდესაც მედიცინა აღმავლობის გზას დაადგა, შოტლანდიის დედაქალაქი ედინბურგი სამედიცინო განათლების ცენტრად იქცა. ამ სფეროში წინსვლამ შოტლანდიელებს ერთგვარი პრობლემები შეუქმნა: ცოდნის გასალრმავებლად ექიმებს გაკვეთა-შესწავლისათვის დიდი რაოდენობით გვამები ესაჭიროებოდათ. ისინი ახალდამარხულ გვამში საკმაოდ სოლიდურ თანხას იხდიდნენ. ამ მიზეზით ბევრმა შოტლანდიელმა გვამების მოტაცება-გაყიდვა შემოსავლის წყაროდ გაიხადა. ზრდასრული ადამიანის გვამი 16 გინეა ღირდა. ბავშვების გვამები სანტიმეტრობით იზომებოდა და ამის მიხედვით ისაზღვრებოდა ფასი. გამწარებულმა მოსახლეობამ სასაფლაოებზე ეგრეთ წოდებული „მიცვალებულთა სახლები“ ააგო, სადაც გვამებს ათავსებდნენ და მანამ დარაჯობნენ, სანამ გვამი ხრწნას არ დაიწყებდა. ამის შემდეგ გვამი სამედიცინო გაკვეთა-შესწავლისთვის გამოუსადეგარი ხდებოდა და მას მარხავდნენ.

19. ინგლისის მეფე ედუარდ II საკუთარმა ცოლმა იზაბელმა ჩამოაგდო ტახტიდან და საპყრობილეში გამოამწყვდია. მამაკაცების მოყვარულ მონარქს 1327 წლის 27 სექტემბერს რკინის გავარვარებული მარგილი გაუყარეს ანუსში და ისე მოუღეს ბოლო.

20. II მსოფლიო ომის დროინდელმა მფრინავმა, ლეიტენანტმა ჯეს დე ბლანკმა გვადალკანალის სიახლოვეს 5 იაპონური „ზერო“ ჩამოაგდო, მეექვსეს ვეღარ გაუმკლავდა და ცეცხლმოდებული თვითმფრინავიდან პარაშუტით გადმოხტა. ამერიკელი ასი ადგილობრივ ველურ ტომებს ჩაუვარდა ტყვედ, რომლებმაც იგი მეზობელ ტომს ერთ ტომარა ბრინჯის ფასად მიჰყიდეს. ომის დასასრულს სამშობლოში დაბრუნებული ბლანკი გაიძახოდა, ადამიანებს დიდი წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე, მაგრამ დანამდვილებით არავინ იცის, საკუთარი თავის ფასი. მე კი ზუსტად ვიცი, რაცა ვღირვარ — ერთი ტომარა ბრინჯიო.

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

ორსულობა და კბილები

ორსულის ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებები ზოგჯერ უარყოფითად აისახება ახალგაზრდა ქალის ჯანმრთელობასა და გარეგნობაზე: ნაყოფი ზრდისას ხარბად შთანთქავს დედიკოს კუთვნილ მიკროელემენტებსა და ვიტამინებს, რაც მომავალ დედას არაერთ პრობლემას უქმნის — უფუჭდება კბილები, ღრძილები აწუხებს... პატარა რომ ჯანმრთელი დაიბადოს, დედამ კი მომხიბვლელი ღიმილი შეინარჩუნოს, საჭიროა, ყური ვუგდოთ სპეციალისტის რჩევებს.

ორსულთა კარიესი

კარიესს ძირითადად სამი მიზეზი იწვევს:

კბილის მინანქრის დაზიანება,

ბევრი ტკბილეული,

პათოგენური (დაავადების გამომწვევი) მიკროფლორა.

ორსულობის პერიოდში ყველა ეს მიზეზი უფრო ძლიერადაა გამოხატული. ფეხმძიმობის პირველ ტრიმესტრში (პირველი სამი თვე) ხშირი ღებინება ნერწყვის გამჟავიანებას იწვევს, თანაც მომატებული მადის წყალობით ქალი თავს უარს ვერაფერზე ეუბნება და ხშირად იტკბარუნებს პირს ტკბილეულით (შოკოლადით, კანფეტით, ნამცხვრით). მჟავე გარემოში, ნახშირწყლების თანაარსებობისას (რომელთაც ჭარბად შეიცავს ტკბილეული), მიკროორგანიზმები იოლად მრავლდება. ეს უკანასკნელნი შაქრის მონელების პროცესში კიდევ უფრო მეტ მჟავას გამოყოფს, რაც საბოლოოდ აზიანებს მინანქარს.

გახსოვდეთ! ფეხმძიმობის დროს კარიესის მკურნალობა არამცთუ აკრძალული არ გახლავთ, აუცილებელიც კია. თანამედროვე სტომატოლოგია საშუალებას იძლევა, ისე მოვუაროთ კბილებს, რომ არც დედის, არც პატარის ორგანიზმს არავითარი ზიანი არ მიადგეს.

მგრძნობიარე კბილი

ცნობილია, რომ ორსულის კვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მომავალი დედისა და ბავშვისთვის. მაგრამ ჭამა ხშირად უსიამოვნო პროცესად იქცევა: საკვების (განსაკუთრებით კი ცივისა და ცხელის) შეხებას კბილები ტკივილით პასუხობს. ამაში დამნაშავეა გათხელებული, გაცრეცილი მინანქარი, რომელიც თითქმის ვერ ფარავს ნერვებსა და სისხლძარღვებს, ამიტომ ნერვი იოლად ღიზიანდება. მინანქრის გათხელებას რამდენიმე მიზეზი იწვევს: კალციუმის ნაკლებობა, ტოქსიკოზი, კბილის პასტის არასწორად შერჩევა, კბილების არასწორად გამოხეხვა.

ორსულთა გინგივიტი

თუკი კბილების გამოხეხვის დროს ჯაგრისზე სისხლის წვეთი გაჩნდა ან კბილის პასტის ქაფი მოვარდისფროდ შეიფერა, უნდა ვიფიქროთ, რომ ღრძილებიდან სისხლდენა დაიწყო. სტომატოლოგები ამას ორსულთა გინგივიტს უწოდებენ. ეს არცთუ იშვიათი პათოლოგიაა და, როგორც წესი, ორსულობისას ქალის ორგანიზმში მიმდინარე ჰორმონული ძვრებითაა განპირობებული.

რათა თავიდან აიცილოთ ღრძილებთან დაკავშირებული ყოველგვარი პრობლემა, საჭიროა, პროფილაქტიკის მიზნით სტომატოლოგს ეწვიოთ — იგი იოლად გაგისუფთავებთ პირის ღრუს კბილის ნადებისგან, ე.წ. ქვებისგან, და არასასურველი მიკრობებისგან. შესაძლოა, სისხლდენისგან, უბრალოდ, ჯაგრისის გამოცვლამაც გიხსნათ.

პირის ღრუს, განსაკუთრებით კი ღრძილების მოსავლელად გამოგადგებათ მცენარეული სავლები (გვირილის, სალბის, კალენდულას, მენთოლის). ისინი სასარგებლოა ნერწყვის გაძლიერებული გამოყოფის დროსაც, რაც ორსულობისას არცთუ იშვიათია.

რჩევები მომავალ დედებს:

— თუკი ორსულობისას კბილის რენტგენული სურათის გადაღება დაგჭირდათ, ამ პროცედურას ერიდეთ; თუკი დასხივება გარდაუვალი გახდა, მიმართეთ კვლევის სხვა მეთოდს — კომპიუტერულ ვიზიოგრაფიას. იგი გაცილებით უსაფრთხოა.

— როგორც აღმოჩნდა, მომავალი პატარას ჯანმრთელობისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ორსულის პირის ღრუს მოვლას, არამედ უახლოესი ნათესავებისასაც, პირველ რიგში კი მამის: მოსიყვარულე მამიკო ალერსის დროს თავის პირმშოს ათასობით ბაქტერიას გადასცემს.

— დედის მოუვლელი პირის ღრუ ნაყოფსაც ვნებს: პათოგენური მიკროორგანიზმები იოლად აღწევს ჯერ დაუბადებელი პაწიას ორგანიზმში. უსიამოვნებანი თავიდან რომ აიცილოთ:

ა) კბილები გამოიხეხეთ ყოველი ჭამის შემდეგ 2-3 წუთის განმავლობაში;

ბ) გამოიყენეთ პირის ღრუს ჰიგიენის სხვა საშუალებები (გელი, სავლებები);

გ) კბილის ჯაგრისი ყოველ 3 თვეში ერთხელ გამოიცვალეთ;

დ) ხშირად ეწვიეთ სტომატოლოგს.

მეძუძური დედა და კბილები

შესაძლებელია, კბილმა მთელი ფეხმძიმობის მანძილზე ერთხელაც არ შეგახსენოთ თავი, ხოლო უკვე მშობიარობის შემდეგ, ძუძუს წოვების დროს, შეგაწუხოთ. ეს იმიტომ ხდება, რომ დედა რძესთან ერთად კარგავს საჭირო მინერალებს. ამიტომ ქალის კვება ამ პერიოდში ოჯახის მთავარ საზრუნავად უნდა იქცეს.

ორსულობის დროს თუ მის შემდეგ, საკვები გაჯერებული უნდა იყოს კალციუმით, ფტორით, სხვა მიკროელემენტებით, მინერალებით, A, C, D ვიტამინებით. ისინი ინდივიდუალურად, ექიმ-გინეკოლოგის მითითებით უნდა შეირჩეს.

კალციუმით მდიდარია რძე და რძის პროდუქტები, კომბოსტო, ისპანახი, ბოლოკი. განსაკუთებით კარგად ორგანიზმი მას თევზის პროდუქტებიდან შეითვისებს.

■

სასარგებლო რჩევები

* გაცივებას ზოგჯერ თან სდევს შეტევითი ხასიათის ხველა, რომელსაც ცრემლებამდეც კი მივყავართ. მას ვერც ენის ქვეშ ყინულის დადებით მოიხსნით და ვერც შთაგონებით. ასეთ დროს დალიეთ რამდენიმე ყლუპი ოთახის ტემპერატურის წყალი.

სათბური (კომპრესი) ყელისთვის

ყელის გაცივებისა და ტკივილის დროს გარგებთ 3 წილი ალოეს წვენის, 2 წილი თაფლისა და 3 წილი არყის ნარევის კომპრესი ყელზე.

* ინსულტის პროფილაქტიკისთვის ძალიან სასარგებლოა ჩაი, რომელიც მზადდება თანაბარი რაოდენობის გვირილის, უკვდავასა და არყის ხის კვირტისგან. 1 ჩაის კოვზი ნარევი დააყენეთ 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალში და სვით თაფლით დილა-საღამოს.

* ქაცვის წვენი და ზეთი მარგებელია კუჭის წყლულოვანი დაავადების დროს. წვენი უნდა სვათ დღეში სამჯერ ჭამამდე, 1/3 ჩაის ჭიქა, ზეთი კი მიიღეთ ჩაის კოვზით დღეში სამჯერ, ჭამამდე ერთი საათით ადრე. მკურნალობის კურსი უნდა გაგრძელდეს არანაკლებ სამი კვირისა.

* ადამიანს ასაკის მატებასთან ერთად ესტროგენების რაოდენობა უმცირდება და კანი უჭკნება. ამის თავიდან ასაცილებლად სცადეთ ასეთი ნაყენი: 1 ჩაის კოვზ სვიას (ღეროს) დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და ღამე დალიეთ. კანი თანდათან გაგიახალგაზრდავდებათ და გაგიმკვრივდებათ.

* თუ დღის განმავლობაში დიდხანს ჯდომა გიწევთ, შესაძლოა, ოსტეოქონდროზი განგივითარდეთ. ამიტომ ცუდი არ იქნება, თუ ყოველ 20-30 წუთში თავს მაქსიმალურად მიაბრუნებთ ჯერ მარჯვნივ და „გადახედავთ“ თქვენსავე მარცხენა გვერდს, შემდეგ კი მარცხნიდან — მარჯვენას. თუ საშუალება გაქვთ, ცოტა კიდეც წაივარჯიშეთ: დადექით ფეხის წვერებზე და ხელები ასწიეთ მაღლა. ეცადეთ, მუშაობისას გამართული და მხრებგაშლილი იჯდეთ.

* თუ სისხლის არტერიული წნევა დაგიქვეითდათ, მას ნორმამდე სწრაფად ასწევს 2 ჭიქა 3-3 კოვზი შაქრით დამტკბარი მაგარი ჩაი.

* ფეხის ფრჩხილებზე სოკოს აქრობს თანაბარი რაოდენობით აღებული პროპოლისისა და სპირტის ნარევი. დაიდეთ ფრჩხილებზე ეს მასა, ფეხები შეიხვიეთ და სახვევი ყოველ მეორე დღეს გამოიცვალეთ.

* გადაღლისას ხშირად გვეუფლება ისეთი შეგრძნება, თითქოს „თავი დაგვიმძიმდა“. ასეთ დროს უნდა მიიღოთ თბილი აბაზანა, შეჭამოთ რამდენიმე ლუკმა დამარილებული თევზი და დალიოთ ბარამბოსგან მომზადებული ჩაი.

* თუ იმუნიტეტის სისუსტეს უჩივით, ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ 2 კგ ჭარხალი, 3 კგ სტაფილო, 2 კგ ბროწეული (მთლიანად) და 2 კგ ლიმონი (კანიანად). გამოწურეთ წვენი, ჩაასხით ქილაში და დაუმატეთ 3 კგ თაფლი. მიიღეთ 50 მლ ერთი თვის განმავლობაში დილა-საღამოს.

■

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.



ადამიანი

წლების შემდეგ გაცოცხლებული სიყვარული

„უფალს შევპირდი, ყოფით პრობლემებზე არასდროს ვიწუწუნო“

„როცა ჩემს ცხოვრებაში არანაირ ცვლილებას არ ველოდი და გადავწყვიტე, დინებას მივყოლოდი, ყველაფერი შეიცვალა, უფრო სწორად — თავდაყირა დადგა... უფლის წყალობით, დღეს მაინც ბედნიერი ვარ და ღმერთს შევპირდი, რომ ყოფით პრობლემებზე არასდროს ვიწუწუნო“, — მეუბნება 40 წელს გადაცილებული ქალბატონი ნანა და თავის ცხოვრებაზე მიამბობს...

ლალი პაპასქირი

— მე და ნოდარი სკოლელები ვიყავით. ის ჩემზე ერთი წლით უფროსი იყო... ერთმანეთი ბავშვობიდან გვიყვარდა. პატარები ვიყავით და ბავშვურად ვგეგმავდით — როგორც კი სკოლას დავამთავრებთ, დავქორწინდებით-თქო. მაგრამ ნოდარი სკოლის დამთავრებისთანავე ჯარში წაიყვანეს. მაშინ სავალდებულო სამხედრო სამსახურს რუსეთში იხდიდნენ... ყოველღამე ვტიროდი, ორი წელი მის გარეშე რა გამაძლებინებს-მეთქი?!. ღამეებს წერილების წერაში ვათენებდი. ისიც რამდენიმეგვერდიან ბარათებს მწერდა... ყველა წერილს იმით ვასრულებდით, თუ რამდენი დღე გვქონდა დარჩენილი ერთმანეთის ნახვამდე. მაგრამ მისი ლოდინი არ დამცალდა: იმ წელს, როცა სკოლას ვამთავრებდი, მომიტაცა ნოდარის მეზობელმა, რომელიც წლების განმავლობაში რუსეთში ცხოვრობდა და ჩვენი სიყვარულის შესახებ არც კი იცოდა... რამდენიმე თვე თითქოს ბურანში ვიყავი. თავის მოკვლაც კი ვცადე, მაგრამ გადამარჩინეს. არავის დანახვა არ მინდოდა. ქორწილის დღეს „საპატარძლო კუთხეში“ სულ რაღაც ორი საათი გავჩერდი, მერე კი დასაძინებლად წავედი... ჩემი ქმრის ნათესავები გაოცებული იყვნენ, — ეს რა უჟმური ხასიათი აქვსო!.. ზოგი არც კი მიცნობდა, რადგან ოთახიდანაც არ გამოვდიოდი. ბევრმა პირველად მაშინ მომკრა თვალი, როცა პატარა ირაკლი შეგვეძინა...

— ქმარი როგორ იტანდა თქვენს ასეთ ქცევას?

— არ ვიცი, როგორღაც იტანდა... რამდენჯერმე სცადა, მდგომარეობიდან ჩემი გამოყვანა; შემომთავაზა, სადმე წავიდეთო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა: თუ კიდევ ერთხელ მეტყვი ამას, სახლიდან წავალ-მეთქი... როცა ნოდარი ჯარიდან ჩამოვიდა, მეგობრებთან ერთად სახლში გვესტუმრა, მეზობლისთვის გაბედნიერება ხომ უნდა მოელოცა?!. მანამდე მეგონა, შვილმა ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი შეცვალა, მხოლოდ დედა ვიყავი და არანაირი პირადი ჩემთვის აღარ არსებობდა, მაგრამ როგორც კი ჩემი ბავშვობის სიყვარულს მოვკარი თვალი, მივხვდი, რომ ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ თავს ვიტყუებდი... უფრო მეტად ჩავიკეტე სახლში. მას ვემალებოდი. დედამთილ-მამამთილი თავიდან გაოცებული იყო ჩემი საქციელით, მაგრამ მერე შეეგუა. თან ჩემი ქმარიც ხმას არ იღებდა. რამდენჯერმე მოვკარი ყური, როგორ მიცავდა, — რა ქნას, ასეთი ტიპია და ვერ შეიცვლებაო... ახლობლებს ეცოდებოდათ კიდეც, — საწყალს როგორ არ გაუმართლა, რა საშინელი ხასიათის ცოლი შეხვდაო!..

— ქმარმა იცოდა, თქვენი უცნაურობის მიზეზი რაც იყო?

— დიახ... უფრო სწორად, ვინც იყო...

— თქვენ მოუყევით?

— არა, მეგობრებისგან გაიგო. რამდენჯერმე მეჩხუბა კიდეც: რითი მჯობია ის ცხვირმოუხოცავი ლაწირაკიო?! — მაგრამ მერე მიხვდა, რომ ჩხუბით თავს ვერ შემაყვარებდა და მდგომარეობას შეეგუა. უბრალოდ, იმაზე ბრაზობდა, — ეს რა ვქენი, თავიც გავიუბედურე და შენც დაგღუპე, რატომ არავინ მითხრა თქვენი ამბავიო!..

— უბედურად თქვენ გამო მიიჩნევდა თავს?

— დიახ, თუმცა — არა მარტო, ამისთვის ბევრი მიზეზი ჰქონდა. ერთხელ, ნოდარის ძველ წერილებს რომ ვკითხულობდი, მაშინ შემომისწრო. პირდაპირ ვუთხარი, — მიყვარს და მთელი ცხოვრება მეყვარება, თუ გინდა, შეეგუე, თუ არა და, დავშორდეთ-მეთქი... ოჯახური პრობლემების გარდა, მას სუსტი ჯანმ-

რთელობაც ჰქონდა. მისი ოჯახი ამას კარგა ხანს მალავდა, მაგრამ როცა ტკივილებმა შეაწუხა, ყველაფერი გაცხადდა.

— **რა სჭირდა?**

— ერთხელ მომიყვა, რაც დაემართა: თურმე ჯარში ბიჭებმა მოილაპარაკეს და თავიანთ ნაწილთან ახლოს, ვიღაცის ბოსტანში პომიდვრის

მისი ლოდინი არ დამცალდა: იმ წელს, როცა სკოლას ვამთავრებდი, მომიტაცა ნოდარის მეზობელმა

მოსაპარავად გადასულან, — სამი ჯარისკაცი ღობეზე გადავხტით, ორი კი გარეთ, სათვალთვალოდ დარჩაო... იმ კაცს, როგორც ჩანს, ხშირად ჰპარავდნენ ბოსტნეულს და გერმანული ნაგაზი მიუყვანია, რომელიც ქურდებს გამოეკიდა. როგორც ჩანს, პირველად, ჩემი ქმარი შეეფეთა და გონის დაკარგვამდე დაუკბენია... კოტრიალის დროს, თავი რაღაცისთვის მიურტყამს და თავის ქალა დაუზიანდა. მას შემდეგ, მოვლითი თავის ტკივილები დასჩემდა და ძლიერ ტკივილგამაყუჩებლებს სვამდა, მაგრამ სანამ ტკივილი სიგიჟემდე არ მიიყვანდა, არაფერს მეუბნებოდა. მართალი გითხრათ, არც ვინტერესდებოდი მისი ამბით... რაც დრო გადიოდა, მისი ჯანმრთელობა უარესდებოდა. ხასიათი გაუფუჭდა. ნევროზი დაეწყო. ბავშვი როგორც კი წამოიტირებდა, სახლიდან გარბოდა, — მისი მოსმენა არ შემიძლიაო... ერთ დღესაც ტკივილისგან შოკში ჩავარდა და ძლივს მოიყვანეს გონს. ქართველმა ექიმებმა უთხრეს, — ასეთ ავადმყოფებს მხოლოდ გერმანიაში მკურნალობენო. მშობლებმა შვილის საზღვარგარეთ წაყვანა გადაწყვიტეს, მაგრამ საჭირო თანხა არ გვქონდა... თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში ვცხოვრობდით და მისმა მშობლებმა ბინის გაყიდვა და გარეუბანში გადასვლა გადაწყვიტეს, — მორჩენილი ფულით შვილს ვუმკურნალებთო.

— **ოჯახურ თათბირებში თქვენ არ მონაწილეობდით?**

— არა. ხომ გითხარით — მხოლოდ ჩემი ბიჭუნას აღზრდით ვიყავი დაკავებული... მართალი გითხრათ, მათი გადაწყვეტილება გამიხარდა კიდეც, — ნოდარისგან მალვა და ჩუმად ცხოვრება მაინც არ დამჭირდება-მეთქი... ჩემი მეუღლე წელიწადნახევრის განმავლობაში გერმანიაში იმყოფებოდა და მკურნალობის კურსს გადიოდა, მაგრამ დამაიმედებელს ვერაფერს ეუბნებოდნენ. თბილისში რომ დაბრუნდა, ძალიან გამხდარი იყო. მეცოდებოდა და ვცდილობდი, თბილად მოვქცეოდი. თავს დამცირებულად გრძნობდა, — ისე ნუ მიყურებ, თითქოს მომაკვდავი ვიყოო. ეგოისტიც გახდა...

— **ამ დროს ნოდართან ურთიერთობა არ გქონდათ?**

— არა. ისიც კი არ ვიცოდი, ცოცხალი იყო თუ მკვდარი. ერთ დღესაც, ჩვენი ძველი უბნიდან, ჩემი ქმრის სანახავად მეზობელი ბიჭები გვესტუმრნენ. ნოდარიც მათ შორის იყო. თვალთ დამიბნელდა, რომ დავინახე... ისიც დაიბნა. ძველი მეზობლების ნახვა ჩემს ქმარსაც გაუხარდა და ნოდარს ისე ექცეოდა, როგორც ახლობელს. მათი წასვლის შემდეგ კი მითხრა, — ვატყობ იმ საცოდავს, დღემდე უყვარხარ; ცოლი არ ჰყოლია და თუ მისმა მშობლებმა შენი შერთვის ნება დართეს, ნურც შენ ეტყვი უარსო...

— **ეს ქმარმა გითხრათ?!**

— დიახ... თვალები შუბლზე ამივიდა: — რას ამბობ, ხომ არ გაგიჟდი-

ერთ დღესაც ვუთხარი, — შენი ყველა წერილი შენახული მაქვს-მეთქი... იმავე დღეს, ორივემ ჩვენს ოჯახებს შევატყობინეთ, რომ ერთად ცხოვრება გადავწყვიტეთ

მეთქი?!. რამდენიმე თვეში გარდაიცვალა. სიკვდილის წინაც მეზოდიშებოდა, — გაგაუბედურეო... ძალიან განვიცადე. მის მშობლებთან უკვე დაძაბული ურთიერთობა მქონდა და ასე მეგონა, მე და ჩემი შვილი უპატრონოდ დავრჩით. ქმრის სიკვდილის შემდეგ, დედამთილ-მამამთილმა ბავშვის წართმევა დამიპირა: შენ ახალგაზრდა ხარ და კიდევ გათხოვდები, ჩვენ კი ამის მეტი არავინ გვაბადიაო... რა თქმა უნდა, არ დავთმე. თან ჩემი ოჯახიც ხელს მიწყობდა. მართალია, მათაც უჭირდათ, მაგრამ მაინც ცდილობდნენ, არაფერი მოეკლოთ. მამაჩემი ტრადიციების მიმდევარი კაცია და არ ველოდი, თუ გამიგებდა, მაგრამ სულ თვალებში შემომციცინებდა... სანამ ჩემი მეუღლე ცოცხალი იყო და შემდეგაც, დაახლოებით ორი წელი ჩემს სახლში იშვიათად მივდიოდი — შეიძლება, სადმე ნოდარი შემეფეთოს-მეთქი. ასე მეგონა, ამით ჩემს ქმარს შეურაცხყოფას მივაყენებდი, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ, ერთადერთი საყრდენი — ჩემი ოჯახი იყო და სხვა გზა უბრალოდ, არ მქონდა... ორი წლის შემდეგ ერთმანეთს ქუჩაში შემთხვევით შევხვდით. ბავშვს მოეფერა, თან გამომელაპარაკა. პირველ შეხვედრას მეორე და მესამეც მოჰყვა... ერთ დღესაც ვუთხარი, — შენი ყველა წერილი შენახული მაქვს-მეთქი... იმავე დღეს, ორივემ ჩვენს ოჯახებს შევატყობინეთ, რომ ერთად ცხოვრება გადავწყვიტეთ. დედამისს გული წასვლია, — ჩემს შვილს ქვრივი და ბავშვიანი ქალი მოჰყავს ცოლადო! — მაგრამ მისმა დებმა კბილებით დამიცვეს, — ერთმანეთი ბავშვობიდან უყვარდათ და ამ სიყვარულის გამო ბევრი რამე უნდა დავთმოთო... დიდი დავიდარაბის შემდეგ, მაინც დავქორწინდით. ახლობლებმა ბევრი იჭორავეს, ბევრს გაუხარდა, ზოგმაც გაგვიცხა, მაგრამ ბედნიერებისგან ორივე მეცხრე ცაზე ვიყავით.

— **მეუღლემ თქვენი შვილი როგორ მიიღო?**

— ირაკლი მართლაც საკუთარი შვილივით მიიღო... თავიდან დედა-ჩემი ცდილობდა, ბავშვი თავისთან დაეტოვებინა, მაგრამ ამის გამო ნოდარმა რამდენჯერმე მისაყვედურა, — ასე რატომ იქცევი? ცოლად რომ გირთავდი, ხომ ვიცოდი, რომ შვილი გყავდა; ბავშვი დედასთან უნდა იყოსო... მისგან ყოველ წამს მხარდაჭერასა და მზრუნველობას ვგრძნობდი და მეც ვცდილობდი, მას ამქვეყნად ყველაზე ბედნიერ ადამიანად ეგრძნო თავი. სამყაროს მისი თვალებით ვუყურებდი. ვერ ვიტყვი, თავზე გადაგვდიოდა-მეთქი, მაგრამ მის გვერდით მცირედითაც კმაყოფილი

ვიყავი... ასე გავიდა წელიწად-ნახევარი. შემდეგ კი ნოდარი შეიცვალა, ხან სამსახურს იმიზეზებდა, ხანაც — მეგობრებსა და ნათესავებს და ცდილობდა, სახლში გვიან მოსულიყო. მოსვენება დავკარგე. ჩაძიებაც არ მინდოდა, უფრო მეტად არ დაგვეძაბოს ურთიერთობა-მეთქი. დარდს გულში ვიკლავდი და მის უცნაურ საქციელზე კრინტი არასდროს დამიძრავს. მისი დები ისევ აქტიურობდნენ, — რა სჭირს ჩვენს ძმასო? — მაგრამ არც მათ ეუბნებოდა რაიმეს. მერე ახლობლისგან გაიგეს, რომ საყვარელი ჰყავდა... იმდენად მიყვარდა და მის გვერდით ისეთი ბედნიერი ვიყავი, ამ მოულოდნელმა ამბავმა მიწაზე

სუფრის წევრებს საყვარლები ვგონებივართ: ამ ხნის ცოლ-ქმარს როგორ შეიძლება, ერთმანეთი დღემდე ასე უყვარდეთო?!

დამანარცხა. ერთი პერიოდი ვიფიქრე, ყველაფერს მივატოვებ, ბავშვს დედასთან წავიყვან და მონასტერში წავალ-მეთქი, მაგრამ მივხვდი, რომ ამისთვის მზად არ ვიყავი. სანამ შევძლებ, ვიცხოვრებ ასე, მის მოლოდინში და მერე, თუ არაფერი შეიცვალა, გავშორდები-მეთქი. ქმარი სახლში მხოლოდ კვირაში ერთხელ მოდიოდა, თავს მოიწესრიგებდა, ფულს დამიტოვებდა და ისევ მთელი კვირით გაქრებოდა. შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ჩვეულებრივი ნაცნობებივით ვხვდებოდით ერთმანეთს და ერთხელაც არ გვიკამათია... ჩემი შვილი დაინახავდა თუ არა, მუხლებზე შემოეხვეოდა, — მამიკო, როგორ მომენატრეო!.. ამ ჯოჯოხეთში ორი წელი გავატარე. ერთ დღესაც, ნამტირალევი, დაღლილი და გატანჯული მოვიდა და მუხლებში ჩამივარდა, — მაპატიე, ნანა, შენი დიდი სიყვარული ვერ დავაფასეო.

— **რამ შეცვალა?**

— ეგონა, შეუთავსებლობა გვქონდა და იმიტომაც არ გვიჩნდებოდა შვილი. საყვარელიც ამიტომ გაუჩენია, მაგრამ შემდეგ ექიმებს უთქვამთ, რომ უშვილო იყო... ჩემს ადგილზე ბევრი ქალი ალბათ სხვანაირად მოიქცეოდა, დანაშაულს არ აპატიებდა და გაშორდებოდა, მაგრამ მთელი არსებით მიყვარდა და ვერ მივატოვებდი. პირიქით, ვეცადე, მენუგეშებინა: თუ გინდა, ჩვენს სახელზე შვილი ავიყვანოთ და გავზარდოთ-მეთქი. — არა, რომელიც გვყავს, იმას მივხედოთო, — მითხრა... ამის შემდეგ ისევ ისეთი თბილი და მზრუნველი ქმარი გახდა. დღემდე თვალებში მიყურებს. იმდენად გვიყვარს ერთმანეთი, ზოგჯერ ჩემი შვილი მეუბნება, — დედა, როდის დამთავრდება თქვენი თაფლობის თვე და როდის მიხვდებით, რომ ამ სახლში მეც ვარო?..

— **შვილი ალბათ უკვე დიდია...**

— დიახ, უკვე სტუდენტია.

— **იცის, მამა ვინ არის?**

— რა თქმა უნდა. მამის ნათესავებთანაც აქვს ურთიერთობა. ბებია-ბაბუას მის მეტი არავინ ჰყავს და ხომ არ დავაკარგვინებდი! უბრალოდ, ზოგჯერ, მეგობრებს აოცებს: ჩემს მეუღლეს „მამას“ ეძახის, მაგრამ მამის სულსაც იფიცებს...

— **თქვენი მეუღლე როგორი მამობილია?**

— ძალიან კარგი მამაა... ბევრი ნამდვილი მამა ვერ გააკეთებდა შვილისთვის იმას, რასაც ჩემი მეუღლე აკეთებს. მეგობრებივით არიან. ზოგჯერ, როცა მე და ჩემი შვილი წავკინკლავდებით, ამ დროს ნოდარი ჩაერევა და მომრიგებლის მისიას იკისრებს... გაჭირვებამ და ბარიერებმა ჩემს ხასიათს თავისი დაღი დაასვა და რაღაც სიტუაციებში, ზედმეტად ემოციური ვარ. ასეთ დროს ჩემი შვილი გაეხუმრება მამობილს, — ძალიან მაგარი კაცი ხარ, დედაჩემის გაძლებისთვის ნობელის პრემია გეკუთვნისო...

— **ვიცი, რომ დღემდე ძალიან გიყვართ ერთმანეთი...**

— დიახ, იმდენი რამე გადავიტანეთ ერთად, რომ უკვე თვალდახუჭული ვენდობით ერთმანეთს. ყოფილა შემთხვევა, რომ უცხოებთან ვყოფილვართ სტუმრად და სუფრის წევრებს საყვარლები ვგონებივართ: ამ ხნის ცოლ-ქმარს როგორ შეიძლება, ერთმანეთი დღემდე ასე უყვარდეთო?!. მაგრამ მართლა ასეა. ვიცი, რომ ის ყველა სიტუაციაში ჩემთვის მყარი საყრდენია და მეც მზად ვარ, მის გამო ყველანაირ განსაცდელს გავუძლო. მან თავი ცუდად, უფრო სწორად, ზედმეტად რომ არ იგრძნოს, ხშირად ისე ვიქცევი, რომ ნოდარი და ირაკლი ერთ პოზიციაზე აღმოჩნდნენ. რაც გინდათ, ის დაარქვით ამას, — ქალური ხრიკი თუ პატარა ეშმაკობა, მაგრამ ვცდილობ, მათ შორის არანაირი ბარიერი არ არსებობდეს... ■

ნინო ჯავახიშვილი

— 1939 წლის 20 დეკემბერს, სოფელ არაშენდაში დავიბადე. 19 დეკემბერს ბრეჟნევია დაბადებული. 21-ში — სტალინი. ამიტომ ვხუმრობ ხოლმე, გახიდული ვარ დურაკსა და გენიას შორის, ხან ერთისა „წამომკრავს“ და ხან მეორისა-მეთქი. კაფიაც გამოვთქვი:

„ცალ მხარესა მყავს დურაკი,
მეორე მხარეს — გენია.
ოღონდ მე რომელს ვეკუთვნი,
ეგ ველარ დამიდგენია“...

მამაჩემი — კოლა, თვალითაც არ მინახავს. სწორედ იმ დღეს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში („კარში“, როგორც მაშინ ამბობდნენ), როდესაც დავიბადე. სამხედრო კომისარიატი გურჯაანში იყო. რეგისტრაციის შემდეგ წვევამდელები მატარებლით გადაჰყავდათ თბილისში. კოლას როგორ ვახაროთ ვაჟის შეძენაო, უფიქრიათ მის ბიძაშვილებს და ერთერთს უთქვამს, არაშენდას ბაქანზე დავხვდები მატარებელს და გავაგებინებო. მართლაც, ცხენს მოახტა თურმე. მატარებელი ბაქანზე მხოლოდ ერთი წუთით ჩერდებოდა. მამაჩემის სახელს რომ გაყვიროდა, ფანჯარაში „გადმოკიდებულ“ სამხედროებს უკითხავთ, რად გინდა კოლა, რატომ ეძებო? ბიჭი ეყოლა და უნდა ვახაროო... — „ბიჭი ეყოლა, ბიჭი ეყოლა“, — სიხარულის ყიჟინამ გადაუარა თურმე ვაგონებს და მამაჩემსაც გადმოუხედავს ფანჯრიდან, ქუდი მოუხდია და უკვე დაძრული მატარებლიდან გადმოუგდია, რომ გაიზრდება, ჩემს ბიჭს დაახურეთო. ამის შემდეგ მასზე არავის არაფერი სმენია — უგზო-უკვლოდ დაიკარგა. დედა 17 წლის დაქვრივდა, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა. სახელი კი პაპას — ტიმოთეს დაურქმევია ჩემთვის. ყმაწვილკაცობაში ვაჟა-ფშაველა გაუცნია და სიკვდილამდე მისი შემოქმედების მოტრფიალე იყო. ამიტომაც დარქვა ზეზვა.

— **ალბათ ბევრი გაჭირვება გამოიარეთ — ომის წლები, სიღარიბე...**

— მართლაც უკიდურეს სიღარიბეში ვცხოვრობდით. ხალხი მუშაობით წელში წყდებოდა. ფხალეულობაზე გავიზარდეთ, ცეცხლსაც კი ვსესხულობდით. ასანთი არ იშოვებოდა და ღამე ცეცხლს ნაცარს წავაყრიდით ხოლმე, რომ მეორე დღეს ნაკვერჩხალი გვქონოდა. სოფელში კაცების რიცხვმა იკლო. სამკალ-სათიბი ქალების ამარა დარჩა. სოფლიდან 10-12 კმ-ის მანძილზე ღამისთევით წასულები ამ მძიმე შრომას კახელებისთვის დამახასიათებელი იუმორით იტანდნენ და უძლებდნენ. წარმოიდგინე, ისეთი გაჭირვება იყო, რომ სკოლაში ბავშვები ერთმანეთისგან მჭადს ვსესხულობდით. სამი თი-

„კაფიაობაში თავაზიანობას ვერ დაიცავ, უწმაწურობა შვენის კიდეც“...

როდესაც ბატონ ზეზვასთან შესახვედრად მივდიოდი, ცოტა არ იყოს, გამიჭირდა მისი კორპუსის პოვნა და ძებნით დაღლილი ისევ პირვანდელ ადგილს რომ დავუბრუნდი (კახეთის გზატკეცილზე გახლდით), მაღაზიასთან მდგარ ხალხს ვკითხე, კახეთის გზატკეცილის ესა და ეს ნომერი სად იქნება-მეთქი? ეტყობა, მაშინვე მიხვდნენ, ვისი სტუმარიც ვიყავი და ყველას სახე გაებადრა, — ვა, ზეზვა პაპასთან მიდიხარ? ვიცით, როგორ არ ვიცით, სადაც ცხოვრობსო, — მითხრეს და გზა მიმასწავლეს. ისეთი სიყვარულით მოიხსენიეს, მივხვდი, თბილ, ტკბილ, „გემრიელ“ კახელთან რომ მქონდა საქმე და არც მოვტყუებულვარ... ზეზვა მედულაშვილი, პოლიგლოტი კახელია. გარდა იმისა, რომ ბევრი ენა იცის, გონებამახვილობითა და კაფიებითაც არის ცნობილი.

თის დადება მასესხეო, — ასე ვთხოვდით ერთმანეთს ლუკმაპურს.

— **პროფესიით არმენოლოგი ხართ, მაგრამ არაერთი სხვა ენაც იცით...**

— სომხური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი ვარ, თუმცა ნელ-ნელა სხვა ენებსაც „მივადექი“. შევისწავლე თურქული, არაბული, აზერბაიჯანული, სპარსული, თურქმენული, ტაჯიკური (გერმანული და რუსული ხომ სკოლიდანვე ვიცოდი) და ბევრი სხვა „ნაყარნუყარი“ ენა (*იცინის*). 1961 წელს დაიბეჭდა ჩემი პირველი თარგმანი, 1974 წლიდან კი მწერალთა კავშირთან მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია დაარსდა და ვიდრე პენსიაში გავიდოდი, იქ უფროს მეცნიერ-რედაქტორად ვმუშაობდი. ვთარგმნე ლექსები და მოთხრობები, ბაიათები და რობაიები სპარსულიდან, სომხურიდან, ტაჯიკურიდან, უზბეკურიდან, თურქულიდან, აზერბაიჯანულიდან... ჩემი შემოქმედების მწვერვალი — „ქოროღლი“ (აზერბაიჯანული ეპოსი) ჩემს ბაბოს და პაპას მივუძღვენი.

— **50-წლიან მუშაობისთვის არაერთი პრემია და ორდენი მიიღეთ — ედიღე ჩარენცის პრემია, ივანე მაჩაბლის პრემია, საბას პრემია, ნავაფ ნავაფოვის პრემია, ღირსების ორდენი... ალბათ ღირდა ამად...**

— (*იცინის*) „ბიჭო, რათ მინდა პრემია, გამამაცხადებს ვრემია? ქართულად არის ტვირთი და რუსულად კიდევ — ბრემია“... რად მინდა პრემიები და სიგელები? ზოგი მწნილის ქილას აფარია. ცარიელმა თითმა პირი გამამღლიტაო, — ნათქვამია. მწერლებს

სომხური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი ვარ, თუმცა ნელ-ნელა სხვა ენებსაც „მივალექ“ (კოლეგების გარემოცვაში)

პენსიის გარდა სხვა შემოსავალი არაფერი გვაქვს. ახლა უკვე ისეთ ასაკში ვარ, „ფეჩის“ ქვეშიდან კატას უნდა ვაგდებდე და მე ვწვებოდე... უფრო მეტის გაკეთება შემეძლო, მაგრამ სხვა გატაცებებიც მქონდა — მიყვარდა სიმღერა, ჭადრაკი, ნარდი, ვჭიდაობდი, გატაცებული ვიყავი ალპინიზმით, განსაკუთრებით მთა-თუშეთი და ხევსურეთი მიყვარდა, მოხიბლული ვიყავი იქაური ფოლკლორით. ვახუშტისთან ერთად (ვახუშტი კოტეტიშვილი ჩემი მეჯვარე იყო) ხშირად ვსტუმრობდი თუშეთსა თუ ხევსურეთს და იქაურებს კაფიობაში ვეპაექრებოდი.

— კაფიების, ექსპრომტების ოსტატი ხართ. ბევრი რამ მსმენია თქვენი სიტყვაკაზმულობისა და გონებამოსწრებულობის შესახებ.

— კაფიაობაში თავაზიანობას ვერ დაიცავ. უწმაწურობა შვენის კიდეც ასეთ ლექსებს, მაგრამ დასაწერად ყველა არ გამოდგება. მე, ვახუშტი და ალექსი ჭინჭარაული ხშირად ვეუბნებოდით

ერთმანეთს „უწყინარ“ კაფიებს. რომელი ერთი გავიხსენო. ერთხელ „ნივით“ ლუდის დასალევად მივდიოდით. მაშინ ვთქვი: „კარგი არის ნივა, სადაც უნდა მივა, სულ არ უნდა ქერი და სულ არ უნდა თივა, არც ბენზინი არ უნდა, თუნდ ჩაასხი „პივა“, მაგრამ ნივა რომ არ გვაქვს, ვაჰმე, გული მტკივა“. კომუნისტების დროს ბარისახოს სკოლის ბიბლიოთეკისთვის წიგნები მიგვქონდა საჩუქრად. ბევრნი ვიყავით, ორი ავტობუსით. ბარისახოდან შატილშიც უნდა გადავსულიყავით. საგუშაგოზე ინსპექტორი დაგვხვდა, მძღოლებს მართვის მოწმობები წაართვა და აღარ გვიშვებდა შატილისკენ — ორი დღის წინ ავტობუსები გავგზავნეთ, დიდი თოვლი მოვიდა და დღესაც არ ჩანან, არ ვიცით, რა მოხდა და თქვენც პრობლემები არ შეგექმნათო. ბევრი ვეხვეწეთ, არაფერი გამოვიდა. ვიფიქრე — ეს მილიციელიც მთის კაცია, მივალ, რამე კაფიას ვეტყვი, გავაცინებ და იქნებ უფრო ადვილად მივუდგე-მეთქი. „მაგ საგზურების წართმევა, შენგან კი არის ადვილი, საქმე ის არის, გაგვიშვა, ერთხელ გვაჩვენო შატილი. შენც თან წამოგვყვე, მეგზურად, ჩვენ იქ უშენოდ რას ვივლით, სიმართლეს გეტყვის ზეზვაო, ზეზვას არ უყვარს ქადილი“... არც კი გაუღიმია, თურმე ოსი ყოფილა, ჩვენი დარდი ჰქონდა?! ერთმა ძმაკაცმა სუფრაზე მწვადს ზედ არ დახედა და თეფშზე „ვინეგრეტი“ დაიხვავა. მაშინვე „შევამკე“: „ვინ შენა და ვინ ეგრეთი, რად გინდოდა ვინეგრეტი? აჰა, მწვადი გადაიღე, ეგ დაუდგი ვინმე კრეტინს“. ჩემმა მეგობარმა შეამჩნია, რომ „ასტრას“ ვეწეოდი. ამოიღო „მარლბორო“ და შემომთავაზა — ეს მოსწიეო. „თავი მანებე, ნიკოლოზ, არ მინდა შენი მარლბორო, ოტელო მაგით გაშავდა, მაგან მოუღო მავრ ბოლო. რად მინდა, თუკი ასტრა მაქვს, მარლბოროსათვის მარბოლო, ამქვეყნად არ ვარ პირველი, მე ცხოვრებაში ვარ ბოლო, ამიტომ რაკი ეგრეა, ეს ასტრა უნდა ვაბოლო“. ახლა სხვამ მითხრა: ბიჭო, „მარბლორო“ არ გერჩივნა, რას ეკვლევინები ასტრას მახრჩობელა ბოლსო?! „ყოფა ვუტირე მარლბოროს, მე ვენაცვალე ასტრასა, ას ყუთს რომ ჰყოფნის იაზვად და ბუასილად ას ტრაკსა“-მეთქი... ბოდიშს ვიხდი უწმაწურობისთვის, მაგრამ რა ვქნა, კაფიაობაში ვერ ასცდები...

— ისიც მომიყევით, ერთ კაფიაში ცოლის „დაგლეჯვით“ რომ დავმუქრეთ მოპაექრეს...

— (*იცინის*) ეგ მე არ ვყოფილვარ, თუმცა მაგ ამბავსაც მოგიყვებით. ხალხი უკვე სხვის ნათქვამსაც მე მაბრალებს. ფშავში, სოფელ ლახატოში ცხოვრობდა გიორგი მგელიაშვილი, ყრუ გიორგის ეძახდნენ. მის შვილიშვილთან ვმეგობრობდი. ერთს უთქვამს: გიორგი დახატულო, შენთან სალექსოდ მოველო... რაზედაც უპასუხია: „რასაც შენ მეტყვი, მეც გეტყვი, ყრუი ვარ, განა უენო“. მოკლედ, ამ გიორგის სიტყვა

ალექსი ჭინჭარაული

უჭრიდა. მისი ცოლი ახალგაზრდობაში თავისივე თანასოფლელის წაწალი ყოფილა. სწორედ ასე მოუნდომებია კაფიაობაში გიორგის დაჯაბნა და უთქვამს: „ჩემი ძაღლი გქმნა გივარგი, დაგაბამ ბაკის ახლოსა, რა, ყეფა მოგწყინდებოდა, შამინახამდი საქონსა. სამ დღეში ერთხელ გაჭმევდი, ცივ წყალსა, ასლიდ ქატოსა“... გიორგის უმალვე უპასუხია: „ერთხელ ხომ ავეშვებოდი, ცოლს დავუგლეჯდი პატრონსა“... ალბათ მიხვდებით — დავუგლეჯდიო — ამის ნაცვლად რასაც ეტყოდა... აი, ასეთი „მწარე“ იუმორი აქვთ ფშავლებსაც...

— სიცილს უდიდესი ძალა აქვს. თქვენ თუ წაგხმარებიათ იუმორი?

— რას იზამ, როცა გიჭირს და სხვა საშველი აღარ არის, უნდა გაიცინო და სიცილით გადაიტანო ყველა გასაჭირი. დალხინებული არც ბავშვობა მქონია და არც სიბერე მაქვს უდარდელი. 100-ლარიან პენსიაზე რომ კაცი იცხოვრებს, კარგად როგორ უნდა იყოს? ჩემი მეგობრები ამ ბოლო დროს ხშირად მსაყვედურობდნენ, „უგზო-უკვლო კვებისგან“ გასუქდი, დიეტას თუ ვერ დაიცავ, მარხვა მაინც შეინახეო. გამეცინა: „ჩვენი მთავრობის შემყურე, ნეტავ, რას გვარგებს მარხვაი, ისედაც მშივრებსა გვხოცავს, ეგ პირქვე დასამარხავი“...

— აღიარება არ გინდათ, მაგრამ ვიცი, რომ კარგ ლექსებსაც წერთ. მინდა, ჩვენი ინტერვიუ თქვენი ერთი სევდიანი ლექსით დავამთავრო.

„ნეტავ, საით გაფრინდნენ,
ჩვენი თეთრი მერცხლები,
საით გადაიჩეხნენ
სიყვარულის მეწყრები.
ვა, როგორ გაცივდა
გული ნაბურბურალი,
ვისთვის, ვისად მესმოდა
ჩემი ნაბულბულარი.
ახლა არის გვიანღა,
ნაცრის ანაღვერდლობა,
იმ პირველი სიმღერით
გული არ ამღერდება.
ახლა ჩვენს შავ გიშერსაც
შეჰპარვია ვერცხლები,
გადამქრალან უკვალოდ
გულის ის ნაპერწკლები“. ■

ყველაზე ინტელექტუალური ქართველ დიპლომატებს შორის

და მისი კულუარული ურთიერთობები სეპარატისტებთან

საუკეთესო მოაზროვნედ აღიარებულმა ქართველმა ჩინოვნიკმა განათლება არკანზასის შტატში, ზანგებით დასახლებულ, კრიმინალურ უბანში მიიღო. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, თსუ-ის პროფესორი, ინტელექტუალური თამაშის — „რა, სად, როდის“ აქტიური მონაწილე, ბროლის ბუს მფლობელი, სერგი კაპანაძე თავადვე „აღიარებს“, რომ სკოლაში, სადაც ის სწავლობდა, ნარკოტიკები იყიდებოდა, ტუალეტებში დახლები იყო გამართული... პოლიცია დღეში ორჯერ რეიდს ატარებდა. სკოლაში მოსწავლეებს ქუდის, გაუმჭვირვალე ჩანთის, ძეწკვისა და ჯვრის ტარების უფლება არ ჰქონდათ... სეზონის საუკეთესო მოაზროვნედ ბატონი სერგი 2008 წელს აღიარეს. მას შემდეგ მისი ცოდნის არეალი კიდევ უფრო გაფართოვდა, გამუდმებით კითხულობს — ავტომობილში, თვითმფრინავში, მატარებელში, კაბინეტში, სახლში... მისი საყვარელი მწერლები და პოეტები არიან: გალაკტიონი, გურამ დოჩანაშვილი, ერნესტ ჰემინგუეი, უმბერტო ეკო... აინტერესებს ყველა ჟანრის ლიტერატურა, სამედიცინოს გარდა. არადა, მისი მშობლები ექიმები არიან.

ხათუნა ბახტურიძე

30 წლის სერგი კაპანაძე ყველაზე ბედნიერი 3 წლის წინ იყო, როდესაც ვაჟიშვილი, ლუკა შეეძინა. ის მალე ქალიშვილის მამაც გახდება. თავს იღბლიან ადამიანად მიიჩნევს. გარდა იმისა, რომ მისი მეუღლე, ეკა აკობია განათლებული, ნიჭიერი და მომხიბლავი ქალბატონია, ეჭვიანობით არასდროს აწუხებს. დიპლომატი ცოლ-ქმარი სამინისტროშიც ერთად მუშაობს და უნივერსიტეტში ლექციებსაც კითხულობს. „ამიტომაც ცოლი არასოდეს მეკითხება, სად იყავი აქამდეო?! იცის, სად ვარ და რას ვაკეთებ, რადგან თვითონაც იქ არის,“ — ამბობს ახალგაზრდა ჩინოვნიკი.

მეუღლისა და საკუთარი გემოვნების წყალობით, ყოველთვის კარგ ფორმაშია. უყვარს სპორტული სტილის სამოსი, მაგრამ პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, კლასიკური კოსტიუმის ჩაცმა უფრო ხშირად უწევს. თმის ვარცხნილობას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს. მთავარია, თავს კომფორტულად გრძნობდეს; სუნამოს კი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს; ძალიან მოსწონს სუნამო „როტაცია“. როგორც თავად ამბობს, ერთი ფლაკონი ბოლომდე დაცლილი არა აქვს, მეორეს რომ ყიდულობს.

— ბატონო სერგი, არკანზასში, თანაც კრიმინალურ უბანში როგორ მოხვდით?

— ჭიათურაში დავიბადე და გავიზარდე. სკოლაშიც იქ ვსწავლობდი. არკანზასში ერთწლიანი, სასწავლო, გაცვლითი პროგრამით მოვხვდი. ვცხოვრობდი ოჯახში, სადაც თეთრკანიანი მშობლებს ფერადკანიანი ბავშვები ჰყავდათ ნაშვილები. ჩემს დედობილს მესამე ქმარი ჰყავდა (ჩემი წამოსვლის შემდეგ იმასაც გაეყარა). პირველი სადღაც გაუჩინარებულა, მეორე — არმიის მაიორი ყოფილა, რომელთან ერთად ცხოვრების დროსაც ორი ფერადკანიანი ბავშვი იშვილა. ოჯახის დიასახლისს საკუთარი შვილებიც ჰყავდა. მის ნამდვილ შვილს, გოგონას, ერთი ხელი და თვალი არ ჰქონდა, მაგრამ მუდამ იმარჯვებდა სილამაზის კონკურსებში... მასაც მესამე ქმარი ჰყავდა.

სერგი არკანზასში

— თქვენმა დედობილმა მაინცდამაინც ფერადკანიანი ბავშვები რატომ იშვილა?

— კეთილი ადამიანია და იმიტომ. იმ პერიოდში საავადმყოფოში ექთანად მუშაობდა. ორივე ბავშვი აბორტის მსხვერპლი გახდებოდა, მას რომ არ ეშვილა. ახლა თითქოს მოდაშიც კია, შავკანიანი ბავშვების შვილად აყვანა; მაშინ ასეთი რამის გაკეთება მარგინალურ გადაწყვეტილებად მიიჩნეოდა. მართალია, არკანზასში ძალიან ბევრი ფერადკანიანი ცხოვრობდა, მაგრამ რასისტებიც მრავლად იყვნენ. ჩემი დედობილის დის ქმარი ფერადკანიანებს ხელსაც არ ართმევდა, მათთან ერთად სადილობასა ან ვახშმობაზე კი ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

— თქვენ როგორი დამოკიდებულება გქონდათ ფერადკანიანებთან?

— ძალიან კარგი. ბევრი მათგანი ჩემი მეგობარი იყო. ჩემთვის კანის ფერს მნიშვნელობა არა აქვს.

— შავკანიანი გოგონა გყვარებიათ?

— არა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინმე ფერის გამო არ შემიყვარდება — უბრალოდ, ეს გრძნობა მოგვიანებით განვიცადე. ისე, მართლა ძალიან უცნაურ გარემოში ვსწავლობდი. 15 წლის ბავშვს, 23 და 25 წლის კლასელებიც კი მყავდა. ჩემი ერთ-ერთი კლასელი, რომელიც კრიმინალური ბანდის წევრი იყო, ავტობუსში მგზავრობისას მოკლეს. არადა, სულ ახალი გამოსული იყო ციხიდან. სხვათა შორის, მკვლელობა სწორედ იმ ავტობუსში მოხდა, რომლითაც სკოლაში დავდიოდი; კიდევ კარგი, იმ დღეს სკოლაში არ წავედი.

— 15 წლის ასაკში, ასეთ გარემოში მოხვედრამ თქვენზე რა გავლენა იქონია?

— სრულიად დადებითი: დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოვყალიბდი.

— კრიმინალურ უბანში თავის დამკვიდრება არ გაგიჭირდათ?

— არა. კრიმინალური სიტუაცია და სკოლაში საქმის გარჩევები არც ჭიათურაში იყო უცხო ხილი.

— სკოლაში ფერადკანიან კრიმინალებს „თეთრი ბიჭის“ დაჩაგვრა არ უცდიათ?

— კი, როგორ არა, სცადეს. სწავლის დაწყებიდან მეორე დღესვე ვიჩხუბე. საბედნიეროდ, ვერ დამჯაბნეს. სპორტსმენი ვიყავი და ძალა მერჩოდა...

— სპორტის რომელ სახეობას მისდევდით?

— კალათბურთს.

— კალათბურთს ახლაც ხომ არ თამაშობთ?

— არა, ახლა მხოლოდ სპორტის აქტიური მაყურებელი ვარ. სხვათა შორის, ის შავკანიანი, რომელმაც სკოლაში დაჩაგვრა დამიპირა, მოგვიანებით ჩემი განუყრელი ძმაკაცი გახდა. როგორც ვიცი, გაცვლითი პროგრამები დღესაც ხორციელდება. ჩემი აზრით, ეს ძალიან კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ ადამიანის თვალსაწიერი გაფართოვდეს. ამერიკაში ცხოვრებამ მხოლოდ მე კი არა, ჩემი ამერიკული ოჯახის წევრებსაც მნიშვნელოვანი ცოდნა შესძინა. დასახლებაში, სადაც ვცხოვრობდი, უცხოელი თვალით არ ენახათ. ძალიან გამიჭირდა, მათთვის იმის მიხვედრება, თუ სად იყო საქართველო: თურქეთისა და შავი ზღვის არსებობის შესახებაც კი არაფერი იცოდნენ. ერთხელ სკოლაში პატარა პრეზენტაცია გავმართე. მინდოდა, მოსწავლეებისთვის საქართველო გამეცნო. იცით, რა უცნაური კითხვები დამისვეს? მართალია, რომ თქვენთან მხოლოდ კარტოფილს ჭამენო? მანქანები არ გყავთო?.. არ გეგონოთ, რომ ჩემს სკოლელებს მხოლოდ საქართველოს შესახებ ჰქონდათ ასეთი აბსურდული წარმოდგენები. ერთხელ მასწავლებელმა გაკვეთილზე დასვა კითხვა, — დედამიწაზე რამდენი კონტინენტიაო? როგორც გაირკვა, ჩემს კლასელებს ასეთ მარტივ კითხვაზეც კი არ შეეძლოთ სწორი პასუხის გაცემა. უფრო მეტსაც გეტყვით — ერთ-ერთმა მათგანმა მთვარეც კონტინენტად „მონათლა“!.. ამერიკაში ცხოვრებამ ჩემს პროფესიულ არჩევანზეც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. იქიდან რომ დავბრუნდი, უკვე ვიცოდი, რა პროფესიასაც ავირჩევდი. სხვათა შორის, არც შევმცდარვარ. ძალიან სწორად მოვიქეცი, რომ საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე შევიტანე საბუთები. დღეს მე ვაკეთებ საქმეს, რომელიც ძალიან მიყვარს.

— ეი. თქვენს პროფესიულ არჩევანზე ექიმმა მშობლებმა გავლენა ვერ მოახდინეს...

— სწორედაც რომ მოახდინეს. მათ შემხედვარეს ექიმობა აღარ მომინდა.

— საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობა გაქვთ; თამაშისთვის — „რა, სად, როდის“ დროს როგორ პოულობთ?

— თუ ადამიანი მოინდომებს, ყველაფერს შეძლებს. ამ თამაშით ჯერ კიდევ ბავშვობისას ვიყავი დაინტერესებული. თავიდან რუსულ გადაცემას — „რა, სად, როდის“ ვუ-

ყურებდი, მერე ქართული ვარიანტებიც ვნახე. თბილისში, სახელმწიფო უნივერსიტეტში რომ ჩავაბარე, აღმოვაჩინე, რომ გვერდით კორპუსში „რა, სად, როდის“ კლუბი იყო. მაშინვე მივედი სათამაშოდ. მას შემდეგ 12 თუ 13 წელი გავიდა. ახლა უკვე სუპერლიგაში ვთამაშობ.

— კლუბის წევრები ძირითადად რა სახის ლიტერატურას კითხულობენ?

— ეს ისეთი ტიპის თამაშია, რომელიმე კონკრეტული ჟანრის ლიტერატურის კითხვა წარმატებებს ვერ მოგიტანს. თამაშის მთელი იდეა ლოგიკურ აზროვნებაშია. ლოგიკურად კი ისე ვერ იაზროვნებ, თუ ნაკითხი არ ხარ.

— თუ არის რომელიმე სფერო, რომლიდანაც შეკითხვა არ გიყვართ?

— მითოლოგია და მედიცინა. ამ თემაზე შეკითხვა რომ მოდის, ტანში მბურძგლავს.

— ეკა სად გაიცანით?

— ეკა ჯერ კიდევ მაშინ გავიცანი, როდესაც სტუდენტი ვიყავი. მას შემდეგ სულ ერთად ვართ.

— გარეგნობით მოგხიბლათ თუ ერთმანეთთან საერთო ინტერესებმა დაგაკავშირათ?

— ჯერ გარეგნობით მოვიხიბლე, მერე აღმოვაჩინე, რომ საერთო ინტერესებიც გვქონდა...

— ორი დიპლომატის ოჯახში ალბათ კონფლიქტები გამორიცხულია...

— მართალია. ერთმანეთს კარგად ვუგებთ, მაგრამ ეს პროფესიის კი არა, ჩვენი მშვიდი ხასიათის დამსახურებაა.

— როგორ ფიქრობთ — პროფესია ადამიანის ხასიათზე გავლენას ახდენს?

— კი, მაგრამ ბევრ დიპლომატს ვიცნობ, რომელიც ძალიან ემოციურია.

— ემოცია დიპლომატისთვის, პროფესიულ საქმიანობაში ხელის შემშლელი არ არის?

— სტერეოტიპია ჩამოყალიბებული, რომ დიპლომატისთვის ემოცია ხელის შემშლელია, მაგრამ ზოგიერთი ქვეყნის დიპლომატიაში ემოცია საკმაოდ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. მაგალითად, რუსული დიპლომატიის კლასიკური სტილი ემოციასა და დრამატულობაზეა აგებული (ახლა უნივერსიტეტის პროფესორის პოზიციიდან გელაპარაკებით). აზიური დიპლომატიის სტილი უფრო გაწონასწორებულია. სხვათა შორის, დასავლურ ქვეყნებსაც კი სხვადასხვა სტილი აქვთ: ფრანგული დიპლომატია, რომელიც ასევე ემოციაზეა დაყრდნობილი, სრულიად განსხვავდება გერმანულისგან.

— ქართულ დიპლომატიაზე რას იტყვით?

— ქართულ დიპლომატიას ძალიან ხანმოკლე ისტორია აქვს,

ჩვენი სტილი ჯერ კიდევ ჩამოსაყალიბებელია.

— ეს როგორ? ჯერ კიდევ სულხან-საბა ეწეოდა დიპლომატიურ მოღვაწეობას საფრანგეთში!..

— კი, მაგრამ დამოუკიდებელ საქართველოში საგარეო საქმეთა სამინისტრომ 1990 წლიდან დაიწყო მუშაობა. უნივერსიტეტში არის ასეთი კურსი — საერთაშორისო მოლაპარაკებები. სულ ცოტა ხნის წინ სტუდენტებს დავალება მივეცი, დაეწერათ, თუ როგორ წარმოედგინათ ქართული მოლაპარაკების სტილი. მათი ნაშრომები ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. თითოეულ სტუდენტს განსხვავებული ხედვა ჰქონდა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ქართული დიპლომატიის სტილი ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული.

— ყველაზე წარმატებული დიპლომატები რომელ ქვეყანას ჰყავს?

— ჩემი აზრით, ყველაზე ძლიერი დიპლომატი რიჩარდ ჰოლბრუკი იყო. სწორედ მისი დიპლომატიური ხელოვნების დამსახურებაა, რომ 1995 წელს ბოსნია ომს გადაურჩა.

— მერამდენე წელია, რაც ჟენევის მოლაპარაკებებში მონაწილეობთ?

— 2008 წლის შემოდგომიდან დავიწყე ჟენევის მოლაპარაკებებში მონაწილეობა.

— თქვენი აზრით, ჟენევის მოლაპარაკება ყოველთვის უშედეგოდ რატომ მთავრდება?

— ეს რუსეთის ხისტი პოზიციის ბრალია. მოლაპარაკებას შედეგი მაშინ აქვს, როდესაც ყველა მხარე მიდის რაღაც დათმობაზე. ვიდრე მოსკოვი თავის ხისტ პოზიციას არ შეცვლის, წარმატების მიღწევა შეუძლებელი იქნება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თავად პროცესის გაგრძელება ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია. უკვე წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ჟენევის მოლაპარაკების წამყვანები არიან საერთაშორისო ორგანიზაციები — ეუთო და ევროკავშირი. აქამდე მოლაპარაკების წამყვანი იყო რუსეთი, ხოლო საქართველო, აფხაზეთისა და ცხინვალის მარიონეტული რეჟიმები მხარეებად იყვნენ წარმოდგენილნი; დღევანდელი ფორმატი საშუალებას გვაძლევს, მოლაპარაკებაზე წარმოვადგინოთ ცხინვალის რეგიონის დევნილი ადმინისტრაცია — დიმიტრი სანაკოევის ხელმძღვანელობით, და აფხაზეთის ადმინისტრაცია — გია ბარამიას ხელმძღვანელობით. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რუსეთი ისეთივე მხარედ არის წარმოდგენილი, როგორიც საქართველოა.

— აფხაზი და ოსი სეპარატისტები კულუარულ ურთიერთობებშიც ისეთივე რადიკალურები არიან, როგორც ეს საჯაროდ ჩანს?

— როგორც ჩვეულებრივ ადამიანებთან, ოსებთან და აფხაზებთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს... ისე, მე მათ სეპარატისტებს არ დავარქმევდი — მარიონეტები არიან, იმიტომ, რომ კრემლისგან დამოუკიდებლად ვერ მოქმედებენ.

— როგორ გგონიათ — აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შემდეგ, აფხაზებისა და ოსების დამოკიდებულება რუსეთის მიმართ შეცვლილი არ არის?

— მოდი, ამ საკითხზე საჯაროდ ნუ ვილაპარაკებთ. ისე, შეუძლებელია, კრემლის იმპერიალისტური პოლიტიკა, მილიტარიზაცია, ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების შელახვის ფაქტები აფხაზ და ოს ხალხებს რუსეთის მიმართ უარყოფითად არ განაწყობდეს. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენი დიპლომატია კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს. ■

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

მოხევის სიმღერა

ქალს სილამაზე ხილადა
ვთხოვე, არ დამაძლევინა,
დავღონდი, წყალი მომწყურდა,
წვეთი არ დამალევინა.

მომხედა, თოლნი შემყარა,
ნაწინწყლებ წამაყრევინა,
დამრცხო, ავინთე, გავწითლდი,
თავი ძირს დამახრევინა.

სიტყვები გადამავიწყა,
ენა სულ ამარევინა.
არც მითხრა – მოდი, არც – წადი,
არც თავი დამაღწევინა.

ტიალი, რაი ყოფილა,
თავბედი დამაწყევლინა.
დახე წყეულსა დიაცსა,
რა დღემდე მომაღწევინა.

ხალხური

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის

ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

კ

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-52, 2010 — №1-7, 2011

კინწი — 1. კისერი, ქედი; 2. (კუთხ.) იგივეა, რაც ყუნწი.

კინჭული (კუთხ.) — წვერი, წვეტი (კლდისა).

კიოტი, კიოტა — პატარა მტაცებელი ფრინველი ბუების ოჯახისა.

კიპორქი — იგივეა, რაც წანწალა (ხიდად გადებული ძელი).

კიპრუქი — ფიჭიანი თაფლი — გოლეული.

კიჟვა — ჭუტვა (თვალისა). თოფი და წამალი — ხელმწიფისა, თვალის კიჟვას რა უნდაო.

კირითხურო (ძვ.) — იგივეა, რაც კალატოზი.

კირკალი — რკალი, რომლითაც საქონელს ბაგაზე აბამენ (ზამთარში).

კირკაჟი — მოხარშული და ამოუზელად შენელებული ლობიო.

კირკიტა — მტაცებელი ფრინველი შავარდნების ოჯახისა.

კისკასი — მარდი, სწრაფი, ცქვიტი.

კისრული — ჭიდაობის ერთ-ერთი ხერხი.

კიჩო — გემის, აგრეთვე თვითმფრინავის უკანა ნაწილი.

კიწანი — წვრილი ფიჩხი; წვრილი ხმელი ტოტი.

კლერტი — ყურძნის მტევნის ღერო, რომელზედაც კიმპლები ასხია; 2. ფოთლებგაცლილი წვრილი შტო რისამე.

კნაჭა — ძალზე გამხდარი, მჭლე, სუსტი.

კნეთელი — ოქროსფერში ამოვლებული ძაფი.

კნინ (ძვ.) — სულ მცირე, სულ პატარა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მურმან ლებანიძე

ქართველი პოეტი — მურმან ლებანიძე, დაიბადა 1922 წლის 14 ნოემბერს დაბა აღსტაფაში (აზერბაიჯანი). 1940 წელს, საშუალო განათლების მიღების შემდეგ, სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო, რომელიც 1948 წელს დაამთავრა. მეორე მსოფლიო ომმა სწავლა გააწყვეტინა და 19 წლისამ ჯერ კავკასიის უღელტეხილზე წარმოებულ ბრძოლებში მიიღო მონაწილეობა, შემდეგ — ყუბანში. 1943 წელს მძიმე ჭრილობის გამო დაბრუნდა თბილისში. 1948 წელს კი დაოჯახდა (მისი მეუღლე ელენე ჭავჭავაძე გახდა).

„კაცი სხვის რითმებს წვრთნის, — სახავს უწყინარ ლაღობად, გალაკტიონი თვლის ჯიბეში ხელის ჩაყოფად“.

მურმან ლებანიძე მუშაობდა საყმაწვილო-სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში. იყო საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის მთავარი რედაქტორი. 1978 წლიდან იყო — შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი, თავმჯდომარე, შოთა რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი. ლირიკული ლექსების პირველი კრებული 1950 წელს გამოაქვეყნა. მასვე ეკუთვნის ლექსებისა და პოემების კრებულები — „რჩეული“, „ანისის აღება“, „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი“, „რჩეული ლირიკა“...

„უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი არა დაღვრილის, — დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა, არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი არ გამაჩნია!“

ქართული სიტყვა და ახლებურად განეჭვრიტა თანამედროვე ადამიანის სულიერი სამყარო, ჩვენი ქვეყნის წარსული, აწმყო და მომავალი... მის ლექსს ახასიათებს პოეტური ფრაზის მოქნილობა, სიტყვის ეფექტიანობა და რითმის დინამიკურობა. მის შემოქმედებაში აღსანიშნავია პატრიოტიზმის, სიცოცხლის, სიკეთის, სილამაზის, სიყვარულისა და მეგობრობის თემები... პოეტი მუდამ საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. ნაყოფიერად მუშაობდა მთარგმნელობით სფეროშიც. მან თარგმნა იაპონური, კლასიკური და ძველი ეგვიპტური პოეზიის ნიმუშები — რედიარდ კიპლინგის, რობერტ ბერნსის ლექსები, შექმნა რუსული კლასიკური პოეზიის მიკროანთოლოგია (კრებული — „უკვდავი ყვავილები“). ლებანიძის ლექსები თარგმნილია რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, უკრაინულ, ფრანგულ, გერმანულ და ჩეხურ ენებზე...

„ძველი ქართული ანდაზა იტყვის: „სოფელი დიდია!“ რამ გაადიდა, ანდა, სად? სოფელს ბოქლომი ჰკიდია!“

1972 წელს პოეტს შოთა რუსთაველისა და გალაკტიონის პრემიები მიენიჭა. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით. მურმან ლებანიძე გარდაიცვალა 2002 წელს და დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

■

ანა კალანდაძე, მურმან ლებანიძე, ელენე ჭავჭავაძე

მორიგანი

აჩრდილთა დედოფალი

დასაწყისი იხ. „გზა" №48-52, 2010 - №1-7, 2011

მარი ჯაფარიძე

როგორც იქნა, საქმეს თავი მოვაბი... მიხაროდა, რომ დიდი ხნის ოცნება ავისრულე, საკუთარი ოფისი გავხსენი და იმ საქმეს გავაკეთებდი, რომელიც ასე მიყვარდა. სანდროსთან შეხვედრა იშვიათად მიწევდა და მაშინაც ვჩხუბობდით. ვერ ვაპატიებდი წარსულს...

სტუდენტურმა წლებმა ისე გაირბინა, რომ უკან მოხედვაც ვერ მოვასწარი. იმ შემთხვევის შემდეგ, როდესაც სანდროს ფაქტობრივად დავნებდი და თვითონვე არ ინდომა ჩემთან სექსი, ახლოს არ ვიკარებდი. ცდილობდა, დავემარტოხელებინე. როგორც კი ჩემთან მარტო დარჩებოდა, მაშინვე საკოცნელად და მოსახვევად იწევდა, მაგრამ ხელს ვკრავდი. ლალის გაფრთხილებული ვყავდი, — იცოდე, მაგას შენი მხოლოდ „სპორტული" ჟინი აქვს და გამორიცხული არაა, ერთხელ ჩაგიწვინოს საწოლში და მერე მიგატოვოსო. სიმართლე რომ ვთქვა, თვითონ ეს ფაქტი, თუ მიმატოვებდა, დიდად არ მაღელვებდა და ამისთვის მზად ვიყავი კიდეც. უბრალოდ, მინდოდა, მეწვალებინა და ჭკუიდან გადამეყვანა, თორემ მასთან ურთიერთობის სურვილით თავადაც ვიწვოდი. შესაძლოა, ამას ხვდებოდა სანდრო და თვითონაც მეთამაშებოდა. უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, დათომ სამსახური მაშინვე მიშოვა. ერთ-ერთი რაიონის პოლიციის განყოფილებაში, ოპერად ამიყვანეს, დაწინაურების პერსპექტივით.

სამსახურის დაწყებამდე მე და ლალი დასასვენებლად, ზღვაზე წავედით. პლაჟზე ყველას ყურადღებას ვიქცევდით. ასაკის მიუხედავად, ლალი კარგ ფორმაში იყო. საცურაო კოსტიუმი მის უზადო სხეულს აჩენდა და მამაკაცები თვალებით ჭამდნენ. თუმცა, ახლოს მოსვლას ვერავინ ბედავდა, რადგან გამომწვევად არ ვიქცეოდით და როგორც ჩანს, ფიქრობდნენ, რომ არც ისე იოლი იქნებოდა გაცნობაზე ჩვენი დაყოლიება. ხანდახან, რომელიმე, შედარებით გაბედული მამაკაცი მოვიდოდა, რამეს გვთხოვდა ან შეგვეკითხებოდა და ჩვენი მოკლე პასუხების შემდეგ უკან ბრუნდებოდა.

ერთ დღეს, პლაჟზე პირქვე ვიწექი. თავი გვერდზე მქონდა მიბრუნებული და მზეს ვეფიცხებოდი. ახალგაზრდა მამაკაცი ჯიქურ მოვიდა, ჩემ გვერდით თვითონაც პირქვე დაწვა, თავი ჩემკენ მოაბრუნა და რომ შევხედე, თვალი ჩამიკრა. ისე ახლოს იწვა ჩემთან, რომ მისი სუნთქვაც კი მესმოდა.

— რა ხდება? — ცალ იდაყვზე წამოვიწიე და შუბლშეკრულმა შევხედე.

— არაფერი! რამდენიმე დღეა, გითვალთვალებთ და ისე მომწონხართ, გადავწყვიტე, სანამ არ გაგიცნობ, აქედან არ ავდგე, — თვალები ისე უციმციმებდა და ისე საყვარლად იღიმოდა, რომ საყვედურის თქმაც კი ვერ მოვახერხე.

უბრალოდ, გამეცინა და პირვანდელ პოზიციას დავუბრუნდი, ოღონდ თავი მეორე მხარეს შევაბრუნე და ფაქტობრივად, ზურგი ვაქციე. თვალები ისევ დავხუჭე, მაგრამ შინაგანად რაღაცის მოლოდინში ვიყავი. მივხვდი, ისე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ჩემი გაცნობა, რომ არ მომეშვებოდა. მხარზე ხელის შეხება ვიგრძენი. ყურადღება არ მივაქციე. ზურგზე გადმოინაცვლა და ხერხემალს თითი ჩააყოლა... გავინაბე და ველოდი, რას მოიმოქმედებდა შემდეგ. თმაზე შემეხო და ერთი კულული თითზე დაიხვია... გამაჟრჟოლა და კანი დამეხორკლა.

— გცივა? — ყურთან ვიგრძენი მისი ჩურჩული, მაგრამ ხმა არ გავეცი. — რა გქვია?

დამუნჯებული ვიყავი. თითქოს ვერც შეხებას ვგრძნობდი მისას და ვერც ჩურჩულს.

— მარგო, წავიდეთ? — ლალიმ სახეზე ჩამოფხატული ქუდი ასწია და შემომხედა. თვალები გაუფართოვდა...

— ეს ვინაა? — იკითხა და თვალით უცნობზე მანიშნა.

— არ ვიცი, — გულგრილად ვუპასუხე.

— მე გოგა ვარ, თქვენი შვილის გასაცნობად მოვედი, მაგრამ ხმას არ მცემს, — თითქოს შესჩივლაო.

— ალბათ არ უნდა და იმიტომ არ გცემს; ადე, წავიდეთ, დაცხა უკვე, — მიბრძანა ლალიმ.

წამოვდექი, სარაფანი გადავიცვი და ლალის უკან მივყევი. ძალიან მინდოდა უკან მიხედვა; მაინტერესებდა, რას აკეთებდა გოგა, მაგრამ თავს ძალა დავატანე და არ მივიხედე.

— სად ცხოვრობთ? სასტუმროში? — უეცრად შევხტი, ისე მოულოდნელად ჩამძახა ყურში. როგორც ჩანს, წამომეწია.

— კი, სასტუმროში.

— მარტო შენ და დედაშენი ხართ?

— თავი დამანებე, რა... — უკმეხად ვუპასუხე, თუმცა, სულაც არ მინდოდა, რომ თავი დაენებებინა.

სასტუმრომდე ისე მივედით, ერთი ნაბიჯითაც არ ჩამოგვრჩენია. სასტუმროშიც შემოგვყვა და ნომერთან რომ მივედით, ლალი მაშინ მიუბრუნდა:

— ყმაწვილო, ნომერში შემოყოლას აპირებთ?

— დიახ, — თვალიც არ დაუხამხამებია, ისე დაუდასტურა.

— ხელცარიელი? — გაიკვირვა ლალიმ.

ამის თქმა იყო და, ბიჭი ადგილიდან მოწყდა. ისე მოულოდნელად გაქრა, თითქოს იქ არც ყოფილა.

— ლალი, ახლა რომ მობრუნდეს, რას იზამ?

— შემოვუშვებ. ურიგო ბიჭი არ ჩანს. ეტყობა, ჯიუტია და მიზანსწრაფული. ცხოვრებაში ბევრს მიაღწევს.

ამის თქმა იყო და კარზე დააკაკუნა.

გოგამ მთელი საღამო ჩვენთან გაატარა. მეც მომხიბლა და ლალიც. საკმაოდ კარგი მოსაუბრე აღმოჩნდა და ეტყობოდა, რომ ქალებთან ურთიერთობის გამოცდილებაც ჰქონდა და საკმაოდ დახვეწილად არშიყობდა.

მეორე დღიდან გოგა არ მოგვცილებია და არც ჩვენ გაგვჩენია სურვილი, რომ ურთიერთობა აგვეკრძალა. ლალი თვალყურს ადევნებდა ჩვენს ურთიერთობას და არაფერს მეუბნებოდა.

თბილისში რომ ვბრუნდებოდით, გზაში მოვიწყინე.

— მარგო, გოგაზე ფიქრობ? — მივხვდი, საუბრის გაბმა უნდოდა.

— კი, — სიმართლე არ დავუმალე.

— მე თუ მკითხავ, ეს უფროა შენი შესაფერისი, ვიდრე სანდრო.

— სანდრო აქ რა მოსატანია? — ყასიდად გავიკვირვე.

— იქნებ საკუთარი თავის მოტყუებას ცდილობ, მაგრამ მე ვერ მომატყუებ. ვიცი, რომ სანდრო გიყვარს. თუ მას გოგათი ჩაანაცვლებ, მე მხოლოდ მოხარული ვიქნები. მარგო, მართალია, დათო და სანდრო ძმები არიან, თანაც, ტყუპი, მაგრამ ერთმანეთისგან დღე და ღამესავით განსხვავდებიან. დათო კეთილი და უბოროტოა. სანდრო კი საშინელი ადამიანია. შენ არ იცი, რისი ჩადენა შეუძლია.

— მაინც — რისი?

— არ ღირს ამაზე ლაპარაკი. უბრალოდ, სიტყვაზე უნდა მენდო.

ლალის სიტყვებმა დამაფიქრა, მაგრამ სანდროს მიმართ ჩემი განწყობილება ვერ შეცვალა. თუმცა, დანამდვილებით ვიცოდი, რომ გოგაც ძალიან მომწონდა და მასთან ურთიერთობაზე უარს არ ვიტყოდი.

— იმედს ვიტოვებ, რომ არჩევანის გაკეთება არ მომიწევს და ყველაფერი თავისთავად ჩადგება კალაპოტში, — ჩავიბურტყუნე.

ჩემი და გოგას ურთიერთობა თბილისშიც გაგრძელდა. სანდრომ ერთი-ორჯერ მკითხა, ვინაა ის ბიჭი, ხშირად შენ გვერდით რომ ვხედავო, მაგრამ კონკრეტული პასუხის ღირსად არ ჩავთვალე.

გოგამ ყველა ჩემი მეგობარი გაიცნო. ლაგოდეხშიც კი წავიყვანე და მამა და დედინაცვალი გავაცანი.

ერთ დღეს შემომთავაზა, რამდენიმე დღით მისი მანქანით სადმე წავსულიყავით და დაგვესვენა.

ვხვდებოდი, რასაც გულისხმობდა და ზუსტად ვიცოდი, რომ თუ მის წინადადებას დავთანხმდებოდი, ეს ავტომატურად მასთან სექსზე თანხმობას ნიშნავდა. ამიტომ, დრო მჭირდებოდა გადაწყვეტილების მისაღებად და რამდენიმე დღე ვთხოვე.

საბოლოოდ კი გადავწყვიტე, დავთანხმებოდი.

სამსახურიდან 1 კვირით დავეთხოვე და გოგასთან ერთად ბორჯომისკენ ავიღე გეზი. ძალზე კარგ გუნებაზე გახლდით. გოგა მთელი გზა იმაზე მელაპარაკებოდა, როგორი შთამბეჭდავი დასვენება გველოდა და რომ ეს დღეები არასოდეს დაგვავიწყდებოდა. სასტუმროში გავჩერდით. ნომერში ბუხარიც კი გვქონდა. გოგამ შეშა მოატანინა, ცეცხლი დაანთო და სასმელ-საჭმელი ნომერში შეუკვეთა. ბუხრის წინ, იატაკზე დაგებულ ხალიჩაზე გავშალეთ სუფრა და ჩვენც იქვე მოვკალათდით. ცოტა ვნერვიულობდი და სასმელს მივეძალე. ის იყო, მესამე ჭიქა გამოვცალე, რომ კარზე ვიღაცამ დააკაკუნა.

— ეტყობა, მწვადი მოგვიტანეს, — გოგა წამოდგა და კარის გასაღებად გაემართა.

უეცრად, ხმაური შემომესმა, მაგრამ ვერ გავარჩიე, რისი ხმა იყო. არც ყვირილს ჰგავდა, არც ღმუილს... რაღაც არაადამიანური ბგერები ძლივს გავარჩიე. გოგას დავუძახე და ხმა რომ არ გამცა, წამოვდექი. კარი მიხურული დამხვდა, გოგა კი არსად ჩანდა. დერეფანში გავიხედე, მაგრამ რა დაგკარგვია, რას ეძებ? შევბრუნდი, იატაკზე დადებული იარაღი ქამარში გავირჭვე, პირველ სართულზე ჩავირბინე და ადმინისტრატორს ვკითხე მისი ასავალ-დასავალი, მაგრამ მხრები აიჩეჩა, არ დამინახავს და არაფერი ვიციო. მთელი საათი ვეძებე, მაგრამ კვალს ვერ მივაგენი. არც კი ვიცოდი, რა მეფიქრა. ნომერში მივბრუნდი, მანქანის გასაღები ავიღე და სასწრაფოდ წამოვედი. გოგა რომ თავისი ნებით წასულიყო, მანქანას არ დატოვებდა. ვინაიდან საკმაოდ მდიდარი ოჯახის შვილი იყო, თან მამამისი ერთ-ერთი ქვეყნის საელჩოში მუშაობდა, ვიფიქრე, შესაძლოა, ფულის გამოძალვის მიზნით მოიტაცეს-მეთქი და ცხელ კვალზე მივყევი.

ნაწვიმი იყო და მეგონა, რაიმე კვალს ავიღებდი. უნივერსიტეტში მიღებული თუ მცირე პრაქტიკით ათვისებული, მთელი ჩემი ცოდნის მობილიზება მოვახდინე, მაგრამ საიმედო ვერაფერი ვნახე. არავითარი კვალი და არავითარი ნიშანწყალი იმისა, რომ ვინმე გაიტაცეს ან რაიმე ძალადობას ჰქონდა ადგილი. უკან მივბრუნდი და იქაურობა კიდევ მოვათვალიერე. ახლომახლო ხალხიც გამოვკითხე, მაგრამ ისევ უშედეგოდ. ჩემს იქ გაჩერებას აზრი არ ჰქონდა და თბილისისკენ გამოვწიე.

გადავწყვიტე, გოგასთან შინ მივსულიყავი. მაინც მეგონა, რომ ცუდად გაიხუმრა და იქნებ შინ დამხვედროდა. თუ არა და, მის მშობლებს მაინც შევატყობინებდი მომხდარს. პირდაპირ პოლიციაში გაცხადებას მაინც მოვერიდე.

კარი დედამისმა გამიღო. როგორც ჩანს, სახეზე ისეთი შეშფოთება მეწერა, რომ მასაც გადავდე.

— ვინ ხართ? — ბოლომდე არ აპირებდა კარის გაღებას.

— გოგა შინაა? — რაც შეიძლებოდა, მშვიდი ხმით ვკითხე.

— არა.

— თქვენი მეუღლე?

— ჩემი მეუღლე შინაა, თქვენ ვინ ხართ?

— თუ შეიძლება, დაუძახეთ, პოლიციიდან ვარ, — საბუთი ამოვიღე და ვაჩვენე.

როგორც იქნა, კარი ბოლომდე გააღო და შინ შემიშვა, მაგრამ მაინც უნდობლად მიყურებდა.

ოთახში საშუალო სიმაღლის, სიმპათიური მამაკაცი დამხვდა. ყურადღებით ამათვალიერ-ჩამათვალიერა.

— გისმენთ, ქალიშვილო, — მკაცრად მითხრა.

— პოლიციიდანაა, — ცოლმა დამასწრო და უცებ მიახალა, ვინც ვიყავი.

დაწვრილებით მოვუყევი ყველაფერს, ჩემი და გოგას გაცნობის დღიდან ბოლო წუთამდე და ჩემი ეჭვიც გავუზიარე იმის შესახებ, რომ შესაძლოა, ვინმემ ფულის გამოძალვის მიზნით მოიტაცა-მეთქი, მაგრამ მამამისმა ეს აზრი მაშინვე უარყო და არც იმაზე დამთანხმდა, რომ პოლიციაში გამეცხადებინა. რამდენიმე დღე დავიცდი და მერე მოვძებნი, რადგან სჩვევია შინიდან გადაკარგვა და „ლოჟნაია ტრევოგა“ არ გამოგვივიდესო.

გოგას სახლიდან წამოსულს თავში უამრავი ცუდი აზრი მიტრიალებდა. ხან მეგონა, რომ გოგას რაღაც უჭირდა და შესაძლოა, ცოცხალიც აღარ იყო, ხან ვფიქრობდი, რომ უბრალოდ, ასე უკბილოდ გამეხუმრა და სადაცაა, გამოჩნდებოდა...

მაინც ვერ მოვითმინე და პირდაპირ პოლიციაში წავედი, რომ გოგას გაუჩინარების შესახებ ინფორმაცია მიმეწოდებინა.

გოგა არც მეორე და არც შემდეგი რამდენიმე დღის განმავლობაში გამოჩენილა. დაჰკითხეს სასტუმროს ადმინისტრატორიც, მაგრამ საქმე წინ ვერ წასწიეს. ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერ გაიგეს. ძიებამ სულ მცირე ინფორმაციაც კი ვერ მოიპოვა. მეც რამდენჯერმე დამკითხეს... ეჭვმიტანილი

ხომ არ ვარ-მეთქი, ვკითხე. დამამშვიდეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თურმე გოგას მამა თითს ჩემკენ იშვერდა და ამბობდა, რომ მთავარი დამნაშავე მე ვიყავი. ვშიშობდი, რომ თუ ვერაფერს დაადგენდნენ, შესაძლოა, პრობლემები შემქმნოდა...

ამიტომ, მთელი მოწადინებით ვცდილობდი, თუნდაც მცირე დეტალისთვს მომეფინა ნათელი.

ბორჯომში გავემგზავრე და ვცადე, ადგილზე გამერკვია დეტალები.

სასტუმროს გარს შემოვუარე და ეზოში შევედი. ვცადე, შეუმჩნეველი დავრჩენილიყავი და შენობის უკანა მხარეს გავედი. იქ პატარა, ერთსართულიანი შენობა იდგა, რომელშიც სამრეცხაო და საკუჭნაო იყო განთავსებული. რამდენიმე ქალი და ერთი ასაკოვანი მამაკაცი შევნიშნე. მამაკაცი ბუზღუნებდა, ქალებს შენიშვნებს აძლევდა, სიგარეტს უკმაყოფილო სახით აბოლებდა და აქეთ-იქით მიმოდიოდა. როგორც კი დამინახა, ჩემკენ წამოვიდა.

— აქ უცხო ადამიანების შემოსვლა არ შეიძლება, — მკაცრად მომმართა.

— რამდენიმე კითხვა მაქვს, იქნებ მიპასუხოთ...

— კითხვები — დირექტორთან!

— დირექტორმა ვერ გამცა პასუხი და თქვენთან გამომიშვა.

— მართლა? — მივხვდი, გაუხარდა. ეტყობა, იფიქრა, რომ დირექტორმა მნიშვნელოვან ადამიანად მიიჩნია.

— დიახ. 4 დღის წინანდელი ამბავი მინდა, გაიხსენოთ. აქ ხომ არ იყავით შემთხვევით, ღამის საათებში?

— შაბათს, ღამით? — დაფიქრდა. — კი, აქ ვიყავი. მე სულ აქ ვარ, აქ ვცხოვრობ.

— რაიმე უცნაური ხომ არ შეგინიშნავთ?

— არა. ისეთი არაფერი, რომ დამახსოვრებოდა.

— იქნებ ის საღამო გაიხსენოთ... ბევრი სტუმარი გყავდათ?

— თქვენ რატომ ინტერესდებით? გამომძიებელი ხართ?

— დიახ, — პოლიციელის საბუთი ვაჩვენე, მაინც ვერ მიხვდებოდა, მქონდა თუ არა უფლება, რომ დაკითხვა მეწარმოებინა.

— სტუმარი ცოტა იყო. ჯერ ახალგაზრდა ქალი და მამაკაცი მოვიდნენ, შავი მანქანით. იმ ბიჭმა 5 ლარი მაჩუქა, ნომერში შეშა ამომიტანე, რომ ბუხარი დავანთოო და იმიტომ მახსოვს; შემდეგ თეთრი ან ვერცხლისფერი მანქანით კიდევ 3 კაცი მოვიდა. ადმინისტრატორს ელაპარაკნენ კარგა ხანს, დავინახე, რომ ფული გადაუხადეს, მაგრამ ნომერი არ აუღიათ. რაზე ელაპარაკებოდნენ, არ ვიცი, არ გამიგონია. ალბათ წინასწარ დაჯავშნეს ნომერი, რადგან ზუსტად ვიცი, ფული გადაიხადეს.

— მალე წავიდნენ?

— თვალი არ მიმიდევნებია. ალბათ ნახევარ საათში. ისე სწრაფად გამოვიდნენ, ჩასხდნენ და წავიდნენ, მივხვდი, სადღაც ეჩქარებოდათ.

ამ კაცის ნათქვამს თუ დავუჯერებდი, აშკარა იყო, რომ ადმინისტრატორს რაღაც მაინც ეცოდინებოდა, მაგრამ ხმას არ იღებდა. კაცს მადლობა გადავუხადე და წამოვედი. არ ღირდა ახლა ჩემი გამოჩენა ადმინისტრატორთან. სჯობდა, გამომძიებლისთვის მეთქვა ყველაფერი და თვითონ მიეხედა საქმისთვის.

თბილისში დაბრუნებულმა გამომძიებელს დავურეკე და მოვუყევი, რაც მოვისმინე. მასაც საეჭვოდ მოეჩვენა.

იმ საღამოს, შინ მისულმა, ლალისთან მოვიოხე გული და ყველაფერს მოვუყევი. ის იყო, დაძინებას ვაპირებდით, რომ სანდრო მოვიდა.

ჩვეულებრივზე უფრო მხიარული იყო, უაზროდ ხუმრობდა, სასეირნოდ მეპატიჟებოდა. გადამეკიდა, ახალი რა არის შენთან, ხომ არაფერს მიმალავ, უგუნებოდ რატომ ხარო. არ ვაპირებდი გოგას ამბის მოყოლას, მაგრამ ლალიმ უთხრა, კავალერი მოსტაცეს გვერდიდან და მისი ასავალ-დასავალი ვერ გაიგოო.

ამის თქმა იყო და „ჩაიხვია“, გინდა თუ არა, მომიყევი, რა მოხდა, კაცი გვერდიდან როგორ „აგახიესო“?!. იძულებული გავხდი, ყველაფერი მომეყოლა. გამოძიების შედეგებიც დაწვრილებით გამომკითხა. ბოლოს ისიც დავამატე, გვეგონა, ფულის გამოძალვის მიზნით მოიტაცეს, მაგრამ მის მშობლებს არავინ დაჰკავშირებია-მეთქი.

— დაანებე თავი, მე მგონი, ის ვერსია უფრო სწორია, რომ შენ გემალება, — სიცილით მითხრა.

შუაღამისას სამსახურში გამომიძახეს და დავალებაზე გამიშვეს.

ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, ძებნილი, რომელსაც ჩვენი ბიჭები დიდი ხნის განმავლობაში დასდევდნენ, შინ მისულა და ახლა ოპერაცია უნდა ჩაგვეტარებინა და აგვეყვანა.

ღამის 3 საათზე, მითითებულ მისამართზე ჩავსაფრდით. იმ ბინის ფანჯრებიდან, რომელსაც ვუთვალთვალებდით, შუქი გამოდიოდა, მაგრამ ფარდები ბოლომდე იყო ჩამოფარებული. ბინა პირველ სართულზე იყო და შესაძლებელი იყო, დამნაშავე გაგვქცეოდა, რადგან ფანჯრებზე გისოსებიც კი არ იყო. თანაც, ეტყობოდა, რომ გისოსები ახალი მოხსნილი ჰქონდათ. როგორც ჩანს, დამნაშავე წინასწარ ემზადებოდა „ჩეპესთვის“. ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც უნდა აგვეყვანა, მეზობელი, 14 წლის გოგონას გაუპატიურებასა და მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი და ინფორმაცია სწორედ დაზარალებულის ოჯახმა მოგვაწოდა. როგორც იქნა, შუქი ჩაქრა. მაშინვე გავნაწილდით. სამნი ეზოში გამომავალ ფანჯარასთან, სამნი — უკანა ფანჯრებთან და ორნი — კართან უნდა დავლოდებოდით. შესაძლებელი იყო, თვითონვე დაეპირებინა შინიდან წასვლა და შუქიც სწორედ ამიტომ ჩააქრეს. ძებნილი თავისით რომ არ გამოჩნდა, ბიჭებმა კარზე დააკაკუნეს. ორიოდე წუთში უკანა ფანჯრებთან ჩოჩქოლი ატყდა, სროლის ხმაც გაისმა. ყველანი იქით გაიქცნენ, მე კი სადარბაზოსთან დავრჩი და კედელს ავეკარი. სწორად გავთვალე. ნახევარ წუთში კარი გაიღო და კიბეზე ფეხის ხმაც მომესმა. კატასავით ფრთხილად მოაბიჯებდა და როგორც კი სადარბაზოდან გამოვიდა, ზურგზე მოვახტი, მიწაზე დავაგდე და ხელები ამოვუგრიხე. წინააღმდეგობას მიწევდა, მაგრამ რას მაჯობებდა? ძირს დაგდებულს ბორკილები დავადე, წამოდგომაში მივეხმარე და კედელთან მივაყენე. ხმას არ იღებდა, მხოლოდ აჩქარებით სუნთქავდა და კბილებს აკრაჭუნებდა. იმ სიბნელეშიც კი შევნიშნე, როგორ ჩაუსისხლიანდა თვალები. იარაღი კეფაზე მივადე, რომ არ განძრეულიყო, მეორე ხელით მობილური ამოვიღე და ერთ-ერთ თანამშრომელს გადავურეკე, დავაკავე და მომეშველეთ-მეთქი.

რამდენიმე ბიჭი 2 წამში ჩემთან გაჩნდა. კი, მაგრამ ჩვენც დავაკავეთ ერთი, ფანჯრიდან რომ ძვრებოდა და ის ვინღაა?

ჯერ ბინა გავჩხრიკეთ. შინ მხოლოდ ახალგაზრდა ქალი — ძებნილის ცოლი დაგვხვდა, რომელიც ისე იყო შეშინებული, რომ „სასწრაფო“ გამოვიძახეთ, ხელში რომ არ ჩაგვკვდომოდა. შემდეგ დაკავებულები ცალ-ცალკე, სხვადასხვა მანქანით გადავიყვანეთ განყოფილებაში და იქაც ერთმანეთისგან იზოლირებულად მოვათავსეთ.

ახლა ის იყო გასარკვევი, რომელი იყო მათ შორის ძებნილი. თუმცა, თავიდანვე ვეჭვობდი, რომ სწორედ ის, რომელიც მე დავაკავე. ჩემი ვარაუდით, მათი გეგმა ასეთი იყო: ვინაიდან კარგად იცოდნენ პოლიციის მუშაობის მეთოდები, ისიც უწყოდნენ, რომ ფანჯრებთან ვიქნებოდით ჩასაფრებული. ამიტომ, როდესაც კარზე დავაკაკუნებდით, ის, ვინც უდანაშაულო იყო, ფანჯრიდან გაპარვას დააპირებდა და ბუნებრივია, ყველა მის დასაკავებლად გაიქცეოდა. ამასობაში კი ნამდვილი დამნაშავისთვის გზა ხსნილი იქნებოდა და კარიდან ან წინა ფანჯრიდან გაძვრებოდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ქართული ენა, ლიტერატურა
ენა, ლიტერატურა ყველასთვის!

ჟურნალ „რეიტინგთან“ ერთად

28 თებერვლიდან - ტომი №6
მთხრობელი - ჯეკ ლონდონი

ფასი ... 2 ლარი!!!

7 მარტიდან
ტომი №7 - ჰერბერტ უელსი



რუსუდან ბერიძე

დასაწყისი იხ. „გზა“ №51, 2010 – 1-7, 2011

ლელა უკვე 20 წუთი იჯდა ჟურნალ „იმიჯის“ მისაღებში და მთავარ რედაქტორთან თათბირზე შეკრებილი თანამშრომლების გამოსვლას მოთმინებით ელოდებოდა. ცოტა ხანში კაბინეტის კარი ხმაურით გაიღო და ჟურნალისტები ერთმანეთის მიყოლებით გამოვიდნენ.

— მაპატიეთ, — მიმართა გემოვნებით ჩაცმულ ქალბატონს ლელამ, — შეიძლება, რაღაც გკითხოთ?

ქალი მაშინვე შედგა:

— ყურადღებით გისმენთ.

— მხატვარ ერეკლე იაშვილზე დაწერილი სტატიის თაობაზე ვარ მოსული. ის დაახლოებით, ერთი თვის წინ დაიბეჭდა თქვენს ჟურნალში. ალბათ, გახსოვთ, რომ...

— რა თქმა უნდა, მახსოვს, — გააწყვეტინა ქალმა, — კონკრეტულად მაინც რა გაინტერესებთ?

— მის ავტორთან მინდოდა შეხვედრა.

— ავთო ნადირაშვილთან? — გაუკვირდა ქალს.

— დიახ, დიახ, სწორედ მასთან, — თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა მას გახარებულმა ლელამ.

— სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია.

— რატომ, თქვენთან აღარ მუშაობს?

— უარესი, — თვალები აუწყლიანდა ქალს, — გარდაიცვალა.

— გარდაიცვალა? — შეცბა ლელა. — როგორ, როდის?

— მანქანა დაეჯახა. უკვე 10 დღეა, რაც დაასაფლავეს.

— მაპატიეთ, არ ვიცოდი.

— აბა, საიდან უნდა გცოდნოდათ... რით შემიძლია, თქვენი დახმარება?

— არა, გმადლობთ, — ჩაილაპარაკა დაბნეულმა ლელამ.

— მაშინ კარგად იყავით, — მისაღებიდან სწრაფი ნაბიჯით გავიდა ქალი.

ლელაც მაშინვე მიჰყვა. ის დერეფანში, კედელთან მდგარ ერთ-ერთ სკამზე ჩამოჯდა და თავი ჩაქინდრა.

— ასეთ კარგ გოგონას ნეტავ, რატომ მოუწყენია? — ჩაესმა უეცრად მას ვიღაცის ხმა.

ლელამ თავი ასწია და მაღალი გრძელთმიანი ახალგაზრდა დაინახა.

— გამარჯობა! — შინაურივით მიესალმა გოგონას.

— გაგიმარჯოს, — უხალისოდ უპასუხა ლელამ.

— ახალი ხარ?

— ვერ გავიგე?

— ჩვენთან მუშაობ-მეთქი?

— არა, უბრალოდ, რაღაც საქმე მქონდა...

— მოკლედ, აქაური არ ხარ, ხომ?

— არა.

— მით უკეთესი. მე ზაზა მქვია. შენ?

— ლელა.

— რა ქარმა გადმოგაგდო ჩვენთან?

— ერთი ადამიანის ნახვა მინდოდა, მაგრამ მითხრეს, რომ ცოტა ხნის წინ მანქანამ გაიტანა.

— აა, შენ ალბათ, ავთო ნადირაშვილს გულისხმობ, ხომ?

— ჰო, ნადირაშვილს...

— ძალიან უბრალოდ კი დაიბრიდა, ხომ იცი. მაგრამ ეტყობა, ყველა მაინც იმას იღებს, რასაც იმსახურებს.

— რა თქვი?

— არა, სიკვდილისთვის მაინც დამენანა, მაგრამ ისე, მართლა ვერ გამიგია, რით უნდა დაეინტერესებინა ნადირაშვილისნაირ გაიძვერას შენისთანა მშვენიერი გოგონა?

— შენი ლაპარაკიდან ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ერთმანეთი დიდად არ უნდა გყვარებოდათ.

— გყვარებოდათო? რა სისულელეა! შენთვის ჯერ არავის უთქვამს, რომ ნებისმიერი კორპორატიული თანამშრომლობა სინამდვილეში საგულდაგულოდ შენიღბული ტერარიუმია, სადაც ძლიერები სუსტებს სულ ღიმილ-ღიმილით სანსლავენ?!

— არა, არ უთქვამთ.

— დამიჯერე, ასეა! მაგრამ მოდი, ისევ შენს ამბავს დავუბრუნდეთ. საიდუმლო თუ არ არის, მაინც რა გინდოდა მექალთანე და 2 პირი ცოლშვილის „გადამგდები“ ავთო ნადირაშვილისგან?

— არა, საიდუმლო ნამდვილად არ არის. მან თქვენი ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში მხატვარ ერეკლე იაშვილის წერილები გამოაქვეყნა.

— აა, ახლა გასაგებია. შენ მაინც კონკრეტულად რა გაინტერესებს?

— იმის გაგება მინდა, თქვენმა ჟურნალმა იაშვილის ყველა წერილი გამოაქვეყნა თუ კიდევ დარჩა რამე?

— დარჩა რომელია! ყველას გამოქვეყნებას რამდენიმე ნომერიც კი არ ეყოფოდა. ან ვინ წაიკითხავდა?! ავთომ, თავისი ჭკუით, ყველაზე საინტერესოები ამოარჩია და საკუთარი კომენტარებიც დაურთო, მაგრამ მაინც დიდი ვერაფერი მასალა გამოუვიდა.

— იაშვილის დანარჩენი წერილების ნახვა თუ შეიძლება?

— დანარჩენის? — ჩაფიქრდა ზაზა. — მთლად ადვილი საქმე არ იქნება, მაგრამ შენთვის მაინც ვცდი. გამომყევი!

ზაზამ ლელა დერეფნის ბოლოს, ერთ-ერთ კართან მიიყვანა და გამეტებით დააბრახუნა.

— ღიაა! — მოისმა კარს იქიდან მამაკაცის უკმაყოფილო ხმა. — კარი ნუ ჩამოიღე!

— როგორ მოხდა? — გაუკვირდა ზაზას. — ადრე სანამ კარს მართლა არ ჩამოიღებდი, გაღებას არავინ ჩქარობდა. ჰო, მართლა, — მიუბრუნდა ის უეცრად ლელას, — ცოტა ხნის წინ ამ ოთახში თავად მისი უდიდებულესობა ნადირაშვილი იჯდა.

— მერე უხერხული არ არის? — შეიშმუშნა გოგონა.

— უხერხული კი არა, პირდაპირ მისწრებაა! ცოცხალი რომ იყოს, თავის მაგიდაზე ერთ ფურცელს არ გადაგვადებინებდა გვერდზე. ახლა კი შეგვიძლია, თუნდაც ყველაფერი თავდაყირა დავაყენოთ, — კარს მთელი ძალით მიაწვა ზაზა.

ოთახში 3 მაგიდა იდგა. ერთ-ერთ მათგანს ვიღაც სათვალიანი ახალგაზრდა უჯდა და კომპიუტერის ეკრანს მიშტერებოდა.

— აჩიკოს ჩვენი სალამი! — მხარზე ხელი შინაურულად დაჰკრა ზაზამ. — როგორ ხარ?

— ვარ, რა... — ეკრანისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე უპასუხა ახალგაზრდამ.

— თათბირზე რატომ არ იყავი?

— არ მეცალა.

— ისევ შემოქმედებითად იწვოდი, ხომ?

— წვა და დაგვა თქვენისთანა დიდი ფოტოხელოვნებისკენ მოიკითხეთ, ბატონო ზაზა, მე კი მოგეხსენებათ, პატარა კაცი ვარ და მხოლოდ მორიგ მასალაზე ვმუშაობ.

— იმუშავე, იმუშავე, ჩემო აჩი, არ მოცდე. მე და ეს მშვენიერი გოგონა კი, შენი ნებართვით, რა თქმა უნდა, ავთოს მაგიდას ცოტა „გავჩითავთ“, კარგი?

„მშვენიერი გოგონას“ ხსენებაზე აჩიკო, როგორც იქნა, კომპიუტერის ეკრანს მოსწყდა და ლელას ბეცი თვალები შეანათა:

— ახალი თანამშრომელი ხართ?

— სულ მთლად ცინცხალი, — ლელას პასუხის გაცემა აღარ აცალა ზაზამ, — დღეს მხოლოდ პირველ თათბირს დაესწრო.

— ავთოს მაგიდასთან უნდა დაჯდეს?

— ალბათ.

— არა, მე აქ... — სიტუაციის ახსნა დააპირა ლელამ, მაგრამ ზაზამ ამჯერად უკვე ხელის აწევით გააჩერა:

— ვიცი, რომ გეუხერხულება, მაგრამ რას იზამ? ადრე თუ გვიან, ამ ადგილს მაინც ვიღაც დაიკავებდა.

— ალბათ, მაგრამ მე რა შუაში ვარ? — მაინც არ შეეპუა მას ლელა. — მე ხომ აქ მხოლოდ ერეკლე იაშვილის წერილების სანახავად მოვედი.

ამ სიტყვების გამგონე აჩიკო ჯერ ლელას მიაშტერდა გაკვირვებით, შემდეგ კი ზაზას მიუბრუნდა:

— გამაგებინებ, ბოლოს და ბოლოს, რა ხდება?

— ჰო, კარგი, კარგი, — დანებების ნიშნად ორივე ხელი ასწია ზაზამ, — ამ გოგონას მართლაც იაშვილის წერილები აინტერესებს, მე კი...

— შენ კი მასხარა იყავი და მასხარად დარჩები, — იფეთქა აჩიკომ, — ქართულად ვერ იტყვი, რა გინდა?

— აკი გითხარი, იაშვილის წერილები-მეთქი, — იხტიბარი არ გაიტეხა ზაზამ.

— იაშვილის წერილები აღარ არსებობს.

— რაო?

— უფრო სწორად, აქ აღარ არის.

— აბა, რა იქნა?

— გამომძიებელმა წაიღო.

— რომელმა გამომძიებელმა?

— გახსოვს, ნადირაძის დაღუპვის შემდეგ, პოლიციიდან რომ იყო ვიღაც მოსული?

— მერე?

— მერე ის, რომ ავთოს პირადი ნივთებით დაინტერესდა. დამნაშავის მოძებნის საქმეში წინ წასაწევად მჭირდებაო.

— კი, მაგრამ სად ავთოს პირადი ნივთები და სად იაშვილის წერილები?

— რა გითხრა, აბა? — მხრები დამნაშავესავით აიჩეჩა აჩიკომ. — ეგ კითხვა მეც გამიჩნდა, მაგრამ ფაქტია, რომ იმ ტიპმა ავთოს ბლოკნოტსა და ტელეფონების წიგნაკს რატომღაც იაშვილის წერილებიც თან მიაყოლა. ისე, წინააღმდეგობა არც მე გამიწევია, რადგან ვიფიქრე, პოლიციამ უკეთ იცის-მეთქი ყველაფერი. მით უმეტეს, რომ იმ ტიპმა მითხრა, ნადირაძის სიკვდილი შემთხვევითს არ ჰგავს და შეიძლება, სულაც მის პროფესიულ საქმიანობასთან იყოს დაკავშირებულიო.

— კარგი, რა! — ხელი დაუდევრად აიქნია ზაზამ. — პროფესიულ საქმიანობასთან არა, კიდევ იმასთან! რომელი მთების შემძვრელი ავთო იყო.

— იყო თუ არ იყო, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება: იაშვილის წერილები აქ აღარ არის.

— აუ, როგორ არ გაგიმართლა, — ლელას მიუბრუნდა შეწუხებული ზაზა.

— ძალიან საწყენია, მაგრამ რას ვიზამ, — წასასვლელად მოემზადა გოგონა, — მაინც დიდი მადლობა, რომ ჩემთვის ასე შეწუხდი.

— რას ამბობ, რა შეწუხებაა? — გასასვლელისკენ გაუძღვა მას ზაზა. — თუ სხვა დროსაც რამე დაგჭირდეს, არ მოგერიდოს.

— თქვენ მხოლოდ ორიგინალების ნახვა გინდათ თუ ასლებიც გამოგადგებათ? — დააწია უკვე კართან მისულ ლელას აჩიკომ.

— როგორ? — მაშინვე მისკენ შებრუნდა გოგონა. — ასლებიც არსებობს?

— დიახ, — თავი დინჯად დაუქნია აჩიკომ, — ავთო რედაქციაში შემოსული ნებისმიერი ფარატინა ფურცლის ასლსაც კი იღებდა და

კომპიუტერში ინახავდა.

— იაშვილის წერილების ასლების ნახვა შემიძლია?

— რა თქმა უნდა, — კომპიუტერისკენ შებრუნდა აჩიკო, — ახლავე მოვძებნი.

გახარებული ლელა მაშინვე მასთან გაჩნდა.

— გამოდის, რომ აღარაფერში გჭირდები, ხომ? — თავი შეახსენა გოგონას კართან მდგარმა ზაზამ.

— ასე გამოდის, — ნიშნის მოგებით მიუგო მას აჩიკომ.

— შენ არ გეკითხები! — შეუღრინა ზაზამ. შემდეგ შუბლზე ჩამოშლილი თმა უკან მოხდენილად გადაიწია და ლელას თავი ისე დაუკრა...

გოგლა დილიდანვე სრულიად უშედეგოდ ცდილობდა საქმის კეთებას, რადგან ლელაზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. მართალია, გოგონამ წინა

საღამოს გააფრთხილა, ხვალ დილით რაღაც საქმეზე უნდა გავიარო და ცოტა შემაგვიანდებაო, მაგრამ კონკრეტულად არაფერი აუხსნია. ზედმეტი კითხვები აღარც ლაღიძეს დაუსვამს, რადგან ისედაც მიხვდა, რომ ეს ლელას ძმის მკვლელობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

„გული მიგრძნობს, კიდევ რაღაც ხათაბალაში უნდა გაებას“, — უკვე მერამდენედ იმეორებდა იგი და დროდადრო ფანჯარაში იხედებოდა. გოგონა კი არა და არ ჩანდა. შეშფოთებულმა ლაღიძემ რამდენჯერმე მისი მობილური ტელეფონის ნომერიც აკრიბა, მაგრამ ბოლო წუთს დარეკვა მაინც გადაიფიქრა: „თუ საჭირო იქნება, თვითონ დარეკავს“. მაგრამ ლელა არც რეკავდა და არც სამსახურში გამოჩენას ჩქარობდა. და ის იყო, გოგლამ სასწრაფოდ მისი მოძებნის გადაწყვეტილება მიიღო, რომ კარზე ზარის ხმა გაისმა. ლაღიძე ჰოლში გავარდა და კარი სწრაფად გამოაღო. ზღურბლზე ლელა იდგა და ეშმაკურად ეღიმებოდა.

— სად ხარ ამდენ ხანს? — შუბლი შეიკრა გოგლამ.

— ხომ გითხარი, ცოტა შემაგვიანდება-მეთქი. დაგავიწყდა, ხომ? — ოთახში სწრაფი ნაბიჯით შევიდა და სავარძელში მოკალათდა გოგონა.

— ყველაფერი კარგად მახსოვს, მაგრამ მაინც ვინერვიულე.

— დამშვიდდი, ყველაფერი რიგზეა.

— მადლობა ღმერთს.

— არ გაინტერესებს, სად ვიყავი?

— რა თქმა უნდა, მაინტერესებს, მაგრამ თან მეშინია, რამე საშინელება არ მითხრა.

— სულ ტყუილად გეშინია. ძალიან საინტერესო ამბავი მოვიტანე.

— მართლა?

— მართლა.

— აბა, ჩამომიკაკლე.

— მოკლედ, დღეს დილით იმ ჟურნალის რედაქციაში ვიყავი, სადაც იაშვილის წერილები დაიბეჭდა.

— მაინც არაფრით ისვენებ, ხომ?

— იაშვილზე დაწერილი სტატიის ავტორთან მინდოდა შეხვედრა, — თითქოს გოგლას კითხვა არ გაუგონიაო, ისე განაგრძო ლელამ.

— მერე?

— მერე ის, რომ 2 კვირის წინ ძალიან უცნაურ ვითარებაში დაღუპულა.

— მაინც როგორ?

— მანქანას გაუტანია. მძღოლი კი მიმალულა.

— მერედა, ამაში უცნაურს რას ხედავ? ასეთ ვითარებაში ღამის ყოველდღე ვიღაც იღუპება...

— ჯერ ამის შემდეგ რა მოხდა, ისიც მოისმინე და დასკვნები მერე გამოიტანე.

— ყურადღებით გისმენ.

— ჟურნალისტის დაღუპვის მეორე დღესვე რედაქციაში ვიღაც ტიპი გამოცხადდა, დამხვდურთ თავი გამომძიებლად წარუდგინა და, ვითომ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, გარდაცვლილის პირადი ნივთები და ყველა პირადი ჩანაწერი წაიღო. ყველაზე უცნაური მაინც ისაა, რომ იაშვილის წერილებიც ხელს გააყოლა.

— ვერც ამაში ვხედავ დიდ უცნაურობას. ასეთ დროს ხომ გამოძიება ყველა წვრილმანით ინტერესდება.

— შეიძლება, ასეცაა, მაგრამ იცი, რომ „იმიჯის“ რედაქციაში გამომძიებელი არავის გაუგზავნია?

— ეგ ვინღა გითხრა?

— პოლიციაში დავრეკე და ყველაფერი დავადგინე. ეს კი არა და, ნადირაშვილის საქმეზე მომუშავე გამომძიებელმა ყურებს არ დაუჯერა, როცა ეს ამბავი გაიგო.

— ფიქრობ, რომ ის ჟურნალისტი ვიღაცამ შეგნებულად მოკლა?

— ნამდვილად არ გამოვრიცხავ. იმ ვიღაცას ამ გზით იაშვილის წერილების ხელში ჩაგდება უნდოდა.

— ჰო, მაგრამ არ მესმის, ისინი რაში დასჭირდა? წერილიც ხომ სურათი არ არის, რომ რაღაც მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენდეს.

— მეც ეგ არ მიკვირს? მაშინაც კი თუ ის უბედური ჟურნალისტი ვიღაცამ მართლა შეგნებულად გაიტანა, იაშვილის წერილები რა შუაშია?

— აბა, რა გითხრა? — ხელები დანანებით გაშალა გოგლამ. — ამას ალბათ, ვეღარასოდეს გავიგებთ.

— რატომ? — თვალები ეშმაკურად მოწკურა ლელამ. — თუ მოინდომებ, ყველაფრის გაგება შეიძლება.

— ეგ როგორ?

— როგორ და აი, ასე! — გოგონამ ხელჩანთიდან ლაზერული დისკი ამოიღო და გოგლას გამარჯვებული სახით გადასცა.

— აქ რაღაა?

— იაშვილის წერილების ასლები. თურმე, ნადირაშვილი მის ხელში მოხვედრილი ყველა დოკუმენტის ასლს იღებდა და კომპიუტერში ინახავდა. იმან კი, ვინც იაშვილის წერილები წაიღო, ამის შესახებ უბრალოდ არაფერი იცოდა, თორემ რედაქციიდან ასლებსაც უკვალოდ გააქრობდა. ჰა, რაღას უცდი? მითხარი, რომ ძალიან მაგარი ვარ.

— მართლა ძალიან მაგარი ხარ! — შეაქო გოგონა ლაღიძემ. — მაინც როგორ მოახერხე მათი ხელში ჩაგდება?

— ცოტა მონდომება, აქეთ-იქით მიდგომ-მოდგომა და...

— უკვე მერამდენედ ვრწმუნდები, რომ თანაშემწე სწორად შევარჩიე, — დისკი კომპიუტერში შეიყვანა გოგლამ, — შენ უკვე წაიკითხე?

— მხოლოდ ერთი გადავურბინე. პრაქტიკულად, ყველა წერილი პირადულია. თუმცა ერთი-ორგან იაშვილი იმასაც უსვამს ხაზს, რომ არნახულად მდიდარია და რომ მისი სიმდიდრე ასე ვთქვათ, მისსავე ნამუშევრებშია ასახული თუ სულაც ხორცშესხმული.

— იცი, ეგ ზღაპარი უკვე მერამდენედ მესმის?

— ჰო, მაგრამ იქნებ, მაინც არის ამაში რაღაც რაციონალური მარცვალი...

— დამიჯერე, რა, ექსპერტები არ ცდებიან. შესაძლოა, 50 ან სულაც 100 წლის შემდეგ იაშვილის ნამუშევრებმა მართლაც სერიოზული ფასი და მნიშვნელობა შეიძინოს, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი ნაადრევია.

— მაგრამ ვიღაც ხომ უკვე დღეს გაძლევს მის ტილოში კარგ ფულს? — გაცხარდა ლელა, რაზეც გოგლას მხოლოდ მოწყალედ გაეღიმა:

— კარგი ფასი და არნახული სიმდიდრე რომ ერთი და იგივე არ არის, მგონი, ჩემზე კარგად იცი. და ისიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინო, რომ სადღეისოდ არა ერთი და ორი თანამედროვე მხატვრის ნამუშევარში ბევრად უფრო მეტს იხდიან, ვიდრე საუკუნის წინანდელ იაშვილის ტილოებში.

— მაშინ აღარ მესმის, რა ხდება!

— ხელები უკმაყოფილოდ გაშალა ლელამ. — ან ის ფაქტი როგორ ავხსნათ, რომ ვიღაც სწორედ იაშვილის ნამუშევრისთვის ხოცავს ადამიანებს?

— ნამდვილად არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა გოგლამ, — ამ ყველაფერს ერთი კარგად ჩაჯდომა და დაფიქრება უნდა. მაგრამ მოდი, ეს თავისუფალ დროს გავაკეთოთ. ახლა ჩვენს საქმეს მივხედოთ...

ლელას წასვლის შემდეგ გოგლა ისევ კომპიუტერს მიუჯდა და იაშვილის წერილების კითხვა დაიწყო. ისინი მართლაც პირადული იყო, თუმცა მხატვარი იმდენად ემოციურად წერდა და ზედმიწევნით გულახდილიც იყო, რომ რამდენიმე აბზაცის წაკითხვის შემდეგ გოგლა თითქოს თავადაც იმ შორეულ, გასაბჭოების შემდგომ საქართველოში აღმოჩნდა და ყველაფერს, რაც იმ წლებში ხდებოდა, საკუთარი თვალით ხედავდა. მის თვალწინ ერთმანეთის მიყოლებით ჩნდებოდა და ქრებოდა ვიღაცების სახეები, დაუნდობლად წყდებოდა მრავალთა ბედი. მეტიც, თითქოს ყოველ სტრიქონში მარტო ცალკეული ადამიანის კი არა, მთელი საქართველოს ტრაგედიაც კი იყო ჩატეული. იაშვილი ცოლს ძუნწად, თუმცა საკმაოდ ხატოვნად აღუწერდა იმ გზასაც, რომლითაც, კარგა ხნის ხეტიალისა და შინ დაბრუნებაზე უშედეგო ოცნების შემდეგ, საქართველოდან გააღწია.

პირველი წერილი, რომელმაც გოგლას განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო, 1921 წლის მარტის დასაწყისით იყო დათარიღებული:

„აჭარაში გადავედით და ერთ-ერთი სოფლის მახლობლად (სოფლის სახელს შეგნებულად არ გწერ, რადგან, საჭიროების შემთხვევაში, მას ისედაც ადვილად მიაგნებ), ტყეში გავჩერდით. ცოტა ხანში ტყის პირას გავედი, ჩემი სამგზავრო ალბომი მოვიმარჯვე და იქაური პეიზაჟის ჩანიშვნას შევუდექი. გაზაფხულს ჯერ ძალა ვერ მოეკრიბა და ამიტომაც, ბევრგან ისევ თოვლი იდო, თუმცა საგრძნობლად შელახული და ჭუჭყიანი. უეცრად თვალში მეცა ერთი უცნაური სამგლოვიარო პროცესია...“

ამ სიტყვების წაკითხვისას გოგლამ აშკარად იგრძნო, გულისცემა როგორ აუჩქარდა.

„...3 მამაკაცი უკანასკნელ გზაზე აცილებდა ადამიანს, რომელიც ალბათ უფრო ბავშვი უნდა ყოფილიყო. ამ დასკვნის გამოტანის საფუძველს მარხილზე შემოდგმული მომცრო კუბო მაძლევდა. პროცესია მოშორებით მდგარი ეკლესიის ირგვლივ მიმობნეული საფლავებისკენ მიიწევდა. მამაკაცებიდან ორი გლეხს ჰგავდა, ერთი კი დიდგვაროვანს. როგორც შემდეგ მივხვდი, სწორედ ის იყო გარდაცვლილის ჭირისუფალი. დაკრძალვის ცერემონია საკმაოდ სწრაფად დასრულდა, რაც ესოდენ არეულ-დარეულ დროში გასაკვირი სულაც არ იყო. მარხილის პატრონმა ორმა მამაკაცმა მიცვალებულის დაკრძალვისთანავე სოფლისკენ აიღო გეზი. მესამე კი ახალპირშეკრულ საფლავთან ერთხანს ისევ თავდახრილი იდგა. მის ყურებაში მეც ცოტა ხანს შევყოვნდი, თან ეტიუდის დასრულებაც მინდოდა. მაგრამ არ დამცალდა, რადგან უეცრად საშინელი სროლა ატყდა. მივხვდი, რომ აჭარის ნაწილის მისატაცებლად შემოჭრილი თურქების წინააღმდეგ ერთ რაზმად გაერთიანებულმა ქართველმა მენშევიკებმა და რუსმა ბოლშევიკებმა განაახლეს შეტევა. ირგვლივ ჭურვები სკდებოდა და მეც სასწრაფოდ ტყეს შევვაფარე თავი.

როცა ყველაფერი დასრულდა, ცნობისმოყვარეობამ მძლია და ისევ ტყის პირას გავედი. განსაკუთრებით იმ 3 ადამიანის ბედი მაინტერესებდა. სამწუხაროდ, საშინელი სურათის მომწრე შევიქენი. სამივე მიწაზე დამხვდა გაშოტილი. გლეხები უკვე დახოცილები იყვნენ, დიდგვაროვანი კი ჯერ კიდევ სუნთქავდა, თუმცა ჭურვს მისთვის ორივე ფეხის ტერფი მოეგლიჯა და სისხლისგან იცლებოდა. მოგეხსენება, მედიცინისა ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ ჭრილობები მაინც შევუხვიე. ტყუილად ირჯები, მაინც ვერ გადავჩებიო, ძლივს გასაგონად მითხრა მან და სანამ გონს დაკარგავდა, საკუთარი თავგადასავალიც მიამბო. თუმცა უფრო სწორი იმის თქმა იქნებოდა, რომ სიკვდილის წინ, როგორც მღვდელს, ისე ჩამაბარა აღსარება. ის მართლაც ადგილობრივი დიდგვაროვანი, თავადი აბაშიძე აღმოჩნდა, რომელსაც ოჯახი „წითლებმა“ ამოუწყვიტეს. მართალია, იმ ტრაგიკულ წუთებში მომაკვდავის უკანასკნელ სურვილს არც მე შევწინააღმდეგებივარ და ყურადღებით მოვუსმინე, მაგრამ მას შემდეგ, სულ ეჭვი მღრღნის, მქონდა კი ამის გაკეთების უფლება? და განსაკუთრებით სწორედ ასეთ მძიმე წუთებში ვნატრობ, რომ ჩემ გვერდით იყო და შენი სათნო მზერითა და კეთილი სიტყვით მომეხმარო ეჭვების გაფანტვაში. ღმერთმა რომ ჩვენი ისევ ერთად შეყრა მართლა ინებოს, დარწმუნებული ვარ, ჩემს ამ საქციელს, ისევე, როგორც ბევრ სხვას, დიდსულოვნად გაამართლებ. მაგრამ თავად მაინც ვერაფრით ვისვენებ, რადგან იმ ადამიანის ნაამბობმა ჩვენი (დიახ, ჩვენი: ჩემი, შენი და ჩვენი შვილის!) ცხოვრებაც ძირფესვიანად შეცვალა. თუმცა ამას უკვე უფრო დაწვრილებით შემდეგ წერილში გიამბობ. ახლა კი დროებით უნდა დაგემშვიდობო“.

გოგლამ იმასაც თავიდანვე მიაქცია ყურადღება, რომ იაშვილის წერილები ორ ნაწილად იყო გაყოფილი, დათარიღებული და შემდეგ ამ თარიღების მიხედვით დაწყობილი. პირველი ნაწილის ბოლო წერილი მარტის ბოლოთი თარიღდებოდა:

„...მორჩა, შენი თუნდაც კიდევ ერთხელ ნახვის იმედი საბოლოოდ გადამეწურა. ისღა დამრჩენია, როგორმე კონსტანტინოპოლისკენ მიმავალ ბოლო გემზე ავაღწიო და სიკვდილს მაინც გადავურჩე. უსაშველოდ მიჭირს იმ აზრთან შეგუება, რომ უბედურებამ, რომელიც ჩვენს ქვეყანას დაატყდა თავს, ერთმანეთს ასე უნუგეშოდ და სრულიად გაურკვეველი დროით დაგვაშორა. თან მიმაქვს რამდენიმე ჩემი სურათი (როგორც წინა წერილში უკვე შეგატყობინე, მათზე მთელი ჩვენი მომავალია დამოკიდებული და ამიტომაც, განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდე). გკოცნი ბევრს. შენი ერეკლე“.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



დასაწყისი იხ „გზა“ №2-7

თბილისში ჩამოსვლის დღიდან ნუკისთვის ახალი ცხოვრება დაიწყო... და არა მხოლოდ ნუკისთვის, ზურასთვისაც. მამაკაცი ყოველ დილით მაგიდაზე სახარჯო (პროდუქტებისთვის) ფულს ტოვებდა და ისე მიდიოდა სამსახურში. შინ დაბრუნებულს, საღამოობით, გემრიელი სადილი ხვდებოდა, თუმცა თავად დიდად არ იკლავდა ჭამით თავს. მისი ერთადერთი „სადილი“ ყავა იყო, რომელსაც სიამოვნებით მიირთმევდა დილა-საღამოს. გოგონას სულით და გულით მომზადებულ კერძებს კი მხოლოდ ზრდილობის გულისთვის თუ გაუსინჯავდა გემოს, რათა მას გული არ დასწყვეტოდა.

ნუკი შეეგუა ახალ გარემოს. უფრო მეტიც, მოუსვენრობა დასჩემდა. საქმის კეთებას მიჩვეულს, საქმე არაფერი ჰქონდა. დილით მარკეტში ჩავიდოდა, სურსათ-სანოვაგეს შეიძენდა, სადილს მოამზადებდა, სახლს დაალაგებდა და მორჩა, მერე მთელი დღე ან კომპიუტერს იყო მიშტერებული, ან კითხულობდა (ზურას კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა), ან ეძინა. „ოდნოკლასნიკებმა“ ძალიან გაართო... გაართო კი არა, ცოტა ხანში, ისე მიეჯაჭვა, სიზმარშიც კი საიტის ციმციმა ფანჯარას ხედავდა.

ნელი მეორე დღესვე გამოეხმაურა და კვირის ბოლოს სტუმრადაც ეწვია. გოგოების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. წლების განმავლობაში არ ენახათ ერთმანეთი, არადა, სტუდენტობის პერიოდში გამუდმებით ერთად იყვნენ, ტყუპისცალებივით ერთად დადიოდნენ ყველგან და ყოველთვის.

— არც გავთხოვილვარ, არც არავინ მიყვარს და არც ვაპირებ! — ქაქანებდა ნელიკო. — ერთადერთი ჩემი შვება ჩემი სამსახურია. „დიზაინსტუდიაში“ ვმუშაობ მთავარ დიზაინერად, ოფისების დიზაინს ვაპროექტებთ. კარგი ხელფასი მაქვს, კარგი თანამშრომლები მყავს და ეგ არის, ამ ეტაპზე სხვა არც არაფერი მინდა. იმდენს კი ვშოულობ, რომ ჩემს საცოდავ დედ-მამას დავეხმარო და არც მე მოვიკლო რამე. შენი ამბები მომიყევი, შენკენ რა ხდება, ჩემო თვალნათელო? — ნელიმ ხელისგულებში მოიქცია ნუკის სახე და ცხვირის წვერზე აკოცა.

— რა ვიცი, რა გითხრა... ყელში ამომივიდა უმოძრაობა და აი, ჩამოვედი თბილისში. მინდა, რამეს მოვკიდო ხელი. ვნახოთ, რა გამომივა.

— ეს სახლი ვისია? — მეგობარმა თავის წრიული მოძრაობით მიმოიხედა ოთახში.

— ახლობლის... ბიძაჩემის მეგობრის ბინაა, — ოდნავ დაბნეულად უპასუხა წამოწითლებულმა.

— ასაკოვანი ქალია?

— არა, ქალი არ არის, კაცია.

— უი, რას ამბობ! კაცთან ცხოვრობ? ცოლ-შვილი ჰყავს?

— არა, არ ჰყავს, მარტოხელაა... ჩემსავით.

— რას მეუბნები! აბა, ერთი კარგად შემომხედე! სიმპათიურია?

— კარგი, რა, ნელიკო, ხომ გითხარი, ოჯახის ახლობელია-მეთქი.

— ჰო, რა თქმა უნდა, ეგრე მარგალიტაც ამბობდა, სახლიკაცია ჩემიო და მერე ბუხარში მალავდა იმ სახლიკაცებს, — თავის ნათქვამზე თავად გაეცინა.

— გაგიჟდი? იცი, რამდენი წლისაა? მამასავით ზრუნავს, გადაყოლილია ჩემზე, არ იცის, რით მასიამოვნოს.

— ასაკს რა ჭკუა აქვს, ჩემო ნუკი, გული ხომ არასდროს ბერდება. მთავარია ურ-თი-ერ-თო-ბა, დამიჯერე! — ცერა თითი შემართა ნელიმ და ეშმაკურად მოხუჭა ცალი თვალი.

— გამორიცხულია. ის ისეთია, არაფრის დიდებით არ მიიყვანს ურთიერთობას აქამდე, არც კი დაუშვებს, — შორს დაიჭირა გოგონამ.

— ეგ დროის საკითხია. მთავარია, სურვილი იყოს, თორემ... და სანამ აპირებ მასთან ცხოვრებას? რა ჰქვია? სად მუშაობს? — მიაყარა და მიაყარა შეკითხვები.

— რაღაც პროექტებზე მუშაობს ეგეც, ზურა ჰქვია. ამერიკაში ცხოვრობდა წლების განმავლობაში, ცოტა ხნის წინ დაბრუნდა საქართველოში.

— მაგარია! პერსპექტიული სასიძო ყოფილა! — ქვედა ტუჩი გადმოიბრუნა ნელიკომ მოწონების ნიშნად.

— კომპიუტერიც კი დამითმო და „ოდნოებში“ პროფილი გამიხსნა, არ მოიწყინოო.

— „ფეისბუკზე“ არ ხარ?

— არაა.

— გინდა, დაგარეგისტრირო?

— რად მინდა, ესეც მყოფნის.

— ეგ უკეთესია, უფრო სოლიდურ ხალხს გაიცნობ, ვიდრე „ოდნოებია“. მანდ მხოლოდ გასართობად თუ შემოვა ვინმე, საქმიანი ხალხი კი „ფეისით“ კონტაქტობს. მოდი, მოდი, გავხსნათ, მაინც გქონდეს, რა იცი, რაში გამოგადგება, — დაფაცურდა ნელი, სკამი ხრიგინით მიაჩოჩა კომპიუტერთან და მონიტორის წინ დასკუპდა.

თან არეგისტრირებდა, თან მოხმარების წესებს უხსნიდა. ნუკი უგულისყუროდ უსმენდა, მისი ფიქრები ამჯერად „ოდნოებში“ ახალგაცნობილ დათოს უტრიალებდა. ბოლოს ვეღარ მოითმინა და ნელის გაენდო.

— კარგი ტიპია? — დაქალიც დაინტერესდა.

— კი, ძალიან.

— აბა, ერთი მაჩვენე!

ნუკიმ უცნობი თაყვანისმცემლის ფოტოები დაათვალიერებინა.

— მდაა! — დაეჭვება გაისმა ნელიკოს ხმაში. — არა მგონია, ეს მისი ფოტოები იყოს. თანაც, არასასიამოვნო სამეგობრო წრე ჰყავს. პირველ რიგში, როცა ვინმე შემოგეხმიანება აქ, მისი მეგობრები უნდა დაათვალიერო.

— რატომ არ გგონია? რას ნიშნავს არასასიამოვნო სამეგობრო? — შეშფოთდა ნუკი.

— აი, შეხედე! სულ 4 ფოტო უდევს, აქედან 3 აშკარად განსხვავებულია, თან, შორი ხედით არის გადაღებული. არ ვიცი, შეიძლება ვცდები, მაგრამ უკვე ისეთი ეჭვიანი გავხდი, ამ საიტზე კაცს აღარ ვენდობი. მერე

მეგობრებს დააკვირდი. სულ ქალები ჰყავს და არც ერთი მამაკაცი, თანაც ამ ქალთა უმეტესობა რუსები და უკრაინელები არიან. მხოლოდ სამნი ხართ ქართველები. ეს იცი, რას ნიშნავს? ის მხოლოდ ქალებს უმეგობრდება. როგორც ჩანს, ვირტუალური სიყვარულის მაძიებელი ტიპია, თორემ დავიჯერო, ძმაკაცი არ ჰყავს? სახელს და გვარსაც არ შიფრავს თავისას.

— ვითომ? — არ უნდოდა ნუკის, ეს ყველაფერი დაეჯერებინა, ისე მოიხიბლა დათოთი.

— პაემანი არ დაგინიშნა?

— არა, ჯერ არა. ჯერ მარტო მწერს და კომპლიმენტებს მეუბნება. აი, წაიკითხე! „წუხელ სიზმარში გნახე, მაგრამ ვერ მოგიყვები, ისეთი სიზმარი იყო. ასე სასიამოვნოდ ჯერ არ გამღვიძებია, ლამაზო, ნეტავ, ახლა ჩემ გვერდით იყო“...

— ო-ჰოო! — თავი გადააქნია ნელიმ. — ეს ძალიან შორს წასულა. გინდა, შევამოწმოთ, რეალურია თუ არა?

— როგორ? — ყურები ცქვიტა ნუკიმ.

— შემხვდი-თქო, მისწერე, აბა, რას გეტყვის. თუ შეხვედრა დროში გაგიწელა და რაღაცები მოიმიზეზა, ესე იგი, თავის ნამდვილ ვინაობას მალავს. გასაგებია?

— გასაგებია... მაგრამ არ ტეხავს, მე რომ ვთხოვო შეხვედრა? რას იფიქრებს?

— რამდენი ხანია, იცნობ?

— მეექვსე დღეა.

— და არც ტელეფონის ნომერი უთხოვია?

— ჯერ არა.

— აი, ამიტომ ვამბობ, არასერიოზული კაცია-მეთქი. გააკეთე, რაც გითხარი და თვითონ მიხვდები, რამდენად სანდოა.

ამ დროს მესიჯი მოვიდა. გოგონებმა გულისფანცქალით წაიკითხეს დათოს გზავნილი: „მენატრები“.

ნელის კისკისი აუტყდა და არც უკითხავს ნუკისთვის, ისე აფრინა პასუხი: „მეც“.

— გაგიუდი? რას აკეთებ! — წამოხტა ნუკი.

— მაცალე, ვიცი, რასაც ვაკეთებ.

დათომ არ დააყოვნა: „სკაიპი არ გაქვს? შემოდი, იქ დაგელაპარაკები“.

— აჰა, ხედავ? სკაიპიც მომინდომა ბიჭმა! მერე გეტყვის, კამერა ჩართე და შიშველი მკერდი დამანახვეო! ვიცი მე ამათი ამბავი. მოიცა?! — ნელიმ კვლავ მისწერა.

„სკაიპი არ მაქვს, მაგრამ შემიძლია, ისე შეგხვდე. უფრო ახლოს გავიცნოთ ერთმანეთი, თუ წინააღმდეგი არ ხარ“.

ნუკის სხეული დაეძაბა (თუ აუთრთოლდა), სუნთქვა შეეკრა პასუხის მოლოდინში.

„ჯერ არა. ჯერ აქ გავიცნოთ ერთმანეთი და მერე. არ მინდა, ურთიერთობა გაუბრალოვდეს. ტელეფონის ნომერს მომწერ?“

— გესმის, რას ამბობს? წელან რას გეუბნებოდი? აფერისტია!

— ძალიან გთხოვ, არ უპასუხო, რა, გამოდი, დახურე ეგ ფანჯარა! აღარ მინდა! — აკანკალებულმა ნუკიმ მაუსი ხელიდან აართვა ნელის და წკაპაწკუპი აუტეხა.

— კარგი, ჰო, რას ავარდი, რა იყო! მე შენს ადგილას, საერთოდ მივბლოკავდი და აღარ დაველაპარაკებოდი. თუ ვინმეს გაცნობა გინდა, შედი ჩემს მეგობრებში, ან ჩემი მეგობრების მეგობრებში და ისე აარჩიე ვინმე, სიმპათიური ბიჭების მეტი რა არის, გადავსებულია აქაურობა, თან ნაღდი ბიჭების და არა გამოგონილების, — ნელიკომ ხელი ჩაიქნია და წამოდგა, — წავალ ახლა მე, ბინდდება უკვე... როდის გამომივლი?

— რა ვიცი, ამ დღეებში.

— ისე გამოდი, რომ ღამე ჩემთან დარჩე...

— ვეცდები, — ნუკიმ გულში ჩაიხუტა მონატრებული დაქალი და დაემშვიდობა.

ზურა სამსახურიდან გამოვიდა და იქვე მდებარე მარკეტში შეიარა. უნდოდა, რაღაცით ესიამოვნებინა თავისი მეტაფიზიკური გოგონასათვის (მირანდასთვის) და ტკბილეულობა ეყიდა. ბოლო ხანებში ნუკიზე ფიქრი გონებიდან არ შორდებოდა. თან უხაროდა, შინ ხმის გამცემი რომ ელოდებოდა, თანაც როგორი (ჩამოსხმული ქალი)! თან გული ეთანაღრებოდა, ზედმეტად არ მისჩვეოდა. მის გაცნობამდე ხანდახან პანიკური შიში იპყრობდა — სრული სიცარიელის შეგრძნების, უფერულობის, უიმედობის... ექოდ ჩაესმოდა სიცილნარევი ხმები თავისი წარსული ცხოვრებიდან, როცა სიცოცხლე უხაროდა, ქალებს ეფლირტავებოდა, თავი მოსწონდა... ახლა კი... ახლა მხოლოდ საქმეზე იყო გადართული, სურდა, რაც შეიძლება, წარმატებული ბიზნესმენი გამხდარიყო, მაგრამ ეს უდიდეს ძალისხმევასა და პასუხისმგებლობას მოითხოვდა, რაც ძალიან ღლიდა. დაღლილობა კი თითქოს გონებაში დალექილ მოგონებებს ქექავდა და დროდადრო ზედაპირზე ამოატივტივებდა ძველი ბედნიერების ამა თუ იმ კადრს. ნუკის გამოჩენის შემდეგ მისი უფერულობის (თუ უიმედობის) ყულაბას კიდევ ერთი პანიკური შეგრძნება მიემატა — ახლა ყველაზე ხშირად სევდა იპყრობდა და კიდევ — სინდისის ქენჯნა, რადგან გრძნობდა, რომ ნუკისკენ დაუკითხავად მიიწევდა მისი გონება. გამოუცნობი გრძნობა ისე შეუმჩნევლად ეკიდებოდა მის გულს, როგორც მოქეიფეს კონიაკი (ან არაყი). ეჩვენებოდა, რომ ყოველი წუთი ამოვარდნილი იყო ცხოვრების რიტმიდან, თითქოს წუთი წუთს არ მისდევდა.

არა, ასე შეუძლებელია გაგრძელება. შინ საოცნებო ქალი ელოდება (განა მართლა მეტაფიზიკური), ცოლივით თბილად მომლოდინე, გემრიელი სადილით „ხელმომარჯვებული“, მას კი იმის უფლებაც არა აქვს, აკოცოს, მოეფეროს, მკერდზე მიიხუტოს და უთხრას: „როგორ მომენატრე, პატარავ!“ როდემდე გაუძლებს ასეთ ყოფნას? იქნებ ჯობია, გახსნას კარტები და უთხრას, რომ მოსწონს (თუ უყვარს)? იქნებ არც ისე დიდი ასაკობრივი სხვაობაა მათ შორის? ამით არაფერი დაშავდება. მასაც ხომ მოსწონს. ყოველ საღამოს, როგორც კი ზურა კარს შეაღებს, კითხვით სავსე მზერას მიაპყრობს, თითქოს რაღაც იდუმალ სიტყვებს ელის მამაკაცისგან. მას კი გამბედაობა არ ჰყოფნის, ერთი ნაბიჯი (მხოლოდ ერთი) გადადგას. ამ ასაკში ერთხელ მაინც ითავხედოს და გულში დალექილი სათქმელი ხმამაღლა გააცხადოს!.. ჰოდა, ახლა ჩაიდენს ამას. იყიდის ერთ ბოთლ კონიაკს (წითელ ღვინოსაც), მივა შინ და მირანდას

გამოუცხადებს, ერთი წავუქეიფოთ მე და შენ, იქნებ დაღლილობა მომეხსნასო. თავის გეგმებზეც დაელაპარაკება.

„კარგი აზრია, რაც იქნება, იქნება“, — გაიფიქრა შუბლშეჭმუხნილმა და საათს დახედა.

საღამოს შვიდი საათი იყო. იმდენად ააღელვა მიღებულმა გადაწყვეტილებამ, ვერაფრით მიხვდა, ახლა იწყებოდა ყველაფერი, თუ პირიქით, მთავრდებოდა...

— მარტო ხარ? — ზღურბლთან მდგარ ნუკის ფართოდ გაუღიმა ზურამ და ნავაჭრით სავსე პარკი ხელში მიაჩეჩა.

— ჰო. ნელიკო მყავდა სტუმრად და წავიდა, — საოცრად სევდიანი მოეჩვენა მამაკაცს მისი ხმა.

— რა გჭირს? რამე მოხდა?

— არა, არაფერი, რა უნდა მომხდარიყო, — გოგონამ განზე გაიხედა, მერე კი შებრუნდა და სამზარეულოსკენ გაემართა, ხომ არ ეტყოდა, მგონი, უცნობი თაყვანისმცემელი მატყუებსო.

ზურას რაღაც არ მოეწონა. არ იცოდა, რა იყო ეს „რაღაც“, მაგრამ რომ იყო, ამას გუმანით გრძნობდა.

— რაო შენმა დაქალმა? — მამაკაცი უკან მიჰყვა.

— რა ვიცი... ბევრი ვილაპარაკეთ, სტუდენტობა გავიხსენეთ.

— რატომ არ დარჩა?

— რატომ უნდა დარჩენილიყო? — ცოტა არ იყოს, უკმეხად უპასუხა, — თავის სახლში მიეჩქარებოდა.

— ჰო, — ყრუდ ჩაილაპარაკა ზურამ, — რაღაცები მოვიტანე... შოკოლადი, ნამცხვარი, კონიაკი, შენთვის წითელი ღვინო... ხომ დალევ ჩემთან ერთად?

— ეს აუცილებელია?

— აუცილებელი არ არის, მაგრამ გამიხარდება, თუ თანამეინახეობას გამიწევ... ცუდ ხასიათზე ვარ, იქნებ შევმსუბუქდე ცოტა.

— რატომ, მოხდა რამე? — როგორც იქნა, მანაც გამოიჩინა ცნობისმოყვარეობა.

— წვრილმანი პრობლემებია, მაგრამ მაინც „დამგრუზა“, — ამოიხვნეშა ზურამ, — ვიცი, წვრილმან რამეებზე ნერვიულობა არ ღირს, მაგრამ ხანდახან თავს ვერ ვერევი, — რადგან მთავარი სათქმელის გაცხადება მისი ასეთი დახვედრის გამო გადაიფიქრა, „სამსახურებრივი“ მოიმიზეზა.

— წვრილმანი არასდროს არის წვრილმანი, — შენიშნა ნუკიმ, თავი მოაბრუნა და დაჟინებით ჩააშტერდა თვალებში.

ზურამ მის მზერას ვერ გაუძლო და გვერდზე შეტრიალდა. ნუკი ამწუთას მხოლოდ მის პროფილს ხედავდა, ოდნავ მკაცრს, სწორხაზოვანს და — ჭაღარა თმას... და იმ ნაოჭებს (ოდნავ შესამჩნევს), თვალის უპესთან რომ გასჩენოდა. მრავალმნიშვნელოვნად ჩაიღიმა... მის ყოველ ნაოჭს თავისი თვე და რიცხვი ჰქონდა.

ზურას არ უკითხავს ღიმილის მიზეზი (არ შეიმჩნია), ბუფეტის კარი გამოაღო ჭიქების გამოსატანად. ნუკის თითქოს მიავიწყდა კიდეც იგი, ძველებურად დაჟინებით აღარ უყურებდა, არც იღიმოდა, სუფრის გაშლით იყო გართული.

— სადილად რა გვაქვს? — ზურამ სასაუბრო თემა ამოატივტივა.

— ზუსტად ის, რაც კონიაკს მოუხდება — შემწვარი კარტოფილი და ღორის ხორცი.

— ო! მაგარია! წითელ ღვინოს არ დალევ? „ქინძმარაულია“.

— არა, კონიაკი მირჩევნია, — უგუნებოდ უპასუხა ნუკიმ და როცა ყველაფერი დადო მაგიდაზე, სკამზე ჩამოჯდა.

— ვიფიქრე, ნამცხვარი ესიამოვნება-მეთქი... კიდევ „სნიკერსი“... პატარა გოგო რომ იყავი, გიყვარდა „სნიკერსი“, — მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა.

ნუკიმ გამომცდელად გახედა. ზურამ ორაზროვანი ღიმილი დაახვედრა...

გოგონამ დაიმახსოვრა ეს ღიმილი... თან მწარედ... როგორ უნდოდა, ახლა მისთვის სამაგიერო რითიმე გადაეხადა... ძალიან უნდოდა.

მამაკაცმა სასმელი ჩამოასხა... მიუჭახუნეს ერთმანეთს. ზურამ დალია... სადღეგრძელოს გარეშე... ის (ამწუთას ნუკი და არა მირანდა) დაკვირვებით უყურებდა. მანაც დალია... მანაც სადღეგრძელოს გარეშე...

ზურამ კიდევ ჩამოასხა. კიდევ დალიეს... კვლავ უსიტყვოდ (სადღეგრძელოს გარეშე), თითქოს სიჯიუტეში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. თითქოს ელოდნენ, პირველი რომელი აჰყვებოდა გულისთქმას...

გოგონა მიხვდა, რომ მამაკაცი თავის თავში გარკვევას ცდილობდა. ყველა ნაკვთი ცალ-ცალკე ღელავდა მის სახეზე, ყველა ნერვი არათანაბრად უტოკავდა. ეს თითქოს ბუნებრივი უნდა ყოფილიყო — შეხვედრის მომენტიდან აქამდე ჯერ ისე ახლოს არ ყოფილან ერთმანეთთან, როგორც ამ წუთებში, თანაც განმარტოებით არასდროს უქეიფიათ (თუ დაულევიათ).

მოულოდნელად ნუკის ტუჩებზე ეშმაკურმა ღიმილმა გადაურბინა. შემდეგ უხერხულად ჩაახველა, საჩვენებელი თითის ზურგით ცხვირის წვერი აიწია, ქვემოდან ახედა მამაკაცს და ოდნავ გასაგონი ხმით იკითხა.

— დიდი ხანია?

— რა? — ჩაფიქრებულმა ზურამ მსწრაფლ ასწია თავი და ინტერესით მიაჩერდა.

— დიდი ხანია, ქალთან არ ყოფილხარ?

ზურას სახეზე ჯერ თვალის გუგებმა იწყეს გაფართოება, შემდეგ ნიკაპმა — ჩამოგრძელება და ბოლოს, რომ იტყვიან, ყბა ჩამოუვარდა. როგორც ჩანს, ის ასეთი შეკითხვისთვის მზად არ იყო. ერთხანს უხმოდ მისჩერებოდნენ ერთმანეთს. ნუკი კვლავ ეშმაკურად იღიმოდა. როგორც ჩანს, ორმა ჭიქა კონიაკმა შეძლო მისი გათამამება. მერე მამაკაცი შეირხა, მისი ყველა ნაკვთი ჩვეულ ფორმას დაუბრუნდა და მაჯაზე შემოსალტულ „როლექსის“ ფირმის საათს მთელი სერიოზულობით დახედა.

— აგერ, უკვე საუკუნე გახდება, — უპასუხა, ცივად წამოდგა და სამზარეულოდან გავიდა.

ნუკის ელდა ეცა. როგორც ჩანს, ძალიან აწყენინა. ნეტავ, რა არატრატებდა? ვერ გააჩერა ენა? რაში სჭირდებოდა ასეთი რამის თქმა? იდიოტი! სულელი!..

თუმცა, ორი წუთიც არ გასულა, რომ მამაკაცი უკან შემობრუნდა.

— რატომ მკითხე ეს? — ჰკითხა ზურამ და კვლავ დაჯდა, თან კონიაკი ჩამოასხა.

— არ ვიცი, — ალეწილმა ნუკიმ მხრები უსუსურად აიჩეჩა, — მომეჩვენა, რომ...

— რომ რა? — უხეშად გააწყვეტინა ზურამ, საოცრად შესცვლოდა ხმა.

— ნერვიულობდი.

— და ეს იმას ნიშნავს, რომ ქალი მაკლია?

— არა, ეს არ ნიშნავს იმას, მაგრამ ვატყობ, საკუთარ სახლში ისე იქცევი, თითქოს მე ვიყო მასპინძელი და შენ

სტუმარი. უფრო მეტიც, იმ ადამიანს ჰგავხარ, რომელიც მთელი ღამე დაკითხვაზე იმყოფებოდა და რომელსაც ალიბი არ ჰქონდა. რომ არ გიცნობდე, ვიფიქრებდი, ძებნაშია-მეთქი... რაც ჩამოვედით, მას შემდეგ სულ დაძაბული ხარ... მაპატიე, თუ გაწყენინე... შენი წყენინება არ მინდოდა...

— შენ მე ვერ მაწყენინებ, თუმცა, რაც თქვი, სრული სიმართლეა. შენ რომ გიყურებ, ვიძაბები... ოღონდ არა იმიტომ, რომ ქალის უნახავი ვარ... როგორ გითხრა... ცოტა მიჭირს ამის ახსნა.

— არ არის საჭირო, ისედაც გასაგებია ყველაფერი... მაპატიე.

მოულოდნელად ქალაქის ტელეფონი აწკრიალდა, რომელიც იქვე, კედელზე ეკიდა. ნუკიმ ყურმილი ჩამოიღო და უპასუხა.

— გისმენთ.

— უკაცრავად... ზურას... სხვაგან ხომ არ მოვხვდი? — ქალის სასიამოვნო ხმა გაისმა.

— არა, სხვაგან არ მოხვდით, ახლავე, — და მტრული გამომეტყველებით გადააწოდა ყურმილი მამაკაცს, თითქოს მიანიშნებდა, ჩემი მეტოქე რეკავსო.

ზურას გაკვირვება გამოეხატა თვალებზე. ოდნავ დააყოვნა პასუხი.

— დიახ, — ჩასძახა და როგორც კი იმ ვიღაცის ხმა გაიგონა, მაშინვე ფეხზე წამოდგა, — არა მიშავს, შენ?.. მართლა?.. თუ ასეა, გამოვალ... აბა, რას ვიზამ, ახლავე, — ძუნწად პასუხობდა მამაკაცი ნუკისთვის უცნობ პიროვნებას.

— უნდა გავიდე... ამჯერად შენ მაპატიე, რომ შუა ქეიფში გტოვებ, გადაუდებელი საქმე გამომიჩნდა, — თავის მართლება ძალიან უნიჭოდ გამოუვიდა, რაზეც ნუკიმ ღიმილი ვერ შეიკავა.

ზურამ ამჯერად არ დატოვა მისი ღიმილი შეუმჩნეველი.

— რას იღიმი? — ვერ მოითმინა, რომ არ ეკითხა.

— ლამაზხმიანი ქალი იყო, გადაუდებელი საქმე ექნებოდა, ეჭვიც არ მეპარება.

მამაკაცმა ჩაახველა და მკაცრად წარმოთქვა.

— ჩემი თხოვნა იქნება, დღეიდან ქალაქის ტელეფონს არ უპასუხო... არასდროს, კარგი? შენ თუ მოგინდება დარეკვა, სადაც გინდა, იქ დარეკე, მაგრამ რომ დარეკავენ, არასდროს უპასუხო.

გოგონას ნირი წაუხდა. ვერ მიხვდა, ასეთი რა დააშავა.

— რატომ?

— ასეა საჭირო და იმიტომ. არ მინდა, შენი აქ ყოფნა განსჯის საგანი შეიქნეს. ძალიან ბევრი ამას ცუდად გაიგებს და... აჯობებს, უსიამოვნებები თავიდან ავირიდოთ. შევთანხმდით?

— კი, ბატონო, რა პრობლემაა, — ჩამქრალი ხმით უპასუხა, — ეს ისეთი წვრილმანია, — ორაზროვნად დაამატა.

— მაგრამ წვრილმანი არასდროს არის წვრილმანი, — მისივე სიტყვები დაუხვედრა მამაკაცმა პასუხად და გავიდა.

ნუკი დაფეთდა. როგორ არ უნდოდა, მაინცდამაინც ახლა, ამწუთას წასულიყო იგი, თან ასე გაბრაზებული, თან, ასე გაწბილებული. წამოხტა და უკან გაეკიდა. ჰოლში დაეწია.

— ზურა! — ლამის განწირული ხმით იყვირა.

მამაკაცმა გაოცებით მოიხედა.

— როგორც ჩანს, ზედმეტი მომივიდა, ბოლომდე ვერ გავთვალე... შეიძლება იმაზე მეტი მომეჩვენა, ვიდრე სინამდვილეში ხდებოდა... ამ წუთებში ყველაფერი მოჭარბებულად იყო და...

— მოჭარბებულად? რა მოგეჩვენა მოჭარბებულად, ნუკი, არ დამიმალო! — უფრო და უფრო ცივი ხდებოდა მისი ხმა.

— რა და... აუ, არ ვიცი, რა გითხრა... განსაკუთრებით ის, რასაც შეიძლება, „არაფერი“ დავარქვათ და სწორედ ამ „არაფერმა“ გამაღიზიანა... იქნებ ცოტა ხნით დარჩე? არ მინდა, ასე წახვიდე... გთხოვ!..

— არ შემიძლია. მე ახლა სხვას უფრო ვჭირდები, ვიდრე — შენ. ამწუთას ის სხვა უფრო მნიშვნელოვანია ჩემთვის, ვიდრე შენთან ერთად დალევა. ხვალ გავაგრძელოთ.

გოგონა გაფითრდა. თითქოს რაღაც შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა და დამარცხდა. როგორ აეწვა ლოყები... გულიც საზიზღრად ახმაურდა, ხმამაღლა, ხმამაღლა... მისი უაზრო ბაგაბუგი თითქოს მთელ სახლში ისმოდა.

თავი მექანიკურად დააკანტურა, შეტრიალდა და ოთახის სიღრმეში უსიტყვოდ გაუჩინარდა. ცოტა ხანში მის სმენას კარის დაკეტვის ხმაური მისწვდა. ფანჯარას მიუახლოვდა. კიდევ რამდენიმე წუთი და ზურა ეზოში გამოჩნდა, მანქანის კარი გააღო, ჩაჯდა და ნელა დაიძრა...

და ყველაფერი (კიდევ ერთი სიცოცხლე) კიდევ ერთხელ დამთავრდა...

„რატომ ვაჭარბებთ ყოველთვის ყველაფერს ცხოვრებაში?“ — თვალები ცრემლით აევსო ნუკის, — „ვამბობთ, ყველაფერი დამთავრებულიაო და არ ვცდილობთ რამე შევცვალოთ, ვცხოვრობთ ეულად, რათა დავუმტკიცოთ საკუთარ თავსაც და გარშემო ყველას, რომ თვითგვემა შეგვიძლია. თუმცა, სადღაც, სულის კუნჭულში, იმედს არ ვკარგავთ და მაინც ისე ვუყურებთ პირველსავე შემხვედრს, თითქოს ყველაფრის თავიდან დაწყება შეიძლება, რომ ჯერ კიდევ არ არის გვიან. ნუთუ არ არის საკმარისი, ორი უბედური (ცალ-ცალკე უბედური) ადამიანისთვის, ერთად ყოფნით მოიპოვოს ბედნიერება? ორ უიღბლო ადამიანს (შემთხვევით შეხვედრილს), ხომ თამამად შეუძლია, ერთი დიდი იმედის შექმნა? ამით კი კიდევ ერთხელ შეიძლება იმის დამტკიცება, რომ იმედს ყველაფერი შეუძლია. რა ჰგონია ზურას? აქ მოწყალებისთვის მოვედი? ნუთუ ვერ ხვდება, რომ მასთან მინდა ყოფნა? ან თვითონ რატომ გამომიწოდა ხელი, თუ იმავეს არ განიცდიდა? რა, ძალიან კეთილია? არ მინდა ასეთი სიკეთე!“

— არ მინდა ასეთი სიკეთე, არა! — გამწარებულმა ხმამაღლა იყვირა ბოლოს და ფანჯრის რაფას მუშტი დაჰკრა.

ეტკინა... გაშალა თითები, მერე მომუშტა, კვლავ გაშალა, კვლავ მომუშტა, მერე ცრემლები მუჭით ამოიწმინდა, ღიმილი გადაიფინა სახეზე და თითქოს მუქარის ტონით ჩაილაპარაკა.

— არა უშავს, ყოველ შემთხვევაში, ნახევარი საათით მაინც ხომ ვაჯობე მარტოობას!.. — ამ სიტყვებით სამზარეულოში გავიდა.

სკამი, რომელზეც ზურა იჯდა, ობლად გამოიყურებოდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ყველაზე ტკბილი და ყველაზე მწარე მოგონება

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, პატივცემულო მკითხველო. მოგიკითხავ, როგორც ყოველთვის და კარგ კვირას გისურვებ. ამ კვირაში მაინცდამაინც კმაყოფილი არ ვარ თქვენი გამოგზავნილი ამბებით. მეგონა, უფრო საინტერესო „ტკბილ-მწარე მოგონებები“ გექნებოდათ, მაგრამ არ გამიმართლდა იმედი... ყველაზე საინტერესოები ამოვარჩიე და მოვაბი თავი მათ დამუშავებასა და გამართვას... მოკლედ, მე მგონი დროა (კი არა და დიდი ხნის წინ იყო დრო), ქართულის გაკვეთილები ჩაგიტაროთ... ეტყობა, გუნებაზე ვერ ვარ და იმიტომაც დავიწყე საყვედურებით ან უბრალოდ, მართლა ძალიან მინდა, რომ „გემრიელი“ და საინტერესო ამბები გამოგზავნოთ. თან არ მინდა, რომ გული დაგწყვიტოთ და არ დავბეჭდო, თან ისეთი ამბებია, რომ დასაბეჭდად არ ღირს... ორწყალშუა ვარ... მაგრამ ისევ ჟურნალის და პირველ რიგში მკითხველის ინტერესებიდან გამოვდივარ და უაზრო, უშინაარსო და წყალწყალა ამბებს იმის შესახებ, თუ როგორ გენატრებათ შეყვარებული, როგორი საძაგლები არიან ბიჭები და როგორ დაუნდობლად გექცევათ ცხოვრება, არ გამოვაქვეყნებ (რა დააშავა იმ მკითხველმა, რომელიც მესიჯებს არ გზავნის, მაგრამ „გზავნილებს“ კითხულობს?). მოვრჩი ახლა წუწუნს, წავედი და აბა თქვენ იცით. იმედი მაქვს, რომ მომავალ კვირას საუკეთესო ამბებით გამახარებთ.

„დაჩაზე“ გაპარული

„გამარჯობა, პირველად ვწერ. იმედია, არ დავაგვიანე და ხუთშაბათს ჩემს გზავნილსაც ვიხილავ. თქვენი ოჯახი ისეთი თბილი და საყვარელია, მეც მინდოდა სტუმრობა. წინასწარ მადლობა. პირველი შეცდომა მაშინ დავუშვი, როცა ერთი ძალიან ლამაზი, ცისფერთვალება პრინცის სიტყვებმა და რომანტიკულმა ქცევებმა ისე მომხიბლა, რომ სამი წელი გავატარე ამ ხიბლის უმოწყალო ტყვეობაში. შარშან ზაფხულს კი ძლივს დავუსხლტი ხელიდან სიყვარულის ყველაზე ამოუცნობ, დაუდგენელ, ზოგჯერ უკურნებელ, მაგრამ მაინც ძალიან ლამაზ და ხან ყველაზე სასიამოვნო სენს. ჰოდა, ვისწავლე ჭკუა და ახლა აღარ ვებმები ბიჭუნების მომაჯადოებელი სიტყვებისა თუ დაპირებების კორიანტელში. ეს ყველაზე სასურველი და ყველაზე მოულოდნელი საახალწლო საჩუქარი იყო ჩემთვის, როცა ჩემი ორი თვის უნახავი და მონატრებული სიყვარულის სახელი გამოჩნდა ჩემი მობილურის ეკრანზე. შეხვედრაზე მან კიდევ უფრო გამაოცა. გიო თავის აგარაკზე ასვლას და ღამის იქ გატარებას მთავაზობდა. გიოსთან გატარებული ყოველი წუთი ბედნიერების საუკუნე იყო ჩემთვის. სულს მითბობდა მისი ღრმა, უძირო ზღვასავით თვალებში ყურება, მისი საუბრის მოსმენა... ჰოდა, ბევრი აღარ მიფიქრია. თან მე და გიოს მეზობელ სოფლებში გვქონდა სახლები. წავედით. გზაში მოწეულ ჩემი დის

SMS-ს, თამო, სად ხარო, მშვიდად გავეცი გულწრფელი პასუხი, მე და გიო სოფელში წავედით, არ ინერვიულოთ-მეთქი. ამ დროს ჩემი ნათესაობა, ბიძაშვილ-მამიდაშვილების სრული შემადგენლობით, ჩემი ბიძაშვილის მეუღლის დაბადების დღეს აღნიშნავდა. იქ პანიკა ატყდაა?! მოკლედ, ჩემი უკან დაბრუნების საქმეში მთელი ნათესაობა ჩაერთო. ამასობაში მე და გიო სოფელში ავედით (ტაქსით, რადგან თავისი მანქანა სწორედ იმ დღეს არ ჰყავდა), ცეცხლი დავანთეთ და ბუხარს მივეფიცხეთ. სწორედ ამ საღამოს უნდა მეგემა და განმეცადა პირველი კოცნის თავდავიწყება (მე პირადად, მხოლოდ პირველი კოცნა მქონდა იდეაში). ჩემმა ნათესავებმა კი სასწრაფოდ ჩემს სახლში ანუ მეზობელ სოფელში წასვლა მომთხოვეს და იმის დასტურად, რომ „სამშვიდობოს“ ვიყავი გასული, ბიძაჩემი ან ბებო (რომლებიც სოფელში ცხოვრობდნენ) უნდა დამელაპარაკებინა დაიკოსთვის. წარმოიდგინეთ, გარეთ მუხლამდე თოვლია, ყინავს. მე და გიომ ჩავკიდეთ ერთმანეთს ხელი და სოფლისკენ მიმავალ, თოვლიან გზას გავუყევით. გზაში ორივეს ფეხი დაგვიცურდა და დავეცით... მოკლედ, მოგონებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ტკბილ-მწარე განცდები უხვად მეფრქვეოდა იმ წუთებში. თუმცა მისი ხელი ისე მათბობდა, რომ სიცივეს საერთოდ ვერ ვრძნობდით. გული მწყდებოდა, რომ ეს წუთები მალე დასრულდებოდა. პირველი კოცნა ნამდვილად შედგა, ჩემი სახლის წინ. დღეს მე და გიოს არაფერი გვაკავშირებს, გარდა ტკბილ-მწარე წარსულისა, რომლიდანაც ეს დღეა სამახსოვრო ყველაზე მეტად... დღე, როდესაც, როგორც გიო იტყვის ხოლმე, ღამის მგლებმა შეჭამეს ჩემ გამო. ეს დღე ალბათ მუდამ გვემახსოვრება ორივეს... პრინცესა.

გარეცხილი „პრეზიდენტი“ და „პოეტი“

„ზუსტად საჩემო თემაა. შეცდომების დიდოსტატი ვარ. ვერაფრით ვისწავლე, რომ გარეცხვამდე ტანსაცმელს ჯიბეები უნდა შევუმოწმო. ჯერ იყო და მამაჩემს „პრავა“ გავურეცხე და თან ჯიუტად ვუმტკიცებდი, ნასვამს სადღაც დაგრჩა-მეთქი. ჩემს ძმას ფული იმდენჯერ გავურეცხე და გაშრობის დროს ქარს გავატანე, მგონი, საწყალს იმდენჯერ ხელფასიც არ აუღია. ბოლო „შედევრი“ კი ის იყო, ჩემს ქმარს საკმაოდ სოლიდური თანხა რომ გავურეცხე სარეცხ მანქანაში. მისი გაკვირვებული სახე უნდა გენახათ, როცა სარეცხი მანქანის კარის მინაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ფრანკლინ რუზველტისა და რუსთაველის პორტრეტები. შემთხვევით „არიელი“ ხომ არ მიგიკლიაო? — სხვათა შორის იკითხა. მე კი დავემშვიდობე ახალ სარეცხ მანქანაზე ფიქრსაც კი. აი, მაშინ კი ვისწავლე საბოლოოდ ჭკუა. დღესაც მეწვის ხელები, იმდენი ვაშრე უთოთი, „რუსთაველი“ და „ფრანკლინი“. ახლა კი საგადასახადოს ინსპექტორზე უკეთ ვფერთხავ ჯიბეს. ჭკუა კი ვისწავლე, მაგრამ რად გინდა? საგადასახადომ ისე დაფერთხა ჩემი ქმარი, რომ მის ჯიბეში ტუალეტის ქაღალდის მეტს ვეღარაფერს ვპოულობ. გკოცნით, თქვენი ჯიუტ სთარი“.

სინანული

„პაპა იყო ცუდად — ადამიანი, რომელიც ძალიან ძვირფასი იყო ჩემთვის. დღითი დღე უარესდებოდა მისი მდგომარეობა, მე კი მჯეროდა, რომ ყველაფერი შეიცვლებოდა, მჯეროდა, რომ გამოჯანმრთელდებოდა და ძველებურად იქნებოდა ყველაფერი. მჯეროდა, რადგან ბავშვი ვიყავი და ბავშვური ჭკუით აღვიქვამდი ყველაფერს. ერთ დღესაც ჩვეულებრივად შევედი მის ოთახში ისე, როგორც ყოველთვის, როცა სხვაგან მივდიოდი. თავისით წამომივიდა ცრემლები. ასე არასდროს მიტირია. ვეფერებოდი მის აღარსად მაყურებელ, გაყინულ მზერას და წამით არ მიფიქრია, რომ ეს უკანასკნელი იყო. ვკოცნიდი და თავს ვეღარ ვანებებდი. მერე კი შემახსენეს, რომ წასვლის დრო იყო. სახლში დაბრუნებულს კი... კარგა ხანს საკუთარ თავს ვიდანაშაულებდი. მეგონა, რომ არ წავსულიყავი, გადავარჩენდი. თუმცა, ესეც ბავშვური ფანტაზია იყო. ესაა ჩემი მწარე მოგონება და იმ ძვირფასი ადამიანის მონატრება, რომელიც ვეღარ დამიბრუნდება. P.S. ისევ ისე მიყვარხარ და მენატრები, პაპა. მაპატიე. კლეოპატრა“.

შორიახლო სიყვარული

„უმარილო საჭმელი ხომ იცით, რა უგემურია? ჩემი ცხოვრებაც უგემური იყო უსიყვარულოდ. უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ. დათომ, რომელსაც მოფერებით დათუნას ვეძახდი, ერთიანად გაახალისა და სითბო შემატა ჩემს ცხოვრებას. თითქოს ძმად მივიჩნევდი, თითქოს უფრო მეტი იყო ჩემთვის... ისიც დაიკოს მეძახდა, მაგრამ თვალებით სხვას მეუბნებოდა. ვგრძნობდი, მისი ქცევებით, დაჟინებული მზერით, რომ დაზე მეტი ვიყავი მისთვის. ერთ სასწავლებელში ვსწავლობდით. მგზავრობისას, ჩემ გვერდით ჯდებოდა, თმაზე მეფერებოდა... ვგრძნობდი, როგორ მეღვრებოდა მთელ ტანში სითბო... როგორ მივლიდა ურუანტელი... ვცდილობდი, არ შემემჩნია. ერთ დღეს ტელეფონი გამიფუჭდა. დათომ მითხრა, მე გაგიკეთებო. ხუმრობით ვუთხარი, თუ გამიკეთებ, რასაც მთხოვ, გაჩუქებ-მეთქი. დათუნამ ყურში ჩამჩურჩულა, ნეტავ სიყვარულის ჩუქება შეიძლებოდესო! დამაფიქრა მისმა სიტყვებმა. სულ ცდილობდა, ჩემ სიახლოვეს ყოფილიყო. მე ბედნიერი ვიყავი მისი არსებობით. მსიამოვნებდა დათოს ყურადღება, თბილი გამოხედვა, ხანდახან დაძმური ზრუნვა. ყველაზე მეტად, მისი თვალების სიღრმეში ჩახედვა მიყვარდა. მაგრამ... მაგრამ ერთი ცუდი თვისება ჰქონდა. არ ვიცი, რა დავარქვა. როცა ახლოს ვიყავით, მხოლოდ მაშინ ვგრძნობდი მის სითბოს. ტელეფონით რომ მეხმიანებოდა, უბრალოდ, ნაცნობივით მელაპარაკებოდა. ვინმეს თანდასწრებით ისე მექცეოდა, თითქოს არაფერს წარმოვადგენდი მისთვის. სწავლა რომ დავამთავრეთ, მივხვდი, რომ დათუნა დავკარგე. მას საერთოდ ვეღარ ვნახულობდი. თუ ვნახავდი, უბრალოდ, მომიკითხავდა და ეს იყო... ეს ამბავი წარსულს ჩაჰბარდა, მაგრამ ყველაზე ტკბილი მოგონება ჩემთვის — დათუნას სიყვარული, მწარე მოგონება კი მასთან განშორება იყო... სიყვარულით, ცოცხალი თოჯინა“.

ხელოვნური სუნთქვის ოსტატი

„მეგობარს ვკითხე, ლევან, შენი ყველაზე მწარე მოგონება რა არისმეთქი? — საჩვენებელი თითი ნაჯახით რომ წავიჭერი. რატომ მკითხეო? — ისე, ყველაზე ტკბილი-მეთქი? — გაგონდება? უცნობ გოგოს ხელოვნური სუნთქვა რომ ჩავუტარე, ისო. ლევანს ჩავეძიე და თავისი ტკბილი და მწარე მოგონებების შესახებ უფრო ვრცლად მოვაყოლე. თურმე ლევანი ძმაკაცს შეშის დაჩეხაში ეხმარებოდა. ლეოს ბლატაობა დაუწყია, ორი თითი ჯირკზე დაუდვია, აიღებდა ნაჯახს ვითომ უნდა დაირტყას თითებზე, უცებ გასწევდა ხელს. მეხუთე მცდელობაზე, ნაჯახი რომ აუქნევია, თითების გაცლა დავიწყნია და საჩვენებელი თითი გადაუჭრია. რაც შეეხება ტკბილ მოგონებას, პლაჟზე ყოფილა, ვიღაც გოგო წყლიდან ამოუყვანიათ, იხრჩობოდა თურმე, ლევანი მისულა და უთქვამს, მაშველი ვარ, მიმიშვითო და იმ უცნობ გოგოს ტუჩებზე დაჰკონებია. სხვათა შორის, გაჭრა მისმა კოცნამ და გოგონა გონზე მოვიდა. ბოლოს ლევანმა მკითხა, შენი ყველაზე მწარე მოგონება რა არისო? სანამ დავფიქრდებოდი, მან ხელზე მომკიდა ხელი და მთელი ძალით გადამიგრიხა ზურგს უკან. ჩანაფიქრს მივუხვდი. შენ რომ ლამის ხელი მომტეხე, ის-მეთქი. ყველაზე ტკბილად რა გაგონდებაო? — მკითხა და ლოყაზე საკოცნელად წამოიწია. თავი ავარიდე. უნდოდა მეთქვა, შენ რომ მაკოცე-მეთქი, მაგრამ ეს სიამოვნება ვერ მივანიჭე. რა არის და ხელის მოტეხას რომ გადავრჩი-მეთქი. ბედნიერ კვირას გისურვებთ, მგზავნელებო! განძის მაძიებლის მაძიებელი“.

რომანტიკოსი რომ ყოფილიყო...

„ტკბილი და მწარე მოგონებების მეტი რა გვექნება თითოეულ ჩვენგანს, მაგრამ დღეს მინდა ერთ-ერთი ყველაზე ტკბილი და ერთ-ერთი ყველაზე მწარე გავიხსენო. ორივე ერთი და იმავე ადამიანს უკავშირდება. სამება ულამაზესი პატარძალივით იდგა. მის სილამაზეს ვერც წვიმის სისველისგან ფერშეცვლილი კედლები აფერმკრთალებდა. ზაფხულის მიუხედავად, საკმაოდ ცივი წვიმა იყო.

— წამოდი, სადმე შევეფაროთ, — ხელი მომხვია მზრუნველად და ჩქარი ნაბიჯით სამების ერთ-ერთი კუთხისკენ გავემართეთ. იმ დღემდე ის ჯერ კიდევ ჩემს მეგობრად ითვლებოდა..

თავშესაფარში ხის ფიცრები ეწყო. ერთ ამაღლებულ ფიცარზე ჩამოჯდა და მდუმარედ მომაშტერდა. მთელი წლის მეგობრობის განმავლობაში პირველად ვგრძნობდი რაღაც უცნაურ დაძაბულობას ამ ადამიანის გვერდით. ხმას ვერ ვიღებდი. სივრცეს გავყურებდი და ვცდილობდი, არ შე-

მემჩნია მისი ეს უცნაური მზერა.

— გცივა? — შეამჩნია ჩემი ცახცახი.

უსიტყვოდ გავუღიმე.

— მოდი ჩემთან...

ფრთხილად ჩამიხუტა. უცნაური შეგრძნება მქონდა, თითქოს პირველად ვეხებოდი... ის წვიმას გაჰყურებდა, მე კი მის აჩქარებულ გულისცემას ვუგდებდი ყურს. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავით ასე. ბოლოს ისევ მე დავარღვიე სიჩუმე და ვთხოვე, წავსულიყავით.

ხელი მომკიდა და წვიმაში უცებ გავცვივდით. ის-ის იყო, კიბეზე ჩარბენას ვაპირებდით, რომ უცებ ხელი გამიშვა და ხმამაღლა დაიძახა:

— გინდა, რასაც მეტყვი, შეგისრულო?

მისი ასეთი საქციელი ჩემთვის ძალიან უცხო იყო. ის ხომ ყოველთვის ზედმეტად რეალისტი იყო და ზუსტად ეს იყო ერთადერთი რამ, რაც მასში არასოდეს მომწონდა. ახლა კი ბედნიერი, ღიმილიანი და სასაცილოდ გაწუწული, გიჟური საქციელის ჩადენას აპირებდა. ანცობის გუნებაზე დავდექი.

— ხედავ იმ მილის ქვეშ წყალი რომ მოთქრიალებს? აბა, იმის ქვეშ დადექი, — ვუთხარი სიცილით და გაოცების შეძახილი აღმომხდა, როდესაც ჩქარი ნაბიჯებით გაემართა იმ მილისკენ და ქართული ფილმი — „ჭრიჭინა“ გამახსენდა. ბიჭიკო წვიმაში რომ დადგება წყლის მილის ქვეშ, ცქრიალას სიყვარულის გამო.

— ბიჭიკოს ჰგავხარ, — შორიდან შევძახე.

— ვინ ბიჭიკოს?

— არ იცნობ, — გამეცინა ჩემსავე ნათქვამზე და მისკენ გავემართე, მასთან ერთად რომ გამეზიარებინა მოთქრიალე წყლის ჭავლი.

ამ დღის შემდეგ თითქმის ერთი წელი გავიდა. იყო ბევრი ლამაზი დღე, წუთი, წამი, მაგრამ იყო ზუსტად ის, რისიც მეშინოდა: ცოტა რომანტიზმი და ამ სიმცირემ ჩემში ვერ დაბადა ნამდვილი სიყვარული მისდამი, ჩემი უზარმაზარი მცდელობის მიუხედავად.

სამება ისევ დიდებულ პატარძალს ჰგავდა, მაგრამ თითქოს მაინც მოწყენილიყო, რაღაცის მოლოდინში. ამოჩემებულ სკამზე დავსხედით. იმ ლამაზი დღის შემდეგ ხშირად ამოვდიოდით აქ, მაგრამ ისეთი დაძაბულობა, რასაც ამ დღეს ვგრძნობდი, არასოდეს მიგრძნია. სიტუაციის განმუხტვა ვცადე:

— ნახე, იმ ღრუბელს რა საოცარი ფორმა აქვს, — აღტაცებით ავხედე ზეცას.

— კარგი რა, სოფ, რა დროს ღრუბელია? — მიპასუხა ჩვეული, გულგრილი ხმით.

არ გამკვირვებია. მისთვის ხომ ღრუბელი მხოლოდ წვიმის საშუალებაა, მთვარე — ღამის შემადგენელი აუცილებლობა, მინდვრის პაწაწინა, ცისფერი ყვავილები — ფეხით გადასათელი ბალახი. მისი ეს ზედმეტად პრაგმატული ბუნება დღითი დღე მიკლავდა გულს. დავრწმუნდი, რომ მე ვერ შევძლებდი მის გვერდით ყოფნას. ძნელია ჩემთვის რომანტიკისა და ოცნებების გარეშე ცხოვრება, რა ვქნა...

თითქოს ძალიან შორიდან იწყებდა, ისე ჩუმად და ძნელად ამოთქვა:

— იცი, მე ჩვეულებრივი ვარ და ჩვეულებრივისთვის ვარ შექმნილი. შენ არაჩვეულებრივი ხარ, საერთოდ განსხვავებული, საოცარი და მე მეშინია, რომ სრულყოფილად ვერასოდეს გაგაბედნიერებ, — დაღლილი ხმით მითხრა ზუსტად ის ბოლო ფრაზა, რომელზეც მე ისედაც ვფიქრობდი.

სათქმელი არაფერი მქონდა... გავუღიმე და წამოვედი... არ მიყვარს, ჩემს ცრემლებს რომ ხედავს ვინმე...

ამ დღის შემდეგ ის ძალიან ხშირად მოდის ჩემთან. მე არასოდეს ვკრავ ხელს, თან მაშინ, როდესაც ის ცუდადაა. ასე ვარ მასთან დღემდე. არ ვიცი, შეიძლება ზედმეტად ამაყიც ვჩანდე, მაგრამ გარშემო ყველა, ვისაც ჰგონია, რომ მე არ ვურიგდები იმის გამო, რომ ვერ ვაპატიებ იმ სიტყვებს, ვერც კი ხვდებიან, რომ ეს ასე არ არის! აქ არაფერ შუაშია პატიება-არპატიება, მე მხოლოდ ერთადერთს და არც ისე ბევრს ვითხოვდი: ეჩუქებინა არა უზარმაზარი ვარდები, არამედ — მინდვრის ყვავილები... წავსულიყავით არა კაფეში, არამედ — გვეხეტიალა ქუჩებში და არასდროს გაბრაზებულიყო, როდესაც მე „აიწონა-დაიწონაზე“ დაჯდომა მომინდებოდა ხოლმე. მე ხომ მისგან სულ ცოტა რომანტიზმს ვითხოვდი, მეტს მართლა არაფერს... ბამბუჩა.

იდეებ რა ვუყო...

„სულ ცოტა ხნის წინ, ჩემთვის ძალიან ახლობელი ადამიანის გარდაცვალების შესახებ შევიტყვე და სამძიმარზე მისულს, ეზოში შემომესმა სასოწარკვეთილი დედის კივილი: ჩემი შვილი მოგონებებმა მოკლა, ის მასში ჩაიხრჩოო... ალბათ ხვდებით, რამდენი მაქვს თქვენთვის მოსაყოლი, რამდენი მოგონება ამომიტივტივდა გონებაში, მაგრამ მხოლოდ მხიარული და ყველაზე სასაცილო მოვლენების შესახებ მოგითხრობთ... მოგონებებს „ბამბანერკის“ ნოუტბუკით დავიწყებ... მაშინ 8-9 წლის ვიყავი. უდენობის, უპურობის წლები იყო... ოცნებასაც ვერ ვბედავდი საკუთარ კომპიუტერზე (ან საიდან გავიგე ამ ნივთის არსებობა, აზრზე არა ვარ)... ისიც შესანიშნავად მქონდა გააზრებული, რომ მშობლებისთვის თხოვნას აზრი არ ჰქონდა. გარდა იმისა, რომ მატერიალური საშუალება არ აძლევდა ჩემი ახირების დაკმაყოფილების საშუალებას, კომპიუტერი მაშინ არაფერში მჭირდებოდა... პირველად მაშინ გავამართლე ნათლიის მიერ წოდებული სახელი და ნოუტბუკის შექმნა თავად გადავწყვიტე. მთავარია, სურვილი გქონდესო, ხომ გაგიგონიათ? მაცივრიდან დიდი ზომის „ბამბანერკა“ ავწაპნე („მონიტორი“ დიდი რომ მქონოდა), ერთი ამოსუნთქვით გამოვაცარიელე და სკოჩის, ქაღალდის წებოსა და მაკრატლის დახმარებით, კარდონს „კომპის“ ფორმა მივეცი. „ეკრანზე“ მე-3 კლასის გაკვეთილების ცხრილი ავაკარი და საკუთარი „შედევრით“ აღფრთოვანებულმა, სხვადასხვა „საიტზე“ ძრომიალი დავიწყე (პატარაობიდან იყო ჩემში, რაღაც გამომგონებლური)“.

„ჟოტი“ მასწავლებელი

„თუ გახსოვთ, ერთხელ უკვე მოგიყევით ჩემი მათემატიკის მასწავლებლის შესახებ (ძველ სკოლაში მასწავლიდა). მე-7 კლასში ვიყავი, როცა მასთან მოსამზადებლად დავიწყე სიარული და პირველი გაკვეთილიდან მოყოლებული, მასთან მისვლა მხოლოდ სახლის უკან მდგარი ბალის დაგემოვნების სურვილის ჩასაკლავად მიხაროდა... შეაყარე კედელს ცერცვი... ამჩნევდა რა, ჩემს ინტერესს „უგემრიელესი ხის“ მიმართ, იგნორს უკეთებდა ჩემს „პლატონურ სიყვარულს“ და სინუსებისა და კოსინუსების თავში ჩატენით ცდილობდა ჩემი გონების გაფანტვას... ერთ მშვენიერ დღეს, როცა ბავშვები სკოლაში მხოლოდ გართობის მიზნით დავდიოდით (დღე-დღეზე გვითხოვდნენ), ნათელა მასწავლებელს პირის გასველება მოუნდა და ჩემ მიერ შეთავაზებულ წინადადებას, — ჩემი ეზოდან მოგიტანთ მაისის ბალს-მეთქი, სიამოვნებით დათანხმდა... თქვენი მონა-მორჩილი, დიდი ძალისხმევის ფასად გადაძვრა ძუნწი „მასწის“ ღობეზე, დაამტვრია ტოტები და სკოლაში მიართვა მოწყურებულს... იმანაც გემრიელად შეჭამა ძღვენი და მადლობაც გადამიხადა. ჯერ ჩემი ბალი არა მწიფს და რომ მომწიფდება, მერე მე დაგპატიჟებო, აღნიშნა ბოლოს“...

ეშმაკი ბებო

„ჩემს სოფელში ცხოვრობს ქალი, რომელსაც თავისი 78-წლიანი ცხოვრების განმავლობაში, 50 წელი ჩემს სახლში აქვს გატარებული. წინა წელს, „მარშრუტკაში“ შემხვდა და ისეთი დიდი ენთუზიაზმით, ინტერესით მოგვიკითხა მე და ჩემი ოჯახი, თითქოს სულ ცოტა, 1 წელია, ერთმანეთი არ უნახავთო... გვერდიგვერდ ვისხედით და ციცინოს გოგოს გათხოვებიდან დაწყებული, ვალოდიას ღორის „მშობიარობით“ დამთავრებული, ყველა ნიუსი გამანდო... როგორც იქნა, ჩვენს გაჩერებასაც მივუახლოვდით, გზის ფული გადავიხადეთ და სახლებისკენ მიმავალ გზას დავადექით. უეცრად, მერი ბებო შეცბა, გაფართოებული თვალებით შემომხედა და განცვიფრებულმა მაჯახა: გენაცვალოს ბებია, ბოდიში, ვერ დაგინახე, თუ „მარშრუტკაში“ იჯექი, წინააღმდეგ შემთხვევაში მე დაგპატიჟებდი, გზის ფულს მე გადაგიხდიდიო“...

საჩუქარი – დაბრუნებით

„სულ რამდენიმე დღის წინ, თელავში „კომედი შოუს“ კონცერტი გაიმართა... ჩემმა მეზობელმა, რომელიც თექაზე მუშაობს, საკუთარი ნაკეთობების გასაყიდად გატანა გადაწყვიტა, თეატრთან ხალხი იტრიალებს და იქნებ ერთი-ორი „კაპიკი“ ვიშოვოო, იფიქრა... კლიენტების უშედეგო ლოდინის შემდეგ, ზემოაღნიშნულ სტენდს ახალგაზრდა, თექის ყვავილებით დაინტერესებული ყმაწვილი მოუახლოვდა... აიღო ერთ-ერთი ნაკეთობა, ატრიალა, ატრიალა, ფასი, მასალა, გამოშვების წელი, ყველა დეტალი გამოიკითხა და იმედის ნაპერწკალგაღვივებულ, ჩემს ბედკრულ მეზობელს მიმართა: — ეს ქოთანი მათხოვეთ, თამუნა ლეკვეიშვილს მივართმევ, სცენიდან რომ ჩამოვა, წავართმევ და დაგიბრუნებთო“.

შეშლილი

„გასული წლის ნოემბერი, ჩემს უბანში მცხოვრები თითოეული ადამიანისთვის (მათ შორის ჩემთვისაც) ძალიან მძიმე იყო... ეს იყო თვე, როცა თითქმის ყველა სახლში მიცვალებული ჰყავდათ. ისე მოხდა, რომ ჩემი კარის მეზობელი ეთო ბებო (რომლის შესახებაც ერთხელ უკვე მოგიყევით) და ბაბუაჩემი, ერთ დღეს გარდაიცვალნენ... სამძიმარზე უამრავი ხალხი მოვიდა. ზოგს ვიცნობდი, ზოგი პირველად ვნახე, მაგრამ ერთი მოხუცი ქალის მსგავსად, ჩემი ყურადღება არავის მიუქცევია. ტაქსიდან უდიდესი თაიგულით ხელდამშვენებული გადმოვიდა, მიუსამძიმრა იქვე მდგომ მამა-ბიძებს და მიცვალებულის ოთახისკენ აიღო გეზი... კიბეზე მიმავალმა, ხმაში ბზარშეპარული ტონით მკითხა: — სად არის ის საცოდავი, რომელ ოთახში უნდა ჩავეხუტო ჩემს ეთერსო... (ბებიაჩემსაც ეთერი ჰქვია და ეჭვი არ გამჩენია, ქალბატონის ნათქვამის სისწორეში). ხელით ღია კარისკენ მივუთითე და ისიც სატირლად გამზადებული წავიდა ოთახისკენ... დანიშნულების ადგილზე მიღწეულმა კი განცვიფრებისგან წამოიკივლა და ღრმად ჩასუნთქვის შემდეგ, ოთახიდან გამოვარდა... ასე დავახვედრე სამძიმარზე მოსულ ქალს, ულვაშიანი მიცვალებული“.

ბათუმური მოგონებები

„შეუძლებელია, მოგიყვეთ ჩემი მოგონებების შესახებ და არ გავიხსენო ბათუმი 2010. არ მოგიყვეთ, როგორ გამაცუცურაკა სუპერსთარმა, როგორ ვნახე და ავედი (ჩავედი კიდეც) გემზე პირველად, მისი მამის წყალობით, როგორ გავსინჯე მსოფლიოში უგემრიელესი „ბულკი“ და როგორ გავიცანი სკარლეტი... შეუძლებელია დამავიწყდეს მაესტროს სიკეთე, მისი შესანიშნავი შეყვარებულის (ახლა უკვე ცოლის) პატივისცემა... დამავიწყდეს, როგორ ჩავეხუტე ელენეს და როგორ დავდიოდით სრულიად შიშვლები, თურქეთის საზღვართან... შეუძლებელია, გავიხსენო ზაფხული და არ გამახსენდეს გივიკოს ლიტერატურული საღამოები, თაკოსთან გატარებული ღამე (ცუდი არაფერი იფიქროთ), გიოს შოთი და სკარლეტის კონსერვებისადმი მიდრეკილება... კოზას ნათლობა და მის მიერ „განვადებით“ ნაყიდი მზესუმზირა... ცეკვები კოლონადებთან და 2 მარი...

ღმერთო, რამდენი მაქვს მოსაყოლი, მაგრამ აქ „დავამუხრუჭებ“. ეს იყო პეტერბურგში... მე სკამზე ვიჯექი და ამაოდ ველოდებოდი მის გამოჩენას. :) იგვიანებდა... გვერდზე ახალგაზრდა ბიჭი სევდიან მელოდიას უკრავდა... მუხლებში ჩარგული თავი ავწიე და... მოპირდაპირე მხრიდან ის მოდიოდა... დანახვისთანავე მივხვდი, რომ ის, ის იყო და მე, მე ვიყავი... ავდექი, თავი 3D-ფილმის მთავარ გმირად წარმოვიდგინე და გავქანდი... გავქანდი და ავცდი. :) უკან მობრუნებული, ჩავეხუტე და... მას შემდეგ მიყვარს... კარგად გამოიყურებოდა... უგემრიელესი ლოყები ჰქონდა და თვალები უღიმოდა (ნუ, მე მიყურებდა და რატომ არ გაუბრწყინდებოდა, რა)... „ჩაგვჭყლიტა“ თავის „ოპელში“ და გონს მოსულს, მაესტრო მიმშვენებდა კალთას... ეს იყო ჩემი და მარიამულის პირველი შეხვედრა... ულამაზესი წუთები, ჩემს ცხოვრებაში (თუ ვაფერისტობდე, მე მოვკვდე). P.S. ეს არ იყო პეტერბურგში, ბათუმში იყო, მაგრამ აკი გითხარით, თუ გული გულობს... მარიამულ, უყვარხარ შენს „იდეების დვიჟოკ“ რუისპირს. (YELLOW).

პრინცი და იმუნიტეტი

ჯობია, საკუთარზე კი არა, სხვის შეცდომებზე ისწავლო ჭკუაო, გამიგია. თუმცა ეს ძალიან ჭკვიანი ადამიანების საქმეა. მე უჭკუობით არა, მაგრამ გადამეტებული რომანტიკულობით ნამდვილად გამოვირჩევი. ჰოდა, პირველმა სიყვარულმა ისეთი იმუნიტეტი გამომიმუშავა, რომ ასე მგონია, ვეღარავინ დაიპყრობს ჩემს გულს. თუმცა, უსიყვარულოდ ცხოვრება მოსაწყენია და მეც ველი მორიგ პრინცს და მას წინა შეცდომების გათვალისწინებით შემოვუშვებ გულში. ბიჭი უნდა აწვალო და მალევე არ უნდა აგრძნობინო, რომ მოგწონს. „ვოტ ტაკ“! :) პატივისცემით, ეშმაკუნა.

■

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „დანაშაული, რომელიც მოსვენებას მიკარგავს“ ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მიმწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com

ყურადღება! თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ერცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.

„მიცვალებული რამ შეგაყვარა?“

„აუცილებლად, ფსიქოლოგს უნდა მიმართო...“

„გზის“ №7-ში დაიბეჭდა Girl from Tbilisi-ს მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ რამდენიმე ხნის წინ გამუდმებით მეგობრების გუნება-განწყობილების ამაღლებაზე ზრუნავდა, უდარდელად ცხოვრობდა, მაგრამ ახლა საოცრად ნაღვლიანია, ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ თურმე, მიცვალებული შეუყვარდა. „ეს გრძნობა მტანჯავს, სიცოცხლეს მიმწარებს, მაგრამ ამავდროულად, მილამაზებს კიდეც... როცა მახსენდება, რომ ის ამქვეყნად აღარ არის, ფეხქვეშ მიწა მეცლება... მერწმუნეთ, მე ის მართლა მიყვარს“.

ლიკა ქაჯაია

ბამბუჩა:

„კი არ გიყვარს, უბრალოდ, შენზე მისმა გარეგნობამ მოახდინა შთაბეჭდილება და გული გიკვდება იმის წარმოდგენაზე, რომ მისნაირი ადამიანი მიწაშია. შენი მესმის, რადგან მსგავსი რამ მეც შემემთხვა, თუმცა შენგან განსხვავებით, არავინ შემყვარებია: ნათესავს სასაფლაოზე გავყევი და სრულიად მოულოდნელად, იქვე ისეთი ლამაზი ბიჭის საფლავი დავინახე, რომ მისი სურათის წინ დავდექი და ხმამაღლა ვიტირე; მერე სასაფლაოზე ძალიან ბევრი იასამანი დავკრიფე და იმ ბიჭის საფლავზე დავაწყე, ბოლოს კი მის ლამაზ, მაგრამ ცივ ქვას ჩავეხუტე და წამოვედი. მართალია, მას მერე იქ არ მივსულვარ, მაგრამ მისი სახე და სახელი არასდროს დამავიწყდება. შენ შეგიძლია, იმ ბიჭის სახელზე ილოცო და მის სულს დაეხმარო. გონს მოდი და უაზროდ გვემას მოეშვი, ამით ადამიანს ვერ გააცოცხლებ. საუბედუროდ, უფალს თავისთან უამრავი კარგი ადამიანი მიჰყავს და ჩვენ ვერასდროს მივხვდებით, რატომ ხდება ასე. მოკლედ, ჩვენ მხოლოდ მათ სახელზე ლოცვაღა დაგვრჩენია. ჰოდა, ვილოცოთ!“

დადუ:

„მიცვალებულის შეყვარება წარმოუდგენლად მიმაჩნია. გირჩევ, დაივიწყო. აბა, ნახე, გარშემო რამდენი კარგი ბიჭია!..“

მალი:

„ეს სიყვარული დაგტანჯავს, აბა, რას გიზამს?! ეცადე, ამაზე არ იფიქრო. მეგობრებთან ერთად ისეირნე, გაერთე და დროთა განმავლობაში დაგავიწყდება!“

SCOUSER KATE- L.F.C:

„აბა, შენ ყოფილხარ, აი. რა სისულელეებს ამბობ?! ადამიანო, შენც ხომ ძალიან კარგად იცი, რომ ის ტიპი არ არსებობს! დამიჯერე, ასეთი უაზრობის გამო თავის დამძიმება არ ღირს, მასზე ფიქრს უნდა შეეშვა. აბა, შენ იცი!“

რუსპირი (YELLOW):

„ჩემო კარგო, რომ მოგეწერა, შეყვარებული დამეღუპა და ის ახლაც, რაღაც პერიოდის გასვლის შემდეგაც მიყვარსო, გეფიცები, გმირად გამოგაცხადებდი და შენთან მეგობრობის სურვილიც გამიჩნდებოდა, მაგრამ... არ ვიცი, შენს გრძნობას რა ჰქვია — აკვიატება, ახირება, კაპრიზი თუ გატაცება, მაგრამ ერთი რამის თქმა კი ზუსტად შემიძლია: იმას, რასაც შენ განიცდი, ყველაფერი შეიძლება ვუწოდოთ, გარდა სიყვარულისა. თუ არ იცი, ადამიანს ცხოვრებისგან რისი მიღება სურს, რა ინტერესები, გატაცებები და მისწრაფებები აქვს, შეუძლებელია შეგიყვარდეს. ეს გრძნობა, ტკივილის გარდა, არაფერს მოგიტანს და ამ ყველაფერს წერტილს რაც უფრო მალე დაუსვამ, შენთვისვე იქნება უკეთესი. წარმატებები!“

GRAZY:

„მიცვალებული? ისე, შენი ოდნავ, სულ რაღაც, 1%-ით მესმის... საინტერესოა, თუ ცოცხალს არ იცნობდი, რამ შეგაყვარა? ჩემო ძვირფასო, არც ის ვიცი, რა უნდა გირჩიო და ვერც გაგიცხავ...“

ქვრივი:

„ეს ყველაფერი, ცოტა არ იყოს, უცნაურია! ერთადერთი გამოსავალი მისი დავიწყებაა. ბოლოს და ბოლოს, თავადაც ხომ ხვდები, რომ სხვა გზა არა გაქვს!“

დიკი ანგელი:

„მიცვალებულიო? ვაიმე, დედა, შენ ხომ არ „ურიკინებ“? დაწყნარდი, თორემ მალე მართლა „გაუბერავ“. P.S. მე დავბრუნდი, ცხოვრებისგან ძალიან დატანჯული“.

ჭრიჭინა:

„რჩევისთვის აუცილებლად, ფსიქოლოგს უნდა მიმართო. ხალხს ქმარი, შვილი უკვდება და მაინც აგრძელებს ცხოვრებას, შენ კი ვიღაც უცნობის გამო იკლავ თავს? შენთვის მეგობრები წამალივით აუცილებელია. აბა, სხვა რა გირჩიო? იმას ხომ ვერ გეტყვი, ცოლად გაჰყევი-მეთქი?..“

უწუწური:

„ვაიმე, მართლა ვაიმეეე... ყველაფერი გამიგონია, მაგრამ მიცვალებულის შეყვარება? მასთან არც მოგონებები გაკავშირებს და არც გრძნობა, უბრალოდ, რაღაც არარსებულს ეპოტინები და ახლა უაზროდ ცხოვრობ. ხალხს ბევრი რამ ტანჯავს, მაგრამ ყველა ცდილობს, გამხიარულდეს, შენ კიდევ, ცხოვრებას ძალით ირთულებ. ეგ აზრი თავიდან ამოიგდე და ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანე, თორემ თავსაც გაიუბედურებ და შენ ირგვლივ მყოფებსაც გააუბედურებ. P.S. ხალხს ცოცხალი აღარ უყვარდება და შენ მიცვალებული როგორ შეგიყვარდა? „საღოლ“, რა“.

ლუნა:

„მაპატიე, მაგრამ გინდა, შენი ცხოვრება დრამატულ ფილმს ჰგავდეს? აბა, მიცვალებული როგორ უნდა შეგიყვარდეს? მიწაზე დაეშვი, თვალები გაახილე და შენი მეორე ნახევარი არა გარდაცვლილებს, არამედ ცოცხალ არსებებს შორის ეძებე. დაფიქრდი, რის გამო იტანჯავ თავს? მისი სულისთვის ილოცე, სანთელი დაუნთე, მაგრამ ნულარ დაიტანჯები“.

ლიკუ:

„მაპატიე, თუ ზედმეტად მკაცრი ვარ, მაგრამ მგონია, რომ თავში ყველაფერი წესრიგში ვერ გაქვს. შეეცადე, ისევ ისეთი მხიარული გოგონა გახდე. და კიდევ, ეკლესიაში იარე“.

გრუზინკა:

„შენმა „ესემესმა“ შოკში ჩამაგდო! ყველაფერი გამიგონია და წამიკითხავს, მაგრამ ასეთი — არაფერი. მოძღვართან მიდი, აღსარება ჩააბარე და ეკლესიურად იცხოვრე. ის პიროვნება, როგორ კარგიც უნდა ყოფილიყო, მკვდარია და რამ შეგაყვარა? მიმოიხედე, ამქვეყნად უამრავი კარგი ადამიანია“. ■

„ის ცოლობას მთხოვს...“

ნატალი:

„გამარჯობა. ვარ 21 წლის. მყავს შეყვარებული (მიყვარს კი?), უფრო სწორად, მომწონს გარეგნულად, მსიამოვნებს მისი ყურადღება; ამასთანავე, ის ძალიან კარგი ადამიანია, ჩემი კარგად ესმის და ახლა ცოლობას მთხოვს, მე კი არ ვიცი, რა ვუპასუხო. რას მირჩევთ, გავაგრძელო მასთან ურთიერთობა თუ გავწყვიტო? ძალიან მჭირდება თქვენი რჩევა“.

„სიყვარული საქმითაც უნდა დაამტკიცო“

„გამარჯვებისკენ სწრაფვას დამარცხების შიში უშლის ხელს!“

„გზის“ №7-ში დაიბეჭდა დუდუს მესიჯი. იგი გვწერდა: „13 წლის ასაკში მამიდაშვილის ძმაკაცი მომეწონა (ახლა 16-ის ვარ). წელს არდადეგებზე მამიდასთან წავედი, იქ ვისვენებდი და ცხადია, მასაც შევხვდი, ხშირად ვნახულობდი. როცა შინ დავბრუნდი, დამიკავშირდა და სიყვარული ამიხსნა. დარწმუნებული ვარ, მართლა ვუყვარვარ, მაგრამ ჩემი მამიდაშვილის „უტყდება“, სიმართლეს ვერ ეუბნება. ჰოდა, ამის გამო ბევრჯერ ვიკამათეთ. ბოლოს მითხრა, — მე ვერ ვეუბნები და ამიტომაც, ერთმანეთს უნდა დავშორდეთო! მისთვის წინააღმდეგობა არ გამიწევია...“ დაბოლოს, დუდუმ „გზის“ მკითხველებს მიმართა თხოვნით, — იქნებ მირჩიოთ, ჩემს ადგილას თქვენ როგორ მოიქცეოდითო?..

დიტუნა:

„თუ მართლა უყვარხარ და მზადაა, ყველა დაბრკოლება შენთან ერთად გადალახოს, არაფრისაც არ უნდა „უტყდებოდეს“. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ შენი მამიდაშვილის ძმაკაცია და არა — ძმის. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ეს ქვეყანა ძალიან პატარაა, ყველა ვიღაცის ნათესავი ან ძმაკაცია და არავის არავინ არ უნდა შეუყვარდეს? ხალხნო, XXI საუკუნეა, გამოფხიზლდით!“

გრუზინკა:

„დაშორდი! ახალგაზრდა ხარ და ამას ადვილად გადაიტან... აბა, ის გირჩევნია, ძმაკაცები ერთმანეთს რომ დაერიონ? თან, თავადაც უთქვამს, დავშორდეთო...“

ლუნა:

„ეტყობა, თქვენ შორის ნამდვილი სიყვარული არ არის. რომ უყვარდე, არაფერიც არ „გაუტყდებოდა“. რად გინდა ისეთი შეყვარებული, რომელსაც თქვენი გრძნობის დაცვა არ შეეძლება? დაშორდი და ნამდვილ სიყვარულს დაელოდე. ლამაზ ცხოვრებას გისურვებ!“

ლიკუ:

„შეყვარებულ ადამიანს მამიდაშვილი კი არა, მთაც ვერ შეაკავებს. რეალობას თვალი გაუსწორე, მას შენი მოშორება უნდა!“

უწუწური:

„გინდა, სიმართლე გითხრა? — მას არ უყვარხარ, თორემ ვაჟკაცობას გამოიჩენდა და შენს მამიდაშვილს სიმართლეს ეტყოდა, მან კი რა ქნა? კუდამოძუებული აპირებს შენგან წასვლას. წავა და, წავიდეს! შენს ცხოვრებაშიც გამოჩნდება ვინმე ღირსეული. მთავარია, თავი არ დაიმცირო და მას არ გაეკიდო, თავი არ შეახსენო. დაელოდე და თუ მართლა უყვარხარ, დაგიბრუნდება“.

ჭრიჭინა:

„საყვარელი ქალის მეუღლეს ეუბნებიან, რომ მისი ცოლი უყვართ და ძმაკაცისთვის ამის თქმა რატომ „უტყდება“, ვერ ვხვდები. სიმართლე ყურში ჩააწვეთეთ და იქნებ ის დალოცვილიც არ არის უარზე? ვიღაცის ან ბიძაშვილი შეგიყვარდება, ან მამიდაშვილი, აბა, მთლად ყველასთვის უცხო რომ იყოს, ეგეთს სად იპოვი?..“

შავი მარგალიტი:

„მერე, რა, რომ მამიდაშვილის ძმაკაცია? არა მგონია, ეგ დიდი ტრაგედია იყოს. მას მართლა რომ უყვარდე, ძმაკაცისთვის ამის თქმა არ „გაუტყდებოდა“ და თქვენს სიყვარულს დაიცავდა“.

ქვრივი:

„ჩემი აზრით, სიყვარულის გამო ადამიანმა ნებისმიერი წინააღმდეგობა უნდა დაძლიოს. იმ ბიჭს ეტყობა, საკმარისად არ უყვარხარ, თორემ შენს მამიდაშვილს აუცილებლად დაელაპარაკებოდა“.

ლანა:

„ჩემო კარგო, გირჩევ, კარგად დაფიქრდე და საკუთარ გრძნობაში გაერკვე, ყველაფერი გააანალიზო. თუ მას მართლა ისე უყვარხარ, როგორც ამბობს, არაფრის და არავისი არ „გაუტყდება“. დაფიქრდი, მისთვის მსხვერპლის გაღება ღირს? სიყვარული მხოლოდ ცარიელი სიტყვები არ არის, ის საქმითაც უნდა დაამტკიცო. ნამდვილ გრძნობას წინ ვერავინ და ვერაფერი დაუდგება. გოგონებს ცხოვრებაში ყველაზე მეტად გვმართებს დაფიქრება, ყოველი ნაბიჯი 100-ჯერ უნდა გავზომოთ და ერთხელ გავჭრათ. შეცდომის დაშვება ადვილია, მისი გამოსწორებაა ძნელი, სინანული კი ძალიან გვიანია“.

უცნობი:

„შეიძლება, ჩემმა სიტყვებმა გული გატკინოს, მაგრამ იმ ბიჭს არ უყვარხარ! იცოდე, ნამდვილი სიყვარულისთვის ყოველთვის იბრძვიან. P.S. გამარჯვებისკენ სწრაფვას ერთი რამ უშლის ხოლმე ხელს — დამარცხების შიში (გამგებმა გაიგოს)!“

GREZY:

„ჰაი“. მეჩვენება თუ ეგ ბიჭი ნამდვილად მშიშარაა? აუ, რა არის ამაში ასეთი „გასატყდომი“, ვერ ვხვდები. ნორმალური ადამიანი სხვანაირად მოიქცეოდა. P.S. დავბრუნდი და აღარსად წავალ!“

რუისპირი (YELLOW):

„ასეთი სასიყვარულო თავგადასავლებისთვის ჯერ ძალიან პატარა ხომ არ ხარ? 16 წლის ასაკში რა რომეო და ჯულიეტობანა აგიტყდა, ვერ ვხვდები და მომკალი. ერთს გეტყვი: თუ შენს გულის სწორს ისე უყვარხარ, როგორც ამას გეუბნება, მამიდაშვილი და პაპიდაშვილი კი არა, მამაზეციერიც ვერ გაუწევს წინააღმდეგობას. შენ საკურორტო რომანი (ოღონდ, „ლაითი“) გქონდა და ამ ყველაფერს რაც უფრო მალე გააცნობიერებ, უკეთესი იქნება!“

მარი 11:

„ჩემო კარგო, თქვენს სიყვარულში ძალიან დარწმუნებული ხარ, მაგრამ სამწუხაროდ, ასე ნამდვილად არ არის. ხომ გაგიგონია, რომ ამბობენ, — კაცი სიყვარულისთვის ყველა მსხვერპლს გაიღებსო, აქ კი თურმე, ყურებამდე შეყვარებულ ბიჭს ძმაკაცის „უტყდება“. ჩემო კარგო, ჯერ პატარა ხარ და მის გამო ასე ნერვიულობა არ ღირს. გირჩევ, ე.წ. შეყვარებულს დაშორდე. გაკოცე“. ■

„ჩემი შეყვარებული სიგარეტს ეწევა...“

ლაშა:

„გამარჯობა. მინდა ყველას, ვინც ჩემთვის ერთ „ესემესს“ მაინც გაიმეტებს, წინასწარ გადავუხადო მადლობა. შეიძლება ჩემი ნათქვამი დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ მერწმუნეთ, არ ვიტყუები. თქვენთან მოწერა იმიტომ გადავწყვიტე, რომ დიდი ხანია, „გზას“ ვკითხულობ და მგზავნელების რჩევები მომწონს. ჩემი პრობლემა შემდეგში მდგომარეობს: მყავს შეყვარებული, ლიკა, რომელიც სიგარეტს ეწევა და მე ეს სრულებით არ მომწონს. მეუბნება: თუ სიგარეტისთვის თავის დანებებას მაიძულებ, დაგშორდებიო. არ ვიცი, როგორ მოვიქცე. გეხვეწებით, მირჩიეთ რამე“.

P.S. მაშ ასე, თუ ნატალისა და ლაშას წერილების წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. გავიცნობ სერიოზულ, ფინანსურად დამოუკიდებელ, ღირსეულ მამაკაცს, მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 42 წლის, იგივე თვისებების მქონე, ბავშვით, ბინით.

2. გავიცნობ მდიდარ და მომხიბლავ მამაკაცს. ლამაზი ლიზი.

კაცები

3. ვარ 35 წლის, სიმპათიური, განათლებული და მოსიყვარულე მამაკაცი. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ ნორმალურ და ერთგულ ქალბატონს, 25-35 წლამდე.

4. დავიღალე მარტოობით, მინდა მქონდეს ოჯახი. ვარ 55 წლის, ცოლს გაცილებული, დასაქმებული.

5. თუ ხართ მსუქანი, შეძლებული, თბილისში მცხოვრები, გამომეხმაუროს 45 წლამდე ასაკის ქალბატონი. ვარ 185/70/38.

6. ვარ მაღალი, სპორტული აღნაგობის ბიჭი, 26 წლის, თბილისელი. ასევე გავიცნობ სერიოზული ურთიერთობისთვის, თბილისელ მანდილოსანს. არასერიოზულები არ შემეხმიანონ.

7. გავიცნობ სერიოზული მიზნით, ახალგაზრდა გოგოს. ვარ 30 წლის.

8. რა უნდა აქ შენს ლამაზ თვალებს? რად კითხულობ ამ ფურცელს? სითბო და სიყვარული გაკლია? დამეკონტაქტე, ჩვენ ვეძებთ ერთმანეთს. დათო, 39 წლის. თბილისი.

9. „მობილი-ზაციაში“ გამოქვეყნებული ნინიკოს ნომერი მომწერეთ, თუ შეიძლება, მე ვარ ასეთი მამაკაცი. ჟურნალი №6.

10. გოგო მინდა შევიყვარო ვინმე და მას სურიტა დავარქვა! არის ვინმე მსურველი?! კუნკულა.

11. მინდა გავიცნო ლამაზი სულის მქონე, თბილისელი გოგონა. ვარ 26 წლის. ლევანი.

12. ვარკეთილელ ან ვაზისუბნელ ქალბატონს გავიცნობდი. ვცადოთ, იქნებ გავახალისოთ და გავაბედნიეროთ ერთმანეთი. დათო, 39 წლის.

სხვადასხვა

• რას შვრებით, ხალხო? რუი, მისტერ, ულიბკა, ლაკვასტ, კლეოპატრა, სვანის ასულო და კიდევ ბევრს. მოკითხვა ჩემგან. ბარამბო.

• კასკუ, ჩემო სიცოცხლევ, ნეტავ როგორ ხარ? ჩვენ არა გვიშავს, ვუძლებთ როგორღაც უშენობას. უფალი გვაძლებინებს და შენი ნახვის იმედი. არაფერზე ინერვიულო, თავს მიხედე. მალე ყველაფერი კარგად იქნება. 14-ში შენს სახელზე ჯანმრთელობის წირვა გადაიხადა მამა ლევანმა. ილოცე და უფალი შეგვეწევა. ნეტავ შენთან ყოფნა შემეძლოს. რომ იცოდე, როგორ მენატრები და როგორ მიყვარხარ. უშენოდ არაფრად ვვარგივარ. ჩემო სიცოცხლევ, გულში გეხუტები, გკოცნი უთვალავს და გეფერები ბევრს. შენი ლიკა.

• კასკუ, დედა გენაცვალოს, ახლა ჭირსა შიგან გამაგრების დრო დგას ჩვენთვის. მე მჯერა შენი ძლიერი ნებისყოფის და შენ ამას შეძლებ. გაუფრთხილდი თავს. გეფერები. ნუნუკა.

• სიყვარულის დღეს გილოცავთ მარ, „გზას“ და მგზავნელებს. ქ-ნ ნანის მინდა ვუთხრა, რომ მიყვარს. რითმას გიქებთ, ბატონო შალვა. ნენი.

• ზურა, შვილო, ოლინამ თქვა, მართალია, ძალიან მენატრება ჩემი ძმა, მაგრამ თუ ვერ რეკავს ჩემთან...

• ქვრივი, ვიცი რა არის ეს ტკივილი. სულიერ სიმტკიცეს გისურვებ. ქ-ნ ნანი, გამოჯანმრთელებას გისურვებთ. ღმერთმა დაგლოცოთ. ენიგმა, ბერბიჭა, იკუშკები მენატრება „გზაში“. მილე.

• ოჰ, რა ძნელია, როცა მიდიხარ სამშობლოდან, მაგრამ ჩემი მომავლისთვის ასე სჯობს. თვის ბოლოს ცივ რუსეთში, დედულეთში, იქიდან — ევროპაში. ო, რა ძნელია. :-(მტკივა. მილე.

• ზურა, უკვე ძალიან მოგვენატრე. შენს ამბებს ვიგებ, მაგრამ შენც ხომ იცი, ჩვენთვის საკმარისი არ არის. აბა, წელს ვაბარებ და როგორც ნათლია, ვალდებული ვარ.....

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

• პატარავ, ისე მენატრები, მარტო გული კი არა, ძვლებიც კი მტკივა... თითოეული უჯრედით ვგრძნობ შენს მონატრებას, დე... სულ შენ დაგეძებ... სამსახურიდან სახლში რომ მივდივარ, ტელეფონს ავიღებ ხოლმე, რომ დავრეკო, გკითხო, სად ხარ, როდის მოხვალ, ხომ არ მოგაკითხო-მეთქი. იმ ჯიხურთან რომ გავივლი, სადაც გვიან ღამით შენთვის სიგარეტს ვყიდულობდი ხოლმე, გული მეკუმშება... ახლა და ახლა ვგრძნობ, რომ ძალიან ცუდად ვარ... შენს საქმეს გავასაჩივრებთ, იქნებ რამე გამოვიდეს... ხედავ? თურმე დედა ყოვლისშემძლე არ ყოფილა... შენ კი გეგონა, რომ სასწაულების მოხდენა შემეძლო. უსუსური ვარ ამათთან ბრძოლაში. არადა, რის გამო? გიჟდება ყველა, რომ იგებს, რის გამო ხდება ეს ყველაფერი... 4-ში მეკუთვნის პაემანი და მაშინ გნახავ, შორიდან მაინც მოგეფერები... იმ დილით, თოვლი რომ მოვიდა, საბა წავიყვანე საგუნდაოდ. სიხარულისგან გაგიჟდა. მიხარია, დიდი თოვლი რომ მოვიდაო, მეუბნებოდა. თოვლში ვაკოტრიალე, ვიგუნდავეთ, თოვლის ბაბუაც გავაკეთეთ. კოცნიდა და ციკვიაო, ამბობდა. ყურში ეჩურჩულებოდა, საჩუქრები მომიტანეო. მერე, გინდა თუ არა, სახლში წავიყვანოთო... ყველა გკითხულობს, ყველას ენატრები... ამ ხუთშაბათს ორთაჭალაში შევდივარ. ნეტავ, რომ მოვკვდე, რა გეშველებათ? შენი ძმის ნახვაც მინდა... ისიც მენატრება უზომოდ. იქნებ მოვახერხო ბათუმში წასვლა. ასე მგონია, იმას მაინც თუ ვნახავ, შენს მონატრებას მოვიკლავ... თქვენ ხომ ორივეს ერთნაირი სუნი გაქვთ... გიჟს ვგავარ... იქით ის მენატრება, აქეთ — შენ, ბადრიც... რამდენად უნდა გავნაწილდე, რომ ყველას გეყოთ? რამდენი ადამიანი მყავს საპატრონო და სადარდებელი... კარგი, დე... შენ იცი, აბა... იმედია, ყველაფერი კარგად იქნება. ღმერთი გფარავდეს. გკოცნი, ჩემო პატარავ. დედა.

• პიერ რიშარის პერსონაჟივით ვარ — „მამებში“ ყველაფერზე რომ ეტირება... თუმცა, თავს იქით ძალა არაა... 14-ში ემოცია ვერ შევიკავე. მაპატიე... გახსოვს, სულ ამბობდი, 14 ჩემი ბედნიერი რიცხვიაო. ალბათ ახლაც ასე იყო. გნახეთ მაინც. იმ სასწავლო პროგრამების ძებნას დავიწყებ უკვე ბავშვებისთვის. მართალი ხარ შენ, აქ გაჩერებას აზრი ეკარგება. ბევრი სტიპენდიის პროგრამაა, ვნახავთ რამეს. ანო იმდენს ლაპარაკობს, გვაგდებს ყველას. :) შენი გენია! ათას სისულელეს გიყვება ვითომ. შენ ლაპარაკის სტილი უნდა ნახო, გუკისგან აქვს გადაღებული. :) გული მწყდება, რომ ვერ უსმენ, მაგრად იხალისებდი. გვიყვარხარ.

• მაი, ძალიან მიყვარხარ. მალე სტამბოლში წავალთ და მერე სულ ჩემი იქნები. ალი.

• ვერავინ მაიძულებს შენზე უარის თქმას, მაი, სიცოცხლეს მირჩევნიხარ, მიყვარხარ. ალი.

• გამარჯობა, მარი, იქნებ თქვენ მაინც გააგებინოთ მაის, რომ მიყვარს. ალი.

• ზურა, ძალიან გვენატრები. ერთი სული გვაქვს, როდის გამოხვალ. აბა შენ იცი, ჭკვიანად იყავი და უფლის ნებით სააღდგომოდ ჩვენთან ერთად იქნები. შენი კლასი.

• კასკუ, ჩემო ყველაზე დიდო ტკივილო და დარდო, ჩემო სიცოცხლევ, ნეტავ შემეძლოს, როგორმე ვუშველო შენს უძილო ღამეებს, როგორმე შეგიმსუბუქო დარდი და ფიქრი.

• კასკუ, მეც ბევრი რამე დამანახვა ამ მოლოდინმა. რა სისულელეებზე ვდარდობდით თურმე, როცა ძალიან ბედნიერები უნდა ვყოფილიყავით ერთად ყოფნით. გეხვეწები, თავს გაუფრთხილდი. როცა ყველაფერი ჩაივლის, ხომ უნდა ვივარგოთ შეხვედრისთვის და ცხოვრების გასაგრძელებლად? შენს კარგად ყოფნაზე ბევრი ადამიანის კარგად ყოფნაა დამოკიდებული. ეს მოლოდინიც დასრულდება, მთავარია, გავუძლოთ. ისე მენატრები, სული მტკივა. მიყვარხარ, გკოცნი, გეფერები. შენი ქეთი.

• გვანცა მელიქიშვილო, სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ, შენ ხარ ჩემი ცხოვრების ნათელი წერტილი და შენთვის მიღირს სიცოცხლე. ნიკა.

• მარიშკა, როგორ ხარ? მისტერ, შენი მხიარული ლექსები სად არიის? ფიზიკის მასწმა, ტელეფონს ჩამოგართმევო და წავედი. ბარამბო.

• იცი, მე შენ დაგხატე. ძალიან ggავს. შენნაირი თბილი თვალები აქვს. მერე განახვებ. ნეტავ როდის შევძლებ შენთან ლაპარაკს. არ ინერვიულო, გკოცნი. უფალი იყოს შენთან.

• ლუნაა, ბევრი ვიცინე შენს სიმთვრალეზე... ეეჰ, „საჩვენოს“ ბოთლს ტუჩებს რომ ვუკოცნიდი, ეგ დრო ახლა ღიმილით მახსენდება. ერთხელ ჩემი დაქალი ისე დავათვრე ნარიყალაზე, რომ იმაზე გასკდა ტირილით, რატომ ვიზრდებიო. :) იმის მერე აღარ დაულევია. მეორე დღეს რაც მე მაგას ვეღადავე... :) P.S. კლეოპატრა, ვგიჟდები შენს ლექსებზე. :) უწუწური.

• ბააააი, შენი წერილი მივიღეთ და სიხარულისგან გავგიჟდი. უზომოდ მიყვარხარ. უკვე დავწერე მეც წერილი და ყველანაირად ვეცდებით გამოგზავნას. ის გოგო მოვძებნეთ, ქეთი და ველაპარაკეთ. ალბათ ანამარია20 მომიკითხეო, ამ ჩათში თქვი და თუ კითხულობს მესიჯს ანამარია, ვეტყვი, რომ ბაიდომ მოგიკითხა. ყველაფერი კარგად არის. წერილები მივიღეთ, მამაოს ვნახავთ და აუცილებლად შეგეხმიანებით. ნათია. ნ.

• აი, დავბრუნდი. დასაკარგავში გამიშვეს, მაგრამ მოვახერხე და დავბრუნდი. მომენატრა „გზაში“ ჩემი სმს-ების ნახვა. მოკითხვა ატარექსიას. ქაჯების დედოფალი.

• რუი, მე მოღალატე არა ვარ, უბრალოდ საღად განსჯის უნარი მაქვს უფლის წყალობით, შენ კი ინტრიგანი ხარ. ამით ბევრს ვერ მიაღწევ. შმანძუშკა ხარ, ქაჯების დედოფალი.

• რაც მეტი ვიცით, მით უფრო მეტის ცოდნა გვჭირდება, რადგან ცოდნასთან ერთად იზრდება არცოდნაც. მაგარია, არა? კამ-კამა, საკალელი ხარ. ნაომ, მიყვარხარ. :) ქაჯების დედოფალი.

• კატეგორიულად მოვითხოვ (ან ვითხოვ) დააბრუნეთ „ფოტო, რომელმაც დაკარგა წარწერა“. მშვენივრად ვხალისობდი. :) მოკითხვა ნაომს, გრუზინკას, ლაკვასტს. ქაჯების დედოფალი.

• მაარიი, რას შვრები? ხვალ მაქვს დაცვაააა! ვაიმეე, მიშველეთ! ბარამბო.

• გამარჯობა. ახალი ვარ და იმედია, მიმიღებთ. ძალიან მომწონს „გზავნილები“ და ხშირად ვკითხულობ. რა საჭიროა ერთმანეთის ლანძღვა, მით უმეტეს ასე სახალხოდ? სავკო.

• შენი წერილები მივიღეთ მეც და მზიამაც. ძალიან საყვარელი ხარ. იმის მაგივრად, მე გამხნევებდე, შენ რომ მამხნევებ. შენ რომ არსებობ, უკვე ამით ხარ ჩვენზე ძლიერი.

• დათ, შენმა სიტყვებმა მართლა ძალა მომცეს. ყველაფერს გავაკეთებ, რასაც მიბარებ. არაფრის დარდი არ გქონდეს. ის ინფორმაციაც მოვიძიე, გუკაზე რაც მითხარი. მანამდე შენც ჩვენ გვერდით იქნები და ერთად მივხედავთ ამ საქმეს. იცი, შენგან საოცარი, დადებითი ენერგია მოდის! შენ არ ინერვიულო, ყველაფერი ცუდი მალე წარსულს ჩაჰბარდება.

• სხვადასხვაგვარი არის ფრინველი, სხვადასხვაგვარად უყვართ ყოველი... შანდორ პეტეფის „ყანჩა“ გამახსენდა. წავედი, მეძინება. კუნკულა.

• გაიხარე: ფერია, ედე, ფლამი, ნიჭიერი ლაკვასტი, GRAZY. მიყვარხართ დაი, რუი, გაიხარე, ჯაყისმანელს და კოზანოსტრას მოკითხვა. მინდა რემედეოსის, ატარექსიას, კუტრინას გაცნობა. აურა.

• მესამე ზედმეტია, როცა მეორე საკონტროლოა. :) ატარექსია.

• მაარ, რას შვრები? რომ იცოდე, ახლა რა ვქენი: რაღაც ქიმიური, წითელი პომადა წავიდღლიზნე და ბებია გადავრიე. გაკოცეთ. ბარამბო.

• კლეოპატრა, არ დავიკარგე, მე ისევ თქვენთან ვარ. მშვიდობა მაშინ მექნება, ბაჩის რომ დავიბრუნებ. ახლა ომში ვარ და მჯერა, გავიმარჯვებ. თქვენი მუდმივი მკითხველი, 030.

• რა ძაან აბანძებთ ამ ჟურნალს, აზრზე არ ხართ, რა. იტოგში მაგარი სისულეებით გაქვთ გატენილი და ამ სისულელეებს ატრიალებთ ვეჩნად... დჰ.

• ნამდვილი მეგობარი ის არის, ვისაც შეგიძლია, ღამის ორ სთ-ზე დაურეკო და უთხრა: ადამიანი მოვკალიო. პასუხად კი გესმის: რამდენია ამოსათხრელი? ატარექსია.

• კაკადუ, დღეს კვირაა, თოვლი მოვიდა და ბავშვები მეტეხის ეზოში საგუნდაოდ ჩავიყვანეთ. მაგრად გაიხარეს, ნიკოლიმაც დამოუკიდებლად იარა თოვლში. არ ინერვიულო, ყველა კარგადაა, ახლა სამშაბათმა გაიარა. ვიცი, მძიმეა შენთვის, მაგრამ გამაგრდი. ყველა შენთვის ვლოცულობთ, ძმაოჯან. კახა.

• კაკადუ, ნიკა მაგარი კაცი იზრდება. გადადუღებული საფერავი რომ დალია, როგორ მიყვარს, მუცელს მითბობსო. ნიას ერთი სული აქვს, როდის ვნახავო.

• მუკი, ძალიან მენატრები, უკვე ველარ ვძლებ. რა ვქნა, არ ვიცი. რა გამიხდა სანატრელი, რომ მალე მორჩეს ეს ყველაფერი და შენი ნახვის უფლება მომცენ. ამ ცხოვრების...

• სულ ვკითხულობ „გზას“ და გადავწყვიტე, მომეწერა. ყველანი ძალიან საყვარლები ხართ. იმედია, ამ სმს-ს დამიბეჭდავთ და მიმიღებთ. გენაცვალეთ. გრუზინკა ნანო.

• წლებია ვკითხულობ ჟურნალ „გზას“ და ძალიან მომწონს. პირველად გწერთ და ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემს მესიჯს „გზაში“ ვიხილავ. მე ნათია ვარ, 18 წლის. იმედია, თბილად მიმიღებთ, ძალიან საყვარლები ხართ. მინდა, თქვენი სახით ახალი მეგობრები შევიძინო. თუ თ.ს.ს.უ-ს სტუდენტი ხართ ვინმე, შემეხმიანეთ. უსულო.

• კაკადუ, ვონცეს? იცი, ნიკოლიმ ფეხი აიდგა და გადაირია საერთოდ. 16-ში აიდგა, ჯობდა მჯდარიყო. გნახავ მალე. კუკლა ნათია.

• იმედია, ბათო მალე იპოვის ისეთ ადამიანს, ვინც წარსულის დავიწყებაში დაეხმარება და მომავალს გაულამაზებს. ამხელა ტკივილის მერე ნამდვილად იმსახურებ ბედნიერებას.

• ლადო, ძმა, ძაან მოგვენატრე. ძაან გვიყვარხარ. იცოდე, შენ არასდროს იგრძნო თავი მარტოდ. ხარაგაული, ბექა.

• ნაომი, ჩემი თავი გენაცვალოს შენ. გურულომ იმდენი გაქოო, მუწუკა ლევანი შენზე უიმედოდაა შეყვარებული. საყვარლად ეწამება და გვედორბლიანება. გატოცე... თეაკო.

• აქ გოგონები საერთოდ, აზროვნებენ? ნაომია კიდევ ბოღმა და უზრდელი? ცოტა უფრო ადამიანურები იყავით და ყურადღებიანი. რუისპირ, ნამდვილ მამაკაცობაზე გაქვს პრეტენზია? რამე გეცხოს მაინც, ნამდვილი მამაკაცის კი არა, რამე, ადამიანური. გურულო.

• გამარჯობა. წინა ხუთშაბათის ჟურნალში წავიკითხე და ვეხმაურები მაგ ბიჭს. კარგია, შენ კიდევ იმედი რომ გაქვს. მე არ მაქვს ხოლმე იმედი. ნესტანი.

• ნეტა იცოდეთ, როგორ მიჭირს ჩემი მეუღლის გარეშე. ერთი სული მაქვს, როდის ჩამოვა და როდის ჩავეხუტები. მიყვარხარ და მენატრები, ჩემო ბუზღუნა ქმარო. შენი თეა.

• უთბილესი სალამი ყველას. წლებია, „გზას“ ვკითხულობ, რამდენჯერმე მოგწერეთ, მაგრამ მერე ისევ კითხვა ვამჯობინე წერას. ახლა ვკითხულობდი და სურვილი გამიჩნდა, მომეწერა. რა ხდება, ხალხო, რა გაჩხუბებთ? რა გაქვთ გასაყოფი? ნუთუ ძნელია სითბოსა და სიყვარულის გამომჟღავნება? ამქვეყნად ისედაც წამიერად და ერთხელ მოვდივართ, არ ვიცით, როდის შევწყვეტთ სუნთქვას და დატკბით ცხოვრებით, იყავით მოსიყვარულეები და რაც მთავარია, გწამდეთ და გეშინოდეთ ღმერთის. აკეთე ყოველ წამს და წუთს სიკეთე და ამას თქვენ თუ არა, თქვენი შვილები მოიმკიან. მარ, შენ კი დიდ მოთმინებას გისურვებ და ღმერთმა დაგლოცოს. ძალიან კარგი ადამიანი ხარ. გფარავდეთ ყველას. ბუცა.

• თეო-თეო, არაფერს, ჩემო კარგო. ბაჭია ან ლამაზუკა მომწონს მე შენთვის და შენ რას ფიქრობ, გენაცვალეეე? კლეოპატრა.

• მარიკუნა, როგორ ხარ, საყვარელო? ლამაზ დღეს გისურვებ. მიყვარხარ. კლეოპატრა.

• სალომე და ბარამბო, გმადლობთ, გაიხარეთ. გაკოცათ კლეოპატრამ. ქვრივო, ხანდახან ასეც ხდება, რას ვიზამთ? :) გაიხარე. კლეოპატრა.

• ძალიან ბევრი ტკბილი მოგონება მაქვს, მაგრამ ჩიკიი, შენთან გატარებული ყოველი წუთი შეუცვლელია. მიყვარხარ. კლეოპატრა.

• დღეს დილით გამეღვიძა, ჩავრთე ტელეფონი დაა... ამდენი ხნის განმავლობაში ცოტათი, მაგრამ მაინც შევიგრძენი ბედნიერება. ძლიერი ყოფილა ჩემი გრძნობა. კლეოპატრა.

• იცი, რატომღაც ისევ მომინდა შენი შეგრძნება და მონატრების ქარიშხალმა წამიღო წამით, ყველაფერი ახლა მხოლოდ რჩება ლექსებად, რომ მიყვარხარ, არაფერი იცვლება ამით. P.S. მოკითხვა ყველას, ვისაც ვახსოვარ. კლეოპატრა.

• მოგონება... ჰო, სწორედ მოგონებად იქცა ჩემი სიყვარული. თითქოს სადღაც, შორეულ წარსულში მომხდარიყოს. მოგონებად იქცა ყოველი დღე, მხოლოდ მოგონება, წარსულის აჩრდილია მოგონებად, რომელიც აღარ მინდა, რომ მოვიგონო. კლეოპატრა.

• გამარჯობა, „გზის“ ერთგული მკითხველი ვარ. პირველ ნომერს ვერ მოვუსწარი და სად შეიძლება ვნახო?

„გამომცემლობა ელვა ლ"-ის ახალი წიგნები

ჩემი პირველი დღიური

პირველი დღიური დაბადებიდან საოლამდელ ასაკამდე. შეავსეთ ალბომი თქვენი პატარას ცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალებით: ფოტოებით, გამოთქმებით, ნახატებით... მრავალი წლის შემდეგ ეი ერთად გაიხსენებთ, როგორ დაიწყო ყველაფერი...

ფასი: 14.99

ხმოვანი წიგნი

მოეფერეთ პატარას

ამ ხმოვან წიგნს, პატარები მამინვე შეიყვარებენ. მხიარული ხმები ეი, რომელსაც ჩანართების გადამლისთანავე გაიგონებთ, ბავშვებს და მათ მშობლებს მეტად გაახალისებს.

ფასი: 15.99

ეყოვი ყურადღებიანი

ეს წიგნი თქვენს პატარას გულისხმიერებას, თანადგომასა და სიყეთის ეეთებას ასწავლის. წიგნის წაეითხვის შემდეგ ისინი თანატოლების მიმართ უფრო ყურადღებიანები, უფრო მხრენველები გახდებიან.

ფასი: 8.99

თქვი სიმართლე

ამ წიგნის წაეითხვის შემდეგ ბავშვები მიხვდებიან, თუ რა ცუდი შედეგი შეიძლება მოჰყვეს ყველაზე უწყინარ ტყეილსაც ეი, რატომ არის ტყეილის თქმა ცუდი საქციელი და რატომ არის საჭირო სიმართლის თქმა ყველგან და ყოველთვის.

ფასი: 8.99

დედამიწის საოცარი ადგილები

ამ წიგნის დახმარებით, იმოგზაურებთ დედამიწის გარშემო. დატებებით ჩვენი პლანეტის მშვენიერებით. იხილავთ: საჰარის უდაბნოს, ავსტრალიის ქვის ტყეებს, ისლანდიის გეიზერებს... ბუნებრივი ფოტოების საშუალებით ახლოდან შეიგრძნობთ ამ საოცარ ადგილებს.

ფასი: 16.99

ჭიამაიას გაჯვეთილები

გადაშალეთ წიგნი და გაჰყევით ჭიამაიას... თითოეულ გვერდზე დასმული კითხვები ეი პატარებს გაახალისებს და სიამოვნებით უპასუხებენ.

ფასი: 7.99

დათუნიას ძილის დრო

წიგნი ყველაზე პატარებისათვის, სადაც მოთხრობილია დედიკო დათუნიასა და მისი ბელის ამბავი, რომელიც პატარებს ძლიერ გაახალისებს.

ფასი: 7.99

გრანდიოზული ნაგებობები

წაეითხეთ ეს წიგნი და გაიგეთ, როგორ შენდებოდა პირამიდები, ტაძრები, აკლდამები, ცათამბჯენები, კამხლები, კოსმოსური სადგურები და სხვა გრანდიოზული ნაგებობები... შეიტყვეთ ამ ნაგებობებთან დაკავშირებული საიდუმლოებები.

ფასი: 16.99

ინტელექტი დანაშაულის წინააღმდეგ

ამ წიგნიდან თქვენ შეიტყობთ, როგორ ხდება დანაშაულის გამოძიება. რა არის ბალისტიკა, ეიბერდანაშაული, რით აიხსნება უჩვეულო და დაუკურებელი მოვლენები! როგორ კვეთენ გვამს, რას იკვლევენ დნმ-ის ანალიზით...

ფასი: 16.99

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 38 26 73; 38 26 74 www.elva.ge

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!

• ნაომის პირადად ვიცნობ და ხმამაღლა და თამამად ვიტყვი, რომ მასთან შედარებით რუისპირი არარაობაა. P.S. თამუნია, ჩემი სიცოცხლის ელექსირი და ჩემი წამალი ხარ! გურულო.

• ჯერ გამარჯობა მეთქვა, მარ, უკეთესი იქნებოდა, არა? ასეთ აგრესიას ნაომი არ იმსახურებს. :-). ნაომი თუ წავა, ჩემი სახით ნამდვილად დაკარგავს ერთ ერთგულ მკითხველს.

• — პრივეტ, თამ, როგორ ხარ? მე კარგაად, შენ? — და ჩვეულად, გემრიელად აკისკისდა. — რა გაცინებს, ნაომი? მე ჭკუიდან გადავედი... — აბა რა ვქნა, ვიტირო? კი, რა, სოფია, შენ რა, მართლა არ გაბრაზდი? არც გეწყინა? — თუ დამიჯერებ, გეტყვი, რომ სულაც არ გავბრაზებულვარ, და მით უფრო — არც მწყენია. მეტიც, მკიდია რუი, თავისი ფინიებითურთ. :) მე ვგიჟდები ამ გოგოზე, ოღონდ მართლა, რა. გურულო.

• რა ხდება, ვერ გავიგე, რა გაქვთ გასაყოფი და სადავო? არ შეიძლება, ორივე მომწონდეს, მისტერი და ნაომი? უკრაინკა.

• მაგადია რა, ნაომი. ყველა აგაყეფათ. ინტრიგანკაა. რა ვი, მე არავინ მაქცევს ყურადღებას, რა ხანია, მგზავნელი ვარ და. შეეშვით, დეგენერატებო. მაო.

• მარიამულ, მაპატიე... რატომღაც „რეკომენდირებული“ მეგონა სწორი ფორმა. შენი ლუნა.

• ვიღაც წერდა, — 2008 წლის „გზის“ 26-ე ნომერში, ერთ-ერთი გზავნილის ავტორი, რომელიც ცუდად იყო, როგორ არისო? მინდა, მას ვუპასუხო: დიდი მადლობა, ჩემო კარგო, რომ მისი ტკივილი გულთან მიიტანე. ის ისეთი ანგელოზი, ისეთი კეთილი და ლამაზია, მასთან სიკვდილს რა უნდა? ნამდვილი ფერიაა. მაშინაც კი შეუძლია სხვა ანუგეშოს, როცა თავად ათასი პრობლემა აქვს. მისი ქებით არც დავიღლები და არც მომწყინდება... უბრალოდ, გეტყვი, რომ მართლა არაჩვეულებრივი, გამორჩეული ადამიანია! მან სიკვდილი დაამარცხა და მჯერა, ღმერთი დიდხანს და ბედნიერად აცოცხლებს. რაც მე დაგლოცო და როგორი გულითაც ღმერთს ვთხოვ შენს კარგად ყოფნას, ისე ყოფილიყავი, ჩემო გულის გამხარებელო! მიყვარხარ და სულ ჩემს გულში იქნები. P.S. სიყვარულით მოვიკითხავ მარიას. ლუნა.

• სულელი მეგობარი მტერზე უარესიაო, ხომ გაგიგონიათ? ჩემს ნათესავს ერთი ასეთი მეგობარი ჰყავს. ისეთი თამამი და არაქალური ქცევების გოგოა, რომ არა მისი გარეგნობა, მის ქალობაში ვერავინ დამარწმუნებდა. მაკოს მასთან დაკავშირებით ერთი მწარე მოგონება აქვს, რომლის გახსენებაზე, ახლაც მაშინ განცდილი სირცხვილის გრძნობა ეუფლება. მაკოს ძალიან მოსწონს ერთი ბიჭი. მის დანახვაზე ელეთ-მელეთი ემართება. ერთ დღეს მაკომ და თამუნამ ნამცხვრის გამოცხობა გადაწყვიტეს. ყველაფერი ჰქონდათ, კვერცხის გარდა. თამუნამ კვერცხი იყიდა, მაგრამ გაფუჭებული აღმოჩნდა. საყვედურის სათქმელად ორივე ერთად წავიდა კვერცხის გამყიდველთან. მაკოს უთქვამს, ეს კვერცხები ლაყე იყო, სხვა მოგვეცითო. ამ დროს მაღაზიაში, ის ყმაწვილი შესულა, ჩემს ნათესავს რომ ჭუას აკარგვინებს. თამუნას მაკოსთვის უთქვამს, ალეკოს ექნება კარგი კვერცხები და მას გამოართვიო. მაკო დაბნეულა და ალეკოსთვის მიუმართავს, მართლა გაქვს კვერცხებიო? თამუნა და გამყიდველი სიცილისგან ჩაბჟირებულან. აი, მაკოს კი რაც დაემართებოდა, ალბათ ადვილად წარმოიდგენთ. მუდამ თქვენი ლუნა.

• ვუძღვნი ერთ-ერთ მგზავნელს: ბატონო, შენი ლექსები, იაფ ფასებში დაყიდე,/ იმ ფულით მერე, „გზიდან“ სახლამდე, ოქროს ხიდები აიგე,/ ქალთან მოპყრობის წესები, სხვა კაცებში გაიკითხე,/ გოგოსთან ეგრე მოქცევა, ნეტავი სად წაიკითხე?/ სხვისას თეთრ რითმებს სწუნობ და შენი გგონია კარგია,/ ლექსი სხვამ უნდა გიდიდოს, თუ მართლა რამედ ვარგია./ წესი ასეა, ბატონო, რა ვქნა, რა ჩემი ბრალია,/ მოთმენა, თავის მოთოკვა, კაცური კაცის ვალია./ თუ გინდა, სხვებმაც მიგიღონ, ჯერ კაცი იყავ, მერე პოეტი,/ კაცი კაცობით ფასდება, არ უნდა ამას მიეთ-მოეთი,/ საცა შენი თქვა, იქ ჩემიც, არ დაგავიწყდეს სიმართლე,/ მე ჩემს გზით ვივლი, შენ კიდევ, შენი სიმართლით იმართლე. P.S. ლექსის დასაწყისში, სიტყვა „ბატონო“ რა თქმა უნდა, ადრესატის სახელის ნაცვლადაა. ლუნა.

• უფალს ჩემ გამო ნუ აწუხებ ჩემო კარგო, დარწმუნებული ვარ, შენ უფრო ბევრი გაქვს. :))) შენი დაჭკვიანება სთხოვე, კლეოპატრა. ჩუპა-ჩუპსი.

• ეგ ნაომი სულ ბებიაჩემივითაა, რაც თავი მახსოვს, მიდის და ვერ გაეტია. :)) ბებიაც აგერ, 5 წელია იძახის, 2 პარასკევი დამრჩაო. :)) ჩუპა-ჩუპსი.

• ატარექსია, მაგრად გიჭირს. ჩუპა-ჩუპსი.

• თქვე საცოდავებო, თბილუკა არა კვატუკა, აფერისტებო.

• გამარჯობა. გერასიმე, შენს მწუხარებას როგორ ვიზიარებ, სიტყვებით ვერ გადმოგცემ. ომონიაზე ვარ, შენს მესიჯს ვკითხულობ და ცრემლებს ვერ ვიკავებ. შენთან ჩახუტება და ხმამაღლა ტირილი მინდა. ზოგჯერ ვფიქრობ, ბედნიერი მაშინ ვიყავი, როცა შვილებს ტყემლის შეჭამანდში ჩაყრილ მჭად-პურას ვაჭმევდი და მათი ცქერით ვხარობდი, თუ ახლა ვარ, როცა თაფლსა და კარაქზე მყვანან, მაგრამ ერთმანეთი ტკივილამდე გვენატრება? ღმერთმა მოგათმენინოს. გამძლეობას და სიკეთეს გისურვებ. თამრო.

• ნაომი, არ წახვიდე, რაა. ძალიან გთხოვ, ნუ მოუსმენ ამ შტერებს. ისე, მართლაც რომ სასიამოვნო ხმა გაქვს და კარგი მოსაუბრეც ხარ. თეაკო.

• მინდა, რომ სოფო20-ს ვუთხრა: მე მგონი, ეგ იყო, მე ვემესიჯებოდი და ჩათრევა არასდროს მიფიქრია.

• ნიიიკ, მიყვარხარ ანომალიურად. :) სიგიჟემდე! მიყვარხარ ცამდე, მთვარემდე! ჩემი სუნთქვა და გულისცემა ხარ.. ყოველი დღე მიხარია, რადგან ჩვენ ვარსებობთ... ერთად... :) კატმანდუ.

• ტკბილი მოგონებები? უჰ, ბევრი! თუნდაც მგზავნელებთან შეხვედრა და ჩახუტება. მწარე? ამ ბოლოს დამიგროვდა. არ (თუ ვერ) დაბეჭდილი SMS-ების სახით. :(ეჰ! CRAZY GIRL.

• თოვლიااااااااა! აუ მااარ, მარტო ჩემთან ჩამოთოვა თუ შენთანაც? :) მიხარიااა. ფიფქია.

• გამარჯობა, თაკო ვარ და „გზის“ ერთგული მკითხველი. ძალიან გთხოვთ. გამოაქვეყნეთ ჩემი ამბავი. ერთი ბიჭი შემიყვარდა და თურმე მასაც ვუყვარდი. მას დაბრო მივეცი, 6 თვე შეყვარებულები ვიყავით და შემდეგ ჩემმა დაქალმა მითხრა, რომ თურმე ჩემი გიორგი მის საწოლში ჩაწვენას ცდილობდა. გავბრაზდი, გიორგის ვეჩხუბე და დავშორდი. თურმე ეს ყველაფერი ტყუილი იყო. ის მირეკავდა, მე კი ყურმილს არ ვიღებდი. მიუხედავად იმისა, რომ მიყვარდა. გიორგიმ 3 თვის მერე ახალი ლოვე გაიჩინა, მე კი ახლაც მიყვარს. ახლა სხვა უყვარს, მე კი ჩემი იდიოტი ექსდაქალის გამო მარტო დავრჩი. ამ ამბის შემდეგ, სანამ ყველაფერს კარგად არ გადავამოწმებ, ნაბიჯს არ ვდგამ. თქვენი თაკო, 15 წლის. ეს ჩემი პირველი მესიჯია და გთხოვ მაااარ, დამიბეჭდე, რااა...

• ეეე, ნიუუ, ასე ვაარ მთელი ცხოვრება... სულ სხვებს ვამწარებ. ერთხელ ჩემი ცანცარი ისე მომი-

ბრუნდაა?! აი, ამის შემდეგ ვისწავლე, რომ სხვის საქმეში არ უნდა შეეხიო. მალინა.

• არ შეიძლება, ცოტათი უფრო საინტერესო გახდეს „გზავნილები“? არ შეიძლება, რაიმე უფრო ღირებულზე საუბარი და მსჯელობა? ამ ბოლო დროს მეჩვენება, რომ ძალიან გაუფერულდა ჟურნალი. ის რამდენიმე ადამიანის სიტყვიერი პაექრობის ველად იქცა. ისინი ერთმანეთისთვის არანაირ უწმაწურ სიტყვებს არ იშურებენ. ჩემი აზრით, ძალიან საინტერესო იქნება სხვადასხვა თემაზე კამათი, მსჯელობა, ყოველგვარი ჩხუბისა და ლანძღვა-გინების გარეშე. ყველაფრის დაბეჭდვა არ შეიძლება და ძალიან გთხოვთ მარი, ამას მიაქციეთ ყურადღება. არა მგონია ცუდი იყოს, თუ სხვადასხვა თემით დაინტერესებთ, როგორიცაა რწმენა, პატრიოტიზმი, ურთიერთპატივისცემა და ა.შ. ასევე სხვადასხვა პრობლემატური საკითხებით. პატივისცემით, დუდა.

• გამარჯობა მარი! მე უკვე გწერდით ჩემი ოჯახის დიდ უბედურებაზე. ძალიან გთხოვთ, დამეხმაროთ. არც ერთ ოჯახს არ ვუსურვებ ჩვენს მდგომარეობაში ყოფნას. ყოველთვის გაგვიწვდია დახმარების ხელი უცნობებისთვისაც. საშინელებაა, როცა უყურებ, უახლოესი ადამიანი დღითი დღე როგორ იფერფლება. ღვიძლის გადანერგვის ოპერაციას ბევრ ქვეყანაში ძალიან წარმატებით აკეთებენ, ჩვენს ქვეყანაში ვერ მოაბეს ამას თავი. ჩვენი ექიმები დღესაც მზად არიან ამ ურთულესი ოპერაციის გასაკეთებლად, მაგრამ ეს ჩვენს მთავრობას არ აინტერესებს. რა უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ გამომიქვეყნოთ ავადმყოფის დასახმარებელი წერილი? რამდენია ფული გადასახდელი? ძალიან გთხოვთ, მიპასუხოთ. წინასწარ გიხდით მადლობას. ნონა ქარჩავა.

• მივესალმები „გზას“. ჟურნალ „გზის“ ამა წლის მესამე ნომერში (20 იანვარი), რუბრიკაში „გზავნილები“, გამოქვეყნდა ვინმე რუისპირის (YELLOW) წერილი, სადაც ის ხეიბარ ქალსა და მის უცნაურ სიყვარულზე მოუთხრობს, „გზის“ მკითხველებს. თავის მონათხრობში წერილის ავტორი ახსენებს სოფელ ვერონას. მინდა გითხრათ, რომ ამ სოფელთან საკმაოდ მჭიდრო შეხება მაქვს და თითქმის ყველას ვიცნობ (სულ 30 კომლი იქნება, არც კი). ამ ისტორიის წაკითხვის შემდეგ საგანგებოდ გავიკითხე კიდეც იქაურებში, მაგრამ იქ ასეთი ამბავი არავის სმენია. გარდა ამისა, სადაა ვერონაში კოტეჯების წითელი სახურავები? :-) მე ხუთი თითივით ვიცი ეს სოფელი და იქ ჯერ კოტეჯი არ მინახავს. მით უმეტეს, წითელსახურავიანი. :-) ჩემი თხოვნა იქნება, ეს წერილი გამოაქვეყნოთ. რატომ უნდა ავრცელებდეს რუისპირი ინფორმაციას, რომელიც სიმართლეს არ შეესაბამება? არ ყოფილა ასეთი ამბავი და რა შუაშია აქ ვერონა? ხოლო თუ ეს მონათხრობი რუისპირის შემოქმედება და ფანტაზიის ნაყოფია, მაშინ კიდევ ჰო. პატივისცემით, ჰელიოსა.

• სამი ძმაკაცი სვამდა მეზობლის საფლავზე. მაგრად გაილეწნენ... ჰოდაა, შემოაღამდათ... ნიკოს ეტყობა, ფეხით სახლში წასვლა შეეზარა (მართლა დიდი მანძილი ჰქონდა გასავლელი) და რაღაცების მოგონება დაიწყო. უაზროდ ყვიროდა და იცინოდა, ვითომ მკვდრებს ესაუბრებოდა. ბოლოს, ცუდად ვარო, თქვა (თავს აცოდებდა ბესოსა და გიგუნიას) და გაიშხლართა ძირს. რაღა უნდა ექნათ? იქ ხომ არ დატოვებდნენ? ციმციმ წაიყვანეს, მხარზე გადებული ნიკო (ფეხზე ვერ დგებოდნენ და როგორ მოახერხეს, მიკვირს). ჭიშკარს რომ მიუახლოვდნენ, ნიკომ თქვა, გამიშვით, ახლა მეც შევალ ჭიშკარში. მიხვდნენ, რომ მოტყუვდნენ მაგრად. დაჰპირდნენ, აწი რომ კვდებოდე, ხელს არ მოგიდებთ, ეს რა გაგვიკეთეო. ესეც მათი გმირობა, მაგრამ ვინ დაუფასათ?

• ჩემს ცხოვრებაში მოხდა მოვლენა, რომელმაც მთლიანად შემცვალა. ვაფანატებ ძაღლებზე და ყოველდღე ვწუწუნებდი, ძაღლი მიყიდეთ-მეთქი, მაგრამ ჩემს ოჯახში არავის უყვარს ცხოველები. ამ ზაფხულს ნათესავის ზარმა ამატირა და ამაკივლა. ლაბრადორი მაჩუქეს, რომელიც სიგიჟემდე შემიყვარდა. ისე ვუვლიდი, როგორც პატარა ბავშვს. აღარავინ მინდოდა, მის გარდა. უბედნიერეს ადამიანად მივიჩნევდი თავს. მაგრამ ამ ბედნიერებამ მხოლოდ 5 თვეს გასტანა. მომიკვდა და გული მატკინა ძალიან. დღე არ გავა, რომ არ გამახსენდეს და არ ავტირდე. ამ ამბის მერე ძალიან შევიცვალე. სამწუხაროდ, ვერავინ მიგებს. ვერ წარმოუდგენიათ, როგორ შეიძლება ცხოველის ასეთი სიყვარული.

• ერთხელ თამრიკო ჭოხონელიძემ მოჰყვა: ქეიფიდან მოვდიოდიო და რუსთავში მოხუცი ქალი დაუნახია გაჩერებაზე. დაბრძანდით ქალბატონო, მე წაგიყვანთო. არაო, უთქვამს ამ ქალს. არა, წაგიყვანთო. არა — კი, იყო გაწევ-გამოწევა და ჩასვა ეს ქალი თურმე ძალად და თბილისში რომ შემოსულან, უკითხავს, ახლა სად მიგიყვანოთო? არსად შვილო, მე ერთი ქუჩიდან მეორეზე გადავდიოდიო.

• დღეს გურჯაანში ვიყავი. გინდა, აღგიწერო, როგორია გურჯაანი? წვიმა და მოწყენილი, წვინტლიანი ინდაურები... ჰოდა, პირადად მე, ისე შემეცოდა ყველა, სულ გამიქრა მათი დაკვლა-შეჭმის სურვილი. მე რომ ინდაური ვყოფილიყავი, ყველაზე მეტად ახალი წელი არ მეყვარებოდა, იმიტომ, რომ დამკლავდნეენ. მართალია, ისეთი შხამა ვარ, ჩემი ხორცი არ იჭმება, მაგრამ... ლექსი დავწერე: ის იდგა ბაზრის შესასვლელთან, ცალფეხაწეული, მარტო, ეული, რას უმზადებდა არ იცოდა, ბედი წყეული... უბედურო ინდაუროოო, მოგიკვდეს დედაა... ახლა უნდა დაგკლან და შეგაკნაწუნონ. იჰ, რა „გემრიელად“ მიდიხარ, შე უბედურო შენა�ა“.

• ერთი სერიოზული და გმირული საქციელი ერთმა ჩვენმა ახლობელმა ჩაიდინა. სიმთვრალეში ფორმა ჩაიცვა, ავტომატი გადაიკიდა, წავიდა აფხაზეთის ომში და იმ საღამოსვე, ცეცხლმოკიდებული ტანკიდან 3 ადამიანი ამოიყვანა და თვითონ კი სახე დაეწვა. დღეს-დღეობით მას გმირობის ორდენი აქვს სახლში. ამაზე მეტი გმირობა რა გინდა?

• ჩემთვის ახალი წელი და თანაც მხიარული, დიდი ხანია, აღარ დამდგარა. თუმცა, ერთი მახსოვს: მაშინ პატარა ვიყავი, ჩემს მეგობრებთან ერთად დისკოთეკაზე ვიყავი ბორჯომში, ძალიან ბევრი ვიცეკვეთ ბევრი შუშხუნა ვისროლეთ, ბევრი დავლიეთ, დავთვერით, ვიმხიარულეთ შუაღამემდე, დილით კი ისევ

დავუბრუნდი ჩემს სევდიან ცხოვრებას. თქვენი BABY GIRL.

• არსებობს ადამიანი, რომელსაც უკვე 4 წელია, ვიცნობ. ნუ, თითქმის ჩემს ხელში გაიზარდა. „ხელში“ მესიჯობა იგულისხმება, თორემ ისე ერთხელაც არ მინახავს, სურათების გარდა. თავის დასაძვრენი მიზეზები არ ელევა, რაღაცას გაურბის, ახლა სურათების გამოგზავნაც მიატოვა. არადა, დაცილება არ უნდა. ჩემი ნახვა სურს, მაგრამ როდის — არ იცის. შეხვედრას შემდეგ კვირას, ამ თვის დასაწყისში, იმ თვის ბოლოს, ამ წელს, მომავალ წელს და ასე მპირდება. რა ვუყო, არ ვიცი. ერთხელ, საბედნიეროდ, ვის დაბადების დღეზე დათვრა არ ვიცი (მაგ ადამიანს კი ვეხუტე) და წამოსცდა, მიყვარხარო და ამ ბედნიერებამ სულ რაღაც, მეორე დილამდე გასტანა. იმ დილიდან კი დაიწყო: არ დაიჯერო, არაყმა ამალაპარაკაო. მეც, სხვა რა გზა მქონდა? არ დავიჯერე. ამის მერე გავრისკავ და ვეტყვი, მიყვარხარო? ან თავს დავუქნევ? თუ არ გამიმართლა და უარი მითხრა, მერე ხომ დავრჩი „დაქნეული“? არადა, სადაც უნდა ვიყო, მასზე ვფიქრობ, მისი სახელი ამეკვიატება ხოლმე და მერე ვერ ვიცილებ.

• ძალიან მინდა თქვენი დახმარება. თითქოს ურთიერთობაში ჩანს, რომ ვუყვარვარ ჩემს მეუღლეს, მაგრამ რა ხდება, ვერ გავიგე. რამდენიმე თვის წინ გაიცნო ქალი, რომელთანაც ინტერნეტით მიწერ-მოწერა ჰქონდა. შემდეგ გაცვალეს ტელეფონის ნომრები. ნუ, როგორც ხდება ხოლმე, მე შევიტყვე. ერთმანეთი ნანახი არ ჰყავდათ, მაგრამ ეს ამბავი ძალიან რთულად გადავიტანე. ლამის დამენგრა ოჯახი, მაგრამ ვაპატიე. ახლა, ერთი თვის წინ, ტელეფონზე თამაშის დროს ვიღაც ქალი შეეხმიანა. ამ დროს მეც გვერდით ვყავდი. ნუ, მერე რა მოხდა არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, იმ ქალმა მოსწერა, რომ ძალიან ენატრებოდა ჩემი ქმარი. როდესაც გადავურეკე და პასუხი მოვთხოვე, რა უნდოდა ჩემი ქმრისგან, კაცივით მაგინა. არადა, ვიცი სახელი, გვარი, სად ცხოვრობს. ნუთუ არ ეშინია? ჩემმა ქმარმა დამაწყნარა, უბრალოდ, ვემესიჯებოდიო. ნუთუ ეს აუცილებელია? ყველა კაცი ასეთია? გული აღარ მიმდის ჩემს ქმარზე. არ ვიცი, რა ვქნა, დავანგრიო ოჯახი? იქნებ ფსიქოლოგი გამომეხმაუროს?

• შეზარხოშებულ მდგომარეობაში ცხენზე უნაგირის გარეშე შეჯდომა გავბედე და მოვახერხე და როცა 2-ჯერ ეცადა ჩემს გადაგდებას, წონასწორობაც მშვენივრად შევინარჩუნე. ეს შეიძლება სიფხიზლეში ნაკლებად გამომსვლოდა. ჰო, კიდევ, დაღმართში სულ მიჭირდა ამ არაჩვეულებრივი ცხოველის ჭენება და ეს დაბრკოლებაც სასმლის გარკვეულმა დოზამ გადამალახვინა. არ მინდა ამით ვთქვა, დალიეთ და ყველაფერი უკეთ გამოგივათ-მეთქი. უბრალოდ, ზოგისთვის ასეც ხდება და თან სამი დალიეთ, შეგერგებათ, არ დაითვრებით. სარვიეტა.

• საოცარი სიურპრიზი მომიწყო ცხოვრებამ. ორი თვის ჩასული ვიყავი საბერძნეთში, რომ ბებიას ვიღაც ფრანგი, ასაკში შესული მამაკაცი ესტუმრა. ისაუბრეს. ბებიამ უთხრა, ნახე, ახალი რუსის გოგო მყავსო. მე ამაყად ვუთხარი, რუსი არა, ქართველი ვარ-მეთქი. სტუმარი რაღაცაზე ჩაფიქრდა, თითქოს რაღაცას იხსენებსო. ცოტა ხანში მომიბრუნდა და ქართულად მითხრა: „ვინც ეწვევა საქართველოს საოცნებო მხარეს, სიმღერაც რომ არ იცოდეს, მაინც დაიმღერებს“. იცით, რა დამემართა? სიხარული, სიცილი, ტირილი ერთმანეთში ამერია. ძლივს დავწყნარდი. საბერძნეთის ერთ მიყრუებულ სოფელში ფრანგის მიერ წაკითხული ქართული ლექსი მართლაც ცხოვრების სიურპრიზი იყო. დიდი სიყვარულით, მაია.

• ყველაზე დიდი და ყველაზე ლამაზი სიურპრიზი ცხოვრებამ ერთი წლის წინ გამიკეთა, როცა ჩემი ყველაზე საყვარელი, ყველაზე მაგარი და მსოფლიოში ყველაზე სიმპათიური მეგობარი მაჩუქა. აი, ზუსტად მის დაბადების დღეზე გავიცანი და შესაბამისად, მისი საჩუქარიც მე ვარ, ხომ? :)) კარგია, როცა არსებობენ ლამაზი სულის, ლამაზი ადამიანები. მიყვარხარ, მეგობარო.

• სანდრომ ახლობლის ოჯახში ელენე გაიცნო და ძალიან მოეწონა. ერთმანეთს კარგად გაუგეს. ბიჭმა ოჯახი გააფრთხილა, ცოლი უნდა მოვიყვანოო. იყიდეს მუხის 2-ადგილიანი საწოლი. სანდრო ტანით ძალიან დიდია და პირველივე ღამეს ჩაუტყდათ ლოგინი. წაიღეს მეორე დღეს ხელოსანთან, გააკეთებინეს, მაგრამ იმ ღამესაც ჩატყდა. კიდევ გააკეთებინეს. მოკლედ, ნეფე-პატარძალმა მთელი კვირა აქეთ-იქით ატარა ლოგინი. რომ მოჰბეზრდათ, მოაჭრეს ფეხები და პირდაპირ იატაკზე დადეს. ასეთი სიურპრიზი მოუწყო ცხოვრებამ და ისეთი ლოგინი აჩუქა, რომელიც არასოდეს არავის ჰქონია. ჭრიჭინა.

• „ამ საახალწლოდ ძმაკაცები ბათუმში გევილეწეთ. ეს ჩემი ძმაკაცი შევიტანეთ სახლში და დავდეთ. დილას რომ შევედით, ეძინა და ველოდებოდით, როდის გეიღვიძებდა. უცებ შემევიდა მეზობელი გოგო. ჰოდა, ამასაც გეეღვიძა. ამ გოგოს დანახვაზე დიდი ამბით წამოხტა და რას ხედავს? სულ შიშველი არ ყოფილა, საცოდავი?! თვალები ორივეს შუბლზე ოუვიდა. ჩვენ გევიგლიჯეთ სიცილით. აი, საახალწლო სიურპრიზიც. „by ბათუმსკი“.

• მოულოდნელად გამოჩნდა ჩემს ერთფეროვან სამყაროში და ისე მოკალათდა აქ, რომ არა მგონია, მისი გასახლება ადვილად მოვახერხო. ის მართლა სხვანაირია. ძალიან ამაყი, მაგრამ მის თვალებში სხვა რამის დანახვაც შეიძლება. იმის, რაც მე დავინახე, შეხვედრის პირველივე დღეს. არა, სიყვარულით არ მიყვარს. უბრალოდ, მინდა, რომ ხშირად ვნახო და კიდევ, შორიდან ყურებას და საინტერესო რეპლიკებს პირდაპირობა ჯობს... არ ვიცი, დღეის შემდეგ ვნახავ კიდევ თუ არა, მაგრამ ეს ადამიანი მარად ჩემს გულში დარჩება... ყველაზე დიდი საჩუქარი ბედისგან კი ის იქნება, თუ კიდევ ერთხელ მაინც გნახავ უნივერსიტეტის კიბეზე ჩამომჯდარს, ჩემთან ერთად. ნიღბოსანი.

• ჩემს დაქალს ვიღაც უყვარდა და თქმას ვერ ბედავდა. არადა, ხვდებოდა, რომ ის ბიჭიც ყურადღებას აქცევდა. ჰოდა, ერთხელაც გადაწყვიტა, მისთვის ყველაფერი ეთქვა. მეორე დღეს ნახა და უთხრა, რომ ძალიან უყვარდა. მოკლედ, ახლა ერთად და ძალიან ბედნიერებიც არიან.

• ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი და სასიამოვნო სიურპრიზი ჩემი საყვარელი დაიკოს, ელის დაბადება იყო. ორი ძმა მყავს და სულ ვნატრობდი პატარა დაიკოს. ჩემმა მშობლებმა ოცნება ამისრულეს და 15 წლის ასაკში და მეყოლა. ახლა უკვე 2 წლისაა და როცა სადმე მიმყავს, ჩემი შვილი ჰგონიათ. ლივერ.

• 29-ში კარზე ზარი იყო, რომ გავაღეთ (მეც იქ ვიყავი), ჩიჩილაკიანი დიდი ყუთი იდო. სიურპრიზის ავტორი კი არ ჩანდა. მალე ამოირბინეს ქეთიმ და მისმა მეუღლემ. :) ყუთში ახალი ტელევიზორი იდო. ძველმა მოსწავლეებმა ასეთი საჩუქარი გაუკეთეს მასწავლებლებს.

• „რას ვიფიქრებდი, რომ ორი გათხოვილი დისა და სამი დისშვილის პატრონს ნანატრი ძმა შემეძინებოდა? თანაც, ისეთ ფეხზე მოვი-

და გიორგი, რომ მისი შემხედვარემ, ბევრმა ოჯახმა ჩაიფიქრა მომდევნო შვილი.

გილოცავ!

• ალეკო ჩილაგავას გაბედნიერებას ვულოცავთ ირაკლი კომახიანი და მისი მეზობლები. ვუსურვებთ ტკბილ და ბედნიერ ცხოვრებას, მეორე ნახევართან ერთად.

• ჩვენს საყვარელ დედას, ნათელა ჭიპაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, 26 თებერვალს. ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და უფლის წყალობას. ვოვა, თამარი და მიშიკო.

• მაგარ ბიძას, სოსო ჭიპაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, 27 თებერვალს. ვუსურვებთ უფლის წყალობას მუდამ. დისშვილები, ვოვა, თამარი და მიშიკო ხიჯაკაძეები.

• ნათელა და სოსო ჭიპაშვილებს ვულოცავ დაბადების დღეს, 26 და 27 თებერვალს. მრავალს დაესწარით შვილებო და დიდხანს იცოცხლეთ. თქვენი 87 წლის დედა, თამარ კალანდაძე.

• 26 თებერვალს ლექსო გოგოლაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ყოველივე საუკეთესოს. ღმერთი გფარავდეს. კოლოთო.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ფოტო, რომელიც წარწერა ელოდება

ამ ფოტოსთვის შესაბამისი წარწერა უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61

ჩემეული ვერსია ეი ასეთია:

ქალი — ქორწინებამდე და ქორწინების შემდეგ

ტაიმ-აუტი

საინტერესო მაღაზიები

✖ 1831 წელს პარიზში, ემილი დეიროლმა ცხოველების მოყვარულთათვის სპეციალური მაღაზია გახსნა. კლიენტებს სხვადასხვა ცხოველის ფიტულისა და ჩონჩხის ყიდვა შეუძლია.

✖ კუნძულ ბორნეოს სამხრეთით, ათასი მდინარის ქალაქში ბაზრობა მდინარეზეა მოწყობილი. მყიდველი, გამყიდველი და დამთვალიერებლები ნავებივით გადაადგილდებიან და ვაჭრობენ. ტურისტები ამ ადგილს სავაჭრო ვენეციასაც კი უწოდებენ.

✖ ბოლივიის ერთ-ერთ ქალაქში ჯადოქრების მაღაზია გაიხსნა. კლიენტებს სხვადასხვა საქონელს: გამომშრალ ცხოველებს, ბუმბულებს, ფხვნილებსა და თილისმებს სთავაზობენ. ძირითადი კლიენტები ადგილობრივი შამანები, ექიმბაშები და ჯადოქრები არიან.

✖ ქალაქ ლომეს (ტოგოს სახელმწიფო, აფრიკა) ერთ მაღაზიაში ხილ-ბოსტნეულისა და მედიკამენტების გვერდით ეგზოტიკური ნივთებიც — სპილოს კიდური, ცხენისა და ლომის თავი, მაიმუნის ჩონჩხები იყიდება. ზოგიერთს კერძის მოსამზადებლად, ზოგს კი არატრადიციული მედიცინის მიმდევრები წამლებისთვის იყენებენ. მაღაზია არც მომმარაგებლების, არც კლიენტებისა და ტურისტების ნაკლებობას არ განიცდის. ■



მილიონერების შემოსავალი ერთ წუთში

ექსპერტებმა მსოფლიოში ცნობილი მილიონერების შემოსავლები დაითვალეს და დაადგინეს, რომ ერთ დღეში, რამდენიმესაათიანი მუშაობის შემდეგ შეუძლიათ, მდიდრული ავტომობილი ან იახტა იყიდონ.

✖ ბილ გეიტსის შემოსავალი წელიწადში 3,5 მლრდ დოლარია, წუთში — 6,659. მისი წუთიერი შემოსავლით 2-3 ღარიბი ოჯახი ერთი თვის სამყოფ პროდუქტებს შეიძენდა.

✖ ინვესტორ უორენ ბაფეტს წუთში 5,594 დოლარს (წელიწადში 2,9 მლრდ დოლარი) უხდიან.

✖ ლათინური ამერიკის სატელეკომუნიკაციო ქსელების მაგნატი — კარლოს სლიმ ხელუ მესამე ადგილზეა. მისი შემოსავალი 1 წუთში 3,995 დოლარია (წელიწადში 2,1 მლრდ დოლარი).

✖ Mittal Steel-ის მფლობელმა, ლაკშმი მიტალმა მხოლოდ 4 დღე იმუშავა, რათა ბაჰამის ერთ-ერთი კუნძული 18,2 მლნ დოლარად ეყიდა. მისი წლიური შემოსავალი 1,65 მლრდ დოლარია, წუთში — 3,130.

✖ რეჟისორი სტივენ სპილბერგიც მდიდარი ადამიანია, მაგრამ ჩამოთვლილ მაგნატებთან შედარებით მწირი შემოსავალი აქვს, — წელიწადში 332 მლნ დოლარი, წუთში — 632.

✖ „ვარსკვლავური ომების“ რეჟისორი — ჯორჯ ლუკასი კოლეგას ცოტათი ჩამორჩება. მას წუთში 447 დოლარს უხდიან.

✖ ყველაზე ცოტას ჰოლივუდის ერთ-ერთ მაღალანაზღაურებად მსახიობს ჰოლი ბერის უხდიან, — წუთში სულ რაღაც 30 დოლარს. ■

დასაწყისი იხ. გვ. 16

იყო მისი მეუღლეც.... თალაკვაძის მანქანაში ვჯდებოდი, როცა ქალების კივილი ატყდა. დავინახე, ჩემი მეგობრის ცოლი როგორ გარბოდა მანქანისკენ. მიშა ჟორჟოლიანი დარჩა და მითხრა, — გოგოებს დავაწყნარებო... მე კი იმ ღამით, 12 საათზე დამაკავეს“.

განსასჯელ დოლიძის მეუღლე — ლიკა ურთმელიძე და მასთან მანქანაში მყოფი მისი მეგობარი გოგო სასამართლოზე დაიკითხნენ. მათი მტკიცებით, ისინი ვლადიმერის მშობლებთან მიდიოდნენ.

ლიკა ურთმელიძის *ჩვენებიდან:*

„ბავშვის წამოსაყვანად მეუღლის მშობლებთან მივდიოდით. „ლიტერატურულ კაფესთან“ რომ გავიარეთ, ხალხმრავლობა იყო. ჩემმა ქმარმა მანქანა შეანელა. იქ მისი მეგობარი, ღლონტი შენიშნა. უცებ გასროლის ხმაც გაისმა და ღლონტის ნათქვამიც გავიგონეთ, — რატომ ისვრი? ყველანი შინაურები ვართო! ერთდროულად გადავედით მანქანიდან. ჩემი მეუღლე მოჩხუბრებისკენ წავიდა და ერთ მათგანს ჰკითხა, რა ხდებაო. აღნიშნულმა პიროვნებამ მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა დაუწყო, ვიღაცამ ჩემს ქმარს ზურგიდან ჩაარტყა, ის წაიქცა. წაქცეულს 3 პიროვნება სცემდა. ვკიოდი და ვიხვეწებოდი, თავი დაენებებინათ. ბოლოს მანქანასთან მივიყვანე ჩემი ქმარი, ამ დროს ვნახე ჟორჟოლიანი და თალაკვაძე. ჩემი ქმარი სისხლიანი იყო. ჰკითხეს, რა მოხდაო? მან თვითონაც ვერ გაიგო, რატომ სცემეს“.

დოლიძის ადვოკატი ირაკლი ჩიკვაიძე ამბობს, რომ მისი დასაცავი — სრულიად უდანაშაულოა. ის არც კაფეში ყოფილა და უბრალოდ, კონფლიქტის დეტალების გარკვევა სცადა, რადგან მოგროვილ ხალხს შორის, მეგობარი შენიშნა.

ირაკლი ჩიკვაიძე, *ადვოკატი:*

— ირაკლი ღლონტი მამიდის ბინაში დააკავეს და საცვლების ამარა წაიყვანეს განყოფილებაში; იქ ვიღაცის შარვალი ჩააცვეს. თავის დროზე მამამისიც გურიის სამხარეოში მაღალ თანამდებობაზე იყო. მეორე დღეს დანარჩენები დააკავეს. ცნობილია, რომ რეალურად, პოლიციელები სამოქალაქო ტანსაცმლით იყვნენ. დოლიძეს იარაღის უკანონო ტარება-შენახვას ედავებიან, არადა, არანაირი იარაღი ამოღებული არ არის, ან რად უნდოდა უკანონო იარაღი, როცა დოლიძეს რამდენიმე იარაღის შენახვის უფლება ოფიციალურად ჰქონდა?! მოსამართლე ზვიად ესებუაზე დიდ იმედებს ვამყარებდი — რომ ობიექტურად განიხილავდა საქმეს, რადგან მან მკვლელობის საქმეზე, ადრე, ჩემი დასაცავი გაამართლა. მაგრამ ახლა რადიკალურად განსხვავებულად მოიქცა და უსამართლო განაჩენი გამოიტანა. დოლიძე უკანონო პატიმარია, მას დაუსწრებლად შეუფარდეს აღმკვეთი ღონისძიება ისე, რომ საქმის განხილვას პროკურორი არ დასწრებია. ეს დაკითხვისას პროკურორმა დანელიამაც დაადასტურა. საქმეში უამრავი დარღვევაა. რაც მთავარია, ამ ქვეყანაში შერჩევითი სამართალი არსებობს და ეს საქმე ამის ნათელი მაგალითია. მართალია, არც ერთი განსასჯელი დანაშაულს არ აღიარებს და პოლიციელებთან კონფლიქტს კატეგორიულად უარყოფს, მაგრამ ფაქტია, ვიღაცებს გავლენიანმა ახლობლებმა მაინც უშველეს. ეს თვალში საცემი რომ არ გამხდარიყო, სრულიად გაურკვეველი მოტივით, განაჩენის გამოტანამდე 2 სხდომით ადრე რატომღაც საქმე გაჰყვეს ისე, რომ ამის არავითარი კანონიერი საფუძველი არ არსებობდა. ალბათ ასე უფრო გაუადვილდებათ მათთვის სასურველი სასჯელის შეფარდება... ჟორჟოლიანს 36 კვირის ფეხმძიმე მეუღლე ჰყავსო და ამ მოტივით შეეცვალა წინასწარი პატიმრობა გირაოთი. არადა, დოლიძე ავადმყოფია; წარვადგინეთ ექსპერტიზის დასკვნა, რომ მისი განკურნების შანსი არ არსებობს. ხუთჯერ დავაყენეთ აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის საკითხი, 15.000 ლარიც შევთავაზეთ გირაოს თანხად, მაგრამ მაინც უარი მივიღეთ. უფრო მეტიც: როგორც შევიტყვეთ, „გირაოში მყოფმა“ პატიმარმა, ჟორჟოლიანმა ახლობლებთან ერთად, დასასვენებლად ეგვიპტეში წასვლაც მოახერხა და საზღვარიც უპრობლემოდ გადაკვეთა. ეს არ არის შერჩევითი სამართალი?!

ადვოკატმა ირაკლი ჩიკვაიძემ განაჩენი სააპელაციო სასამართლოში უკვე გაასაჩივრა. 28-გვერდიან საჩივარში ყველა იმ დეტალზე გაამახვილა ყურადღება, რომელიც, მისი მტკიცებით, საქმის განხილვის დროს დაირღვა.

ირაკლი ჩიკვაიძე:

— სასამართლოზე საბრალდებო დასკვნა არ წაკითხულა, რის გარეშეც სასამართლო გამოძიება კანონის შესაბამისად დაწყებულად არ ჩაითვლება. პირდაპირ დაზარალებულების დაკითხვით დაიწყეს. ისე გაასამართლეს დოლიძე იარაღის უკანონო ტარებისთვის, რომ იარაღი არავის ამოუღია... ადვოკატი დოლიძის გამართლებას ითხოვს.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, — რატომ დატოვეს მარტო ვლადიმერ დოლიძე პატიმრობაში? ამ კითხვაზე პასუხი მისი ოჯახის წევრებს აქვთ — ისინი მომხდარს პირად დევნას უკავშირებენ: ცნობილია, რომ ვლადიმერ დოლიძე ადრე ნასამართლევი იყო; 2005 წელს მამაშვილი — შალვა და ვლადიმერ დოლიძეები ხულიგნობის ბრალდებით დაიკავეს. მათ ბახმაროში იარაღის გასროლაში ადანაშაულებდნენ. თავის დროზე, დოლიძეების საქმე ძალიან რეზონანსული იყო და საქმე სტრასბურგამდე მივიდა. შალვა დოლიძე გულით ავადმყოფია, უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა და უშუალოდ სტრასბურგის მიმითების შემდეგ გაათავისუფლეს ციხიდან. რაც შეეხება მის შვილს, ვლადიმერს, — ისიც უმძიმეს მდგომარეობაში იყო, მას გადაადგილებაც უჭირდა და ციხეში 22 კილო დაიკლო. მისი ადვოკატი ზაზა ხატიაშვილი გამუდმებით, არაადამიანურ მოპყრობასა და უკანონო განაჩენს აპროტესტებდა. ბოლოს ვლადიმერ დოლიძე შეწყალებით გამოუშვეს. დოლიძეები საქართველოს ხელისუფლებას ევროსასამართლოში უჩივიან და დღე-დღეზე განაჩენს ელიან.

შალვა დოლიძე:

— ჩვენი ოჯახის დევნა ისევ გრძელდება. თავიდან ეს დევნა ჩემს ბიზნესს უკავშირდებოდა. ყველაფერი წესრიგში მქონდა, არ დავთმე ბიზნესი, ამიტომ სრულიად უკანონოდ დაგვაკავეს. ახლა ჩემი შვილის პატიმრობაში დარჩენას სტრასბურგში გაგზავნილ ძველ საქმეს ვუკავშირებ. მე და ჩემი შვილი ჩვენზე განხორციელებული არაადამიანური მოპყრობისა და უკანონო პატიმრობისთვის, თითოეული, მილიონ-ნახევარ ევროს ვითხოვთ. ხელისუფლებამ ბევრჯერ მომთხოვა სტრასბურგიდან საჩივრის გამოტანა. ისეთი ახლობელი გამომიგზავნეს, რომ ამის თქმის გამო, ის დავკარგე... საჩივარი რომ გამოგვეტანა, შეწყალებით გამოუშვეს ჩემი შვილი ისე, რომ ამ მოთხოვნით არავისთვის მიგვიმართავს. არავითარ შემთხვევაში არ დავიხევ უკან... ახლა ამ ინციდენტს ჩემი შვილი შემთხვევით შეესწრო. როცა ის იქ მივიდა, უკვე კამათი დამთავრებული იყო. მეგობარი — ღლონტი შენიშნა და იმიტომ მივიდა. სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულს ჰკითხა, რა ხდებაო? პასუხად მიიღო, — შენც ამათნაირი ჩათლახი იქნებიო, — და პირდაპირ დაარტყა ჩემს შვილს, მერე წიხლებით შესდგნენ. ამას მისი მეუღლეც უყურებდა... სატელეფონო საუბრითაც დასტურდება, ჩემი შვილი ინციდენტის დროს იქ რომ არ იყო. სახლში სისხლიანი მოვიდა, ექსპერტიზაზე არც წასულა... ჩვენ გვეგონა, რომ საქმეში მოწმის სტატუსით იყო. ღმერთმა კარგად ამყოფოს სხვები — უშუალოდ ვინც ინციდენტის დროს იქ იყვნენ, ოთხივე გარეთ გაუშვეს და ჩემი შვილი პატიმრობაში დატოვეს!.. ციხიდან გამოსვლის შემდეგ სულ ეკლესიურად ცხოვრობდა, მონასტრებში დადიოდა, სულ წირვა-ლოცვაზე იყო. უდანაშაულო ადამიანი ასე გამოკეტეს. ყველა გარეთ არის, ჩემი შვილი კი დღეს ზანგის როლშია... ■

„ამიტომაც ვარ სახლში ჩაკეტილი“

„ერუდიტში“ სტუმრად მუსიკოსი ლადო გურდული გვყავს. ის არ კითხულობს წიგნებს, არ ჰყავს საყვარელი ავტორები და ნაწარმოებები... დროის დიდ ნაწილს უმეტესად შინ ატარებს. წერს ლექსებს, მუსიკას და დღიურებს.

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგივრ

— ლადო, ცოტა ხნის წინ დედაშენმა ჩემთან ინტერვიუში თქვა, ჩემი შვილებიდან ყველაზე ნაკითხი, განათლებული და ერუდირებული ლადოაო...

— მართლა (*იცინის*)? ჩემ შესახებ დედამ უფრო ბევრი რამ იცის, ვიდრე — მე.

— წიგნებს როგორ „დაუმეგობრდი“?

— არ მახსოვს, ეგ ძალიან ადრე იყო. წიგნები მაინტერესებდა და ვკითხულობდი, მერე ვიდეოები შემოვიდა და წიგნების კითხვა მივატოვე, მოგვიანებით მუსიკამ გამიტაცა...

— ახლა წიგნებს აღარ კითხულობ?

— ახლა თვითონ ვწერ წიგნებს, ლექსებს, დღიურებს...

— და ეს ყველაფერი სად არის?

— კარადაში. არავის ვაკითხებ. დღიურებში ჩემი განწყობილება და შეხედულებები გადამაქვს. რაღა დროს წიგნებია, წიგნები არა შაშვი, კარზე აპოკალიფსია მომდგარი, რაც ყოველდღიური ცხოვრებისთვის მჭირდება, მხოლოდ იმას ვკითხულობ.

— რა თემაა დღეს შენთვის აქტუალური?

— ჩემი ოჯახი და ჩემი მუსიკა...

— არაორდინარული ადამიანი ხარ, ყველაზე დიდი როლი შენს ასეთ პიროვნებად ჩამოყალიბებაში რამ ითამაშა?

— მშიშარა არ ვარ. ყველას უნდა, რომ ერთმანეთს ჰგავდნენ და განსხვავებულობის შიში აქვთ. ურჩევნიათ, ბრბოს თამაში ითამაშონ და საკუთარი სურვილები დაფარონ. ამ ქვეყანაშიც მუდმივი დაძაბულობა ამიტომ არის. ადამიანები ითმენენ, ითმენენ, ითმენენ და მერე იტყუებიან, იტყუებიან და როცა ხვდებიან, რომ „დედა ეტირათ“, მერე რევოლუციას იწყებენ. ჯობია, ადამიანს თავიდანვე შეუსწორო, ვიდრე ბოლოში მოკლა. დროა, ხალხმა სიმართლის თქმა ისწავლოს. მეგონა, რომ დემოკრატია, კაპიტალიზმი ჩვენს საზოგადოებას შეცვლიდა, მაგრამ არაფერი ეშველა, უფრო უარესად დაგოიმდა. შეიძლება, სულ რევოლუცია იყოს და „გადადექი“, „გადადექი“ იძახონ?! სანამ თითოეული მოქალაქე არ გააცნობიერებს, რომ პრობლემა საკუთარი თავიდან იწყება და არა — სხვისგან და სანამ სხვისკენ მიმართულ საჩვენებელ თითს საკუთარი თავისკენ არ შევატრიალებთ, ქვეყანაში პროგრესი ვერ იქნება.

— საზღვარგარეთ წასვლას ხომ არ აპირებ?

— არ მიყვარს სუსტი ადამიანები, რომლებიც „ბრძოლის ველიდან“ გარბიან და სხვის გაშლილ სუფრას მიუსხდებიან ხოლმე...

— შენმა განწყობილებამ ერთი ბრძენის გამონათქვამი გამახსენა: „ეს ქვეყანა ბრიყვებითაა სავსე, თუ არ გინდა მათი ნახვა, ჩაიკეტე სახლში და დაამტვრიე ყველა სარკე“.

— ძალიან კარგად უთქვამს, სახლში ჩაკეტილი ამიტომაც ვარ, მაგრამ სარკეებს არ ვამტვრევ...

— ლონდონის ერთ-ერთ ოჯახში, განსაკუთრებით საადღესასწაულო დღეებში, განუწყვეტლივ გაისმის ტელეფონის ზარი. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ოჯახის უფროსის გვარია...

— განა რა გვარი უნდა ჰქონდეს?

— მისი გვარი ტაქსია. ქმარმა დაურეკა მეუღლეს და უთხრა, — ხვალ მივლინებაში მივდივარო და რაღაც ნივთების ყიდვა სთხოვა, ფული კონვერტში დეკს, კონვერტი საწერი მაგიდის უჯრაშია და რაოდენობაც ზედ აწერიაო. მეუღლემ აიღო კონვერტი და დაინახა, რომ მასზე 98 ეწერა. თანხა მაღაზიაში დაუთვლელად წაიღო. ნავაჭრმა 90 ლარი შეადგინა, არადა, ეგონა, რომ 8 ლარი დარჩებოდა, მაგრამ 4 ლარი დააკლდა. როგორ?

— როგორ დააკლდა?

— ქალბატონს კონვერტი უკუღმა ეჭირა. განმარტება გიყვარს?

— ძალიან, მაგრამ ხშირად ვერ ვახერხებ.

— „ვისაც მარტოსულობა არ უყვარს, მას არც თავისუფლება უყვარს“. ვინ არის ამ გამონათქვამის ავტორი?

— არ ვიცი, მაგრამ ვეთანხმები!

— არტურ შოპენჰაუერი. ძველად გალებს (კელტური წარმოშობის ერი) ჰქონდათ ასეთი უცნაური და მკაცრი წესი, ომის დაწყების დროს ყველა მამაკაცი ვალდებული იყო, გამოცხადებულიყო შეიარაღებულ ყრილობაზე. ერთ-ერთ მათგანს სიკვდილით სჯიდნენ. რა პრინციპით არჩევდნენ მას?

— ზუსტი პასუხი არ ვიცი, ალბათ მას დასჯიდნენ, რომელიც ბოლოს მივიდოდა.

— ეს შენი პირველი სწორი პასუხია. რომელი მეფის დროს მოხდა ბასიანის ბრძოლა?

— არ ვიცი.

— თამარ მეფის დროს. ამ ფილმის სცენარის ავტორი მერაბ ელიოზიშვილია, მონაწილეობენ — დოდო აბაშიძე, ლია კაპანაძე, მზია მაღლაკელიძე და ზურაბ ქაფიანიძე. გადაღებები ერწოს ტბაზე მიმდინარეობდა, პრემიერა 1968 წელს შედგა. დაასახელე ეს ფილმი და მისი რეჟისორი.

— მერაბ კოკოჩაშვილის „დიდი მწვანე ველი“.

— ზოგიერთ ქვეყანაში, რომელთა სასამართლო სისტემაც შარიათის ნორმებზეა აგებული, ქალებს ავტომანქანის მართვის ნებართვა ეძლევათ, მაგრამ ავარიულ შემთხვევაში არც ერთ მამაკაცს არა აქვს უფლება, დაეხმაროს. ამ კანონის ფონზე, მათ აქვთ ერთი უპირატესობა, დაასახელე რაზეა ლაპარაკი?

— წარმოდგენა არ მაქვს.

— მძღოლ ქალებს პოლიცია არ აჩერებს. არგენტინა, ბრაზილია, დიდი ბრიტანეთი, ეკვადორი: ჩამოთვლილთაგან ტერიტორიულად რომელია ყველაზე დიდი?

— (*ფიქრობს*) ბრაზილია.

— ამ მომღერლებიდან რომელზე ჰქონდათ ეჭვი, რომ მაფიასთან იყო კავშირში: ლუი არმსტრონგზე, რეი ჩარლზზე, ელვის პრესლიზე თუ ფრენკ სინატრაზე?

— ფრენკ სინატრაზე.

— ამერიკის რომელი პრეზიდენტი იყო მსახიობი?

— რონალდ რეიგანი.

— „ქალია დილა,/ მიწა — ქალი,/ საღამო — ქალი.../ წვიმა ქალია.../ ყველაფერი ქალივით მიყვარს.../ და როცა ვინმე/ ჩემზე უფრო ადიდებს დილას, —/ ასე მგონია,/ მე რომ მიყვარს,/ მართმევენ იმ ქალს“. ვინ არის ამ ლექსის ავტორი?

— არ ვიცი.

— მუხრან მაჭავარიანი. 1898 წელს ინგლისელმა მწერალმა მორგან რობერტსონმა გამოაქვეყნა თავისი ნაწარმოები — „ამაოება“, რომელიც მალე ყველამ მიივიწყა. წლების შემდეგ მწერალი მოხვდა „ტაიმსის“ პირველ გვერდზე, სტატიაში ის მოხსენიებული იყო, როგორც ნათელმხილველი და ბოროტი გენია. რა აღწერა თავის ნაწარმოებში რობერტსონმა?

— რამე მოვლენაზეა ლაპარაკი?

— ერთ-ერთ ტრაგედიაზე.

— მსოფლიო ომზე?

— არა. ეს ტრაგედია რობერტსონის „ამაოების“ გამოქვეყნებიდან 14 წლის შემდეგ მოხდა.

— ტიტანიკის ტრაგედიას ხომ არ გულისხმობ?

— რა თქმა უნდა. ვინ არის ფარდობითობის თეორიის ავტორი?

— აინშტაინი.

— როცა აინშტაინი 72 წლის გახდა, ამ დღის აღსანიშნავად ფოტო გადაუღეს, რა გააკეთა მან კადრში მოხვედრისას?

— მივხვდი, რასაც გულისხმობ, ენა გამოყო, ეს ცნობილი ფოტოა!

— „სულ უბრალო სოფელს, მაშინ გაუვარდება სახელი, თუ იქ დიდი ვაჟკაცი დაიბადა“. რომელი ნაწარმოების ეპილოგში წერს ამ სიტყვებს მიხეილ ჯავახიშვილი?

— თუ სწორად მახსოვს — „არსენა მარაბდელში“.

— რომელი ქვეყნის დედაქალაქია აბუჯა?

— გამიგია, მაგრამ არ ვიცი.

— ნიგერიის. იოჰან სებასტიან ბახს, როგორც კომპოზიტორს ქვეყანა იცნობს. ის არა მარტო ქმნიდა მუსიკას, კარგი შემსრულებელიც იყო, მაგრამ არანაკლებ სახელგანთქმული იყო სხვა სფეროშიც და ამ გატაცების შესახებ წიგნიც კი დაწერა. რით იყო ბახი გატაცებული?

— ბანქოს თამაშით.

— ეს ბერძენი პოეტი ფაონთან უიმედო სიყვარულის ნიადაგზე ლევკადიის კლდიდან აქაფებულ ზღვაში გადავარდა. დაასახელე იგი.

— პასუხის გაცემა არც ამ კითხვაზე შემიძლია.

— მიგანიშნებ, ეს პოეტი ტალღებმა კუნძულ ლესბოსისკენ გაიტაცა.

— აა! ეს ამბავი მეცნობა, მაგრამ პოეტის სახელს ვერ ვიხსენებ.

— მას საფო ერქვა. მირიანი, ფარნავაზი, ვახტანგ გორგასალი, გიორგი ბრწყინვალე: დასახელებული მეფეებიდან, რომელი არ იყო ქრისტიანი?

— ქრისტიანობა მირიანის მეფობის დროს მივიღეთ.

— ეგ არ მიკითხავს.

— ფარნავაზი არ იყო ქრისტიანი.

— რომელი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს ფინეთის დედაქალაქი — ჰელსინკი?

— ბალტიის ზღვის.

— თავდაპირველი მნიშვნელობით ეს ტერმინი ტყავის ტომარას ნიშნავდა. ინგლისის ხაზინის კანცლერი, ამ ქვეყნის პარლამენტის წინაშე მოსალოდნელი შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ მოხსენების დროს, ტყავის ტომრით ხელში წარდგებოდა, მასში საფინანსო დოკუმენტაცია ეწყო. დროთა განმავლობაში, ამ სიტყვამ თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა დაკარგა და დამკვიდრდა, როგორც ქვეყნის მთავარი საფინანსო დოკუმენტის აღმნიშვნელი ტერმინი. რა ტერმინია ეს?

— საქართველოშიც ამ ტერმინს ვიყენებთ?

— დიახ.

— ბიუჯეტი იქნება.

— ნამდვილად ასეა. ის ცხელ გარემოში ბინადრობს, მაგრამ სიცოცხლისუნარიანია გაყინვის შემდეგაც. მეცნიერებმა მის ორგანიზმში ყველა საშიში ბაქტერია და ვირუსი შეიყვანეს, მაგრამ მასზე არ იმოქმედა. ცოცხალი რჩება და მოძრაობს რადიოაქტიური დასხივებისას, რომელიც 130-ჯერ აღემატება ადამიანისთვის სასიკვდილო დოზას. მიუხედავად ყველაფრისა, არსებობს ლეგენდა, რომ იგი ხიფათის დროს თავს თავისივე შხამით იკლავს. რაზეა ლაპარაკი?

— არ ვიცი (*ფიქრობს*), მორიელი ხომ არა? ასეთი რამეები მასზე მსმენია.

— დიახ, ასეა. ფილადელფია, სან-ფრანცისკო, ნიუ-იორკი, ლოს-ანჯელესი — აშშ-ის ამ ქალაქებიდან, რომელი არ მდებარეობს ოკეანის სანაპიროზე?

— ფილადელფია.

— დაბოლოს დაასრულე დემოკრიტეს ცნობილი გამონათქვამი: „საკუთარი შეცდომების დავიწყება...

— ვერ დავასრულებ.

— „...თავხედობას ბადებს“.

■

ანეკდოტები

* * *

მიხო პატრულმა გააჩერა:

— რატომ არ უკეთია თქვენს მგზავრს უსაფრთხოების ღვედი?

— ვისა, კაცო, ჩემს სიდედრსა?.. რავი, უფროსო, წკმუტუნი დაიწყო და ავუშვი...

* * *

კომენტატორი:

დილა მშვიდობისა, ვიწყებთ რეპორტაჟს სპეციალური ოლიმპიადიდან, სადაც არ არსებობს არავითარი დოპინგ-კონტროლი. დიახ, დიახ, სპორტსმენებს არავინ ამოწმებს დოპინგზე. მაშ ასე, ვიწყებთ:

— 27 მეტრზე გადახტა ფინელი სპორტსმენი!.. ნამდვილად არ არის ურიგო შედეგი მოჭადრაკისთვის!

— 20 მოკლული და 30 დაჭრილი... ასეთია შოტლანდიელი ბადროს მტყორცნელის გამოსვლის შედეგი.

— სწორედ ამწუთას შეასრულა ჭოკით ხტომა სერგეი ბუბკამ. მაყურებელი მოუთმენლად ელის სპორტსმენის მიწაზე დაშვებას.

— შუბის მტყორცნელებმა დღეს განსაკუთრებით ისახელეს თავი. შედეგი — 2 ჩამოგდებული „ბოინგი“ და სერგეი ბუბკა.

— აი, უკვე 3 საათია, რაც ჩინელი ტანმოვარჯიშე ღერძზე ტრიალებს...

— საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვიტა, ეროს მტყორცნელი სპორტსმენები დღეს მოედანზე საერთოდ არ გამოუშვას...

— მარათონულ სირბილში როგორც ყოველთვის, ლიდერობს კენიელი სპორტსმენი. მან ერთადერთმა შეძლო, კენიამდე შეუჩერებლად ერბინა.

— ამწუთას მაცნობეს, რომ სადღაც გაქრა საორგანიზაციო კომიტეტის ყველა წევრი და აი, მოედანზე გამოდიან ეროს მტყორცნელები.

— კანადელმა ველოსპორტსმენმა შუა დისტანციაზე დაკარგა ველოსიპედი, თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, პირველი მისულიყო ფინიშამდე.

— ჩინელი ტანმოვარჯიშე კვლავ აგრძელებს ღერძზე ტრიალს...

— აი, ეროს მტყორცნელიც დატრიალდა, ერო გატყორცნა და... ჩინელმა სპორტსმენმა შეწყვიტა ძელზე ტრიალი... სუნთქვასთან ერთად...

— და დასასრულისთვის ჩვენი ტრადიციული ორმოცჭიდი. მოდი, თვალი ვადევნოთ სპორტსმენს საქართველოდან. აი, მან გაირბინა 1000 მეტრი, გადახტა ჭოკით, აიღო შტანგა, გაირბინა 100 მეტრი ბარიერებით, დადო შტანგა, გადავიდა შეტევაზე, მოატყუა მცველები და შეაგდო გოლი, მიუჯდა დაფას, მოწინააღმდეგეს მესამე სვლაზე ქიში გამოუცხადა და მეხუთე სვლაზე დააშამათა! ბრწყინვალე შედეგია! და აი, სპორტსმენი გადის მეორე წრეზე...

* * *

— ადამიანის ინტელექტუალური დონე იმ კითხვების მიხედვით შეიძლება განისაზღვროს, ისინი რომ იძლევიან.

— რაიო?

* * *

ორი მეგობარი ხვდება ერთმანეთს. ერთს თვალი აქვს დალურჯებული.

— თვალზე რა მოგივიდა?

— გუშინ წყლიდან ერთი გოგო ამოვიყვანე, ცოლმა მომისწრო და თვალი ჩამილურჯა.

— რას მელაპარაკები?!. საიდან ამოიყვანე, ზღვიდან თუ მდინარიდან?

— ჩვენი აბაზანიდან...

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. რას ეძახიან რაჭაში „ოჩხარს“?

2. დაასახელეთ გერმანელი არქეოლოგი, რომლის ცხედარს უკანასკნელ გზაზე სხვებთან ერთად საბერძნეთის მეფე და ტახტის მემკვიდრე მიაცილებდნენ.

3. რა არის „ოჯინჯალი“?

4. რომელი ქვემეხი მიიჩნევა საუკეთესო ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხად?

5. დაასახელეთ ერთადერთი ქვეყანა აფრიკაში, რომელსაც გასასვლელი აქვს ხმელთაშუა ზღვაზეც და ატლანტის ოკეანეშიც.

6. შეერთებული შტატების რომელ დაწესებულებაში შეიძლება ნახოთ წარწერა: „გამაგრდი, მალე პარასკევია“?

7. დაასახელეთ ერთადერთი ხალხი, რომელიც ზიგმუნდ ფროიდის თქმით, ფსიქოანალიზს არ ექვემდებარება.

8. ვინ ოცნებობდა ისეთი ავტომობილის გამოშვებაზე, რომელიც ერთ კილოგრამ ხორცზე იაფი იქნებოდა?

9. დაასახელეთ აშშ-ის პირველი პრეზიდენტი, რომლის ინაუგურაციაც თეთრ სახლში გაიმართა.

10. ნიკო ბერძენიშვილი იგონებდა, სტალინს ქართველი მეცნიერებისთვის უკითხავს — საქართველოს ისტორიაში ვინ უფრო დიდ ადამიანიად მიგაჩნიათ, მე თუ ილია ჭავჭავაძეო? რა თქმა უნდა, თქვენო, უთქვამთ მისთვის (სხვა პასუხს ვინ გაბედავდა?!). რა რეაქცია ჰქონდა სტალინს?

11. რას ნიშნავს სიტყვა — „მრწემი“?

12. რომელ ქალაქშია გადაღებული მხატვრული ფილმი — „ფეოლა“?

* * *

— დიდი ბოდიში, ეს თქვენი ბანკი იძლევა კრედიტს პატიოსან სიტყვაზე?

— დიახ.

— და თუ ფულს არ დავაბრუნებ?

— თქვენ შეგრცხვებათ უფლის წინაშე, როცა იმ ქვეყნად მოხვდებით...

— ჰე-ჰე... ეგ ჯერ როდის იქნება?

— მეორე დღესვე, როგორც კი ფულს არ მოგვიტანთ!..

* * *

უდაბნოში კაცი მიხოხავს. 3 დღეა წყალი არ დაულევია და 10 დღეა საჭმელი არ უჭამია. ხედავს, ქვიშაში ძველებური ლამპა გდია. მიხოხდა, ხელში აიღო და გვერდზე ხელისგული გაუსვა. ლამპიდან ჯინი ამოვიდა და რას მიბრძანებთ, ბატონო, ეუბნება.

— სახლში მინდა! — ამოიკვნესა კაცმა.

ჯინმა ხელი ჩაჰკიდა და ეუბნება:

— კარგი, წავიდეთ.

— შენ რა, ვერ გაიგე? უცბად მინდა, სახლში რომ მოვხვდე!..

— კარგი, სირბილით წავიდეთ!..

* * *

საკონდიტროში ტელეფონი რეკავს:

— ალო, მისტერ სმიტი გაწუხებთ. მიიღეთ შეკვეთა საიუბილეო ტორტზე ჩემი მეუღლისათვის.

— რამდენსანთლიანი?

— 29... როგორც ყოველთვის...

* * *

— დღეს რა ლამაზად გამოიყურებით, სოფი!..

— ყველა ლამაზ ქალს ასე ეუბნებით, არა?

— არა, ლამაზებს სულ სხვა რამეს ვეუბნები!..

* * *

— ბრალდებულო, კიდევ რისი თქმა შეგიძლიათ თავის გასამართლებლად?

— პატივცემულო მოსამართლევ, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩემი ადვოკატის გამოუცდელობა და ახალგაზრდა ასაკი.

* * *

ინგლისელი ლორდი ეკითხება კამერდინერს:

— მითხარით, ჯეიმს, როგორ ცხენებს ანიჭებთ უპირატესობას?

— როგორ გითხრათ, სერ, როცა ყორნისფერ ცხენს მივაჭენებ, მინდა, რომ თეთრ ცხენზე ვიყო ამხედრებული, როცა თეთრ ცხენზე ვზივარ — პირიქით.

— და როგორი ქალები მოგწონთ, ქერა თუ შავგვრემნები?

— როგორ გითხრათ, სერ...

— არ გინდათ, ჯეიმს, ყველაფერი გასაგებია.

* * *

ბავშვობაში გოგონებს თოჯინები მოსწონთ, ბიჭებს — ლამაზი მანქანები. ოღონდ ეს ყველაფერი მხოლოდ 17 წლამდე გრძელდება. მას შემდეგ ყველაფერი პირიქითაა.

* * *

დედა ეუბნება ქალიშვილს:

— აი, ვუყურებ შენს საქმროს და ვფიქრობ, რომ კვაზიმოდოსა და ესმერალდას შორის რაღაც მაინც მოხდა...

* * *

ცხოველების ბაზრობაზე:

— უკაცრავად, ეს კატა დედალია თუ მამალი?

— რა, ყურებზე ვერ ატყობთ?

— ვერა...

— ეს კურდღელია, ქალბატონო.

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. საერთო ხარჯით გამართულ ნადიმს.
2. ჰაინრიხ შლიმანი (ლეგენდარული ტროას გამთხრელი არქეოლოგი).
3. შუაცეცხლის თავზე გადებული ძელი, რომელზედაც ჯაჭვი კიდია.
4. საუკეთესო ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხად ისევ ტანკის ქვემეხი მიიჩნევა. ვერც ერთი თანამედროვე ტანკის ჯავშანი ვერ უძლებს სხვა, თანამედროვე ტანკის მიჯრით ნასროლ ჭურვს.
5. მაროკო.
6. სკოლებსა და კოლეჯებში.
7. ირლანდიელები.
8. ჰენრი ფორდი.
9. თომას ჯეფერსონი.
10. „ვაი თქვენს პატრონს!..“ — ხელი ჩაუქნევია ბელადს.
11. „მრწემი“ და „უმცროსი“ სინონიმებია.
12. ბათუმში.

ჩვენი ფოტო გაღვრეა

ჰოროსკოპი

24 თებერვალი - 2 მარტი

ვირაყი

იდეების განხორციელებაში კოლეგები დაგეხმარებიან. მეტი დრო გაატარეთ საყვარელ ადამიანთან. ნასვამი საჭეს ნუ მიუჯდებით.

ჯუჩი

მიზნის მისაღწევად იბრძოლეთ. ხელსაყრელია ხელმძღვანელებთან და გავლენიან პირებთან საქმიანი მოლაპარაკება. მოერიდეთ ახლობლებთან კონფლიქტს.

ტყუპი

კარგი პერიოდია ცოდნის გაღრმავებისთვის. უცხოელი კოლეგების დახმარებით ბიზნესს გააფართოებთ. დასვენების დღეებში ქალაქგარეთ მგზავრობისგან თავი შეიკავეთ.

ჯიჩიხიტი

ემოციურად დატვირთული კვირა გელით. ფინანსურ პრობლემებს მოაგვარებთ. კვირის ბოლოს ქალაქგარეთ გაემგზავრეთ.

ლომი

რომანტიკული ნაცნობობა შესაძლოა, დიდ გრძნობაში გადაიზარდოს. სამსახურში მეტ წარმატებას მიაღწევთ, თუ კოლეგებთან აგრესიული არ იქნებით. თავისუფალი დრო მშობლებთან ერთად გაატარეთ.

ყანგწუდი

მიხედეთ საოჯახო საქმეებს. სასურველი იქნება თუ ახალ ავეჯს შეიძენთ, ან რემონტს წამოიწყებთ. უსიამოვნებებს რომ ასცდეთ, გარშემო მყოფებთან გულახდილ საუბრებს მოერიდეთ.

სანსწიჩი

შემოქმედებითი საქმიანობისთვის კარგი პერიოდია. განწყობილებას ბავშვებთან ურთიერთობა გამოგისწორებთ. რომანტიკული შეხვედრები გელით.

ბოჩიბედი

კარგი დროა ნათესავებთან ურთიერთობის მოსაგვარებლად. სამსახურში საქმეები ისე გადაანაწილეთ, რომ არ გადაიღალოთ. მოერიდეთ საყვარელ ადამიანთან კონფლიქტს.

ბუვიდდოსანფი

ახალ მეგობრებს შეიძენთ. კარგი პერიოდია ახალი პროექტების განსახორციელებლად. საჭესთან სიფრთხილე გამოიჩინეთ.

თხის ჩეკა

კვირის დასაწყისში წარმატებით მოაგვარებთ ფინანსურ საკითხებს. ავანტიურისა და სარისკო ქმედებისგან თავი შეიკავეთ. მოერიდეთ კონფლიქტს გარშემო მყოფებთან.

ბებწყუდი

იდეებისა და ახალი პროექტების განხორციელების შანსი მოგეცემათ. გაფრთხილდით, რომ არ წამოეგოთ პროვოკაციას და არ გაეხვიოთ სკანდალში. დასვენების დღეებში საკუთარ გარეგნობაზე იზრუნეთ.

თებეზებიტი

ისეთ საქმეს მოჰკიდეთ ხელი, რაც სიამოვნებას და სულიერ სიმშვიდეს მოგანიჭებთ. ნაკლები ყურადღება მიაქცეთ ცრურწმენებს. დასვენების დღეები ბუნებაში გაატარეთ.

ზოდიაქოს ნიშნების სუსტი წერტილები

აქტიური და ენერგიული **ვერძის** სუსტი წერტილი თავია და შესაბამისად, ხშირად ავადდება ჰაიმორიტით, ოტიტით და ა.შ. სასურველია, მუშაობის დროს (განსაკუთრებით გონებრივად) ხშირად შეისვენოს.

პროდუქტებიდან უნდა მიიღოს: თევზი, ყველი, ხაჭო, ბანანი, ქიშმიში, კვერცხი და ნიგოზი.

ყველაზე ხშირად ყელი **კუროს** აწუხებს. მიდრეკილია სიმსუქნისკენ. უნდა დაიცვას დიეტა და ყოველ დილით ივარჯიშოს.

პროდუქტებიდან უნდა მიიღოს: რძის პროდუქტები (მაწონი, კეფირი), ბოსტნეული (ჭარხალი, სტაფილო, კომბოსტო) და ხილი (კომში, გარგარი, ქლიავი).

ტყუპ სასუნთქ ორგანოებს უნდა გაუფრთხილდეს. ალერგიულია. უნდა მოერიდოს ცხარე და ალერგიულ (ციტრუსები, კვერცხი) საკვებს. გაიმაგროს იმუნიტეტი.

პროდუქტებიდან უნდა მიიღოს: ხილი და თხილი. ხშირად სვას მინერალური წყალი.

ზოდიაქოს ნიშნებში ავადმყოფობას ყველაზე რთულად **კირჩხიბი** იტანს. არ უნდა მოდუნდეს, სუფთა ჰაერზე ისეირნოს ფეხით, ველოსიპედით, დაიცვას დიეტა. მოერიდოს მუავე საკვებს.

პროდუქტებიდან უნდა მიიღოს: თეთრი ხორცი, ზღვის პროდუქტები, მოხარშული ბოსტნეული.

შრომისმოყვარე **ლომი** ავადმყოფობის დროსაც კი თავდაუზოგავად მუშაობს. ხშირად უნდა, რომ მოიწყოს განტვირთვის დღე.

პროდუქტებიდან უნდა მიიღოს: მწვანილი, ნიორი, კურაგა, ქიშმიში, მწვანე ჩაი.

ქალწულს ხშირად აწუხებს კუჭ-ნაწლავის დაავადებები, ამიტომ უნდა უფრთხილდეს ინფექციურ დაავადებებს; შეამციროს ყავის მიღების დოზა; რაციონიდან ამოიღოს შებოლილი საკვები.

პროდუქტებიდან უნდა მიიღოს: ხილი, ბოსტნეული, ნატურალური წვენები.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

1. ქვეყანა აზიაში
2. ვიწრო და ღრმა ხეობა
3. პირის ღრუს ნაწილი
4. ჩაძირული კონტინენტი
5. ფინური აბანო
6. აშშ-ის კოსმოსური ცენტრი
7. აღორძინების ხანა
8. ჯერი, თანმიმდევრობა
9. მიწის ფართობის საზომი ერთეული
10. დიდ ბრიტანეთის დედაქალაქი
11. განგსტერული ორგანიზაცია
12. ერთგვარი ქუდი
13. მადა
14. ამერიკის შტატი
15. კლავიშებიანი მუს. საკრავი
16. ღობეზე გადასაბიჯებელი ადგილი
17. მცენარეთა სამყარო
18. სუნთქვის ორგანო
19. თეფში
20. შიშველი სხეული ხელოვნებაში
21. სანახაობა, სპექტაკლი
22. არგენტინული ცეკვა
23. მოხეტიალე მლოცველი
24. ცეცხლსასროლი იარაღის ტიპი
25. კეთრი
26. დენი დე ...
27. მცენარეთა შემსწავლელი მეცნიერება
28. ყვავილაზე ნაკლები, უმცირესი
29. ცელქი, ონავარი
30. მხატვრის დახატული თავისი სურათი
31. გრძელი ნაწნავი
32. კურკოვანი ხილი
33. სპორტის სახეობა
34. ლაშქარი
35. მზის ამოსვლა
36. სკის წებო, დინდგელი
37. დანიელიას ფილმი



ზინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. კრაისლერი; 2. რანდევუ; 3. სუნამო; 4. თევზი; 5. რეიტინგი; 6. ინდონეზია; 7. წვიმა; 8. ბარიერი; 9. ცემენტი; 10. ლაყე; 11. ჰიუგო; 12. არეალი; 13. გიბონი; 14. ბაგა; 15. დედაბერი; 16. არაჟანი; 17. დუმა; 18. სარკოზი; 19. სოია; 20. კრედო; 21. მედია; 22. მინესოტა; 23. სეკრეტერი; 24. რეკორდი; 25. კინემატიკა; 26. ვაი; 27. ახმეტა; 28. ვესტერნი; 29. ვარანი; 30. ჯვარი; 31. პარმეზანი; 32. აკაზა; 33. რქა; 34. რინგი; 35. ბაზილიკა.

სურათებზე: 1. კეიტ ჰადსონი; 2. ჯერარდ ბატლერი.

სპორტული კროსვორდი



შენიშვნა: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

დ. მოსკოვის საფეხბურთო კლუბ „სპარტაკისა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი მეკარე; **ა**. სამცხის მმართველთა ტიტული; **ი**. სწრაფი წვიმა მალე მომდარებელი; **ს**. რაიმე მოქმედებისადმი ხალისის აღმძვრელი მიზეზი; **ვ**. თბილისის საკალათბურთო კლუბი; **ე**. ციმბირის დამპყრობ კაზაკთა მეთაური; **ნ**. სევდა, დარდი, კაეშანი; **ე*. კბილი საჭრელ და ძირითად კბილებს შორის; **ჩ*. ქალის გრძელი, მსუბუქი მოსასხამი, მუსლიმანურ ქვეყნებში, რომელიც სახესაც ფარავს; **ვ*. ჯარის უფროსი ძველ რუსეთში; **ე*. ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი; **ნ*. სპორტული ტანსაცმლისა და ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; **ს*. ინგლისელი მწერალი, „რობ როისა“ და „აივენჰოს“ ავტორი; **ჟ*. კარდინალ რიშელიეს გვარდიის ოფიცერი, რომელიც დ'არტანიანმა პარიზში ჩასვლის მეორე დღეს ორთაბრძოლაში დაჭრა; **უ*. ცის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელსაც საკუთარმა შვილმა ცელით მოჰკვეთა ასო და ისე გამოასალმა სიცოცხლეს; **რ*. ორთვლიანი ეტლი, რომლის ხელნებშიც შებმულია ადამიანი. იყენებენ მგზავრების გადასაყვანად; **ნ*. მაჰმადიანთა ლოცვა; **ა*. კრეტის მეფის მინოსის ასული, რომელმაც თეზევსს ჯადოსნური ძაფის გორგალი მისცა და ლაბირინთიდან თავის დაღწევაში დაეხმარა; **ლ*. XV-XV საუკუნის გერმანელი რეფორმატორი, რომელსაც ეკუთვნის სიტყვები „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“; **თ*. მეტსახელი; **ა*. ვაზის მოკლედ აჭრილი ორმტევნიანი ლერწი; **ნ*. ქარის მიერ ერთ ადგილზე მიყრილი თოვლი; **ე*. მდინარე დასავლეთ საქართველოში; **რ*. შეკრული და გარეკანში ჩასმული საწერი ქაღალდის ფურცლები; **თ*. რაიმე პატარა ნივთი, რომელსაც ცრურწმენით მფლობელისათვის ბედნიერების მოტანა შეუძლია; **ა*. ჭუჭრუტანიდან ოთახში შემოსული მზის სხივი; **დ*. ღვინისა და დროს ტარების ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**გ*. გესტაპო; **ზ*. ზვავი; **ა*. არნოლდი; **გ*. გლაზგო; **ა*. არმანდო; **რ*. რითმა; **თ*. თაობა; **ო*. ოინი; **ბ*. ბრემენი; **ი*. ინცესტი; **ს*. სახრე; **ს*. სმეტანა; **ა*. აკლდამა; **უ*. უნიკუმი; **კ*. კლანი; **ე*. ეკლერი; **თ*. თიანეთი; **ე*. ეჟვანი; **ს*. სკალპი; **ო*. ორშიმო; **გ*. გეიზერი; **ა*. არჩილი; **რ*. რეალი; **ა*. ალაფი; **ნ*. ნეკნი; **ტ*. ტრაპი; **ი*. იორდანე; **ა*. ალიონი; **ა*. აკორდი.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

სანამ თონე ცხელია, ლავაში ჩააკარიო

იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

1	2	4	7	9	5	6	3	8
3	8	9	6	4	2	5	7	1
6	5	7	3	8	1	2	4	9
5	9	2	1	7	8	3	6	4
4	6	1	9	2	3	7	8	5
8	7	3	5	6	4	9	1	2
7	3	5	4	1	9	8	2	6
2	4	6	8	5	7	1	9	3
9	1	8	2	3	6	4	5	7

7	1	8	9	6	3	5	2	4
9	6	4	5	2	1	7	3	8
3	5	2	8	7	4	1	6	9
6	9	1	7	3	5	4	8	2
5	8	7	6	4	2	9	1	3
4	2	3	1	9	8	6	5	7
8	7	9	2	1	6	3	4	5
1	3	5	4	8	7	2	9	6
2	4	6	3	5	9	8	7	1

4	9	8	3	7	5	2	6	1
1	6	3	8	2	9	7	4	5
2	7	5	1	4	6	9	8	3
7	5	9	4	3	2	8	1	6
6	3	2	5	8	1	4	7	9
8	1	4	6	9	7	3	5	2
5	2	7	9	1	4	6	3	8
3	4	1	2	6	8	5	9	7
9	8	6	7	5	3	1	2	4

* **მარტივი**

9	8	4			7	3	5	
	6					7		8
		7	4	6		9		
7	4		3	9			2	
			8	5	2	4		
				1				
1	9		5		3		6	
		6		4	9		3	7
4						2		

** **საშუალო**

			3		7		2	
		7						
6	8				9			
	5		9					2
					2	1	5	
4	2	1	8		6			7
			7	4	5			3
2	3			9	8			
	4	8				9	6	

*** **რთული**

		8	9	2	7			
1		7					5	
		4	5					
4	7			5				
	3	5						
8	1	9	3		6		7	2
		6	2			9		1
	2	1				3	8	6
9	4	3	8		1			

ფოტოკუჩიოზები

მაგენოლი

ნიმესულიდი 100მგ

იდეალური გამოსავალი ტკივილისა და ანთების დროს

შეიძლება თუ არა ერთდროულად დავამარცხოთ ტკივილი და ანთება?

თანამედროვე მედიცინა მიმართულია ისეთი მედიკამენტების შექმნისკენ, რომლებიც მცირე დროში ეფექტურად ახდენენ დაავადების ამა თუ იმ სიმპტომის კუპირებას. განსაკუთრებული მოთხოვნა დღეს წაეყენება ტკივილგამაყუჩებელ და ანთების საწინააღმდეგო საშუალებებს.

ტკივილის დროს ძირითადი მოთხოვნაა მისი სწრაფი მოხსნა, ხოლო ანთების მკურნალობისას მნიშვნელოვანია, რომ პრეპარატს ჰქონდეს მინიმალური გვერდითი მოვლენები, ანთების საწინააღმდეგო თერაპია ხომ გაცილებით ხანგრძლივ დროს მოითხოვს.

პრეპარატი, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებს როგორც ტკივილის, ასევე ანთების საწინააღმდეგო მკურნალობის მოთხოვნებს არის უნიკალური ტექნოლოგიით დამზადებული მედიკამენტი - **"მაგენოლი"**.

"მაგენოლის" ტაბლეტი პირის ღრუში მოხვედრისთანავე წყლის გარეშეც იხსნება. მისი შეწოვა პირის ღრუდან იწყება, რის გამოც ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი უმოკლეს დროში დგება. მაღალსელექტიური მოქმედების გამო, მინიმუმამდეა შემცირებული მისი გვერდითი ეფექტები ხანგრძლივი გამოყენების შემთხვევაშიც (მათ შორის კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მხრივ).

ზოგიერთ ადამიანს ჩვევად აქვს ტკივილგამაყუჩებელი საშუალების წყალში გახსნა და ისე მიღება, რაც **"მაგენოლის"** შემთხვევაშიც შესაძლებელია. თუმცა მისი მთელი უპირატესობა ის არის, რომ **"მაგენოლის"** მიღება შეიძლება ნებისმიერ სიტუაციაში და არ არის საჭირო ჭიქა წყლის ძებნა.

AVERSI

დავით აღმაშენებლის 148/2
საინფორმაციო სამსახური 967 227
პრეპარატის მიღების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს!

მისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

www.aversi.ge



ᲐᲠᲓᲘᲚ-h

ᲡᲘᲠᲝᲤᲘ

ᲝᲗᲮᲤᲣᲠᲪᲔᲚᲐ ᲛᲐᲠᲬᲧᲕᲐᲚᲐᲮᲐ, ᲓᲐᲠᲤᲘᲚᲤᲘᲚᲘ, ᲐᲓᲰᲐᲓᲝᲢᲐ ᲕᲐᲡᲘᲙᲐ, ᲫᲘᲠᲤᲙᲕᲘᲚᲐ

ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲡᲐᲮᲕᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ

ᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲡ:

- ᲮᲕᲔᲚᲐᲡ
- ᲧᲔᲚᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲡ
- ᲑᲠᲝᲜᲥᲔᲑᲨᲘ ᲜᲐᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲒᲣᲑᲔᲑᲐᲡ

ᲐᲯᲐᲜᲢᲐ ᲤᲐᲠᲛᲐ ᲚᲘᲛᲘᲢᲔᲓ, ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ

PSP №1
ᲩᲔᲛᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘ
ᲐᲚᲓᲐᲛᲔᲜᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲭ. 148ᲛᲛ

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲒᲐᲘᲪᲐᲜᲘᲗ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐᲡ. ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲖᲔ ᲓᲔᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ ᲔᲥᲘᲛᲡ.

ᲡᲔᲠᲘᲐ „ᲔᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ“-Ს ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘ: №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11 ᲓᲐ №12 ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲬᲘᲗᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲨᲘ!

-90



წიგნი

50

რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ!

14-დან – 21 მარტამდე



ჩარლზ დიკენსი

28 მარტიდან – 4 აპრილამდე



ეიხი მახია ხემახეი

11-დან – 18 აპრილამდე



ფრედერიკ ბეგბედერი

28 თებერვლიდან – 7 მარტამდე

წიგნი 8
ოსკარ უაილდი
„დორიან გრეის პორტრეტი"

მხოლოდ „კვირის პალიტრის" მკითხველისთვის
წიგნის სპეციალური ფასი -7 ლარი

წაიკითხე წიგნები უკეთესად იქნები!

უკვე გამოსული ტომები: ონორე დე ბალზაკი, ჯეკ ლონდონი, შოთა რუსთაველი, ალექსანდრე დიუმა, უილიამ შექსპირი, ჟიულ ვერნი, მიხაილ ბულგაკოვი **შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!**

გამოიწერეთ „კვირის პალიტრა" და მიიღეთ თითო ტომი 7 ლარად! ტელ: 38 26 73; 38 26 74 ელვა.ჯი